ISSN 1987-5789

ეკონომიკა და ბიზნესი

ECONOMICS AND BUSINESS

ЭКОНОМИКА И БИЗНЕС

1

ტომი ✧ Volume ✧ Том
X
№1, 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და
რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Practical Journal
of the Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Реферируемый и рецензируемый международный научно-практический
журнал факультета экономики и бизнеса Тбилисского государственного
университета
им. Иванэ Джавахишвили

გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2015 წლიდან – კვარტალში ერთხელ

Published since January 2008 once in two months,
Since 2015- Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ.,
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.
e-mail: ebf.journal@tsu.ge
lia_lugela@mail.ru

სარედაქციო კოლეგია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: რამაზ აბესაძე, იური ანანიაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, **რევაზ გოგოხია** *(მთავარი რედაქტორი),* **თამაზ ზუბიაშვილი** *(პასუხისმგებელი მდივანი),* ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, ქეთევან მარშავა, მურთაზ მაღრაძე, ელგუჯა მექვაბიშვილი, დავით ნარმანია, ავთანდილ სილაგაძე *(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი),* დემურ სიჭინავა, მირიან ტუხაშვილი, გიორგი ღაღანიძე, თეიმურაზ შენგელია, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ეთერ ხარაიშვილი.

EDITORIAL BOARD

Doctors of Economic Sciences, Professors: Ramaz Abesadze, Iuri Ananiashvili, Teimuraz Beridze, George Ghaghanidze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, **Revaz Gogokhia** *(Editor-in-Chief),* **Tamaz Zubiashvili** *(Executive Secretary),* Nugzar Todua, Irakli Kovzanadze, Ketevan Marshava, Murtaz Maghradze, Elguja Mekvabishvili, Davit Narmania, Avtandil Silagadze *(Academician of the National Academy of Sciences of Georgia),* Demur Sichinava, Mirian Tukhashvili, Temur Shengelia, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Eter Kharaishvili.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Доктора экономических наук, профессора: Рамаз Абесадзе, Юрий Ананиашвили, Теймураз Беридзе, Георгий Гаганидзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, **Реваз Гогохия** *(главный редактор),* **Тамаз Зубиашвили** *(ответственный секретарь),* Нугзар Тодуа, Ираклий Ковзанадзе, Муртаз Маградзе, Кетеван Маршава, Элгуджа Меквабишвили, Давид Нармания, Автандил Силагадзе *(Академик Национальной Академии Наук Грузии),* Демур Сичинава, Мириан Тухашвили, Темур Шенгелия, Нодар Хадури, Элене Харабадзе, Этер Хараишвили.

ვოლფგანგ ვენგი – *ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი;* ოლეგ კარასევი – *ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;* გრაჟინა კარმოვსკა - *დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ფინანსებისა და სისტემური ანალიზის კათედრა, პროფესორი (ქ. შჩეცინი, პოლონეთი);* იან მიხალეკი – *ვარშავის უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკ-ის დეკანი, ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;* დიმიტრი სოროკინი – *რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;* ვიტალი ტამბოვცევი - *ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივრსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ინსტიტუციური ანალიზის ლაბორატორიის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;*
ტომას ჰალდმა – *ტარტუს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.*

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

Wolfgang Weng – *Berlin University, Professor;* Oleg Karasev – *Lomonosov Moscow State University, Chair of the Department of Statistics, Doctor of Economic Sciences, Professor;* Grazyna Karmowska*, Faculty of Economics, West Pomerania University of Technology in Szczecin, Professor (Poland);* Jan Mikhalek – *University of Warsaw, Dean of the Faculty of Economic sciences, Doctor of Economic Sciences, Professor;* Dmitry Sorokin – *Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Doctor of Economic Sciences, Professor;* Vitaly Tambovtsev - *head of the Laboratory for Institutional Analysis of Economic Faculty of Lomonosow Moscow State University, Doctor of Economic Sciences, Professor;* Toomas Haldma – *Tartu University, Dean of the Faculty of Economics and Business Administration, Professor.*

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ

Вольфганг Венг – *профессор Берлинского Университета;* Олег Карасев – *зав. кафедрой статистики Московского Государственного Университета им. Ломоносова, д.э.н., профессор;* Гражина Кармовска, *д. э. н., Экономический фак. Технологического Университета Западного Померания, Шчецин (Польша);* Ян Михалек – *декан факультета экономических наук Варшавского Университета, д.э.н., профессор;* Дмитрий Сорокин – *член корреспондент Российской Академии Наук, д.э.н. профессор;* Виталий Тамбовцев –*Заведующий Лабораторией институционального анализа Экономического факультета Московского Государственного Университета им. Ломоносова, д. э. н., профессор;*Томас Халдма – *декан факультета экономики и администрирования бизнесса университета Тарту, профессор.*

სარჩევი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II–ის საშობაო ეპისტოლე 9

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

რევაზ გველესიანი. ძირითად საზოგადოებრივ ფასეულობებს შორის არსებული წინააღმდეგობები და მათი დაძლევის პრობლემა 14

ეკა ლეკაშვილი. ვიშეგრადის ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის განვითარების აქტუალური საკითხები 25

დიმიტრი ჯავახაძე. ლარის კურსზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი 39

მიკროეკონომიკა ✧ მაკროეკონომიკა ✧ ეკონომეტრიკა

ავთანდილ ჩუთლაშვილი. დანაზოგებისა და ინვესტიციების ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებები საქართველოში 49

ელისო ბერიძე. ინკლუზიურობა – ეკონომიკური ზრდისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი 62

ალექსანდრე ვასილევი. თბილისის უძრავი ქონების ბაზრის შედარებითი ანალიზი 82

მარკეტინგი ✧ მენეჯმენტი ✧ ტურიზმი

გიორგი ღაღანიძე. აშშ – საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები: დინამიკა და პერსპექტივები 99

ნუგზარ თოდუა, თეონა გოგიტიძე. საქართველოს ბაზარზე გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ მომხმარებელთა აღქმის კვლევა 107

მირონ ტუღუში. თბილისში უკანონო გარე ვაჭრობის რეგულირებისთვის 125

თენგიზ ვერულავა, რევაზ ჯორბენაძე. სიახლე საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში: საავადმყოფოების გლობალური ბიუჯეტით დაფინანსება 137

ვალერი მოსიაშვილი, ლია ოტიაშვილი. საგანმანათლებლო ორგანიზაციების არაკომერციული ფინანსების მართვის ზოგიერთი საკითხი 143

გია ბერიძე. საგადასახადო რეფორმის ესტონური მოდელი და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე 152

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია:

„გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბილისი, 11–12 ნოემბერი, 2016 (ინგლ. ენაზე) 162

მიზნობრივი სამეცნიერო გამოკვლევები

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2016 წელს შესრულებული მიზნობრივი სამეცნიერო კვლევების შედეგები 177

ხსოვნა ნათელი

ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, ღირსეული პიროვნება
- პროფესორი გიორგი მშვილდაძე - 90 210

სახელოვანი პედაგოგი, მეცნიერი, ნათელი პიროვნება -
პროფესორი მზია ქირთბაია 213

ახალი სტანდარტები

ჟურნალ ,,ეკონომიკა და ბიზნესში“ გამოსაქვეყნებელი სტატიებისადმი
წაყენებული მოთხოვნები 216

ჟურნალ ,,ეკონომიკა და ბიზნესის“ 2016 წლის ნომრების (ტ. IX,№1–4),
შინაარსი 220

CONTENTS

Christmas Epistle of the Catholicos-Patriarch of all Georgia Ilia II 9

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

Revaz Gvelesiani. Existing Contradictions Among the Basic Social Values and Problems for Their Solution 14

Eka Lekashvili. Current Issues of Social Entrepreneurship Development in Visegrad Countries 25

Dimitri Javakhadze. Analysis of the Factors Affecting the Exchange Rate of Lari 39

MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

Avtandil Chutlashvili. The Ratio and Imbalances of Savings and Investment in Georgia 49

Eliso Beridze. Inclusiveness: The Most Important Factor in Economic Growth and Development 62

Alexander Vasilyev. Comparative Analysis of the Real Estate Market in Tbilisi 82

MARKETING ✧ MANAGEMENT ✧ TOURISM

Giorgi Gaganidze. Trade Relations between Georgia and the USA: Dynamics and Prospects 99

Nugzar Todua, Teona Gogitidze. The Study of Consumers Perception of Genetically Modified Products on the Georgian Market 107

Miron Tugushi. For the Regulation of Illegal Street Trading in Tbilisi 125

Tengiz Verulava, Revaz Jorbenadze. Hospital Global Budgeting and Health Care Reforms in Georgia 137

Valeri Mosiashvili, Lia Otiashvili. Some Questions of the Management of Non-Profit Finances of Educational Organizations 143

Gia Beridze. The Estonian Model of Tax Reform and Its Impact on Economic Growth..... 152

INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE:

"Challenges of Globalization in Economics and Business," November 11-12., Tbilisi (in English) 162

TARGETED SCIENTIFIC RESEARCHES

The results of targeted scientific research completed in 2016 at the Faculty of Economics and Business, Ivane Javakhishvili Tbilisi State University 177

THE BRIGHT MEMORY

of the Honoured Scientist and Teacher, Decent Person Professor Giorgi Mshvildadze – 90 210

Well-Known Teacher, Scientist and Bright Person - Professor Mzia Kirtbaia 213

NEW STANDARDS

Requirements for the articles published in our journal..... 216

CONTENTS

of the Journal "Economics and Business." Volume IX, № 1-4, 2016..... 220

С О Д Е Р Ж А Н И Е

Р**ождественское Эпистоле католикоса-патриарха всей Грузии Ильи II** 9

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

Реваз Гвелесиани. Противоречия между основными общественными ценностями и проблема их преодоления 14

Эка Лекашвили. Актуальные вопросы развития социального предпринимательства в Вишеградских странах 25

Дмитрий Джавахадзе. Анализ факторов воздействующих на курс лари 39

МИКРОЭКОНОМИКА ✧ МАКРОЭКОНОМИКА ✧ ЭКОНОМЕТРИКА

Автандил Чутлашвили. Особенности взаимозависимости сбережений и инвестиций в Грузии 49

Элисо Беридзе. Инклюзивность – важнейший фактор экономического роста и развития 62

Александр Васильев. Анализ недвижимого имущества г. Тбилиси 82

МАРКЕТИНГ ✧ МЕНЕДЖМЕНТ ✧ ТУРИЗМ

Георгий Гаганидзе. Торговые отношения между США-Грузией: динамика и перспективы 99

Нугзар Тодуа, Теона Гогитидзе. Изучение потребительского восприятия генмодифицированных продуктов на рынке Грузии..... 107

Мирон Тугуши. К регулированию незаконной уличной торговли в г. Тбилиси 125

Тенгиз Верулава, Реваз Джорбенадзе. Новшество в системе здравоохранения Грузии: финансирование больниц глобальним бюджетом. 137

Валерий Мосиашвили, Лиа Отиашвили. Некоторые вопросы управления некомерческих финансов образовательных организаций 143

Гия Беридзе. Эстонская модель налоговой реформы и ее влияние на экономический рост 152

МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНАЯ КОНФЕРЕНЦИЯ:

,,Вызовы глобализации в экономике и бизнесе”. 11-12 ноября, 2016г., г. Тбилиси (на англ. языке) 162

ЦЕЛЕВЫЕ НАУЧНЫЕ ИССЛЕДОВАНИЯ

Результаты целевых научных исследований выполненных в 2016 году на факультете экономики и бизнеса в ГТУ им. И. Джавахишвили 177

СВЕТЛАЯ ПАМЯТЬ

Деятельный ученый и педагог достойная личность – профессор Георгий Мшвилдадзе – 90 210

Известный педагог, ученый, светлая личность - профессор Мзиа Киртбая 213

НОВЫЕ СТАНДАРТЫ

Требования к статьям публикуемым в нашем журнале..... 216

СОДЕРЖАНИЕ

Журнала ,,Экономика и Бизнес” за 2016г., т. IX, №1-4 220

ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1, გვ. 9-13
ECONOMICS AND BUSINESS, 2017, 1, pp. 9-13

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის, საშობაო ეპისტოლე

„იშვა ყრმა, მოგვეცა ძე... და სახელი მისი, - ...
ღმერთი ძლიერი, ხელმწიფე, მთავარი მშვიდობისა,
მამა მერმეთა მათ საუკუნეთა“ (ეს. 9,5).

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, საერო დასნო, საყვარელნო დანო და ძმანო, მკვიდრნო საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!

დღეს ბეთლემი „ცათა მობაძავ იქმნა, ვარსკვლავთა წილ ანგელოზნი ჰქონან მაქებელად და სამყაროს ეფინება საოცარი საგალობელი: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

ყოველნო ერნო, „აღიპყრენნით ხელნი თქვენნი და ღაღადებდით ღმრთისა მიმართ ხმითა სიხარულისათა, რამეთუ

ქრისტე იშვა და ევა მწუხარებისაგან იხსნა;

ქრისტე იშვა და ქუეყანა აღეშენა;

ქრისტე იშვა და ერი განმხიარულდა“ (შობის საგალობელი).

ღვთის განკაცების ამ დიად დღეს გავიხსენოთ კაცობრიობის თავდაპირველი ისტორიაც.

ჩვენს წინაპრებს, ადამს და ევას, ედემში ღმერთთან უშუალო კავშირი ჰქონდათ და უფლისმიერი მადლით კიდევ უფრო წარემატებოდნენ. შემოქმედისაგან ისინი განმსჭვალულნი იყვნენ საოცარი სიყვარულით და ამ სიყვარულს თვითონაც გასცემდნენ, რაც თანხობასა და ნეტარებაში მათ მკვიდრობას განაპირობებდა.

აკრძალული ნაყოფის მიღებამ არსებული სრულყოფილი ჰარმონიის რღვევა გამოიწვია რადგან, ეს არ იყო უბრალო ქმედება; იგი იყო გამოვლინება იმისა, რომ რეალურად ადამმა და ევამ უარი თქვეს საღვთო წესრიგზე, ბოროტი ძალისაგან შთაგონებულ ამპარტავნებას, პატივმოყვარეობასა და შურს დაემონნენ და კეთილისაგან უკეთურისაკენ მიიდრიკნენ. ასე შემოვიდა ცოდვა და ცოდვას-

თან ერთად სიკვდილი. ასე დაეცა ადამიანური ბუნება. ადამთან ერთად დაეცა მისი განმგებლობისა და პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი მთელი ხილული სამყარო. სულიწმინდის მადლი პირველმშობლებს განეშორა, რადგან აღარ ჰქონდათ მისი დატევნის უნარი; შედეგად კი დადგა ხორციელი და, რაც მთავარია, სულიერი სიკვდილი.

მადლისაგან განძარცვულ პირველმშობელთა ბუნება ხრწნას დაექვემდებარა, ამასთან, მათ დაეკარგათ ჭეშმარიტი თავისუფლების განცდა და დაუმახინჯდათ როგორც გარემოს, ისე ღმერთის აღქმა. გაუკუღმართებული აზროვნების გამო კი მათში გაბატონდა ხორციელი ცნობიერება.

სიკეთის მოკლებით გაჩენილ ცოდვათა ერთობლიობა არის ადამიანის ბუნების დაცემული მდგომარეობა, რომელსაც შედეგად მოჰყვა სიკვდილი. ყოველივე ეს კი ათასწლეულების მანძილზე იმემკვიდრა კაცთა მოდგმამ.

მხოლოდშობილი ძე ღვთისა ოცი საუკუნის წინ მოევლინა სამყაროს.

უჟამო იგი ჟამიერ იქმნა, დაუსაბამო დასაბამიერი გახდა, უხილავი ღმერთი ბაგაში მწოლ ჩვილ ყრმად წარუდგა სოფელს, რათა მარადიული სიკვდილისათვის განწირული ადამის მოდგმა თავისი თავის მსხვერპლად გაღებით გამოეხსნა და ცოდვათა აღხოცვით ჩვენთვის დაკარგული მადლისმიერი ძეობა დაებრუნებინა.

„ეჰა, დიდებული და საკვირველი საიდუმლო,

ეჰა, შესაძრწუნებელი სალხინებელი!“ (შობის საგალობელი).

იესო ქრისტემ დაცემული კაცობრივი ბუნება თავის ღვთაებრივ პიროვნებაში შეურევნელად შეიერთა, განაახლა, სამების წიაღში ზეცად აიყვანა და საღრმთო დიდებით განაბრწყინა.

თუ პირველ მშობელთაგან მემკვიდრეობით მივიღეთ ხრწნილება და სიკვდილი, ახალ ადამში, ქრისტეში, ყოველმა ადამიანმა ცოდვისგან სრული გათავისუფლების მადლი მიიღო.

ამისთვის კი, პირველ რიგში, აუცილებელია, ყოვლადწმინდა სამებისადმი ჭეშმარიტი რწმენით ნათლობა, აღმსარებლობა იმისა, რომ იესო ქრისტე არის ბუნებითი ღმერთი, ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასი, მხსნელი და მაცხოვარი სულთა ჩვენთა.

ნათლობა არის მეორე ადამის, ქრისტეს, წიაღში ჩვენი სულიერი შობა, რომლის დროსაც გვენიჭება სულიწმინდის ბეჭედი, ის ცხოველმყოფელი მადლი, რაც დავკარგეთ სამოთხეში და, ამასთან, გვენიჭება უნარი მარადიული ნეტარი ცხოვრების მოპოვებისა.

ახალი ადამის შობით კაცობრიობა ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ ორ ნაწილად გაიყო და დაიწყო სრულიად ახალი ერა.

თუ პირველმა ადამმა და მისმა მოდგმამ ჩადენილი ცოდვის გამო, დიდი სინანულის მიუხედავად, ვერ შეძლო დანაშაულის გამოსყიდვა, ახალი ადამის

განხორციელების შედეგად, მრავალჯერადი შეცოდების შემთხვევაშიც, ქრისტიანს, ვიდრე ხორციელ აღსასრულამდე, ჭეშმარიტი სინანულით, აღსარებითა და ზიარებით ყოველთვის შეუძლია ნათლობით მიღებულ მადლთან და სულიერ მდგომარეობასთან დაბრუნება.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ნათლობა არის მხოლოდ დასაწყისი ჩვენი განღმრთობისა. შემდგომი წინსვლა კი ჩვენი პირადი ღვაწლითა და ეკლესიური ცხოვრებით უნდა განხორციელდეს.

ქრისტეს შობა კაცობრიობისთვის უდიდესი დღესასწაულია, რასაც სრულად ვეზიარებით, როდესაც ნათლისღების გზით ახლად ვიშვებით ქრისტეში. ამიტომაც არის, რომ შობის დღესასწაულს უშუალოდ მოჰყვება ნათლისღების დღესასწაული, რომელიც განუყოფლად არის მასთან დაკავშირებული.

ნათლობით მიღებული მადლი არის უდიდესი საბოძვარი, რომელსაც სრულად ვერც ვაცნობიერებთ. ეს განსაკუთრებით ითქმის ძველი ადამიდან ახალი ადამის წიაღში მოქცეულებზე, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ რწმენის გზაზე და მათზეც, რომელნიც დიდი ხნის წინ მოინათლნენ, მაგრამ ცოდვის მრავალგვარობას ხშირად ვერ აცნობიერებენ, რამეთუ მხოლოდ პირადი შეხედულებებითა და ამქვეყნიური კანონებით განსჯიან.

აუცილებელი კი არის წმიდა წერილში გაცხადებული მცნებებისა და სწავლებების გათავისება, რათა სულიერი თვალი აგვეხილოს და ავის და კარგის, ცოდვის და მადლის გარჩევა ვისწავლოთ.

საღვთო ზნეობა იმდენად მაღალია, რომ მას თვით ყველაზე დახვეწილი და რაციონალური სახელმწიფო კანონებიც კი ვერ შეედრება.

სახელმწიფო კანონით დანაშაულად არ მიიჩნევა, მაგალითად, პატივმოყვარება, დიდებისმოყვარება, განკითხვა, მრისხანება, შური, ამპარტავნება, ეგოიზმი, შიში, მტრობა, სიძულვილი ... ვიდრე მათი გამოვლინებები სერიოზულად არ დააზარალებს სხვას.

უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ კი განგვიცხადა, რომ ცოდვად ითვლება არამარტო არასწორი საქციელი, არამედ მოყვასის მიმართ სიყვარულისა და კეთილგანწყობის არქონა, უკეთური ფიქრიც და ბოროტი გულისთქმაც და მოგვიწოდა, რომ ნებისმიერი ცოდვა დასაწყისშივე, ანუ გონებასა და გულში გაჩენისთანავე, აღმოვფხვრათ, რათა იგი ქმედებად არ იქცეს და მისგან თავის დაღწევა არ გაგვიძნელდეს.

როგორც საღვთო, ისე სახელმწიფო კანონები რა თქმა უნდა, ზრუნავს ადამიანზე, მაგრამ მათში განსხვავებულობას წარმოშობს პიროვნების აღქმა და მასთან დაკავშირებული ხედვის პერსპექტივები.

ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ ქვეყნებზე, სადაც ზოგიერთი სახელმწიფო კანონი ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს და მცდელობები აქვთ, ცოდვა ოფიციალურად ნებადართული გახადონ. პარალელურად ხდება ისიც, რომ ტე-

ლევიზია, მასმედია, სოციალური ქსელები ამა თუ იმ უწესობას ხშირად მიმზიდველად და საინტერესოდ გვისახავენ და ხელს უწყობენ მათ პროპაგანდას.

სამოთხეში დაწყებული ისტორია ცოდვის კეთილად წარმოჩენისა და შეთავაზებისა, გრძელდება; აკრძალული ნაყოფი ადამიანს კვლავაც მიმზიდველად ეჩვენება, ისევე, როგორც სამოთხეში: „იყო საჭმელად ის ხე თვალწარმტაცი და საამური სანახავად“ (დაბ. 3,6).

რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, რომ მაშინ, როდესაც ამდენი ხანია ქრისტე ჩვენს განსაკურნებლად მოვიდა, დღესაც მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ურწმუნოების ცოდვაშია; ეს გასაკვირი არც არის, რადგან ჭეშმარიტ სარწმუნოებას ყოველ დროში მხოლოდ ჭეშმარიტი ღვთის ნების აღმსრულებელი ადამიანები ინარჩუნებდნენ.

ეს რჩეული სამწყსო არის პიროვნულ მაღალ ღირებულებათა მაღიარებელი კრებული, იმ პირთა ერთობა, რომელთათვისაც ღმერთი მარტო ძალა კი არ არის, რომელიც ძველ აღთქმაში ზოგჯერ ცეცხლის, გრიგალის, ღრუბლის, მგრგვინავი ხმის სახით... ეცხადებოდა, არამედ ბეთლემს შობილი ემანუელი (რაც ნიშნავს: „ჩვენთან არს ღმერთი”), მეორე პირი ყოვლადწმინდა სამებისა, რომელმაც წინ სწორედ პიროვნული ღირსებები წამოსწია, დაგვანახა რა, რომ ნებისმიერი ჩვენგანი უნიკალურია, განუმეორებელია, ხატია უფლისა და სული წმინდის მადლით ღვთის მადლისმიერი ძეობის აღდგენა ძალუძს.

პიროვნება ასეთ სიმაღლეზე არასოდეს არავის აუყვანია!

მაცხოვარმა ჩვენმა ყველა ადამიანური ტკივილი, თვით ჯვარცმით სიკვდილიც, კაცობრივი ბუნებით ჭეშმარიტად განიცადა, რათა, მწუხარებაში მყოფ ნებისმიერ ჩვენგანს, ჰყავდეს მისი სალმობის თანამოზიარე უფალი, რომელიც ღვთაებრივი სიყვარულითა და სიხარულით აღავსებს ყველას.

დღეს ამ უჩვეულო სიხარულის დღეა; დღეს განსაკუთრებით ხარობენ ბავშვები, რადგან უფალი მათ მსგავსად ჩვილად მოევლინა სამყაროს; დღეს ხარობენ დედები, რადგან დედამ, - ახალმა ევამ, ახალი ადამი, - ღმერთი შვა.

მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი განსაცდელისა და ათასგვარი ჭირ-ვარამისა, უფლის შეწევნითა და ღვთისმშობლის მეოხებით საქართველო კვლავაც ქრისტეს გზას ერთგულად მისდევს და შობის მახარობელია.

ერთსულოვნებით განვძლიერდეთ ქართველნო, ოსნო, აფხაზნო, ბერძენნო, რუსნო, უკრაინელნო, ებრაელნო, ასირიელნო, უდინნო, სომეხნო, აზერბაიჯანელნო, ქურთნო, ქისტნო, ლეკნო, ჩერქეზნო და ღვთივკურთხეული ჩვენი მიწის ყოველნო მკვიდრნო, უფალი ჩვენთან არის!

რა თქმა უნდა, მე ვიცი, როგორ უჭირს ჩვენს ხალხს, რამდენი განსაცდელითა და ტკივილითაა სავსე ეს წუთისოფელი, მაგრამ მწამს ისიც, რომ მიუხედავად მრავალი სიმძიმისა და დაბრკოლებისა, ჩვენი ერი ღირსეულად გაივლის გოლგოთის გზას და უფალთან ერთად აღდგება და გაიხარებს.

მამანო და დედანო, დანო და ძმანო, უხუცესნო და ყრმანო, უძლურნო და სნეულნო, საპყრობილესა და საავადმყოფოში მყოფნო, – ქრისტე იშვა!

მწყემსნი და მოგვნი ღამის წყვდიადში ვარსკვლავის შუქზე მიიჩქარიან ბეთლემის გამოქვაბულისაკენ. დაე, ჩვენც, ანთებული სანთლებით, მათთან ერთად რწმენით მივეახლოთ ახლადშობილ ყრმას და ოქროს, გუნდრუკისა და მურის ნაცვლად მივართვათ მონანული, მოსიყვარულე და მადლიერებით სავსე გული, რათა ჩვენშიც იშვას ყრმა ახალი, პირველსაუკუნეთა ღმერთი!

ღმერთი წყალობისა და მოწყალებისა, ღმერთი სიყვარულისა და მშვიდობისა იყოს თქვენთან, ამინ!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი
ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
შობა ქრისტესი,
თბილისი,
2016/2017 წ.

ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1, გვ. 14-23
ECONOMICS AND BUSINESS, 2017, 1, pp. 14-23

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა
ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

ძირითად საზოგადოებრივ ფასეულობათა შორის არსებული წინააღმდეგობები და მათი დაძლევის პრობლემა

რევაზ გველესიანი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის პროფესორი,
ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი,
ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული
ინსტიტუტის დირექტორი

თანამედროვე ეპოქაში სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით არსებობს დისკრიმინაციის შემთხვევები. ამასთან, აუცილებელია იმის დადგენა - მათ თვითრეგულირებადი ბაზარი წარმოშობს, თუ ისინი სახელმწიფოს ინტერვენციის წარსულში არსებული იმ პრაქტიკის შედეგია, რომელსაც სულაც არ ჰქონდა მიზნად დასახული სოციალური სამართლიანობა.

სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის დამოკიდებულება იცვლება, როცა სახელმწიფო აფართოებს თავისი მოქმედების სფეროს და უფლებრივი გათანასწორების საფუძველზე შესაძლებლობებისა და შედეგების გამოთანაბრების მიზანს ისახავს. მოქმედების სფეროს ასეთ გაფართოებამდე სახელმწიფო არსებითად იძულების იარაღი იყო, რომელიც თვითჩამოყალიბებული საზოგადოების მიმართ გარანტის ფუნქციას ასრულებდა. ეს ვითარება არ გამორიცხავს იმას, რომ იგი საზოგადოების წევრებს მინიმალურად სოციალურადაც იცავდა. თანაბარი პირობების შექმნა, სოციალური სახელმწიფოებრიობის პრინციპი და ის მექანიზმია, რითაც სახელმწიფო ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკურ წესრიგს აკონტროლებს.

საკვანძო სიტყვები: *საზოგადოებრივი უთანასწორობა; საზოგადოებრივი ფასეულობები; ეკონომიკური თავისუფლება; სოციალური სამართლიანობა; სოციალური უსაფრთხოება; ეკონომიკური პროგრესი; ინტერესთა ჯგუფები; ინტერესთა კონფლიქტები.*

ძირითადი საზოგადოებრივი ფასეულობების წინააღმდეგობრივი ურთიერთდამოკიდებულება

სოციალურ სამართლიანობას განსაზღვრული შინაარსი გააჩნია, იდეალს გამოხატავს და თანამედროვე საზოგადოებრივი წესრიგის ნაკლზე მიუთითებს, გადაუდებელ გამოსწორებას რომ საჭიროებს [1, გვ. 217]. აქედან გამომდინარე, სასურველია იმ ჯგუფური პრივილეგიების ძიება სახელმწიფოს მხრიდან კონკურენციის შეზღუდვებს რომ ემყარება. სწორედ ამის გამოა, რომ ასეთმა მოთხოვნამ მყარად დაიმკვიდრა ადგილი ინტერესთა ჯგუფების ფუნქციონირებაში.

სოციალური სახელმწიფოებრიობის პრინციპიდან გამომდინარე სოციალურ სახელმწიფოდ ისეთი ითვლება, რომელიც „თავის თავზე იღებს სოციალური მოქმედების ვალდებულებას“ [2, გვ.510]. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო მონაწილეობს საზოგადოების ფორმირებაში, რითაც რამდენადმე სუსტდება საბაზრო-ეკონომიკური წესრიგი და მასთან დაკავშირებული კერძოსამართლებრივი წესების ფუნქციონირებისუნარიანობა. თავდაცვისა და ერთმანეთზე ზრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე საზოგადოებრივი ჯგუფების სასარგებლოდ ხდება ფორმალური სამართლის მატერიალიზება, იგი მოქმედების უფლების საფუძველზე „სოციალურად“ იზღუდება (რეგულირება) და ზოგადად ცვლილებები შედის ხელშეკრულების თავისუფლებაში (საიჯარო, შრომის და რეწვის უფლება). მეორე მხრივ, სახელმწიფო აკმაყოფილებს (სოციალური სამართლის საფუძველზე) საჯარო სამართლის მიერ ხელსაყრელ პირობებში ჩაყენებული ჯგუფების პრეტენზიებს სახელმწიფო მომსახურების თაობაზე და მის ხარჯებს სხვა წყაროებიდან - მაგ., გადასახადებიდან ფარავს, თუ ადგილი აქვს დისკრიმინაციას.

სოციალურ სახელმწიფოში წესრიგთან დაკავშირებული პრობლემები შეიძლება შემდეგი სახით შევაჯამოთ: ან საბაზრო-ეკონომიკური წესრიგი და მისთვის დამახასიათებელი კერძო ავტონომია იარსებებს დიდხანს, ანდა შესაძლოა სოციალური სახელმწიფოში აღმოჩნდეს ისეთი წესრიგი, რომელიც უნებლიედ, მაგრამ სისტემურად უწყობს ხელს „დაკაბალებისაკენ სვლას“ [3].

აშკარაა, რომ როცა საქმე ეხება თავისუფლებისა და სამართლიანობის, როგორც საზოგადოების ძირითადი ღირებულებების, სოციალური სამართლიანობის კრიტერიუმად გამოყენებას, კანონი არ არის საკმარისი ინსტრუმენტი მათ შორის წარმოშობილი კონფლიქტის მოსაგვარებლად. ხშირად ცდილობენ ამ კონფლიქტის მნიშვნელობა იმით დააკნინონ, რომ პროცედურულ თუ ფორმალურ სამართლიანობასა და მის საფუძველზე უზრუნველყოფილ მოქმედების თავისუფლებას შორის განსხვავება, თითქოსდა, ქრებოდეს თავისუფლების მატერიალური შეფასების შესაძლებლობებში. აქედან გამომდინარე, ფორმალური სამართლიანობა (და თავისუფლება) იურიდიული, ანდა ფორმალური თვალ-

საზრისით შეიძლება უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდეს, ვიდრე რეალური მოვლენები და სოციალური სამართლიანობა. ასეთი არგუმენტაცია მეთოდური თვალსაზრისით ერთობ საეჭვო შედარებას ემყარება: ერთ მხარეზეა უფლებრივი გათანასწორება, მეორეზე კი - მის მიერ ნებადართული შესაძლო შედეგები, ანუ სოციალურ-ეკონომიკურ პოზიციებს შორის არსებული განსხვავებები. ვარაუდობენ, რომ ეს უკანასკნელი სხვა არაფერია, თუ არა უფლებრივი გათანასწორების სრული ან ნაწილობრივი შედეგი. მაგრამ, სოციალური სამართლიანობის კრიტერიუმად გამოყენებისას სუბიექტმა ერთი პროცედურული შედეგიც უნდა გაითვალსწინოს. ეს უკანასკნელი არ გულისხმობს ფორმალური თავისუფლების შეზღუდვას უფლებრივი უთანასწორობისა თუ დისკრიმინაციის გზით, არამედ საქმე ეხება მატერიალური თავისუფლების სახელმწიფოებრივად შეზღუდვას — გეგმაზომიერი რედისტრიბუციის საფუძველზე რომ ხორციელდება.

ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის თანახმად წარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაციის როლი უფრო იკვეთება თავისუფლების ასპექტით. მაგრამ საქმე ის არის, რომ ისედაც მწირი ეკონომიკური თავისუფლება წინააღმდეგობაში მოდის არამარტო წარმოების საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, არამედ დაგეგმილ მოთხოვნასთან, ასევე დაგეგმილ მიწოდებასთანაც. სახელმწიფო ძალაუფლების სახით კონცენტრირებული ძალადობა არსობრივ საფრთხეს უქმნის თავისუფლებას. ა. ჰამილტონმა ყოველივე ეს მოკლედ ასე გამოხატა: „ვის ხელშიც არის ცხოვრებისათვის აუცილებელი საშუალებები, ადამიანის ნებაზეც იგი ბატონობს“ [4, გვ.472]. ყოველ შემთხვევაში, საეჭვოა, რომ სახელმწიფო, რომელიც ყველაფერს ფლობს - სოციალურ სამართლიანობას ესწრაფვოდეს, მით უმეტეს, როცა თვითონ მიზანი, მისი შინაარსის გაურკვევლობიდან გამომდინარე, თვითნებური ინტერპრეტაციების უსასრულო მრავალფეროვნებას უშვებს.

მეორე უკიდურესი ლიბერალური თვალსაზრისის [5, თავი 9] მიხედვით, ეკონომიკური უთანასწორობა მხოლოდ და მხოლოდ იღბალისა და ხვედრის საქმეა. ამგვარი მატერიალური შედეგები მოსალოდნელი იყო იმ საზოგადოების პირობებში - კერძო სამართლისა და სახელმწიფო რეგულირებისგან თავისუფალი პრინციპებით რომ იმართება. ეკონომიკური მოვლენების ურთიერთქმედება, რაც სამართლებრივი სახელმწიფოსა და საბაზრო კოორდინაციის პრინციპს ემყარება, წარმოგვიდგება, როგორც თავისუფალი თამაში. ასე რომ, შეუძლებელია რომელიმე შედეგი ან სამართლიანად ან უსამართლოდ ჩაითვალოს. ასე შეიძლება მხლოდ მოთამაშეთა მოქმედებები შეფასდეს. კანონის ამოცანა სამართლიანი მოქმედების უზრუნველყოფა იქნებოდა, მაგრამ მაშინ შედეგები კანონიერი აღმოჩნდებოდა და არა - სამართლიანი. მათი ლეგიტიმურობის საფუძველი კი ფორმალური სამართლიანობაა, რომელსაც თამაშის წესებისა და მათი უზრუნველყოფის ამოცანა დაეკისრებოდა. საგანგებო სიტუაციებში შეიძლება

შექმნილიყო არასაბაზრო დაცვის მექანიზმი მინიმალური შემოსავლით უზრუნველყოფის სახით. ასეთი რამ განიხილება, როგორც საერთო ინტერესი ან როგორც მორალური ვალი [5, გვ.87].

დასავლური კეთილდღეობის სახელმწიფო მიზნად ისახავს თავისუფლებასა და სამართლიანობას შორის კომპრომისს, მაგრამ ერთი მხრივ, პოლიტიკური ნების ქმნადობის დემოკრატიული მეთოდები არ იძლევია ამგვარი კომპრომისის შესახებ მყარი ვარაუდის შესაძლებლობას. პირიქით, პოლიტიკურ კონკურენციაში სოციალურად დაფუძნებული პრივილეგიების ინსტრუმენტად გამოყენება საფრთხეს უქმნის, როგორც მატერიალურ, ასევე ფორმალურ სამართალს.

ამავე დროს ის, რომ ფორმალური სამართლის პირობები თავისუფალი საბაზრო წესრიგის ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული, პირველის ცვლილებას იწვევს, რაც საბოოლო ანგარიშით, ყველასთვის საზიანოა; საქმე ის არის, რომ ასეთი ცვლილება ხორციელდება ალოკაციის პროცედურების შესუსტების ხარჯზე, რაც კერძო ავტონომიის გამოფიტვის შედეგია. სწორედ ამ ვითარებას ეხება მარკურ ოლსონის ჰიპოთეზა „ინსტიტუციური სკლეროზის" [6, გვ.103] შესახებ, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა იმ პრობლემური სიტუაციის გამოხატულება, რომელიც პლურალისტურ დემოკრატიაში პოლიტიკური პროცესის ასპექტით არსებობს. როგორც ჩანს, ეკონომიკურ თავისუფლებასა და სოციალურ სამართლიანობას შორის კომპრომისი მყიფეა. ამასთან, გამორიცხული არ არის, რომ საქმე დილემასთან გვქონდეს.

მეორე მხრივ, უნდა შემოწმდეს შეიძლება თუ არა ისე შეიცვალოს ინსტიტუციური პირობები, რომელშიც პოლიტიკური ნების ქმნადობის პროცესი მიმდინარეობს, რომ შესაძლებელი გახდეს გრძელვადიანი კომპრომისი. ამგვარი შემოწმების საგანი კი სხვა არაფერია თუ არა პოლიტიკური სისტემა. მთავარი ვარაუდი ის იქნებოდა, რომ შეუზღუდავი დემოკრატიის პირობებში შეუძლებელია თავისუფლების დამაკმაყოფილებლად უზრუნველყოფა [7, გვ.128]. სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს რეალიზაციის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს ვარაუდი თავისუფლებასა და სოციალურ სამართლიანობას შორის კომპრომისზეც ვრცელდება. თუ მხოლოდ იმის იმედად არ ვიქნებით, რომ თავისუფლების ,,განდევნა" მძლავრ პოლიტიკურ პროტესტს გამოიწვევს, მაშინ სასურველი იქნებოდა ისიც შეგვემოწმებინა, შესაძლებელია თუ არა კომპრომისის მიღწევა ინსტიტუციონალური რეფორმების გზით.

ეკონომიკურ უსაფრთხოებას ყველაზე დიდ საშიშროებას უქმნის როგორც ეკონომიკურ თავისუფლებასა და სოციალურ სამართლიანობას შორის არსებული, ასევე ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე კონფლიქტები. ამგვარ კონფლიქტთა მიზეზი ისაა, რომ:

- საზოგადოებრივი ურთიერთდამოკიდებულების პირობებში თვითრეალიზება, როგორც წესი, ზღუდავს სხვის თავისუფლებას;

- ინდივიდების შეფასებები, როგორც მოვლენათა შინაარსის, ასევე მათი იერარქიის მიხედვით, არღვევს ცალკეულ ნორმას;
- ისტორიული განვითარების პროცესში შეფასებები დამოუკიდებელ მიზნებად გვევლინება და მოქმედების სტიმულს იძლევა, რაც ყოველთვის შეიცავს კონფლიქტის შესაძლებლობას [8, გვ.256].

ძირითად საზოგადოებრივ ფასეულობებს შორის კომპრომისის მიღწევა – საზოგადოებრივი უთანასწორობის დაძლევის მთავარი მიმართულება

ზემოთ ჩამოთვლილი შეზღუდული კონფლიქტები ნაკლები დაპირისპირებით ხასიათდება და მათი მოგვარება უფრო ადვილია, ვიდრე უკიდურესად დაძაბული კონფლიქტებისა. კონფლიქტის მოგვარების მეთოდებია მოლაპარაკებები მხოლოდ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის და ამ პროცესში ერთი ან რამდენიმე შუამავლის/მომრიგებლის ჩართვა.

„მესამე“ მხარეს კონფლიქტის მოგვარების თვალსაზრისით, ზემოქმედების დიდი შესაძლებლობა უნდა მიეცეს [9, გვ.42]. რასაკვირველია, კონფლიქტის იძულებითი მოგვარების პროცედურა არაკონსტიტუციური ქმედებაა. კონფლიქტის მოგვარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია:

- მშვიდობიანი დარწმუნება, რაც გულისხმობს ინტერესთა კოლიზიაში ერთი ან მეორე პოზიციისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას;
- კომპრომისი იმ შემთხვევაში, როცა ურთიერთდაპირისპირებული მიზნები ადვილად მისაღწევ და ძნელად მისაღწევ მიზნებად იყოფა;
- კომპენსაციები იმ შემთხვევაში თუ საქმე გვაქვს განუყოფელ მიზნებთან, რასაც შედეგად მოჰყვება განსხვავებული მიზნების სწრაფი ანდა თანდათანობითი განხორციელება [10, გვ.32] .

ზოგჯერ საკმარისია კონფლიქტის დეპერსონალიზება, რომ მან სიმწვავე დაკარგოს და უსაფთხოებას საშიშროება აღარ შეუქმნას. ეკონომიკურ სფეროში ასეთი დეპერსონალიზება ხორციელდება სოციალური ტექნიკის, ანდა კონკურენციის მეშვეობით. ამით ვლინდება მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფუნქცია. მართალია, იგი ძალაუფლების კონტროლის მექანიზმია, მაგრამ როგორც კი ის ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მექანიზმად იქცევა, საფრთხეს უქმნის სხვის თავისუფლებას. ამასთან, კონკურენცია შედეგების კონტროლის პროცესსაც წარმოადგენს, რადგან როცა ვინმეს ძალისხმევა სათანადოდ არ ფასდება ან ნეგატიურად ფასდება და მცირდება მისი მატერიალური შესაძლებლობები, ამაში დამნაშავეა არა კონკურენტი, არამედ „ბაზრის დიქტატი.” რასაკვირველია, კონფლიქტების დეპერსონალიზება იმ შემთხვევაში ფუნქციონირებს, თუ კონკურენცია, როგორც წესრიგის პრინციპი, მისი შედეგებით საზოგადოდ

მისაღებია ცალკეული ინდივიდისათვის და როგორც კონკურენტები (კარტელი-საკენ სწრაფვა) და ასევე სახელმწიფო (მოქმედების შეზღუდვა) ცდილობენ გამოკვეთონ თავიანთი საზოგადოებრივი ფუნქციები [8, გვ.257].

საბაზრო კოორდინაციას შეუძლია პრობლემები ინდივიდუალურ უსაფრთხოებასაც შეუქმნას. ბაზრის მონაწილეთა ეკონომიკური უსაფრთხოების რისკებს წარმოშობს არამყარი განვითარება ცალკეულ ბაზრებზე, როგორც კონიუნქტურისა და ეკონომიკური განვითარების (ზრდა და სტრუქტურული ცვლილება) ფენომენი. ამ შემთხვევაში უსაფრთხოების რისკი ეფუძვნება კონიუნქტურული და სტრუქტურული დასაქმების რისკებს, აგრეთვე, შემოსავლებისა და ქონების რისკებს, რაც იწვევს ფასთა დონის ცვლილება და შემოსავლების მიღების შესაძლებლობათა შემცირება.

არსებობს რისკის კიდევ ერთი კატეგორია, რომელიც დაკავშირებულია შემოსავლების არქონასთან, რისი მიზეზიცაა ავადმყოფობა და სიბერით გამოწვეული შრომისუუნარობა. ამავე კატეგორიაში შედის ის რისკებიც, რომლებიც შემოსავლების განაწილების შესახებ საზოგადოებრივ დაპირისპირებებს, დასაქმებისა და მყიდველობითუნარიანობის დაკარგვის საფრთხეებს უკავშირდება. უსაფრთხოების ასეთი რისკების დასაძლევად, გარდა პირადი ძალისხმევისა, აუცილებელია სპეციფიკური განაწილებით - პოლიტიკური მოქმედებების განხორციელება.

იმ რისკებიდან გამომდინარე, რომლებიც საბაზრო კოორდინაციას ახასიათებს, უსაფრთხოების ცოტად თუ ბევრად მასშტაბური მოთხოვნები ჩნდება. როცა ტოტალურ უსაფრთხოებას ვესწრაფვით და ვცდილობთ, თავიდან ავიცილოთ ყველა ის რისკი, რომელიც ინდივიდუალურ შემოსავლებსა და მისი მიღების უნარებს უკავშირდება, განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ამ ვითარებასთან დაკავშირებული, მაგრამ სხვა მიზნებით განპირობებული კონფლიქტები. ტოტალური უსაფრთხოებისათვის საჭიროა მყარი სისტემა, რომელიც თაობათა შორის თანამშრომლობის შედეგად მიიღწევა. არც შუასაუკუნეობრივი ამქრული ეკონომიკა და არც ცენტრალიზებულ - ბიუროკრატიული სოციალიზმის ფორმები არ გამოდგება იმის დასტურად, რომ კონკურენციისაგან თავისუფალი ეკონომიკური სისტემა უპირატესობის მქონეა. თუმცა, როგორც ერთი, ასევე მეორე, როგორც მყარი სისტემები ყველაზე მეტად აკმაყოფილებენ ტოტალური უსაფრთხოების მოთხოვნებს. ამგვარი თვალსაჩინოების გარეშეც ცხადია, რომ უსაფრთხოება სხვა ინდივიდთა მიზნების რეალიზაციის ცოტად თუ ბევრად შეფერხებას გულისხმობს. ტოტალური უსაფრთხოება იმას ნიშნავს, რომ სოციალური სტატუსი ხელშეუხებელია და არც ერთ ინდივიდს არ აქვს უფლება სხვის მდგომარეობას საფრთხე შეუქმნას. დასაქმების ასპექტით ეს გულისხმობს უამრავი სამუშაო ადგილის არსებობას. თითოეულ ინდივიდს აქვს გარანტირებული ადგილი, რომელსაც ვერავინ შეუქმნის საფრთხეს ვერც კონკურენციის და ვერც

სამეწარმეო დისპოზიციებიდან გამომდინარე, ამასთან, შეუძლებელია ტოტალური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თავისუფლების ურთიერთშეთავსება [11, გვ.83].

რამდენად შესაძლებელია ეკონომიკურ თავისუფლებას, სოციალურ სამართლიანობასა და ეკონომიკურ უსაფრთხოებას შორის არსებული კონფლიქტების აღმოფხვრა ეკონომიკური პროგრესის მეშვეობით?

პროგრესი ორი თვალსაზრისით არის ყველასათვის მნიშვნელოვანი, იგი წარმოადგენს შემეცნებითი მიღწევებისა და სიახლეების შეფასებას და ამავე დროს გვიჩვენებს დროის მსვლელობაში რამდენად ახლოს ვიმყოფებით წინასწარ დასახულ მიზანთან.

მაინც რა დამოკიდებულება არსებობს პროგრესსა და მოქმედების თავისუფლებას შორის? შეუძლებელია ბუნების კანონების დარღვევა, რომლებიც შესაძლებელი მოვლენის ობიექტურ საზღვრებს წარმოადგენენ. მაგრამ მათი მეცნიერული აღმოჩენა აფართოებს ადამიანის მოქმედების თავისუფლების მანამდე არსებულ შესაძლებლობებს. ეკონომიკური თვალსაზრისით პროგრესი დაკავშირებულია ინოვაციის ფენომენთან. ბაზარი ღიაა ინოვაციისათვის (სამეწარმეო ინოვაციები), რადგან მათი მეშვეობით ბაზრის მდგომარეობა უმჯობესდება (ინოვაციური პროცესები). მოთხოვნის კუთხით როგორც ერთი, ისე მეორე უზრუნველყოფის შესაძლებლობათა გაუმჯობესებას ნიშნავს.

ეკონომიკურ პროგრესსა და სოციალურ სამართლიანობას შორის არსებული კონფლიქტების წარმოშობის სათავე შესაძლებელია იყოს კონკურენციის არასწორი გაგება. სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით მეცნიერული პროგრესის მიღწევების საფუძველზე მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებული პოზიციები კორექტივას საჭიროებს. მაგრამ მეორე მხრივ, ასეთი კორექტივი შეასუსტებდა ან გააუქმებდა ყოველგვარი ინოვაციის სტიმულს. ამ შემთხვევაში საზოგადოება იმაზე ღარიბი იქნებოდა, ვიდრე უნდა ყოფილიყო. მეცნიერული პროგრესის შედეგების ამგვარ „სოციალიზებას" მხედველობიდან რჩება ის, რომ მისი მიღწევის პროცესს სწორედ კონკურენცია აღძრავს და აძლიერებს.

პროგრესის შედეგად გამოწვეული ცვლილებები რეორიენტაციისა და ახალ სიტუაციებთან შესაბამისობის მოთხოვნაა. ამგვარი შესაბამისობის დაყოვნება კი კონფლიქტებს წარმოშობს. ეკონომიკაში არსებობს კოლიზიის შესაძლებლობა:

- უსაფრთხოების მიზანთან მიმართებით და
- სოციალური სამართლიანობის მიზანთან დამოკიდებულებით, რადგან შესაბამისობის ტვირთი არათანაბრადაა გადანაწილებული და სრულიად არ არის გათვალისწინებული პროგრესის სასარგებლო შედეგების განაწილება [8, გვ.262].

ამ ასპექტით პროგრესი დაკავშირებულია მისი შეფასების პრობლემებთან. რაკი შესაბამისობა გარკვეულ სიძნელეებს გულისხმობს, აუცილებელია რაციონალური ზომების მიღება და დახმარების უზრუნველყოფა. ასეთი ღონისძიებები

კი წინააღმდეგობებს ხვდება, რაც უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ საამისოდ აუცილებელი პოლიტიკური ნების ქმნადობის პროცესები თვითმყოფადობით ხასიათდება. დახმარების უზრუნველყოფას ის საფრთხეც ახლავს, რომ ინდივიდს შეიძლება იგი მუდმივ მოთხოვნილებად ექცეს და არაფერი იღონოს თვითდახმარების უზრუნველსაყოფად.

სოციალური პოლიტიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის სხვა სფეროებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. განსაკუთრებით ეს ეკონომიკური ზრდის პოლიტიკას, კონიუნქტურულ პოლიტიკასა და სოციალურ პოლიტიკას შორის დამოკიდებულებას ეხება. სახელმწიფოს ჩარევა ზრდისა და კონიუნქტურის პოლიტიკის ფარგლებში პირდაპირ თუ არაპირდაპირ საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებს უწყობს ხელს ან პირიქით. გარდა ამისა, ეკონომიკის მწარმოებლურობა და წარმატებული ფუნქციონირებისუნარიანობა სოციალური დაცვის სისტემის ფორმირების ფუძემდებლურ წანამძღვარს წარმოადგენს. მაშასადამე, სოციალური პოლიტიკის საზღვრებზე გადამწყვეტად ეკონომიკური ზრდა ზემოქმედებს, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკური განვითარება სოციალური პოლიტიკის საზღვრებს აწესებს. ამ პროცესმა გვიჩვენა, რომ ეკონომიკური ზრდის შემცირებას და მაღალ უმუშევრობას ცალკეული სისტემის დაფინანსების პრობლემებამდე (მაგალითად, ჯანდაცვა, საპენსიო დაზღვევა) მივყავართ, რის შედეგადაც სოციალური დაცვის ქსელი იკვეცება. თუმცა, ხშირად გვავიწყდება, რომ მეორე მხრივ, ზრდის ძლიერი იმპულსები შეიძლება სოციალური და განაწილების პოლიტიკიდან მოდიოდეს. სოციალურ დაცვას ავადმყოფობის დროს, ადამიანკაპიტალის „რეგენერაციის“ ჩათვლით, უმუშევრობის დროს ან ხანდაზმულობის ასაკში შეუძლია მოტივირებულად იმოქმედოს. სახელმწიფო გადანაწილების პოლიტიკას სოციალური პოლიტიკის ფარგლებში საბოლოოდ რესურსების შეცვლილ ალოკაციამდე მივყავართ.

დემოკრატიის სამომავლო შესაძლებლობები საზოგადოებისათვის საყოველთაოდ მისაღები შემოსავლების განაწილებას ეფუძნება. თუ შრომის ბაზრიდან საზოგადოებრივი ჯგუფები ხანგრძლივი პერიოდით იქნებიან განდევნილი და ჩამოყალიბდება საზოგადოება, რომელიც დაყოფილია სამუშაოს მქონეთა და უმუშევართა „კლასებად“, მაშინ მის სტაბილურობას და უსაფრთხოებას სოციალური კონფლიქტები საფრთხეს შეუქმნის. ამით კავშირი პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებს შორის ნათელი ხდება. წარმატებული შრომის ბაზრის პოლიტიკა ამავე დროს არის სოციალური პოლიტიკა [12, გვ.301].

ი. შუმპეტერის თვალსაზრისით, „დემოკრატიული პოლიტიკის გასაგებად ამოსავალ წერტილად უნდა მივიჩნიოთ ძალაუფლებისა და თანამდებობისათვის გაჩაღებული კონკურენცია. ამ შემთხვევაში ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ სოციალური ფუნქცია თანმხლები მოვლენაა, ისევე როგორც წარმოება, რომელიც სხვა არაფერია თუ არა მოგების მიღების თანმხლები მოვლენა“ [13, გვ.448].

დემოკრატია, როგორც თავისუფლებას, სამართლიანობასა და უსაფრთხოებას შორის კონფლიქტების მოგვარების მეთოდი, მეტად მნიშვნელოვანია. იგი საშუალებას იძლევა, ინტერესთა შორის კოლიზიები მოწესრიგდეს არა ძალადობის გამოყენებით, არამედ უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე, თუმცა, ეს ყოველთვის როდი აკმაყოფილებს ყველა მონაწილეს. დემოკრატიული გადაწყვეტილება, როგორც კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ინსტრუმენტი, მხოლოდ მაშინაა სრულიად ზედმეტი, როცა რეალურად არსებული, კონფლიქტებით დატვირთული და მათი მოგვარების მსურველი საზოგადოება ადამიანთა უტოპიურ წარმოდგენებში, შეცვლილია თავისუფალი და უკონფლიქტო საზოგადოების მოდელით.

ლიტერატურა:

1. HAYEK, F.A. (2003), Rechtsordnung und Handelnsordnung, in: STREIT, M. E. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. A4, Rechtsordnung und Handelnsordnung, Tuebingen. S.217.
2. BENDA, E. (1984), Der soziale Rechtsstaat; in ders. u.a. (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Studienausgabe, Teil 1, Berlin, New York, S.477-553, 2. neubearb. Aufl. 1994. S.510.
3. HAYEK, F.A. (2004), Der Weg zur Knechtschaft, in: STREIT, M. E. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B1, Tuebingen.
4. HAMILTON, A., J. MADISON und J. JAY (1787-1788), The Federalist Papers, hrsg. v. C. ROSSITER, New York 1961. S.472.
5. HAYEK, F.A. (1976), Law, Legislation and Liberty, Volume II - The Mirage of Social Justice, Chicago, London. Wiederabdruck in: VANBERG, V. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B4, Recht, Gesetzgebung und Freiheit, Tuebingen 2003. S.87.
6. OLSON, M. (1965), The Logic of Collective Action - Public Goods and the Theory of Groups, 20. Aufl., Cambridge, Mass., 2002. S.103.
7. HAYEK, F.A. (1979), Law, Legislation and Liberty, Volume III - The Political Order of a Free People, Chicago, London, Wiederabdruck in: VANBERG, V. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B4, Recht, Gesetzgebung und Freiheit, Tuebingen 2003. S.128.
8. STREIT, M. E. (2005), Theorie der Wirtschaftspolitik, 6. Auflage, Stuttgart. S.256; 257; 262.
9. DAHRENDORF, R. (1958), Pfade aus Utopia - Zu einer Neuorientierung der soiologischen Analyse; wiederabgedruckt in ders. (Hrsg.): Gesellschaft und Freiheit - Auf dem Weg zur Dienstklassengesellschaft. Gesammelte Abhandlungen II, Muenchen 1972. S.42.
10. TUCHTFELDT, E. (1971a), Moral Suasion in der Wirtschaftspolitik; in E. HOPPMANN (Hrsg.): Konzertierte Aktion - Kritische Beitraege zu einem Experiment, Frankfurt am Main, S. 32.

11. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., (2012), ძირითად საზოაგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაბამისობა, თბილისი, გვ. 83.
12. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., (2012). ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, თბილისი, გვ.301.
13. SCHUMPETER, J. (1942), Kapitalismus, Sozialismus und Demokratie, 7. erw. Aufl., Tuebingen u. a., 1993. S.448.

Existing Contradictions Among the Basic Social Values and Problems for Their Solution

Revaz Gvelesiani

Professor, Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
Chair of the Department of Economic Policy,
Director of the Georgian-German Institute of Economic Policy

Social justice has a defined content, expresses the ideal and indicates the lack of modern public order. It is clear that when it comes to freedom and justice as the basic values of social justice criteria for use, the law is not a sufficient tool to resolve the conflict arisen between them. Western welfare state aims at reaching a compromise between freedom and fairness, but on the one hand, the democratic methods of the creation of political will do not allow for solid assumption about such compromise. On the contrary, the use of the privileges as an instrument, socially based in political competition, threatens material as well as formal law. On the other hand, it should be examined whether it is possible to change the institutional conditions in which the creation process of political will takes place and allows for a long-term compromise.

The conflicts existing between economic freedom and social justice as well as ongoing conflicts in our everyday life are a great menace to economic security. Limited conflicts are characterized by less confrontation and their solution is easier than extremely tense conflicts. Sometimes conflicts depersonalization will suffice to reduce their severity and to no longer pose a threat to safety. In economic sphere such depersonalization is carried out through social techniques or competition.

The relation between progress and freedom of action is shown by the fact that the laws of nature can not be violated, which are the objective borders for some event or other. But their scientific discovery expands opportunities for human's free action existing before, and the origins of the existing conflicts between progress and social justice can be the wrong understanding of competition. In terms of social justice, some income-related positions based on the scientific progress require

corrections. But on the other hand, such corrections would attenuate or cancel any incentive for innovation. Such “socialization” of the results of scientific progress ignores the fact that their achievement process is motivated and strengthened by competition.

Democracy, as a method for solving conflicts between freedom, justice and security, is very important. It allows for regulation of conflicts between interests not using violence, but on the basis of decisions made by the majority. But it does not always meet the needs of all participants. Democratic decision as a tool for peaceful resolution of conflicts can only be totally unnecessary, when in reality the society which is loaded by conflicts and willing to solve them is substituted in people’s utopian perceptions by the model of free and calm society.

Keywords: social inequality, social values, economic freedom, social justice, social security, economic progress, interest groups, conflicts of interest.

JEL Codes: A13, A14, A19

ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1, გვ. 25-38
ECONOMICS AND BUSINESS, 2017, 1, pp. 25-38

ვიშეგრადის ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის განვითარების აქტუალური საკითხები

ეკა ლეკაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
eka.lekashvili@tsu.ge

სოციალური მეწარმეობა თანამედროვე პერიოდში ბევრი ქვეყნის და რეგიონის საზოგადოებრივი განვითარების ამოსავალი საკითხია და ცხარე დისკუსიის მთავარ თემად წარმოგვიდგება. ამასთან, იგი საზოგადოების სოციალური პრობლემების დაძლევის მთავარ გზად განიხილება. თუმცა, სოციალური ეკონომიკის და სოციალური მეწარმეობის განვითარების თეორიული დამუშავებისა და პრაქტიკული განხორციელების დონეები ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია.

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრირების მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირში მიმდინარე ტენდენციების მეცნიერული კვლევა და შეფასება, რაც ხელს უწყობს ინტეგრაციის პროცესის ობიექტურ განჭვრეტას, შესაძლებლობებით სარგებლობას და საფრთხეების შემცირებას. ამ თვალსაზრისით სამეცნიერო საზოგადოების მხრიდან ევროკავშირის ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის საკითხის კვლევით დაინტერესება აქტუალური და დროულია. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მეწარმეობის საკითხებზე კვლევები ხორციელდება საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის და სოციალური მეწარმეობის ალიანსის ფარგლებში, სოციალური სამეწარმეო საქმიანობის გაფართოება და განვითარება საუნივერსიტეტო წრეებში საკვლევი პრობლემის აქტუალიზაციას მოითხოვს. აღნიშნულის დადასტურებაა ის, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსებით ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე დამუშავდა საგრანტო პროექტი თემაზე - „სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში“. წინამდებარე კვლევა აღნიშნული პროექტის ნაწილს წარმოადგენს და ***მიზანმიმართულია ვიშეგრადის ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის განვითარების თანამედროვე გამოწვევების შესწავლისკენ.*** *აღნიშნული მიზნით* ***შევისწავლეთ სოციალური მეწარმეობის ევ-***

როპული გამოცდილება, მისი განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტი - სტრასბურგის დეკლარაციის სახით; გავაანალიზეთ კონკრეტულად ვიშეგრადის ქვეყნებში (ჩეხეთი, პოლონეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი) სოციალური მეწარმეობის აქტუალური საკითხები და ჩამოვაყალიბეთ რეკომენდაციები საქართველოში სოციალური მეწარმეობის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკისათვის.

აღსანიშნავია, რომ სოციალური მეწარმეობის შესახებ ზემოთდასახელებული კვლევითი ცენტრების კვლევებში არ არის წარმოდგენილი ვიშეგრადის ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის განვითარების პრობლემატიკა. ამასთან, არ არის გამოკვლეული ევროკავშირის ზოგადი მიდგომა სოციალური მეწარმეობის განვითარების საკითხთან მიმართებით და კვლევები ძირითადად 2010 წლამდე პერიოდს მოიცავს. შესაბამისად, ვეცადეთ კვლევა წარგვემართა აღნიშნული მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მეწარმეობა; სოციალური საწარმო; სოციალური ეკონომიკა.

სოციალური მეწარმეობის ევროპული გამოცდილება

სოციალური მეწარმეობის შესახებ კვლევებიდან ჩანს, რომ სოციალური მეწარმეობის განმარტება ქვეყნების და რეგიონების მიხედვით განსხვავებულია. ზოგადად, სოციალური მეწარმეობა სოციალური მიზნების მიღწევას ემსახურება, სადაც საწარმოები დამოუკიდებელი სამართლებრივი ერთეულების სახით წარმოგვიდგება. არსებობს განსხვავება დამატებული ღირებულების ზრდის პროცესში სოციალური საწარმოების მონაწილეობაში, მათ რეგულირებაში (სპეციალური სამართლებრივი ფორმები ტრადიციული მომგებიანი ან არამომგებიანი სამართლებრივი ფორმების საპირისპიროდ), მოგების განაწილებაში (მოგების განაწილების არარსებობა, ან მოგების განაწილება კომპანიის სამომავლო საქმიანობაში ინვესტირების განხორციელების სასარგებლოდ) და ა.შ.

სოციალური საწარმოების ბიზნესგარემოს ხარისხი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მარეგულირებელი ფუნქციების დამატებითი პრეფერენციების მინიჭებით განისაზღვრება, რაც აძლიერებს სოციალურ ეკონომიკას და სოციალური საწარმოების განვითარებას. გარემოს ხარისხის ფორმირება დამოკიდებულია საჯარო ინსტიტუციების გამართულ ფუნქციონირებაზე, შესაბამისად, ისინი სოციალური ეკონომიკის სისტემის გარანტორად გვევლინებიან.

სოციალური ეკონომიკა კოოპერატიული საზოგადოებების, ერთობლივი გაერთიანებების, ასოციაციების, ფონდების და სოციალური საწარმოების ერთობლიობაა. მისი მნიშვნელობა დღეისათვის ევროკავშირის ეკონომიკისათვის ძალიან იზრდება, როგორც წევრი სახელმწიფოების ეროვნულ, ასევე, რეგიონალ დონეზე. სოციალური საწარმოები არამარტო მნიშვნელოვანი ეკონომიკუ-

რი მოთამაშეებია, არამედ მთავარ როლს ასრულებენ მათი წევრებისა და ევროპის მოქალაქეების საზოგადოებრივ აქტივობაში უფრო სრული ჩართულობის ხელშეწყობაში. სოციალური საწარმოები ევროპის ცვალებად მოთხოვნებს პასუხობენ. ისინი სამუშაო ადგილებს ქმნიან ისეთ სივრცეში, სადაც ტრადიციული „ინვესტორმამოძრავებელი" საწარმოო სტრუქტურები ყოველთვის არ შეიძლება იყოს „ინვესტიციების შემომტანი". საქართველოსთვის, ევროკავშირში ინტეგრაციის კონტექსტით, მნიშვნელოვანია სოციალური მეწარმეობის მდგომარეობის გაანალიზება ვიშეგრადის ქვეყნებში, რადგან ამ ქვეყნების გამოცდილება დაგვეხმარება ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის წარმატებით განხორციელებაში, ევროკავშირის სტანდარტებთან კონვერგენციასა და ამ გზით ევროკავშირში ინტეგრირების პროცესის დაჩქარებაში.

სოციალური პრობლემების გაღრმავებამ, რომელიც შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირების, 50 წელს გადაცილებულების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უმუშევრობის მაღალ დონეს უკავშირდება, იმპულსი მისცა სოციალურ საწარმოებში სხვადასხვა მოთამაშის გაერთიანებას. გლობალური მეწარმეობის მონიტორის 2009 წლის ანგარიშის მიხედვით, სოციალური ბიზნესის სხვადასხვა სფეროში დასაქმებულია ევროკავშირის სამუშაო ძალის 7.5% [4.გვ.94]. სოციალური მისია და სოციალური საწარმოები ეკონომიკის მდგრად ან ინკლუზიურ განვითარებას უკავშირდება და მიმართულია სოციალური გამოწვევების დაძლევისკენ: ეს ნიშნავს, რომ სოციალურ საწარმოებში ინვესტიციებს სასურველია ჰქონდეს უფრო დიდი პოზიტიური სოციალური ზეგავლენა მცირე და საშუალო მეწარმეობაში განხორციელებულ ინვესტიციებთან შედარებით.

სოციალური მეწარმეობა გულისხმობს სოციალური საწარმოს დასაფუძნების პროცესს, რომელშიც მკაფიოდ იკვეთება შემდეგი თავისებურება: **მომგებიანი ორგანიზაცია ფინანსურად მხარს უჭერს არამომგებიან ორგანიზაციას**. სოციალური საწარმოები არამომგებიანი ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობის მიღწევის შედეგია მისი გადარჩენის და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მიზნით. სოციალური საწარმოს ჩამოყალიბება როგორც სოციალური სამეწარმეო აქტივობა, შეიძლება მწარმოებლურობის საზომად განვიხილოთ, რადგანაც ის არამომგებიანი არასამთავრობო ორგანიზაციის განვითარების შემდგომ საფეხურს წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური მეწარმეობის შესწავლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მეწარმოების განვითარების გამოცდილების გაანალიზება არასამთავრობო სექტორში. არასამთავრობო ორგანიზაციებში სამეწარმეო აქტივობა მიმართულია სოციალური მისიის შესრულებისკენ. არამომგებიან ორგანიზაციები უპირველესად არსებობს კერძო ინდივიდუალური ან კოლექტიური ინიციატივის სახით, რომელსაც გააჩნია მისია, ხედვა და მიზანი, მიმართული განსაზღვრული საჭიროების, შესაძლებლობების, უკეთესი

საზოგადოების მიღწევისკენ. ეს ნიშნავს, რომ ორგანიზაციის დაარსების საწყის ეტაპზე ან მომავალში, ორგანიზაცია ჩამოაყალიბებს სტრატეგიას და დროში განსაზღვრავს ბიზნესგეგმას, რომელიც მიმართული იქნება მისიის განხორციელებისკენ. ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, აქტივობა საჭიროებს კოორდინაციას, ადამიანთა რესურსების მენეჯმენტს, კარგ ლიდერს, ფინანსურ მენეჯმენტს და ეკონომიკური აქტივობის განვითარებას. პროექტის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება პროექტის მენეჯმენტის გუნდისგან სამეწარმეო უნარს მოითხოვს იმიტომ, რომ სოციალური მოთხოვნილებების გამოსავლენად ორგანიზაციის მხრიდან შემოქმედებითი მიდგომის საჭიროება ჩნდება.

სოციალური საწარმო ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ჰიბრიდს, კომბინაციას წარმოადგენს, რომელიც მათ საუკეთესო მახასიათებლებს აერთიანებს ამ უკანასკნელისათვის მდგრადობის მიღწევის მიზნით.

ამრიგად, სოციალური საწარმოები სოციალური ეკონომიკის სექტორის ნაწილია. ისინი მოიცავენ ორგანიზაციების ერთობლიობას, რომლებიც არსებობენ ტრადიციული – კერძო და საჯარო სექტორების შეერთებაზე. რადგანაც არ არსებობს სოციალური საწარმოს საყოველთაო და აღიარებული განმარტება, მისი ამოსავალ მახასიათებლად მიიჩნევა სოციალური მიზნების კომბინაცია კერძო სექტორის სამეწარმეო სულისკვეთებასთან. ამასთან, სოციალური მეწარმე სოციალურ ღირებულებებს აყალიბებს ინოვაციის განგრძობითი პროცესის და ახალი შესაძლებლობებისთვის ხელშეწყობის გზით, მაგრამ ყოველთვის, პერსონალური მოგების მიღებამდე, ორიენტირებულია სოციალურ მოგებაზე ან უკიდურეს შემთხვევაში - ორივეზე.

სოციალური საწარმოს სამი ძირითადი ტიპი არსებობს განსაზღვრული მისიისა და სოციალური პროგრამების ბიზნესაქტივობაში ჩართვის დონის მიხედვით:

1. **მისიაზე ორიენტირებული სოციალური საწარმო,** რომელიც განსაკუთრებული სოციალური მისიის მისაღწევად ყალიბდება და თვითდაფინანსების სქემით სარგებლობს. ამ ტიპის ორგანიზაციებია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა დასაქმების ცენტრი ან მიკროსაფინანსო ინსტიტუტები;

2. **მისიაზე დამოკიდებული სოციალური საწარმო,** რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციის მისიასთან ან სოციალურ მომსახურებასთან ასოცირდება. ამ ტიპის ორგანიზაცია ემყარება სინერგიულ ეფექტს, რომელიც პროგრამებისთვის სოციალურ ღირებულებებს აყალიბებს და სოციალური პროგრამების მდგრადი ფინანსური უზრუნველყოფისთვის ეკონომიკური ღირებულებების გენერირებას ახდენს;

3. **მისიასთან კავშირის არმქონე სოციალური საწარმო,** როდესაც სოციალური საწარმო არ არის დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციის მისიასთან და ფუნქციონირებს ისეთ ინდუსტრიაში, სადაც არასამთავრობო ორ-

განიზაცია არ ფუნქციონირებს. პოტენციური მოგება არასამთავრობო ორგანიზაციის დაარსების ერთადერთი ფაქტორია იმისათვის, რომ დაიფაროს ამ უკანასკნელის დანახარჯები შემოწირულობის ან სპონსორობის გზით. ამ შემთხვევაში ორი ტიპის სოციალური საწარმო არსებობს: 1. როდესაც არასამთავრობო ორგანიზაცია ფლობს საწარმოს აქციების 50%-ზე მეტს; 2. როდესაც ფლობს აქციების 50%-ზე ნაკლებს [2;გვ.80].

ევროკომისიის განმარტებით, სოციალურია ნებისმიერი საწარმო მისი სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად, რომელიც უზრუნველყოფს გაზომვად პოზიტიურ სოციალურ ზეგავლენას ისეთი საქონლისა და მომსახურების წარმოების გზით, რომელიც მიმართულია მოწყვლადი, მარგინალიზებული, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისკენ და ამისთვის იყენებს წარმოების ისეთ მეთოდს, რომელიც მათი სოციალური მიზნების განხორციელებას უზრუნველყოფს.

ევროკავშირის ფარგლებში სოციალური მეწარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2014 წლის 16-17 იანვარს სტრასბურგში შედგა 2000 სოციალური მეწარმის და სოციალური საწარმოს მხარდამჭერთა სამუშაო შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა ევროპაში სოციალური მეწარმეობის მრავალფეროვანი გამოცდილება. შეხვედრაზე ერთხმად აღიარებულქნა მიდგომა, რომ ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ მოდელს ესაჭიროება გადახალისება, რათა სოციალური ერთსულოვნების ფასეულობა კოლექტიური კეთილდღეობის ჭეშმარიტი წყარო გახდეს.

სოციალური საწარმოები აღიარებულია სოციალური და ეკონომიკური ერთობის/ერთსულოვნების, კავშირის მამოძრავებელ ძალად მთელი ევროპის მასშტაბით, რადგანაც იგი ხელს უწყობს პლურალისტური და მოქნილი სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირებას. სოციალური საწარმოები მრავალი სახით, სიდიდით და განსხვავებული ფორმით ფუნქციონირებს ევროპის მასშტაბით. როგორც სოციალური ბიზნესინიციატივის კომისიაზე (Commissions's Social Business Initiatives – SBI) აღინიშნა, მათი საერთო მახასიათებლებია: შემოსავლების მიღება ვაჭრობის გზით; საერთო სიკეთის მისაღებად სოციალური ან საზოგადოებრივი მიზნის ქონა, რომელიც მათი ეკონომიკური აქტივობის მოტივს წარმოადგენს და, რომელიც ხშირად მაღალი დონის სოციალური ინოვაციის ფორმით ვლინდება; მოგება, რომელიც ძირითადად რეინვესტირდება იმ თვალსაზრისით, რომ მიღწეულ იქნეს აღნიშნული სოციალური მიზანი; ორგანიზაციული ან მესაკუთრეობის სისტემის ფორმა, რომელიც ემყარება დემოკრატიული მმართველობის საერთო პრინციპებს ან ფოკუსირებულია სოციალურ სამართლიანობაზე [3].

სტრასბურგის დეკლარიაციის [1] საფუძველზე სოციალური მეწარმეობის სექტორთან პარტნიორობით ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა, რე-

გიონულმა და ლოკალურმა ხელისუფლებამ სოციალური საწარმოების ზრდის სრული მხარდაჭერა უნდა გამოხატონ და დაეხმარონ მათ სიმძლავრეების განვითარებაში, კერძოდ, სამართლებრივი ჩარჩოს მეშვეობით ფინანსებზე წვდომის, ბიზნესის დაფუძნების და განვითარების მხარდაჭერით, ტრენინგის და განათლების განვითარების, საჯარო შესყიდვების გამარტივების გზით. ასევე, ევროპულმა ინსტიტუციებმა და წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააძლიერონ სოციალური საწარმოების როლი არსებული კრიზისის დასაძლევად გატარებულ სტრუქტურულ რეფორმებში იქ, სადაც სოციალური ეკონომიკა ნაკლებად განვითარებულია.

ევროკავშირისთვის, ევროკომისიამ **სოციალური ბიზნესინიციატივის** (ევროპარლამენტი 2012, 20 ნოემბერი) საფუძველზე სოციალური საწარმოების დაფინანსების სისტემა შექმნა. სხვა საფინანსო ინსტრუმენტი, მიმართული სოციალური საწარმოებისათვის კაპიტალის წვდომისკენ, არის **მიკროსაკრედიტო ინიციატივა სოციალური საწარმოებისთვის,** რომელიც სოციალური ცვლილებებისა და ინოვაციების პროგრამის ნაწილს წარმოადგენს. ამ უკანასკნელმა ფუნქციონირება 2014 წლიდან დაიწყო. ეს პროგრამა სოციალური საწარმოების სტარტაფების დაფინანსების ინსტრუმენტს მოიცავს მათი შემდგომი განვითარებისა და გაფართოების მიზნით. მისი მიზანია დაახლოებით 450 მლნ. ევროს ღირებულების მიკროსესხებით უზრუნველყოფა, რომელთაგან 100 მლნ. უშუალოდ მიმართულია სოციალური საწარმოების განვითარებისაკენ. ევროპის ახალი სოციალური მეწარმეობის ფონდების მიზანია დაეხმაროს სოციალურ საწარმოებს ფინანსურ ბაზრებზე ფინანსებზე წვდომაში საინვესტიციო ფონდების წესების ჰარმონიზაციის გზით. სათანადო საფინანსო ჩარჩოს ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია სოციალური საწარმოებისთვის არსებული საინვესტიციო ინსტრუმენტების სპეციფიკური განვითარება და ადაპტაცია. აღნიშნული მოიცავს სოციალურ საინვესტიციო ფონდებს, კოოპერციულ ბანკებს, ეთიკურ და სოციალურ ბანკებს, კომერციულ ბანკებს სოციალური პროგრამებით, ინოვაციურ ინსტრუმენტებს, როგორიცაა ბრიტანული „სოციალური გავლენის ობლიგაციები“ და სხვა. ასეთი ინსტრუმენტების გამოყენება შესაძლებელია ჰიბრიდულ კაპიტალზე წვდომის ფორმის სახით, რომელიც სოციალური საწარმოების დაფინანსების ყველაზე მისაღები მოდელია.

აღსანიშნავია, რომ სოციალური საწარმო ევროკავშირის მასშტაბით კვლავ საჭიროებს შემდგომ კვლევას და ეროვნული სტატისტიკის თავმოყრას იმისათვის, რომ უკეთ შეფასდეს სექტორში მიმდინარე ტენდენცია, რაც მნიშვნელოვანია პოლიტიკის გამტარებლებისა და ზოგადად საზოგადოებისთვის. საჭიროა ახალი სოციალური ინდიკატორები, რომლებშიც აისახება სოციალური და ეკონომიკური პროგრესის შეფასებისას სოციალური მეწარმობის პოზიტიური სოციალურ გავლენა.

სოციალური მეწარმეობის გამოწვევი ვიშგრადის ქვეყნებში

ვიშეგრადის ქვეყნებში სოციალური ეკონომიკის განვითარება სამ ეტაპს მოიცავს: **ტრადიციული სოციალური ეკონომიკა,** რომელიც მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდში არსებობდა. იგი მოიცავდა კოოპერატივებს, კოოპერატიულ ბანკებს, დამხმარე ორგანიზაციებს, სასესხო და საგარანტიო ფონდებს, ერთობლივი დაზღვევის ფონდებს და ა.შ., რომლებიც არ იყვნენ ორიენტირებული შემოსავლების მიღებაზე; 1947-1989 წლებში **ძველი სოციალური ეკონომიკა** სოციალისტური სახელმწიფოს მონოპოლისტურ კონცეფციას ემყარებოდა, სადაც სახელმწიფო განსაზღვრავდა ადმინისტრაციულ და საფინანსო საჭიროებებს, ხოლო სოციალური ეკონომიკის ოპერატორების როლი უმნიშვნელო იყო; 1989 წლიდან, სოციალური პრობლემების გამწვავებასთან ერთად, და ზოგადი ევროპული მიდგომის გავლენის საფუძველზე, ვიშეგრადის ქვეყნებში დაიწყო აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება. ახალი რეგულაციების და ევროკავშირიდან წამოსული ფინანსების დახმარებით, ჩამოყალიბება დაიწყეს **ახალი სოციალური ეკონომიკის** ინსტიტუციებმა.

ვიშეგრადის ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის განვითარების თავისებურებები დაკავშირებულია ამ ქვეყნების დემოგრაფიულ სტრუქტურასთან. ვიშეგრადის ქვეყნების დემოგრაფიული სტრუქტურა ოთხივე ქვეყანაში მსგავსია, ახალგაზრდა მოსახლეობა ამ ქვეყნებში მაღალი წილით არის წარმოდგენილი: მოსახლეობის 22%-ია პოლონეთსა და სლოვაკეთში, ხოლო 19 % - ჩეხეთსა და უნგრეთში. ამასთან, ახალგაზრდობის დასაქმება ვიშეგრადის ქვეყნებში მაღალი რყევებით ხასიათდება[7, გვ.2-3].

სოციალური მეწარმეობის კონტექსტით ვიშეგრადის ქვეყნების ახალგაზრდებისთვის საერთო მახასიათებელია მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობის დაბალი დონე ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით. ვიშეგრადის ქვეყნებში ამ დამოკიდებულებას ხელი შეუწყო მიდგომამ, რომელიც უკავშირდება მოხალისეობრივი საქმიანობის არ აღიარებას. თაობათა ცვლის პირობებში აუცილებელია ახალი მიდგომის/განწყობის, დამოკიდებულების ფორმირება მოხალისეთა საქმიანობის საკითხთან მიმართებით. ამასთან, აუცილებელია კორპორაციული ინიციატივებისა და ბიზნესის ჩართულობა მოხალისეობრივ აქტივობებში. დღეს, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პირობებში მარტივია ინფორმაციის გავრცელება მოხალისეთა აქტივობის, ღონისძიებების, სასკოლო პროგრამების შესახებ. ეს ყველაფერი დაკავშირებული უნდა იყოს პოლიტიკურ ინტერესსა და ჩართულობასთან. ახალგაზრდა კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის სხვა ქვეყნებში მოხალისეობრივი აქტივობიდან დიდი გამოცდილება მიიღო.

ევროპელ მოხალისეთა მომსახურება ყველაზე ცნობილი პროგრამაა, რომელიც ახალგაზრდას შესაძლებლობას აძლევს ხანგრძლივად გასწიოს მოხა-

ლისეობრივი საქმიანობა საზღვარგარეთ. ვიშეგრადის ქვეყნებში ახალგაზრდების დასაქმების მთავარი პრობლემებია: სამუშაო ადგილის მოძიება, პრაქტიკის უზრუნველყოფა, სამეწარმეო აქტივობა, სტარტაფ ინიციატივების წახალისება, ფორმალური და არაფორმალური განათლება, მოხალისეობრივი ჩართულობა, არაფორმალური განათლების აღიარება, ახალგაზრდების კომპეტენციების განვითარებაში ინვესტირება.

სოციალური მეწარმეობის განვითარების თავისებურებები ვიშეგრადის ქვეყნების მიხედვით შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

- **ჩეხეთში** სოციალური მეწარმეობის კონცეფცია განსაზღვრავს ეკონომიკურ და სოციალურ მიზნებს (ბიზნეს და სოციალურ მისიებს), რომელიც დაბალანსებული უნდა იყოს. აქ არსებული სოციალური საწარმოების უმეტესობა ფოკუსირებულია განსაკუთრებული საჭიროებების პირთა დასაქმებაზე. ჩეხეთის რესპუბლიკაში სოციალური საწარმოები ახორციელებენ საქველმოქმედო მომსახურებას სოციალური ჩართულობის, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული საწარმოების ხელშეწყობისა და მათ მიერ გამოშვებული პროდუქტის გაყიდვის მიმართულებით. სოციალურ საწარმოებში ჩართული პირები სარგებლობენ მკაფიოდ განსაზღვრული სუბსიდიებით და შესაბამისი სტატუსით, მაგრამ მათ შორის არიან ადამიანები, რომელთაც არ აქვთ სახლ-კარი, არიან ნარკოდამოკიდებულნი, მაწანწალები და ა.შ.

ჩეხეთის რესპუბლიკაში სოციალური საწარმოები სხვადასხვა სამართლებრივი ფორმისაა, რაც განპირობებულია მომსახურებისა და პროდუქტის წარმოების სპეციფიკურ პირობებზე, ასევე, ფონდებთან წვდომის სპეციფიკაზე. ჩეხეთის კანონმდებლობით სოციალური საწარმოების სამართლებრივი განმარტება არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რიგი ფაქტობრივი და ტექნიკური მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საწარმო ევროპის სოციალური ფონდიდან და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ფონდიდან გრანტების მისაღებად სტარტაფის ან განვითარების ფაზაზე (მაგალითად: დასაქმებულების სულ მცირე - 40% უნდა იყოს უნარშეზღუდული, მოგების 51%-ზე მეტი უნდა იყოს რეინვესტირებული, განმსაზღვრელი უნდა იყოს ადგილობრივი განვითარება, დასაქმების ზრდა) [5, გვ.44]. განმცხადებელი შეიძლება იყოს საწარმო ან თვითდასაქმებული პირი, ხოლო ბიზნესის ორგანიზაციული ფორმები: შპს, სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პარტნიორობა, კოოპერატივი, საჯარო კომპანია და სხვა. განმცხადებლები შეიძლება იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებები.

ჩეხეთის რესპუბლიკაში სოციალური საწარმოები ჯერ ისევ სუსტია და სოციალური ეკონომიკის სექტორიც განუვითარებელია. საზოგადოების უდიდესი ნაწილი არ იზიარებს სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებულ ღირებულებებს. შესაბამისად, სოციალური ეკონომიკის კონცეფცია არ არის მხარდაჭერი-

ლი პოლიტიკის შემმუშავებლების მხრიდან ეროვნულ და რეგიონულ დონეზე. სუბსიდიები მიმართულია მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისკენ და განიხილება როგორც დასაქმების პოლიტიკის ნაწილი. ფინანსური სექტორი სოციალურ საწარმოებზე სესხებს გასცემს ძალიან მცირე მასშტაბით საპილოტე ინიციატივების სახით. სოციალურ მეწარმეობაში არასამთავროების საქმიანობაც სუსტია და საპილოტე ხასიათს ატარებს.

- **პოლონეთში** 2003 წლის 13 ივნისს მიღებული სოციალური დასაქმების აქტის საფუძველზე სოციალური ინტეგრაციის ცენტრებისა და კლუბების ფორმირება დაიწყო და იგი მიმართული იყო სოციალური დასაქმების უზრუნველყოფისკენ. 2012 წლისთვის 70 ასეთი ცენტრი ჩამოყალიბდა, რომელთა ინიციატორებიც ადგილობრივი მთავრობები/თემები და არასამთავრობოები იყვნენ. მათი შემოსავალი 2010 წლისთვის 56 102,00 პოლონური ზლოტი იყო. ამ ტიპის კლუბებისა და ცენტრების აქტივობაში შედიოდა: პროფესიული ტრენინგები, პრაქტიკა და პროფესიული პრობაცია/საცდელი დასაქმება, რომელიც, ასევე, სთავაზობდა დახმარებას სამსახურის მოძიებაში, საკუთარი ბიზნესის ან სოციალური კოოპერატივის საქმიანობის წარმართვაში, თერაპიულ და ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ რჩევებს, საგანმანათლებლო დახმარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას.

ასევე, მნიშვნელოვანია სოციალური კოოპერატივების საკითხი, რომელშიც შესაძლებელია იყვნენ ფიზიკური შრომით დაკავებული მუშაკები და მათი რიცხვი არ უნდა იყოს 5-ზე ნაკლები და 50-ზე მეტი. მუშაკები, რომლებიც სოციალურ კოოპერატივებს აყალიბებენ, შეიძლება იყვნენ უმუშევრები, ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირები, უსახლკაროები, ყოფილი პატიმრები, რომელთაც გარემოსთან ინტეგრაციის პრობლემები გააჩნიათ, გონებრივად შეზღუდული პირები, ლტოლვილები და ა.შ. ამ ტიპის მუშაკთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 50%-ს.

პირველად სოციალური კოოპერატივები გაჩნდა 2005 წელს შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების საფუძველზე, სოციალური ეკონომიკის რეგიონული ფონდების დაფინანსებით. 2013 წელს რეგისტრირებული იყო 809 ასეთი კოოპერატივი, რომელთაგან მხოლოდ 430 ოპერირებდა [4, გვ.96].

სოციალური ეკონომიკის მეორე ევროპული კონფერენციის საფუძველზე პოლონეთში დაიწყო მოძრაობა სხვადასხვა სახის სოციალური ეკონომიკის ოპერატორების ჩამოსაყალიბებლად. დასაწყისში დაფუძნდა სოციალური ეკონომიკის მუდმივი კონფერენცია, სადაც ხდება შეხვედრები, დისკუსია და შეთანხმება საკვანძო საკითხებზე. ამასთან, მნიშვნელოვანი ინსტიტუციები: საგარეო საქმეთა ინტიტუტის ფონდი, რომელიც საჯარო სივრცის საკითხებზე სწავლებისა და ანალიზის დამოუკიდებელ ცენტრს წარმოადგენს. ასევე, კრაკოვის ეკონომი-

კური უნივერსიტეტის მალოპოლსკას საჯარო ადმინისტრირების სკოლა, რომლიც ხელს უწყობს პოლონეთში საჯარო მოხელეების კადრების გამოშვებას და რომლის განათლების სტრატეგიულ მიმართულებასაც სოციალური ეკონომიკა წარმოადგენს. აქ გამოიცემა მრავალი პუბლიკაცია და კვლევა სოციალური ეკონომიკის საკითხებზე.

სოციალური მეწარმეობის საკითხთა კვლევით პოლონეთში ბოლო პერიოდში დაინტერესდნენ. აღმოჩნდა, რომ საკლასიფიკაციო კრიტერიუმების არცერთი ნიშნის მიხედვით არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები. ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრული შერჩეული ასპექტების, ცალკეული რეგიონის მიხედვით, ასევე, მაგალითების და პროგრამების ანგარიშების სახით.

პოლონეთში სოციალური მეწარმეობის გავრცელებული ფორმებია: ანაზღაურებით დასაქმება ასოციაციებსა და ფონდებში, ასევე, განსაკუთრებული საჭიროებების პირთა კოოპერატივები. 2012 წელს 12 000 ფონდი და 71 000 ასოციაცია იქნა რეგისტრირებული პოლონეთში:12% სთავაზობდა ანაზღაურებად აქტივობას და 5% - რეგისტრირებულ ბიზნეს - ოპერაციებს. მათგან სოციალურ სამეწარმეო სექტორში 10 000 ასოციაცია და ფონდი ფუნქციონირებდა, 13000 კოოპერატივიდან 410 მოიცავდა კეთილდღეობის კოოპერატივებს და განიხილებოდა სოციალურ საწარმოებად. პოლონეთში სოციალური ინტეგრაციის ცენტრები და კლუბები, ასევე, მიეკუთვნება სოციალურ ეკონომიკას. დაახლოებით 89 ერთეული ასეთი საწარმოა პოლონეთში, მაგრამ მათი რიცხვი სწრაფად იზრდება [4, გვ.97]. სოციალური საწარმოების უმეტესობა განსაკუთრებული საჭიროებების პირთა სოციალურ ინტეგრაციას ისაზავს მიზნად. ამასთან, მოიცავს ისეთ აქტივობას, როგორიცაა განათლება, სპორტი და დასვენება, ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის მომსახურების გაწევა, კულტურა და ეკოლოგია. საწარმოები უპირატესად სთავაზობენ ინდივიდუალურ მომსახურებას ან კერძო ბიზნესის მომსახურებას. მოქმედი ორგანიზაციების დაფინანსება ხდება მათივე ამონაგებიდან ან საჯარო (ცენტრალური ან ლოკალური მთავრობის) ფონდებიდან და სუბსიდიებიდან, თუმცა დიდი ნაწილი საკუთარი დაფინანსების წყაროს ეყრდნობა.

პოლონეთში სოციალური საწარმოები ისეთ ბიზნესს ახორციელებენ, რომელიც ფოკუსირებულია სოციალურ მიზნებზე (მოგებას ხარჯავენ სოციალური მიზნებისთვის). ასეთებია, სოციალური კოოპერატივები, პენსიონერთა სახლები, ერთობლივი სადაზღვევევო კომპანიები, საჯარო მომგებიანი ორგანიზაციები, არამომგებიანი ორგანიზაციები, კომპანიები, რომლებიც ეკუთვნის არასამთავრობო ორგანიზაციებს, მშრომელთა კოოპერატივები, ერთობლივი საგარანტიო და საკრედიტო ფონდები (რომლებიც მოიცავენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს). მათი მიზანია სოციალური სარგებლის მაქსიმიზაცია, როგორიცაა: მაღალი ხარისხის საჯარო მომსახურების უზრუნველყოფა, ლოკალურ დონეზე განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოებისაგან გარიყული ადამიანებისათ-

ვის ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, მათთვის დაკარგული ღირსების აღდგენა.

პოლონეთში სოციალური საწარმოების სწრაფი ზრდა მიმდინარეობს. ეს ბუნებრივი განვითარება პოლონეთის საზოგადოების სოციალური ტრანსფორმაციის მნიშვნელოვან გამოწვევებს პასუხობს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ფონდის მხრიდან მცირე და საშუალო საწარმოების დაფუძნებისა და განვითარების მასობრივი მხარდაჭერის მიღმა (რომელიც სოციალურ ფირმებსაც ეხება), ტარდება რიგი ღონისძიება, რაც პირდაპირ ფოკუსირებულია სოციალურ საწარმოებზე. ისინი თანადაფინანსებას იღებენ ევროპის სოციალური ფონდიდან. ხაზგასმა კეთდება სოციალური საწარმოების გაძლიერებაზე. ამასთან, ახალი საფინანსო მექანიზმი, რომელიც ზრდის კაპიტალის მიწოდების შესაძლებლობებს, მიკროკრედიტის ფორმის სახით მიეწოდება სოციალურ მეწარმეებს სტარტაფის ეტაპზე.

- **უნგრეთში** 2008 წლის კრიზისის გავლენით საზოგადოებისთვის არსებითი პრობლემები წარმოიშვა: სიღარიბე და სოციალური უთანასწორობა, მოსახლეობის დაბერება, ახალგაზრდების უმუშევრობა, მაწანწალების, ბოშების და უსახლკაროების (10684 ადმიანი 2012 წლისთვის, რომელთაგან 1/3 ცხოვრობს ბუდაპეშტში [9, გვ.5]) დისკრიმინაცია - პრობლემები, რომლებიც დღემდე იჩენს თავს. სოციალურ გამოწვევებზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები: უნგრეთის მოსახელობის 32.4% სიღარიბის ზღვარზეა; ახალგაზრდობის უმუშევრობის დონე დისპროპორციულად იზრდება და ეს მაჩვენებელი 30.5 %-ს შეადგენს.

უნგრეთში სოციალური საწარმოს სამართლებრივი განმარტება არ არსებობს. შეფასებებით დადგენილია, რომ უნგრეთში 300-400 სოციალური საწარმოა. ამ საწარმოების საშუალო ასაკი 15.9 წელია და ამ ორგანიზაციების ნახევარზე მეტი 13 წლამდე ასაკისაა. სოციალური საწარმოების ნახევარზე მეტი მცირე ორგანიზაციაა (1-10 დასაქმებულით), მხოლოდ 12 %-ს აქვს 1 მლნ ევროზე მეტი ბრუნვა. [9, გვ.8].

უკანასკნელ პერიოდში სოციალური საწარმოების კონცეფცია უნგრეთში საკმაოდ პოპულარული ხდება არასამთავრობო და ბიზნესის დამწყებ ორგანიზაციებში, აკადემიურ წრეებსა და სტუდენტებში. სოციალურმა დანახარჯებმა 2013 წელს მშპ-ის 21,6% შეადგინა. ამ პერიოდისთვის 65300 სამოქალაქო ორგანიზაცია იყო, რომელთა აქტივობაც მოიცავდა დასვენებას, ჰობს, განათლებას, კულტურას, სპორტს, ჯანდაცვას და ა.შ. ამ ორგანიზაციებში დასაქმებულია 144000 ადამიანი (მთლიანი დასაქმების 4%) და 504000 მოხალისე [4, გვ5].

უნგრეთში სოციალური საწარმოების აქტივობის მარეგულირებელი და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუციებია: პარლამენტი, მთავრობა, ეროვნული საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაცია, სახელმწიფო აუდიტის ოფისი, სახელმწიფო შესყიდვები, სასამართლო,

ეროვნული დასაქმების არამომგებიანი შპს, სოციალური მეწარმოების კლუბი, სოციალური მეწარმეობის დღის ყოველწლიური ღონისძიება (სოციალური საწარმოების გამოფენა), ბუდაპეშტის კორვინუსის უნივერსიტეტი (სადაც არის სოციალური მეწარმოების კურსი).

- **სლოვაკეთშიც,** სოციალური მეწარმეობის განვითარებაში ვიშეგრადის ქვეყნების მსგავსი ტენდენციები მიმდინარეობს. აქ არსებული ინსტრუმენტების გვერდით სოციალური მეწარმეობის მრავალფეროვანი ახალი ინსტრუმენტები მოქმედებს, როგორიცაა მეწარმეობის მიკროდაფინანსება, ალტერნატიული ვალუტის შემოღება ან ლოკალური სავაჭრო სისტემის შექმნა საქონლისა და მომსახურების გასაყიდად, გლობალური სოციალური მოძრაობა ,,პატიოსანი ვაჭრობა" - პატიოსანი ვაჭრობის ხელშეწყობისთვის და ა.შ. სოციალური ეკონომიკის მრავალი ალტერნატიული ინიციატივის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცხოვრება, წარმოება და მოხმარება მიმართული უნდა იყოს სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის ერთობლივი ძალებით შემცირებისაკენ.

კვლევის შედეგები და რეკომენდაციები

სოციალური საწარმოები XXI საუკუნის ბიზნესის მოდელს გვთავაზობს, რომელშიც დაბალანსებულია ფინანსური, სოციალური, კულტურული და გარემოსდაცვითი საჭიროებები. სოციალური მეწარმეები როგორც ინდივიდები, ასევე ჯგუფები, ცვლილებებზე ორიენტირებული აგენტები არიან, რომლებიც ხალხისა და საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით მოქმედებენ. სოციალური მეწარმეობის პოტენციალის უტილიზაციის მიზნით, გონივრული, მდგრადი და ინკლუზიური ზრდის მხარდასაჭერად, სასურველია სოციალური ეკონომიკის განათლებისა და ტრენინგების გავითარება, რათა ხელი შევუწყოთ თვით სოციალური ეკონომიკის დამკვიდრებას და საზოგადოების ინფორმირებას.

სოციალური მეწარმეობის სისტემაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ადამიან-კაპიტალი და მისი განვითარება, როგორც სოციალური საწარმოს პრიორიტეტული მიზანი. სოციალური მეწარმეობა დღემდე არსებითად დაუფასებელი მიმართულებაა ევროპულ საგანმანათლებლო სისტემაში და მისი ინტეგრაცია საბაზისო და განათლების მომდევნო ეტაპებზე მისი გაძლიერების წინაპირობაა.

სოციალური საწარმოები ეფექტიანად მუშაობენ, შესაბამისად, ევროპაში არ არის ადგილი, სადაც სოციალურ მეწარმეობას სარგებლის მოტანა არ შეუძლია. ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, მოსახლეობის დაბერების, ახალგაზრდების უმუშევრობის, კლიმატის ცვლილებების და უთანასწორობის ზრდის გამოწვევების პირობებში, ევროპას სჭირდება მეტი სოციალური საწარმო, რაც აისახება ევროკავშირის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებში.

ვიშეგრადის ქვეყნების სოციალური მეწარმეობის გამოცდილების კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები უნდა მოემსახუროს აღნიშნული მიმართულებით მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას. კერძოდ:

- სოციალური მეწარმეობის მარეგულირებელი კანონდებლობის შემუშავებით უნდა შეიქმნას გარემო ამ მიმართულების განვითარების ხელშეწყობის, დაფინანსების გამარტივების და სწორი ადმინისტრირიების უზრუნველყოფისთვის;
- მიზანშეწონილია მკაფიოდ განისაზღვროს სოციალური საწარმოს შეფასების კონკრეტული ეკონომიკური და სოციალური კრიტერიუმები, რაც ხელს შეუწყობს სოციალური მეწარმეობის იდენტიფიკაციას;
- სასურველია მისიაზე, შესაძლებლობებსა და შედეგებზე მორგებული სოციალური საწარმოს იურიდიული ფორმების და ინსტრუმენტების გამრავალფეროვნება;
- ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, გამარტივებას და მხარდაჭერას მოითხოვს სოციალური მეწარმეობის დაფინანსების სქემები ეროვნული ვალუტის კურსის რისკების გათვალისწინებით.

ლიტერატურა:

1. Strasburg Declaration, 2014 Jan., http://ec.europa.eu/internal_ market/social_ business/index_en.htm, 04.07.2016;
2. Bibu Nicolae, Orhi Loredana, Social Entrepreneurship in the Context of Romania's European Integration, http://ec.europa.eu/enterprise/entrepreneurship/coop/index.htm; 04.07.2016. pp. 77-82;
3. Marek Jetmar, Social Entrepreneurship: Challenge not only for Developing Countries but for The EU, CBU International Conference on Integration and Innovation in Science and Education, April, 7-14, 2013, Prague, Czech Republic, pp. 41-49, www.cbuni.cz; OJS.JOURNALS.CZ;
4. Rafal Kusa, Social Entrepreneurship in Poland. A Preliminary Comparisons of Research Approaches, Advance Research in Scientific Areas, 2012, December, 3.-7. 2012, http://www.arsa-conf.com; pp. 94-97;
5. Ucieklak-Jez Paulina, Kulesza Marek, The Development of the Social Entrepreneurship in Poland; http://www.ef.umb.sk/konferencie/sev_2014/pdf/Ucieklak-Jez,%20Kulesza.pdf; accessed March 11, 2014);
6. Eva Pongracz, Education as a Key Factor for the Development of Social Entrepreneurship. 15 September, 2014, 13th International Academic Conference, Antibes, ISBN 978-80-87927-0502,IISES, pp. 415- 421;
7. Visegrad Youth, Comparative Review of the situation of Young People in the V4 Counties, The research was funded by the partnership between the European Commission and Council of Europe in the field of youth; file:///C:/Users/eka/Downloads/Zpr%C3%A1va%20o%20ml%C3%A1de%C5%BEi%20Visegr%C3%A1dsk%C3%A9%20skupiny%20(1).pdf;

8. The State of Social Entrepreneurship in Hungary, SEFORIS Country Report, Nicole Etchart, Anna Horvath, Andreja Rosandic and Andrea Spitalszky, April, 2014; https://static1.squarespace.com/static/56d2eebbb654f9329ddbd20e/t/5773e69ad2b857ac04f54c38/1467213468259/Country_Report_Hungary.pdf;
10. NESsT. 2013. "Country Profile: Hungary." http://www.nesst.org/wpcontent/uploads/2013/08/2013-Country-Profile-Hungary-EN.pdf; (accessed March 23, 2014)

Current Issues of Social Entrepreneurship Development in Visegrad Countries

Eka Lekashvili

Associate Professor, Academic Doctor of Economics
Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
eka.lekashvili@tsu.ge

The paper deals with the issues of social entrepreneurship, which represent the starting point for social development in a number of countries and regions. It is a subject of heated social debates, which is considered to be the major way for solving social problems. Therefore, development levels of social economy and social business differ.

The study covers three main issues: 1. The European experience of social entrepreneurship; 2. Social Entrepreneurship challenges in Visegrad countries; and 3. The European experience for Georgia.

The recommendations developed based on the outcomes of studying the experience of Visegrad countries in social entrepreneurship should be directed towards encouraging development of entrepreneurship in this direction; in particular:

● the environment which ensures promotion of the development, simplification of financing and proper management of social entrepreneurship should be created through development of legislative framework for regulating social entrepreneurship;

● it is expedient to clearly define definite economic and social criteria for the assessment of social enterprise. This will promote identification of social entrepreneurship;

● it is desirable to diversify legal forms and instruments of a social enterprise according to its mission, capacities and performance;

● for increasing the efficiency of social entrepreneurship, simplification and encouraging of social entrepreneurship funding schemes are needed taking into consideration the exchange rate risks of national currency.

Keywords: Social entrepreneurship, social enterprise, social economy
JEL Codes: L25, L32, Z13

ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1, გვ. 39-48
ECONOMICS AND BUSINESS, 2017, 1, pp. 39-48

ლარის კურსზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი

დიმიტრი ჯავახაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დოქტორანტი
dimitrijavakhadze@yahoo.de

ეროვნული ვალუტის გაცვლითმა კურსმა 2016 წელს ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და გაუფასურებათა რეკორდების სერიალი მოაწყო, რომელსაც შეგვიძლია რეკორდების მწვანე კვირეულები ვუწოდოთ. შესაბამისად, ის ბოლო პერიოდში ყველაზე აქტუალურ ეკონომიკურ საკითხთა შორისაა მოექცეული.

სტატიაში განხილულია ეროვნული ვალუტის აშშ დოლართან ნომინალურ გაცვლით კურსზე მოქმედი, ადგილობრივი თუ გლობალური ფაქტორები და მათი გავლენა კურისის მნიშვნელოვან ცვლილებებზე, როგორც მოკლევადიან, ასევე საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში. გაანალიზებულია გაუფასურებითა თუ გამყარებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ცვლილებები და მიმოხილულია ეროვნული ბანკის პოლიტიკა ლართან მიმართებით.

საკვანძო სიტყვები: *ლარის გაცვლითი კურსი; ლარის კურსზე მოქმდი ფაქტორები; კურსის ცვლილებათა ანალიზი; ეროვნული ბანკის პოლიტიკა; ლარიზაცია.*

ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორები

ლარის გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორები შეგვიძლია დავყოთ მოკლევადიან, საშუალო და გრძელვადიან ფაქტორებად. მოკლევადიან პერიოდში ძირითადად ფსიქოლოგიური ფაქტორები თამაშობს მთავარ როლს, როგორიცაა: განწყობები, მოლოდინები, სხვადასხვა ტიპის ინფორმაციები, ჯგუფური ქცევები, სეზონური ფაქტორები, მსხვილი სავალუტო ტრანზაქციები, სპეკულაციები, საერთაშორისო ბაზარზე კურსის ცვლილებები და ა.შ. საშუალო და გრძელვადიან პერიოდში გაცვლით კურსზე ფუნდამენტური ფაქტორები, მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და მათი ტენდენცია ახდენს გავლენას. ზოგადი ანალიზის გასაკეთებლად ფუნდამენტურ ფაქტორებს განვიხილავთ, რაც არა-

მარტო შიგა, არამედ გლობალურად მიმდინარე ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პროცესებსაც მოიცავს.

ფისკალური პოლიტიკა. ცნობილია, რომ ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს მთავრობის გადაწყვეტილებებს გადასახადებსა და სამთავრობო დანახარჯებზე. ფისკალური პოლიტიკა ძირითადად ერთობლივ მოთხოვნაზეა ორიენტირებული და მასზე ზემოქმედებს პირდაპირი და არაპირდაპირი არხების საშუალებით. ბიუჯეტის ფორმირებისას გასათვალისწინებელია დეფიციტის შესაძლო გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე, რადგან ბიუჯეტის დიდი დეფიციტის პირობებში ეროვნული ბანკის რესურსებით შეუძლებელი იქნება ერთობლივი მოთხოვნის შებოჭვა და ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევა. ფისკალურ პოლიტიკას ვალუტის გაცვლით კურსზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, თუმცა, იმის თქმა, რომ ბიუჯეტის ხარჯვის გააქტიურება მყისიერ ეფექტს ახდენს ლარის გაუფასურებაზე, საფუძველს მოკლებულია. მაგალითად : 2014 წლის სამ კვარტალში ბიუჯეტიდან დაიხარჯა 565 მლნ ლარით ნაკლები, ვიდრე გასულ წელს, შედეგად ლარი უნდა გამყარებულიყო, თუმცა, ლარის მნიშვნელოვანი გაუფასურების ეტაპი დაიწყო, ამიტომ ბუნებრივია, მიზეზები სხვა ფაქტორებში ვეძებოთ. ზოგადად დეფიციტისა და ხარჯების შემცირება, ასევე გადასახადების ზრდა კურსის გამყარებას უწყობს ხელს, ცნობილია, რომ პარლამენტმა ბიუჯეტთან თანდართულ საგადასახადო ცვლილებათა პაკეტს მხარი დაუჭირა, რის საფუძველზეც მთავრობა 2017 წელს 518 მლნ-ის მობილიზებას გეგმავს, პაკეტი მოიცავს სააქციზო გადასახადებს თამბაქოსა და საწვავზე, ასევე ტოტალიზატორის ელფორმით მოწყობისა და 40 ათასზე მეტი შემოსავლის მქონე პირების ქონების გადასახადებს. ასევე ლიბერალურ ნაწილს ე.წ. მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახით, საიდანაც დაახლოებით 300 მლნ ლარი უნდა დარჩეს ბიზნესში.

მონეტარული პოლიტიკა. სებ-ის მონეტარული პოლიტიკა მისდევს ინფლაციის არგეთირების პოლიტიკას და მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი 2016 წლისათვის 5 %, 2017 წლისათვის - 4 %, ხოლო 2018 წლისათვის კი - 3 %-ს შეადგენს. ეროვნული ბანკის ამოცანა ფასების სტაბილურობაა, რასაც უზრუნველყოფს ინფლაციის მაჩვენებლის პროგნოზირება. ინფლაციის დონის მიზნობრივ მაჩვენებელზე შესანარჩუნებლად სებ-ი იყენებს მოკლევადიან ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტებს, როგორიცაა რეფინანსირების სესხები, სადეპოზიტო სერთიფიკატების აუქციონები, ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები და მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები. დღეისათვის განაკვეთი რეფინანსირების სეხებზე 6.5 %-ს შეადგენს,ხოლო სარეზერვო მოთხოვნები მოზიდული სახსრებისთვის ლარში 7%, დოლარში კი 20%-ია.

2016 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ფულის მასა (M2) გაიზარდა 2.2 მლნ ლარით, ხოლო ეროვნული ვალუტა მიმოქცევში 99 მლნ ლარით - (4.2 %-ით გაიზარდა. დეპოზიტების დოლარიზაციის

მაჩვენებელი 2015 წლის 61 %-დან 66.1 %-მდე, ხოლო სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელი 60.8 %-დან 63.9 %-მდე გაიზარდა.

სებ-მა სავალუტო ბაზარზე 2016 წლის მარტიდან ივნისამდე 300 მლნ აშშ დოლარამდე შეიძინა, რითაც შეეცადა გარკვეულწილად ფულად-სავალუტო რესურსები შეევსო და ამასთანავე ლარს ეტაპობრივ გამყარებაში დახმარებოდა. თუმცა წლის ბოლოს 200 მლნ-ზე მეტი გაასხვისა, ინტერვენციისკენ ბიძგი ერთჯერადი ფაქტორებით გამოწვეული მერყეობებით აიხსნა, კერძოდ თიბისი -ისა და ბანკი რესპუბლიკას შორის გარიგება და მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების ფაქტორი.

2016 წლის 6 დეკემბერს სებ-მა გამოაქვეყნა ლარიზაციის ღონისძიებათა გეგმა, რომლის ძირითადი მიზნები: ლარის გრძელვადიანი სესხების ხელმისაწვდომობის ზრდა და სავალუტო რისკების ადეკვატური გადანაწილებაა. შესაბამისად, ის აპირებს სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებას და ბაზელ III-ის შემოღებას (შესაბამისი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი), სადაც უპირატესობა ლარს ექნება, იგეგმება მაღალი ლიკვიდურობის მქონე ფასიანი (ე.წ. «ბენჩმარკ») ქაღალდები გამოშვება და საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის შედეგად მცირე ზომის სესხები (100 ათას ლარამდე 2017 წლიდან და 200 ათას ლარამდე 2018 წლიდან) გაიცემა მხოლოდ ეროვნული ვალუტით.

მთავრობა სებ-თან ერთად, ხელს შეუწყობს 2015 წლის 1 იანვრამდე გაცემული სესხების გალარებას გაცვლითი კურსის გაუფასურებით ყველაზე მეტად დაზარალებულთათვის, რისთვისაც დაგეგმილია ბიუჯეტიდან 65 მლნ ლარის გამოყოფა, ასევე დაგეგმილია საპენსიო რეფორმის განხორციელებაც, რაც გაიზრდის მოთხოვნას გრძელვადიან ინსტრუმენტებზე და განაპირობებს ლარის გრძელვადიანი რესურსის ზრდას, ასევე 2017 წლის 1 ივლისიდან ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების ფასის გამოქვეყნება სავალდებულო იქნება ლარით, მათ შორის უძრავი ქონების, რისთვისაც კომერციულ ბანკებში დაინერგება უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის დაცული მომსახურება - ე.წ. «escrow» მომსახურება. ამ გადაწყვეტილებების დადებითი თუ უარყოფითი მხარები მოგვიანებით გამოვლინდება.

ეკონომიკური ზრდა და ექსპორტ/იმპორტის დინამიკა. ეკონომიკური აქტივობა ლარის კურსის ასევე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია. 2015 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 2.8% შეადგინა. 2016 წელს არსებობდა ყველანაირი წინაპირობა, რომ ზრდას 6% ყოფილიყო, თუმცა, III კვარტლის მონაცემებით, მშპ 8749,1 მლნ. ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით მხოლოდ 2.3 % ით მეტია. მსოფლიო ბანკის პროგნოზით ეკონომიკური ზრდა 2017-ში 4,5, ხოლო 2018-ში 5%-ს მიაღწევს. ეს ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი ზრდაა, რისი შედეგიც იმპორტზე გაზრდილი მოთხოვნაა, რაც სხვა არაფერია, თუ არა მოთხოვნის ზრდა უცხოურ ვალუტაზე. 2016 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრო-

ბის გარეშე) 10830 მლნ. $ შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 22%-ით მეტია, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი კი 6991 მლნ $ -ია, რაც 0.5%-ით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ფულადი გზავნილები. ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 2016 წლის იანვარ-ნოემბერში უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების სახით 1.032 მლრდ $ შემოვიდა, რაც წინა წელთან შედარებით 5.5%-ით მეტია. ფულადი გზავნილების ზრდა თურქეთიდან, აშშ-დან, ისრაელიდან და საბერძნეთიდან შემომავალი გზავნილების ზრდას უკავშირდება, თუმცა რუსეთი 11%-იანი კლების მიუხედავად, რეიტინგში პირველ ადგილზე რჩება.

2016 წლის მანძილზე საქართველოდან უცხოეთში $175 მლნ გადაირიცხა, რაც წინა წელთან შედარებით 14.8%-ით მეტია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი). ფულად გზავნილებთან ერთად უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ პუი-ებზე უნდა მოდიოდეს, რომელიც არა მხოლოდ ვალუტის შემომტანია, არამედ, ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს, რაც, თავის მხრივ, ლარზე მოთხოვნას ზრდის. საქართველოში პუი-ების მოცულობა ჯამში 2016 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემებით, გასული წლისას 5%-ით აღემატება და 1298 მლნ $ შეადგენს.

მთლიანი საგარეო ვალი. საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა, 2016 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 15.1 მლრდ დოლარი (35.3 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ 108.7 %-ია; 2016 წლის მეორე კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 413.7 მლნ დოლარით გაიზარდა, აქედან, ოპერაციული ცვლილებების გამო ვალის ზრდამ 386.7 მლნ დოლარი შეადგინა. საგარეო ვალების გასტუმრებისთვის საჭიროა უცხოური ვალუტა, მასზე გაზრდილი მოთხოვნა კი გაუფასურების ხელშემწყობია.

დეპოზიტები. კომერციულ ბანკებში ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ვადიანი დეპოზიტების წილი შემცირებულია - 2015 წელს ის 20 მლნ-ით მეტი იყო, 2016 წლის 11 თვის მონაცემებით 18 მლნ-ის ფარგლებშია. გაზრდილია მოთხოვნამდე დეპოზიტების წილი 9-დან და 12 მლნ ლარამდე, ხოლო მიმდინარე ანგარიშებზე თანაბარი მდგომარეობაა და ის 27 მლნ ფარგლებში მერყეობს. ჯამში 2015 წელს დეპოზიტებზე 56, 4 მლნ ლარი იყო 2016 წელს 55 მლნ-ს არ აღემატება. ლარში დეპოზიტებზე საშუალოწლიური განაკვეთი 9%-ია, ერთი წლის წინ 7.2% იყო. უცხოურ ვალუტაში კი წინა წლის მონაცემებთან შედარებით 2016 წლის 11 თვის მონაცემებით, 59 მლნ $-დან წელს 71,2 მლნ $ მდეა გაზრდილი. ბოლო თვეების ტენდენციები იმაზე მეტყველებს, რომ მეანაბრეები ფულის შენახვას დოლარში ამჯობინებენ, რაც ეროვნული ვალუტისადმი გრძელვადიანი უნდობლობის გამოცხადებას ნიშნავს და მოკლე პანიკური რყევებისთვისაც, ვფიქრობ, კატალიზატორის როლში შეიძლება მოგვევლინოს.

ტურიზმი. ტურიზმი ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა და ტურისტების რაოდენობის ზრდა, როგორც წესი, ზრდის უცხოურ სავალუტო ნაკადს. ამდენად, ამ მხრივ არსებული ტენდენციაც ლარის სტაბილურობის ხელშემწყობია. 2015 წლის იანვარ-ოქტომბერში ქვეყანაში 1 932 492 ტურისტი შემოვიდა, რაც 2014 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის 10%-ით მეტია. 2016 წლის ათი თვის ჯამური მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 5,406,188 შეადგინა, რაც 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 8.1%-ით მეტია.

გლობალური ფაქტორები. გარდა შიგა ფაქტორებისა, ლარის კურსზე დოლარის მიმართ აისახება გლობალური ტენდენციებიც. ცნობილია, რომ აშშ-ი ხორციელდება ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკიდან მკაცრ მონეტარულ პოლიტიკაზე გადასვლა. ქვეყნის ახალი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის სურვილს რომ «იაფი ფულის ხანა» დასრულდეს, აშშ-ის ფედერალურმა რეზერვმა მხარი დაუჭირა და საპროცენტო განაკვეთი 0.25%-ით გაზარდა, რაც სავალუტო ბაზარზე მყისიერად აისახა. საპროცენტო განაკვეთის გაძვირება რეალურად ნიშნავს, რომ კრედიტები და დოლარი გაძვირდება აშშ-ში, მეტიც, დაგეგმილია, რომ 2017 წელს კიდევ ორჯერ გაზრდიან ამ განაკვეთს, ხოლო 2018 წელს 3%-მდე აიყვანენ. ამ ღონისძიებით ამერიკული დოლარი გახდება ძვირადღირებული ვალუტა, რაც სავალუტო ბაზარს უკვე დაეტყო - ევრო ისტორიულ მინიმუმზეა - 1.04 , ასევე საინტერესოა ამერიკული საინვესტიციო ბანკის Goldman Sachs-ის პროგნოზი, რომელიც ვარაუდობს, რომ 2017 წლის განმავლობაში დოლარი გამყარდება და 1 ევრო 95 ცენტს გაუტოლდება.

აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დოლარის საგრძნობი გამყარება აშშ-ში წარმოებულ საქონელს აძვირებს და ეს მის საგარეო ვაჭრობის სალდოზე უარყოფითად აისახება, ასევე ეკონომიკურ ზრდის ტენდენციაშიც უარყოფით როლს ითამაშებს . 2016 ივნისამდე 2015 წლის ივნისთან შედარებით, ლარი დოლართან მიმართებით 8.7%-ით გამყარდა. თუმცა, მოგვიანებით 23 ივნისის ბრიტანულმა ბრექსიტმა გამყარებული ლარის გაუფასურებაზე სწრაფად იმოქმედა, ფუნტმა სანდოობა სავალუტო ბაზრებზე დაკარგა და მისი მყარი ალტერნატივა ამერიკული დოლარი აღმოჩნდა, გაიზარდა მოთხოვნა დოლარზე და 2,12-დან უცებ 2,37 ნიშნულამდე აიყვანა, თვით ბრიტანული ფუნტის კურსი რეკორდულად დაეცა.

ლარის კურსის დინამიკის ანალიზი

ლარის კურსის ცვლილების დინამიკა წლების განმავლობაში სხვადასხვაგვარი იყო. ცნობილია, რომ 1995-დან 1998 წლამდე ლარს ფიქსირებული კურსი გააჩნდა დოლართან დაის 1.3 შეადგენდა. გაუფასურება 1998 წლის დეკემბრიდან დაიწყო და 1999 წლის 23 თებერვალს 1 დოლარის ფასმა მაქსიმალურ ნიშ-

ნულს – 2.45 ლარს მიაღწია. 1998 წელს ლარის დევალვაცია რუსეთში დაწყებულმა ფინანსურმა კრიზისმა გამოიწვია, რადგან ამ ქვეყანაზე იყო მიბმული სამომხმარებლო და საექსპორტო ბაზრები. ეროვნულმა ბანკმა მოახდინა მყისიერი ინტერვენციები და ლარი დაუბრუნდა ძველ ნიშნულს.

2000 წლიდან 2003 წლამდე ლარის კურსი დოლართან მიმართებით 1.98-დან 2.24-მდე მაჩვენებელზე მერყეობდა, ხოლო მკვეთრი გამყარება 2004 წლიდან დაიწყო და 2008 წლის დასაწყისამდე გაგრძელდა. კერძოდ, კურსი 1.82-დან 1.39-მდე ჩამოვიდა. ამ პერიოდში ლარის გამყარება განხორციელებულ ეკონომიკურ რეფორმებს უკავშირდება, 2007 წელს 2 მლდ. პუი შემოვიდა და ეკონომიკა 12%-ით გაიზარდა.

ექსპერტების შეფასებით, 2008 წელს ლარის კურსის ვარდნა რუსეთ-საქართველოს ომმა და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა განაპირობა, შეიზღუდა ინვესტიციებისა და ფულადი გზავნილების შემოდინება, ეროვნულმა ბანკმა კი კურსის შესანარჩუნებლად სავალუტო რეზერვების 20 % დახარჯა. თუმცა, ლარი მკვეთრად 2008 წლის ნოემბერში გაუფასურდა, როცა 7 ნოემბერს 1 დოლარის ფასი 1.42-დან 1.66 ლარამდე გაიზარდა, მოგვიანებით ამ დღეს „შავი პარასკევი“ ეწოდა.[1.გვ. 145] 2008 წლის 22 ოქტომბერს მსოფლიო ბანკის ეგიდით შედგა საერთაშორისო კონფერენცია და გადაწყდა საქართველოსთვის 4.55 მლდ. $ [1.გვ 146.147] გამოყოფა, რაც მოგვიანებით კრიზისის დაძლევის საშუალება გახდა. 2009 წლიდან სავალუტო ბაზარმა ბლუმბერგის საერთაშორისო ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში გადაინაცვლა, ლარის კურსი კი დოლართან მიმართებით 1.67-ზე დაფიქსირდა, 2010 წელს 1.77-მდე გაიზარდა, ხოლო 2011 წლის დასაწყისში კი 2003 წლის შემდეგ მაქსიმალურ ნიშნულს – 1.80-ს მიაღწია, რაც იმავე წლის ბოლოს 1.67-მდე შემცირდა და იგივე კურსი შენარჩუნდა 2012 წელსაც. 2013 წელს 1 დოლარის ფასმა 1.73 ლარი შეადგინა. ეროვნული ვალუტის გაუფასურება ეკონომიკაში 2015 წლის მთავარი მოვლენა იყო, რაც 2016- შიც გაგრძელდა და ისტორიული რეკორდები დაამყარა. მისი გაუფასურება ჯერ კიდევ 2014 წლის შემოდგომაზე დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ლარის კურსის გაუფასურების საწყის ეტაპზე მთავრობა სებ-ისაგან ითხოვდა მონეტარული ბერკეტების გამოყენებას, სებდი კი თავის მხრივ შემოსული ვალუტის შემცირებულ მაჩვენებლებზე ამახვილებდა ყურადღებას, რაზეც პასუხისმგებლობასაც ხელისუფლებას აკისრებდა და სავალუტო ბაზარზე ჩარევის ბერკეტების გამოყენებაზე უარი განაცხადა. მიზეზად, სავალუტო რეზერვების განიავება და გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის უარყოფითი მხარეები დაასახელა. ურთიერთბრალდებების ფონზე ლარი გაუფასურებას განაგრძობდა. 2015 წელს ლარმა გაუფასურების პიკს სექტემბრის ბოლოს მიაღწია და 1$ 2,44 ლ. გახდა. 2014 წლის ნოემბრიდან, 1 წლის პერიოდში, სებ-მა ჯამში 347 მლნ $ გაყიდა, ინტერვენციებს, სამწუხაროდ, შედეგი არ მოჰყოლია. 2015 თებერვლიდან (4%) სექტემბრამდე რეფინანსირების განაკვეთი 8 %-მდე გაიზარ-

და. ვალუტის გაუფასურებას ჰქონდა როგორც შიგა, ასევე გარე ფაქტორებით გამოწვეული მიზეზები. ლარის კურსის ცვლილებათა ანალიზისათვის საინტერესო იქნება 2000 წლიდან მოყოლებული 4 პერიოდის გამოყოფა, ესენია: 2003 -2004; 2007-2008 და 2014-2016 წლები, ასევე 2016 წლის I, II და III კვარტალი. როდესაც ლარმა განიცადა როგორც გაუფასურება, ასევე გამყარება და IV კვ, რომელსაც გაუფასურების რეკორდების მწვანე კვირეულები ვუწოდე. აგრეთვე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის ფაქტორები, რაც აღნიშნულ პროცესებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. აღნიშნული ანალიზი გავაკეთეთ დიაგრამის სახით და ამ ოთხი პერიოდის განმავლობაში თვალსაჩინო გახდა მოქმედი ფაქტორების მაჩვენებლები, როგორიცაა - საგარეო ვაჭრობა, ფულადი გზავნილები, შემოსავლები ტურიზმიდან, პუი-ები, დეპოზიტების მაჩვენებლები, სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო და მათი კავშირი ლარის კურსის ცვლილებებთან. თუმცა, რთულია ზუსტად დაასახელო ყველა ის ფაქტორი, რამაც ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის თვეში გაუფასურების „მწვანე კვირეულები" მოაწყვეს, ეს, ალბათ, მაინც მოკლევადიანი ფაქტორების ჭრილით უნდა განვიხილოთ და ყველაზე დიდ კატალიზატორად, სხვა ფაქტორებთან ერთად, ჯგუფურ ქცევას მივაწეროთ, რადგან შეიქმნა პანიკური მოლოდინი იმისა, რომ ლარი იმაზე მეტად გაუფასურდებოდა, ვიდრე ამას მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გვკარნახობდა, შედეგად მივიღეთ ლარის არამხოლოდ ყოველდღიური, არამედ საათობრივი და წუთობრივი გაუფასურება.

ლარის კურსის ცვლილებები [8]



	2003	2004	2007	2008	2014	2016
მინიმალური	2.045	1.7	1.5915	1.396	1.7241	2.1272
საშუალო	2.1453	1.9156	1.6699	1.4904	1.7666	2.4559
მაქსიმალური	2.2275	2.14	1.7199	1.668	1.9527	2.7846

ლარის კურსზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი [14]



	2003	2004	2007	2008	2009	2014	2015	2016
საგ.ვაჭრ. $	-745	-1197	-3980	-4806	-3367	-5735	-5525	-6991
უცხ.ინვესტიციები $	340.1	499.8	2014.8	1564	658.4	1758.4	1351.1	1298
ტურიზმი	147.079	176.598	383.746	446.646	475.889	1787.1	1935.9	2090
ფულადი გზავნ.	129.5	211.3	866.1	1002.1	841.8	1440.8	1080	1032
სახ. ბიუჯეტი ლარში სალდო	17.7	300.7	403.6	-37	-450.3	-44.9	12.5	0.12

დასკვნა

ლარის გაუფასურების ძირითადი მიზეზი საქართველოში შემომავალი დოლარის ნაკადების შემცირებაა. აღსანიშნავია ისიც, რომ გარდა მსხვილი იმპორტირებული საქონლისა, როგორიცაა ელტექნიკა, ავტომობილი და ასევე ნავთობპროდუქტები, ძირითად სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნება მოხერხდა, რადგან ამ პროდუქტების ძირითად იმპორტიორ ქვეყნებშიც მოხდა ეროვნული ვალუტის გაუფასურება დოლართან, ხოლო ადგილობრივი წარმოების პროდუქტების ფასებზე ეს არ ასახულა, თუმცა, 2017 წელს უნდა ველოდოთ ფასების ზრდას, რადგან იზრდება აქციზისს გადასახდი ნავთობპროდუქტებზე და ეს ყველა პროდუქტზე მეტნაკლებად ფასის ზრდას გამოიწვევს. ვაჭრობის გარდა, დოლარის მნიშვნელოვანი წყარო ტურიზმი, ფულადი გზავნილები, ინვესტიციები და სესხებია. ფულადი გზავნილები ისევ მცირდება, თუმცა, იმედისმომცემად იზრდება ტურისტების რაოდენობა, რომელმაც 2016 წელს რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

ლარის მასის ზრდა კურსის გაუფასურების გამომწვევი ფაქტორი არ ყოფილა, მაგრამ მასზე ზემოქმედებით ეროვნულ ბანკს შეუძლია, კურსის სტაბილურობას ხელი შეუწყოს. ლარის მასა დაახლოებით 7%-ით გაიზარდა. გაზრდილი ლარიზაციის პირობებში ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა იქნება უფრო ეფექტიანი, რაც აუცილებელი წინაპირობაა ეკონომიკური სტაბილურობისათვის. ეროვნულ ბანკს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ გაითვალისწინოს სავა-

ლუტო ფონდის რეკომენდაციები მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებთან დაკავშირებით და გაზარდოს ლარის წილი სავალდებულო რეზერვებში.

საქართველოს ბიუჯეტი ძირითადად სოციალურ საკითხებზეა ორიენტირებული, რაც ეკონომიკური ზრდის ნაკლებად ხელშეწყობით, ბიუჯეტის დეფიციტის და სახელმწიფო ვალის ზრდით გამოიხატა. პერიოდულად, ბიუჯეტს უარყოფითი გავლენა აქვს ლარის კურსზე. ანალიზმა გვიჩვენა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი 2008, 2009 და 2014 წლებში დეფიციტური იყო. ასევე უარყოფითი ბალანსი გვაქვს მუდმივად საგარეო ვაჭრობაში, პუი-ც კლების ტენდენციით ხასიათდება. მნიშვნელოვანია, მეტი ყურადღება დაეთმოს ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობას და ეკონომიკის რეალური სექტორის გააქტიურებას, რაც გამოიწვევს ადგილობრივ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდას. მაგრამ, როცა ეკონომიკა 3 %-ით იზრდება, რასაც დიდი ვერაფერი შედეგი მოაქვს სტაბილურობისთვის, როცა ანაბრების ნაწილში დოლარიზაციის მაჩვენებელი იზრდება და ამერიკული სარეზერვო ბანკები სესხების განაკვეთებს აძვირებს, კომერციულები კი - გამყარებას ვარაუდობენ, ვფიქრობ, მაინც რთულია ლარის კურსის მომავალი დინამიკის გათვლა. ისტორია კი ცხადყოფს, რომ ლარს სწრაფი და მასშტაბური გაუფასურების პერიოდები ჰქონდა 1998, 2001-2003, 2008-2010 და 2014-2016 წლებში, ხოლო გამყარებას, როგორც წესი, გრძელვადიან პერიოდში ეტაპობრივად ახდენდა 2004-2008 და 2016 წლის მეორე კვარტალში, თუმცა, საწყის ნიშნულს არასოდეს დაბრუნებია.

ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია ეროვნული ბანკისა და მთავრობის მჭიდრო თანამშრომლობა ქვეყნის მდგრადი მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

ლიტერატურა:

1. ვლადიმერ (ლადო) პაპავა., საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ფსევდორეფორმები, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2015.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი - https://www.nbg.gov.ge/index.php?m=327
3. ეკონომიკური მიმოხილვა, მაისი 2016 წელი - http://www.mof.ge/images/File/BROSHURA/2016/BROSHURA_05.pdf
4. „ლარის გაუფასურების ანატომია“ - http://bfm.ge/finansebi/laris-gaufasurebis-anatomia/
5. http://www.geostat.ge
6. http://www.handelsblatt.com/finanzen/maerkte/devisen-rohstoffe/prognose-von-goldmansachs-der-euro-rutscht-bis-2017-auf-95-us-cent-ab/12868388.html
7. http://www.goldmansachs.com/our-thinking/macroeconomic-insights/brexit/index.html.

8. ბიზნეს პორტალი www.Lazi.ge
9. https://www.nbg.gov.ge/uploads/inflationreport/2016/IR მონეტარული პოლიტიკის ანგარიში 11.2016.
10. ლარის კურსი პერიოდების მიხედვით. http://www.lari.ge/index.php?do=currency/chart&code=USD
11. 2016 წლის ვიზიტორების რაოდენობა http://factcheck.ge/article/2016-tslis-samthveshisaerthashoriso-vizitorebis-raodenoba-14-7-ith-gaizarda/ ///
12. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FDI_2016Q3-GEO-with%20cover.pdf
13. http://agora.ge/new/10677-II-kvartalshi-saqartvelos-mtliani-sagareo-vali საგარეო ვალი.
14. https://www.nbg.gov.ge/
15. ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები.

Analysis of the Factors Affecting the Exchange Rate of Lari

Dimitri Javakhadze
Doctoral student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
dimitrijavakhadze@yahoo.de

The exchange rate of currencies represents a relative value of various countries currencies, that is determined by supply and demand at the currency market in the conditions of floating exchange rate regime.

The exchange rate of national currency had been and remains an important economic issue, it's an important economic parameter of the country and special interest in it is created by speculative interests of economic agents. Since its introduction Lari has undergone periods of its appreciation and depreciation; it is difficult to show all of the factors that negatively affect the GEL exchange rate, although it is possible to identify the main factors.

What kind of factors they are, what kind of impact they can have on the nominal exchange rate of lari and whether it is possible to regulate them, these issues are constantly in discussion.

The article deals with the factors affecting the exchange rate of national currency against U.S. dollar, analyzes and discusses the significant changes due to its appreciation and depreciation; there is also discussed the National Bank's policy with regard to Lari.

Key Words: Exchange rate, factors, national currency, lari

ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1, გვ. 49-61
ECONOMICS AND BUSINESS, 2017, 1, pp. 49-61

მიკროეკონომიკა ✧ მაკროეკონომიკა ✧ ეკონომეტრიკა
MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

დანაზოგებისა და ინვესტიციების ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებები საქართველოში

ავთანდილ ჩუთლაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის
პროფესორი
avtandil.chutlashvili@tsu.ge

სტატიის ძირითადი მიზანია: პირველი, მსოფლიო დანაზოგების მოცულობის დინამიკისა და არეალის ცვალებადობის განხილვა-ანალიზი; მეორე, საქართველოს დანაზოგების საინვესტიციო პოტენციალის შესწავლა და იმ თავისებურებების დადგენა, რომელიც მის ეკონომიკურ განვითარებას ახასიათებს; მესამე, ალტერნატიული ინვესტირების როგორც ფინანსური ბაზრის ინსტიტუციონალური განვითარების, ერთ-ერთი მიმართულების მნიშვნელობის წარმოჩენა.

საკვანძო სიტყვები: *დანაზოგები; შემოსავლები, ხარჯები; დეპოზიტები; ალტერნატიული ინვესტიციები; ფინანსური ბაზარი.*

დანაზოგების სტრუქტურა და ბალანსი

ეროვნული ეკონომიკის მრავალი პრობლემის გადაწყვეტაში დანაზოგებსა და ინვესტიციებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. როგორც წესი, ამ საკითხების განხილვისას გარე სამყაროს მიმართავენ, რადგანაც მიაჩნიათ, რომ კაპიტალისა და ინვესტიციების ძირითადი წყაროები სწორედ იქაა.

გლობალური ფინანსური ბაზრის სწრაფმა განვითარებამ ჩამოაყალიბა ისეთი პირობები, რომ კომერციულ სტრუქტურებს შეუძლიათ გამოიყენონ არა მარტო ადგილობრივი, არამედ მთელი მსოფლიოს დანაზოგები. შედეგად, შესაძლებელი გახდა ვიფიქროთ გლობალური პროექტების განხორციელებაზე (*ვთქვათ, მოგზაურობა სხვა პლანეტებზე, კოსმოსური ზონდის გაგზავნა სხვა გალაქტიკაში და ა. შ.*).

აღსანიშნავია, რომ კაცობრიობის არა მხოლოდ უახლესმა ისტორიამ აჩვენა, რომ ბევრი ქვეყანა წარმატებით იყენებს გარე დანაზოგებს საკუთარი ეკონომიკის განვითარებისათვის. კერძოდ, აშშ დიდი ხნის განმავლობაში საკუთარი ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვას და ეკონომიკურ ზრდას, მეტწილად, უცხოური დანაზოგების მეშვეობით ახერხებს.

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში მსოფლიო მთლიანი შიგა პროდუქტი (**მშპ**) მნიშვნელოვნად გაიზარდა. მსოფლიო ბანკის მონაცემების [3] მიხედვით, იგი 2015 წელს, 1997 წელთან შედარებით, 2.4-ჯერ გაიზარდა და 73.9 ტრლნ დოლარს მიაღწია. ასევე გაიზარდა მშპ ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით. კერძოდ, აშშ-ში – 2.1-ჯერ, ჩინეთში – 11.4-ჯერ, ევროზონაში – 1.7-ჯერ, ევროპასა და ცენტრალურ აზიაში – 1.9-ჯერ, საქართველოში – 3.9-ჯერ. იგივე შეიძლებოდა გვეფიქრა დაგროვებაზეც, მაგრამ ბოლოდროინდელმა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა კაპიტალურ დაბანდებათა მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ დანაზოგებთან დაკავშირებული პარამეტრები მკვეთრ ცვლილებებს არ განიცდის. კერძოდ, თუ დანაზოგების ნორმა (Gross Saving) მსოფლიოში 1997 წელს 24%-ს უდრიდა, 2015 წლისათვის იგი მხოლოდ 1 %-ით გაიზარდა. ასეთი ტენდენცია განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში ფიქსირდება, რასაც ვერ ვიტყვით განვითარებად ეკონომიკებზე. ასე, მაგალითად, ჩინეთში დანაზოგების ნორმა 39 %-დან (1997 წ.) 49 %-მდე (2015 წ.) გაიზარდა. აბსოლუტურ რიცხვებში უფრო შთამბეჭდავ მონაცემებს ვიღებთ, – დანაზოგების მოცულობა 377.2 მლრდ დოლარიდან 5 357.9 მლრდ დოლარამდე (14.2-ჯერ) გაიზარდა.

ზოგადად, მართებულად მიგვაჩნია ის დასკვნა, რომ განვითარებად **ქვეყნებს, რომლებშიც დაბალია მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მაჩვენებელი, მოძველებული ინფრასტრუქტურა და ამორტიზებული ფიზიკური კაპიტალი გააჩნიათ, დანაზოგების ნორმა უფრო მაღალი უნდა იყოს**, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

რაც შეეხება საქართველოს, აღნიშნული ასპექტით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. კერძოდ, თუ 1997 წელს დანაზოგის ნორმა მხოლოდ 1%-ს შეადგენდა, 2015 წლისათვის მან 21%-ს მიაღწია, ანუ ზრდა თითქმის 4-ჯერადია (3 510 *მლნ-დან* 13 965 *მლნ* დოლარი). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მიღწეული შედეგები არ უნდა ჩაითვალოს ოპტიმალურად, რადგანაც იგი საშუალო მსოფლიო მაჩვენებელზე დაბალია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეტი ყურადღებით შევისწავლოთ საკითხი: დანაზოგი-დაგროვება-ინვესტირება.

2015 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალოთვიურმა ხარჯებმა დაზოგვა/გასესხებაზე 180.5 მლნ ლარი (79.5 მლნ დოლარი), ერთ შინამეურნეობაზე – 177.4 ლარი (78.1 დოლარი), ხოლო ერთ პიროვნებაზე 49.4 ლარი (21.8 დოლარი) შეადგინა [1]. შესაბამისად, ერთი წლის მთლიანი მაჩვენებლები შემ-

დეგია: დაზოგვა/გასესხებაზე მოსახლეობის ხარჯებმა 2 166.0 მლნ ლარი (954.2 მლნ დოლარი), ერთი შინამეურნეობის ხარჯებმა 2 128.8 ლარი (937.8 დოლარი), ხოლო ერთი პერსონის ხარჯებმა 592.8 ლარი (261.1 დოლარი) შეადგინა.

იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას, რას წარმოადგენს ზემოთ მოყვანილი რიცხვები, შევადაროთ იგი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ანალოგიურ (ან მსგავს) მაჩვენებლებს. ასე, მაგალითად, აშშ-ში საშუალოთვიურმა პერსონალურმა დანაზოგმა 2014 წელს 651.2 მლრდ დოლარი შეადგინა [6].

შედარებით უკეთაა მდგომარეობა, თუ შესაბამის მაჩვენებლებს ფარდობითი ჭრილით განვიხილავთ. ასე, მაგალითად, აშშ-ში პერსონალური დანაზოგების ნორმამ 2015 წელს 5.3%, ხოლო ევროკავშირში 10.7% შეადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ში ყველაზე მაღალი პერსონალური დანაზოგების ნორმა 1975 წლის მაისში (17.0%), ხოლო ყველაზე დაბალი – 2005 წლის ივნისში (1.9%) დაფიქსირდა. ევროკავშირში ყველაზე მაღალი პერსონალური დანაზოგების ნორმა 2009 წელს (13.1%) და ყველაზე დაბალი 2015 წელს (9.8%) დაფიქსირდა [10]. რაც შეეხება საქართველოს, პერსონალური დანაზოგების ნორმამ 2015 წელს 17.6% შეადგინა.[1]

საყურადღებოა დანაზოგების საერთო (Gross savings) მოცულობის მიმართება მშპ-თ. ასე, მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, 2014 წელს საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი 20%-ს უდრიდა. აღსანიშნავია, ასევე, რომ ყველაზე მაღალი მაჩვენებლები 2001 და 2004 წლებზე, შესაბამისად 24.0% და 24.9%, ხოლო ყველაზე დაბალი 1997 და 2009 წლებზე (შესაბამისად 0.5% და 1.7%) მოდის [3]. 2014 წელს აშშ-ში დანაზოგების მთლიანი (Gross savings) მოცულობის მიმართება მშპ-თ 18%-ს, ხოლო ევროკავშირში 21%-ს უდრიდა. აშშ-ში, ამ მხრივ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 1973 წელს (23.7%), ხოლო ყველაზე დაბალი – 2009 წელს (14.4%) დაფიქსირდა; ევროკავშირში ყველაზე მაღალი პარამეტრი 1976 წელზე (25.0%) და ყველაზე დაბალი 2009 წელზე (14.4%) მოდის. აღსანიშნავია ასევე, რომ წამყვანი (*პირველი ადგილი*) პოზიცია ამ მიმართულებით – 59.0%-ით კატარს უკავია [5].

ზემოთ განხილული პრობლემების ფონზე, ჩვენი ამოცანაა, დავადგინოთ საქართველოში დანაზოგების ყველა თავისებურება. კერძოდ, გახდა თუ არა იგი მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებელი? თუ ასეა, რომელი წლიდან. გააჩნია თუ არა მას რაიმე მნიშვნელოვანი საინვესტიციო პოტენციალი? თუ კი, როგორია იგი. შესაძლებელია თუ არა მისი გამოყენება ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებისას ან საპენსიო სისტემის რეფორმირებისას (დაგროვებითი საპენსიო სისტემაზე გადასვლა)? შეუძლია თუ არა მას სერიოზული გავლენის მოხდენა ქვეყნის ფინანსურ მაჩვენებლებზე და ა.შ.

1 გაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ყოველივე ამისათვის, კვლევას ვიწყებთ ზემოთ აღნიშნული სამი პარამეტრის (მოსახლეობის, *ერთი შინამეურნეობის და ერთი პერსონის საშუალოთვიური ხარჯები*) ანალიზით (2001-2015 *წწ*), როგორც ხარჯვითი, ასევე შემოსავლების ჭრილით. ჩვენი მიზანია დავადგინოთ, როგორ იცვლება არსებული ინდიკატორები დროში, როდის და როგორ აღწევს იგი თავის ექსტრემუმებს (*მაქსიმალურ და მინიმალურ მაჩვენებლებს*) და ა.შ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს მოსახლეობის, ერთი შინამეურნეობისა და ერთი პიროვნების საშუალოთვიური ხარჯები წარმოდგენილი აქვს სამომხამრებლო (სურსათი, *ტანსაცმელი, განათლება, ტრანსპორტი* და *ა.შ.*) და არასამომხამრებლო ფულადი ხარჯების (სასოფლო-სამეურნეო *ხარჯები, ტრანსფერტები, დაზოგვა ან გასესხება, ქონების შეძენა*) მიხედვით [1].

ამ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ არასამომხამრებლო ფულადი ხარჯების სტრუქტურასა და დინამიკას. მოსახლეობის საშუალოთვიურ არასამომხმარებლო ფულად ხარჯებში 2001/2002§2015 წლების მიხედვით, დაზოგვა/გასესხებას ყველაზე მეტი წილი უკავია. ასე, მაგალითად, მისი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (64.5%) 2015 წელს დაფიქსირდა, ხოლო მინიმალური – (36.0%) 2005 წელს. მეორე პოზიცია უკავია ხარჯებს ქონების შეძენაზე, რომლის პიკი 2002 (28.3%) და 2011 (28.1%) წლებზე, ხოლო მინიმუმი § 2015 (11.5%) წელზე მოდის. მესამე ადგილი ტრანსფერტებზე მოდის, შესაბამისად, მაქსიმალური მაჩვენებელი (24.8%) 2005 წელს იქნა დაფიქსირებული, მინიმალური კი (11.3%) 2002 წელს.

არსებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის საშუალოთვიური ხარჯები დაზოგვა/გასესხებაზე, ბოლო რამდენიმე წელი იზრდებოდა როგორც აბსოლუტური მაჩვენებლების, ასევე წილის მიხედვით. ასე, მაგალითად, თუ 2013 წელს მან 123.3 მლნ ლარი შეადგინა, 2014 წლისთვის იგი 147.6 მლნ ლარამდე (19.7 %) გაიზარდა, ხოლო 2015 წლისათვის 180.5 მლნ ლარს მიაღწია (*წინა წელთან შედარებით ზრდამ* 22.2 % *შეადგინა*). აღნიშნულ პერიოდში ასევე იზრდებოდა არასამომხმარებლო ფულად ხარჯებში დაზოგვა/გასესხების წილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ანალოგიური დინამიკაა ერთი შინამეურნეობისა და ერთი პერსონის საშუალოთვიურ არასამომხმარებლო ფულად ხარჯებში დაზოგვა/გასესხებაზე გაწეულ დაფინანსებაზეც. ორივე იზრდებოდა როგორც აბსოლუტური, ასევე წილის მიხედვით. მათი მაჩვენებლები ემთხვევა ერთმანეთს როგორც წლების, ასევე ზღვრული (მაქსიმუმი/მინიმუმი) პარამეტრების მიხედვით.

ამრიგად, შეიძლება დავსკვნათ, რომ საქართველოს მოსახლეობის ერთი შინამეურნეობისა და მოსახლეობის ერთ სულზე საშუალოთვიური ხარჯები ზრდის ტენდენციით ხასიათდება და **მათ შორის პირდაპირი პროპორციული დამოკიდებულებაა,** ანუ თუ მოსახლეობის საშუალო თვიური ხარ-

ჯები „დაზოგვა/გასესხებაზე“, ვთქვათ პირობითად, 20%-ით გაიზარდა, იგივე მოცულობით იზრდება ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური ხარჯები და ერთი პიროვნების საშუალო თვიური „დაზოგვა/გასესხების“ ხარჯები.

ანალოგიური დამოკიდებულებაა არასამომხმარებლო ფულად ხარჯებსა და საერთო ხარჯებს შორის [1].

საშუალოთვიური ხარჯების სტრუქტურისა და მოძრაობის სპეციფიკის დადგენის შემდეგ, კვლევას ვაგრძელებთ მოსახლეობის საშუალოთვიური, ერთი შინამეურნეობისა და ცალკეული პიროვნების საშუალოთვიური შემოსავლების ანალიზით, ხოლო შემდეგ ხარჯებისა და შემოსავლების დინამიკის შედარების მიმართულებით.

2015 წელს მოსახლეობის საშუალოთვიურ შემოსავლებში ყველაზე დიდი წილი (37.5%), დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავალს უკავია, მეორე ადგილი (14.6%) – პენსიებს, სტიპენდიებსა და დახმარებებს, ხოლო მესამე (11.2%-ით) – ფულის სესხებას ან დანაზოგის გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ დაქირავებული შრომით მიღებულმა შემოსავალმა წამყვანი პოზიცია (*I ადგილი*) 2005 წელს დაიკავა (*მანამადე იგი არაფულად შემოსავლებზე მოდოდა*). რაც შეეხება ფულის სესხებას ან დანაზოგის გამოყენებას, როგორც შემოსავლის მიღების წყაროს, ყველაზე დიდი წილი 2011 წელზე (12.0%), ხოლო მინიმალური მაჩვენებელი § 2009 წელზე (10.1%) მოდის. საინტერესოა ისიც, რომ ფულის სესხებით ან დანაზოგის გამოყენებით მიღებული შემოსავალი, 2011 წლიდან აბსოლუტური მონაცემების მიხედვით იზრდებოდა, ხოლო მისი წილი მოსახლეობის საშუალოთვიურ შემოსავლებში მცირდებოდა. ასე, მაგალითად, თუ 2011 წელს მისი მოცულობა 85.2 მლნ ლარს შეადგენდა, 2015 წლისთვის იგი 31.3 მლნ ლარით (36.7%) გაიზარდა და 116.5 მლნ ლარს მიაღწია [3], მაშინ, როცა მისი წილი 12.0%-დან (2011 წელი) 11.2%-მდე შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური დინამიკაა ერთი შინამეურნეობისა და ერთი პერსონის საშუალოთვიურ შემოსავლებში „ფულის სეხებისა ან დანაზოგის გამოყენების“ მხრივაც. ის იზრდებოდა როგორც აბსოლუტური, ასევე წილის მიხედვით, ხოლო პარამეტრები ემთხვევა ერთმანეთს როგორც წლების, ასევე ზღვრული (მაქსიმუმი/მინიმუმი) მაჩვენებლების მიხედვით [1].

ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ მოსახლეობის საშუალოთვიური ხარჯები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აღემატებოდა მოსახლეობის საშუალოთვიურ შემოსავლებს. ასე მაგალითად, 2001 წელს ხარჯებმა 350.2 მლნ ლარი, ხოლო შემოსავლებმა 263.2 მლნ ლარი შეადგინა (*სხვაობა* 87.0 *მლნ ლარია*). აღნიშნული დისბალანსის აღმოსაფხვრელად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მიმართავდა ქონების გაყიდვას, ფულის სესხებას ან წინა წლების დანაზოგის გამოყენებას. ასეთი უარყოფითი ტენდერნცია შეიცვალა და **შემოსავლებმა გადააჭარბეს ხარჯებს მხოლოდ 2009 წელს**.

ამრიგად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდიდან საქართველოში ჩამოყალიბდა ეროვნული დანაზოგების ზრდის შესაძლებლობები. ასე მაგალითად, 2009 წელს სხვაობამ მოსახლეობის საშუალოთვიურ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის 14.0 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 2015 წლისათვის იგი მხოლოდ 3.9 მლნ ლარით გაიზარდა და 17.9 მლნ ლარს მიაღწია. შესაძლებელი გახდა დანაზოგის გაკეთება ან დაგროვება.

საქართველოს მოსახლეობის საშუალოთვიური შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზმა აჩვენა, რომ ქვეყნის მოსახლეობა ყოველწლიურად მზარდ შემოსავლებს იღებს ფულის გასესხებით ან დანაზოგის გამოყენებით. ასე, მაგალითად, თუ 2001 წელს მისი მოცულობა მხოლოდ 12.6 მლნ ლარს უდრიდა, 2015 წლისათვის იგი 116.5 მლნ ლარს გაუტოლდა. ასევე იზრდება საქართველოს მოსახლეობის საშუალოთვიური ხარჯები, რასაც ისინი მიმართავენ სესხად გასაცემად ან დანაზოგის გასაკეთებლად. მისი მოცულობა 22.4 მლნ ლარიდან (2001 წ.) 180.5 მლნ ლარამდე (2015 წ.) გაიზარდა. თანაფარდობა – „ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენების" მუხლით მიღებულ შემოსავლებსა და „დაზოგვა ან გასესხება" მუხლით გაკეთებულ დაბანდებათა შორის არაერთგვაროვანია. ასე, მაგალითად, 2001 და 2012-2015 წლებში მოსახლეობამ დანაზოგებით უფრო მეტი შემოსავალი მიიღო, ვიდრე ამავე მიმართულებით დაბანდება იქნა გაკეთებული. კერძოდ, 2001 წელს მან 9.8 მლნ ლარი, ხოლო 2012-2015 წლებში, შესაბამისად, 3.3, 15.7, 32.4 და 64.0 მლნ ლარი შეადგინა. საპირისპიროდ, 2002-2011 წლებში მოსახლეობამ დანაზოგების გასაკეთებლად უფრო მეტი თანხა დააბანდა, ვიდრე ამავე მიმართულებით შემოსავალი იქნა მიღებული (*შესაბამისად* 13.3, 7.5, 10.9, 24.6, 20.7, 23.6, 30.6, 20.2, 33.6, 33.1 *მლნ ლარი*).

დანაზოგების საინვესტიციო პატენციალი

დანაზოგის მოცულობისა და საინვესტიციო მიმზიდველობის საკითხის (*იხ. ცხრილი* 1). ანალიზი 2009 წლიდან დავიწყოთ, რადგანაც შემოსავლებმა ხარჯებს ამ პერიოდიდან გადააჭარბა.

შედარებითი ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ 2009-2010 წლებში წმინდა დანაზოგის მოცულობას უარყოფითი ნიშნული ჰქონდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საბოლოო მოხმარება სჭარბობდა ქვეყნის მშპ-ს და წმინდა ეროვნულ განკარგვად შემოსავალს. **აღნიშნული ტენდენცია მხოლოდ 2011 წლიდან შეიცვალა,** როდესაც წმინდა დანაზოგის მოცულობამ 697.5 მლნ ლარი შეადგინა. მიღებული დანაზოგის არც აბსოლუტური და არც ფარდობითი პარამეტრი არ წარმოადგენს მნიშვნელოვან სიდიდეს. ასე, მაგალითად, 2011 წელს წმინდა დანაზოგის მიმართება წმინდა ეროვნულ განკარგვად შემოსავალთან, მხოლოდ 3.0%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში იგი,

შესაბამისად, 50.1 [11] და 14.2 %-ს უდრიდა [12]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი საქართველოში ბოლო წლებში იზრდებოდა და 2015 წელს 10.3 %-ს გაუტოლდა.

ეროვნული ანგარიშების ზოგიერთი აგრეგატული მაჩვენებელი (მლნ ლარი)*

ცხრილი 1

	2009	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**
მთლიანი შიგა პროდუქტი	17 986,0	20 743,4	24 344,0	26 167,3	26 847,4	29 150,5	31 691,6
წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავალი	17 654,8	19 932,6	23 184,8	25 454,4	25 969,2	28 396,4	31 000,5
საბოლოო მოხმარება	19 095,4	19 960,8	22 487,3	23 733,2	23 671,8	25 570,7	27 807,9
წმინდა დანაზოგი	**- 1440,6**	**- 28,2**	**697,5**	**1721,2**	**2297,5**	**2825,7**	**3192,5**
სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები	5 367,2	5 466,5	5 926,8	6 641,5	6 545,6	7 479,5	8 158,0
მ.შ.							
სოციალური უზრუნველ-ყოფა	1 419,9	1 481,1	1 540,9	1 710,3	2 083,0	2 547,7	2 802,4
საპენსიო უზრუნველ-ყოფა	808,4	843,2	973,3	1 061,4	1 148,8	1 334,8	1 398,9

***** *ტექსტში მოყვანილი ცხრილები შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ეროვნული ბანკისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.*

მნიშვნელოვანია ეროვნული დანაზოგების როლი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის განმტკიცებაში, რამეთუ იგი მძლავრი საინვესტიციო საშუალებაა. ყველაზე ხშირად დანაზოგის გაკეთების მიზეზებს შორის მოიხსენიებენ: საპენსიო სქემებში მონაწილეობას, დანაზოგის გაკეთებას „ყოველ შემთხვევისთვის" (*ცუდი დროების მოლოდინი*), მკურნალობას, ავტომობილის ან ძვირფასი ნივთის შეძენას, მიწის ან აგარაკის შეძენას/ყიდვას, საკუთარი ბიზნესის წამოწყებას, ფასიანი ქაღალდების ყიდვას, განათლებას, დასვენებას, გართობას, მოგზაურობას და ა.შ.

როგორც აღინიშნა, დანაზოგის გაკეთების ერთ-ერთი მიზანს სოციალური ხასიათის საკითხების გადაწყვეტაა (საპენსიო *უზრუნველყოფა*). რადგანაც წმინდა დანაზოგებმა თავის დადებით ნიშნულს 2011 წელს მიაღწია, ანალიზიც აქედან გავაგრძელოთ. ამ წელს დანაზოგების მოცულობა (697.5 მლნ ლარი) სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებს (1540.9 მლნ ლარი) მხოლოდ 45.3 %-ით ფარავდა, ხოლო საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯებს (973.3 მლნ ლარი) – 71.7 %-ით. წმინდა დანაზოგებმა სოციალური და საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯების შევსება (გადაფარვა) მხოლოდ 2012-2015 წლებში მოახერხა, რომელმაც შესაბამისად სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების შემთხვევაში 2012წ. – 100.6%, 2013წ. – 110.3%, 2014წ. – 110.9%, 2015წ. – 113.9%, ხოლო საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯების შემთხვევაში 2012წ. – 162.2%, 2013წ. – 200.0%, 2014წ. – 211.7%, 2015წ. – 228.2% შეადგინა [1].

შესაბამისად, შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ, **2012 წლიდან დაწყებული, დანაზოგის მოცულობა უკვე მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარამეტრს წარმოადგენს,** რომელსაც შესწევს საერთო სახელმწიფოებრივი პრობლემების ასე თუ ისე ფინანსური უზრუნველყოფის უნარი [1].

დანაზოგების სტრუქტურა ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით, გარკვეული მრავალფეროვნებით ხასიათდება. დანაზოგების ფორმებს შორის განიხილავენ ნაღდ და უნაღდო ფორმას. დანაზოგების ნაღდ ფორმაში გულისხმობენ დანაზოგებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში, ხოლო მის უნაღდო ფორმაში განიხილავენ ანაბრებს კომერციულ ბანკებში (ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში) და ფასიანი ქაღალდების შეძენაზე გახარჯულ თანხებს.

ზიგიერთ პუბლიკაციაში დანაზოგების სტრუქტურაში გამოყოფენ ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: ცვლილება ფიზიკური პირების ანაბრებსა და მოსახლეობის ხელთ არსებული ფულის მოცულობაში, კერძო კაპიტალის შემოდინება, ცვლილება კრედიტების დავალიანებებში, ხარჯები ფასიანი ქაღალდების შეძენაზე, ხარჯები უძრავ ქონების შეძენაში და ა.შ. [7; 8; 9; 4].

გარკვეულ ინტერეს იწვევს დანაზოგების სტრუქტურისა და მისი გამოყენების ძირითადი მიმართულებების დინამიკა. ამ მხრივ, ყურადღებას გავამახვილებთ საქართველოს ზოგიერთი მონეტარული აგრეგატის, მათ შორის საბანკო დეპოზიტების მოძრაობაზე (*იხ. ცხრილი* 2).

საქართველის ეროვნული ბანკის მონაცემების [2] მიხედვით, 2012 წლიდან იზრდება (*ხშირ შემთხვევაში საგრძნობლად*), დეპოზიტების მოცულობა, როგორც უცხოურ, ასევე ეროვნულ ვალუტაში (*ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა, მიუხედავად ბოლო წლების ზრდისა,* 2015 *წელს,* 2014 *წელთან შედარებით,* 3 968.6 *მლნ ლარიდან* 3 780.9 *მლნ ლარამდე* (4.7 *%-ით*) *შემცირდა*). ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი უცხოურ ვალუტაში

საქართველოს მონეტარული აგრეგატები (მლნ ლარი)

ცხრილი 2

	2011	2012	2013	2014	2015
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0)	**1 438,9**	**1 550,0**	**1 899,6**	**1 942,5**	**1 981,9**
მოთხოვნამდე დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	1 479,9	1 786,9	2 407,8	2 518,2	2 453,6
მ.შ.					
ფიზიკური პირები	80,0	381,7	513,7	597,0	662,7
მონეტარული აგრეგატი (M1)	**2 918,9**	**3 336,9**	**4 307,5**	**4 460,8**	**4 435,6**
ვადიანი დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	615,2	732,2	1 110,9	1 450,4	1 327,3
მ.შ.					
ფიზიკური პირები	319,5	415,5	645,6	751,3	721,2
მონეტარული აგრეგატი (M2)	**3 547,1**	**4 069,1**	**5 418,4**	**5 911,3**	**5 762,9**
მოთხოვნამდე დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	893,3	924,8	1 270,9	1 660,3	2 513,5
მ.შ.					
ფიზიკური პირები	133,5	307,3	365,9	533,3	784,7
ვადიანი დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	2 851,7	2 909,7	3 147,2	3 618,2	5 067,4
მ.შ.					
ფიზიკური პირები	2 182,9	1 954,0	2 284,1	2 687,3	3 625,9
მონეტარული აგრეგატი (M3)	**7 355,6**	**7 903,7**	**9 836,6**	**11 189,8**	**13 343,9**
ყველა დეპოზიტი, სულ	**5 840,1**	**6 353,6**	**7 936,8**	**9 247,1**	**11 361,8**
მ.შ.					
დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	**2 095,1**	**2 519,1**	**3 518,7**	**3 968,6**	**3 780,9**
მთლიან დეპოზიტებში ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების წილი (%)	*35,9*	*39,6*	*44,3*	*42,9*	*33,3*
დეპოზიტები უცხოურ ვალუტით	3 745,0	3 834,5	4 418,1	5 278,5	7 580,9
ვადიანი დეპოზიტები	3 466,9	3 641,9	4 258,1	5 068,6	6 394,7
მთლიან დეპოზიტებში ვადიანი დეპოზიტების წილი (%)	*59,4*	*57,3*	*53,7*	*54,8*	*56,3*
მოთხოვნამდე დეპოზიტები	2 373,2	2 711,7	3 678,7	4 178,5	4 967,1
ფიზიკური პირების ყველა დეპოზიტი	2 715,9	3 058,5	3 809,3	4 568,9	5 794,5
მთლიან დეპოზიტებში ფიზიკური პირების დეპოზიტების წილი (%)	*46,5*	*48,1*	*48,0*	*49,4*	*51,0*

განთავსებულმა დეპოზიტებმა განიცადა. ასე, მაგალითად, თუ 2012 წელს ეს 3.8 მლრდ ლარს შეადგენდა, 2015 წლისათვის გაორმაგდა და 7.8 მლრდ ლარს მიაღწია. ამავე პერიოდში 1.8-ჯერ მოთხოვნამდე დეპოზიტების მოცულობა და 1.7-ჯერ ვადიანი დეპოზიტების მოცულობა გაიზარდა. მთლიანობაში, დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ 6.3 მლრდ ლარიდან § 2012 წელს, 2015 წლისათვის 11.4 მლრდ ლარს მიაღწია (1.9-ჯერადი ზრდა). ასევე გაიზარდა ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა. 2015 წლისათვის იგი 5 794.5 მლრდ ლარს გაუტოლდა (*წინა წელთან შედარებით ზრდამ* 26.8 *% შეადგინა*), რაც დეპოზიტების მთლიანი მოცულობის 51%-ს შეადგენს.

ფიზიკური პირების დეპოზიტებში ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (2.2-ჯერ) მოთხოვნამდე დეპოზიტებზე მოდის, შემდეგი (1.9-ჯერადი ზრდა) – უცხოურ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე, ხოლო ვადიანი დეპოზიტები 1.8-ჯერ გაიზარდა. რაც შეეხება დეპოზიტების ფიზიკურ მოცულობასა და მის წილს, წამყვანი პოზიციები, 2015 წლის მონაცემების მიხედვით, ვადიან დეპოზიტებზე 4.3 მლრდ ლარი (75. 0%) და უცხოურ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე – 4.4 მლრდ ლარი (76. 1 %) მოდის.

საინტერესოა, წმინდა დანაზოგებსა (ცხრილი 1) და ფიზიკური პირების დეპოზიტებს მონაცემთა შედარება (ცხრილი 2): დეპოზიტების ოდენობა საგრძნობლად აღემატება წმინდა დანაზოგების მოცულობას, ანუ მოსახლეობა თავისი დანაზოგების უმეტეს ნაწილს (*ზოგი § მთლიანად*) კომერციულ ბანკებში ინახავს, რადგანაც არ ენდობა ინვესტირების ალტერნატიულ შესაძლებლობებს (*განსაკუთრებით ფინანსური ბაზრების არასტაბილურობის პერიოდში*) ან ასეთი შესაძლებლობების არ არსებობის გამო. აქვე ავღნიშნავთ, რომ თუ წინა წლებში, ალტერნატიული ინვესტირების, ერთ-ერთი შემაფერხებელ ფაქტორად, დეპოზიტზე განთავსებული თანხის სიმწირე გახდა, ამჟამად იგი ფაქტობრივად არ არსებობს, რადგანაც ბოლო რამდენიმე წელი, დეპოზიტების რაოდენობა მცირდება, ხოლო მათზე განთავსებული ფულადი რესურსების მოცულობა იზრდება. მიზეზი სხვაგან უნდა იყოს.

ალტერნატიული ინვესტირების საწყისები

განვიხილოთ თუ რა/როგორი ინტერესი არსებობს ალტერნატიული ინვესტირების მიმართ. დაკვირვებამ წარმოაჩინა, რომ თუ ფიზიკური პირების დეპოზიტები უფრო ნაკლებად იზრდება, ვიდრე ფულადი მასა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდისათვის მოსახლეობაში გაჩნდა გარკვეული ინტერესი ალტერნატიული ინვესტირების წყაროების მიმართ (*ვთქვათ, ფასიანი ქაღალდების შეძენა*).

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, მესამე ცხრილში ასახულია ფულადი მასისა და ფიზიკური პირების დეპოზიტების დინამიკა.

საქართველოს ზოგიერთი მონეტარული აგრეგატის დინამიკა წინა წელთან შედარებით (%)

ცხრილი 3

	2011	2012	2013	2014	2015
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0)	**104,8**	**107,7**	**122,6**	**102,3**	**102,0**
მოთხოვნამდე დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	155,3	120,7	134,7	104,6	97,4
მ.შ.					
ფიზიკური პირების მოთხოვნამდე დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	111,4	477,1	134,6	116,2	111,0
მონეტარული აგრეგატი (M1)	**125,5**	**114,3**	**129,1**	**103,6**	**99,4**
ვადიანი დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	151,8	119,0	151,7	130,6	91,5
მ.შ.					
ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	148,4	130,0	155,4	116,4	96,0
მონეტარული აგრეგატი (M2)	**129,5**	**114,7**	**133,2**	**109,1**	**97,5**
დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	107,5	102,4	115,2	119,5	143,6
მ.შ.					
ფიზიკური პირების დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	116,8	97,6	117,2	121,5	136,9
მონეტარული აგრეგატი (M3)	**117,2**	**107,5**	**124,5**	**113,8**	**119,3**
ფიზიკური პირების ყველა დეპოზიტი	119,6	112,6	124,5	119,9	126,8
სულ, ყველა დეპოზიტი	120,7	108,8	124,9	116,5	122,9

ცხრილის მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ ფიზიკური პირების დეპოზიტები უფრო ნაკლებად იზრდება ფულად მასასთან (M1 და M2) 2011–2013 წლებში, 2014-ში ფიზიკური პირების დეპოზიტები (*ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში განთავსებული მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტები*) 19.9 %-ით გაიზარდა, ხოლო ფულადი მასა უფრო ნაკლებად (M1-3.6%, M2-9.1%, M3-13.8%). რაც შეეხება 2015 წელს, წინა წელთან შედარებით M1 25.2 მლნ ლარით,

M2 148.4 მლნ ლარით შემცირდა, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტები 1.2 მლრდ ლარით გაიზარდა. ამავე პერიოდში M3, მართალია, გაიზარდა 19.3%-ით, მაგრამ ფიზიკური პირების დეპოზიტებზე უფრო მაღალი ზრდა დაფიქსირდა (26.8%).

ზომიერი ინფლაციისა და დანაზოგების სტაბილური ზრდის კვალობაზე, მოსახლეობა მზადაა განიხილოს საკუთარი ჭარბი რესურსების არამხოლოდ საბანკო დეპოზიტებზე განთავსება. ინვესტიცია უფრო მიმზიდველი იქნება, თუ იგი მიმართულია ქვეყნის მოძველებული ინფრასტრუქტურისა და ამორტიზებული კაპიტალის განახლებაზე. აღნიშნულის განსახორციელებლად, ყველაზე ეფექტიანი და აპრობირებული გზა აქციებისა და ობლიგაციების ბაზრის განვითარებაა.

დანაზოგების გამოყენების ალტერნატივის ზრდას აწყობილი და კარგად მომუშავე სამართლებრივი სისტემა წარმოადგენს, რომელიც ადგილობრივი ინვესტორების უპირობო და გარანტირებულ დაცვას გულისხმობს, მათ შორის მინორიტარი აქციონერების უფლებები და ა.შ.

მე-3 ცხრილის ანალიზით ირკვევა, რომ 2011-2013 წლებში საქართველოს მოსახლეობას გააჩნდა არამარტო ფინანსური რესურსი, არამედ ინტერესი ალტერნატიული ინვესტიციების განსახორციელებლად, მაგრამ მოკლებული იყო ასეთ შესაძლებლობებს. რაც შეეხება 2014-2015 წლებს, ფინანსური რესურსის კვლავ არსებობისა და შესაძლებლობების უცვლელობის კვალობაზე, ინტერესი ალტერნატიული ინვესტიციების განსახორციელებლად მათ შეუნელდათ.

* * *

დასასრულ, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ქმედებანი ფინანსური ბაზრის ინსტიტუციონალური და სხვა სახის ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, ალტერნატიული ინვესტირების შესაძლებლობების გაფართოების გათვალისწინების გარეშე, ნაჩქარევი და არაეფექტიანი აღმოჩნდება.

ლიტერატურა:

1. www.geostate.ge/?action=page&p_id=184&lang=geo
2. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/bulletinstatistics/statbiul/2013/annualgeo/bulletin2010geo.pdf – საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი.
3. http://data.worldbank.org/indicator/NY.GNS.ICTR.CD?end=2014 – მსოფლიო ბანკი
4. http://www.allcountries.org/uscensus/730_flow_of_funds_accounts_composition_of.html – Composition of Individuals' Savings
5. www.forbes.com/sites/danalexander/2013/11/08/world-top-saving-countries-2013.

6. http://bea.gov/newsreleases/national/pi/2014/pdf/pi1014_hist.pdf
7. http://www.federalreserve.gov/pubs/feds/2000/200026/200026pap.pdf – [p. 25 (table 1)]
8. http://www.ecb.europa.eu/pub/pdf/scpwps/ecbwp1355.pdf – [p. 9 and p.22 (table1)]
9. http://www.nber.org/papers/w9647.pdf (japan) – [p. 24]
10. http://www.tradingeconomics.com/united-states/personal-savings
11. http://www.stat.gov.az/source/system_nat_accounts/indexen.php
12. http://www.armstat.am/file/doc/99477463.pdf

The Ratio and Imbalances of Savings and Investment in Georgia

Avtandil Chutlashvili

Associate Professor, Academic Doctor of Economics
Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
avtandil.chutlashvili@tsu.ge

Today, it is necessary to develop the new concept of savings for the solution of economic problems in developing countries. There is a large scientific literature on this subject, but unsolved problems still exist.

This paper discusses the structure of the savings of Georgia's population from 2001 till 2015. The research analyses expenses and incomes of the persons, households and population; it was established that expenses exceeded the incomes in the period from 2001 till 2009.

There was carried out comparative analysis of GDP, consumption, expenses and savings. It is shown that only since 2012 savings have become significant macroeconomic indicators.

The are also discussed the questions on transforming savings into investment and possibility of alternative investment.

Key words: savings, incomes, spending, investment, bank deposits, financial markets

JEL Codes: E20, E21, E22

ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1, გვ. 62-81
ECONOMICS AND BUSINESS, 2017, 1, pp. 62-81

ინკლუზიურობა: ეკონომიკური ზრდისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი

ელისო ბერიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ბოლო პერიოდში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უაღრესად აქტუალური გახდა ინკლუზიური ზრდის პრობლემა. ამასთან დაკავშირებით სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ინკლუზიური ზრდის შინაარსზე, ინკლუზიური ზრდის ფაქტორთა დახასიათებასა და ინკლუზიურობის როლზე ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში. სტატიაში ჯეროვანი ადგილი ეთმობა ინკლუზიური ზრდის სპეციფიკურობას და მნიშვნელობას საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებასა და საერთოდ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესში. თითოეულ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ნაშრომში ჩამოყალიბებულია ავტორისეული პოზიციები და დასახულია ადეკვატური ღონისძიებები.

საკვანძო სიტყვები: *ინკლუზიური ზრდა; ზრდის ფაქტორები; უმუშევრობა და დასაქმება; უთანაბრობა შემოსავლებში; სოციალური თანასწორობა; უთანასწორობის კოეფიციენტი; სტრუქტურული ტრანსფორმაცია; საქართველო - 2020.*

ბოლო წლებში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ინკლუზიური ზრდის აუცილებლობაზე აქტიურად მსჯელობენ. მდგრადი განვითარების მიზნების ღია სამუშაო ჯგუფის 2015 წლის მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან მე-8 მიზანი სწორედ მდგრადი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის, სრული და ეფექტიანი დასაქმების და შესაბამისი სამუშაო ადგილების სტიმულირებაა [1]. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (სსფ) 2014 წლის სამუშაო პროგრამაში მთავარ მიზნად ინკლუზიური ზრდის უზრუნველყოფა დაასახელა [2], უფრო მეტიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების განყოფილების ერთ-ერთ მიზანს ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის და სტაბილური სამუშაოს უზრუნველყოფა წარმოადგენს [3]. სსფ სახელმწიფოებს უფრო მეტი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისკენ მოუწოდებს, ვინაიდან ბევრ ქვეყანაში არათანაბრად გადანაწილებული შემოსავლების საკითხი კვლავ პრობლემად რჩება. ფონდის რეკომენდაციებით სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ მასტიმულირებელი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, სტრუქტურული რეფორმები, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას [4]. დიდი ოცეულის (G20)

შეხვედრაზე ლიდერებმა აღნიშნეს, რომ მოსახლეობამ ჯერ კიდევ უნდა მიიღოს გლობალური ეკონომიკის აღდგენის პროცესებში მონაწილეობა, ხოლო დიდმა ოცეულმა უნდა იბრძოლოს არამხოლოდ ძლიერ, მდგრად და დაბალანსებულ ზრდაზე, არამედ უფრო ინკლუზიურ ზრდაზე, რაც მოსახლეობის ნიჭის უკეთეს მობილიზებას მოახდენს [5].

1950-1970 წლებში ეკონომიკურ ზრდასა, სიღარიბესა და უთანასწორობას შორის დამოკიდებულება კუზნეცის [6] და სოლოუს [7] მოდელებს ეფუძნებოდა. სახელმწიფოს პირდაპირმა ჩარევამ განვითარების პროცესში და მსოფლიო ბანკის დახმარებამ ინფრასტრუქტურული და კაპიტალური სამშენებლო პროექტების განხორციელებაში, წარმოქმნა იმის მოლოდინი, რომ კაპიტალისტურ ეკონომიკას ეკონომიკური ზრდის, საერთაშორისო ჩართულობის უზრუნველყოფა და სიღარიბის შემცირება შეუძლია, როგორც ეს მის კონკურენტ სოციალისტებს შეეძლოთ. 1970-იანი წლების შუა ხანებში, ეკონომისტებისთვის ეს მოლოდინები უიმედო აღმოჩნდა. კერძოდ, რამდენიმე ქვეყანა შემოსავლების განაწილება სტაბილურად უარესდებოდა. რთული იყო იმის აღმოჩენა, რომ თანასწორობის გენერირების პროცესები მსოფლიო ეკონომიკაში ან განვითარებადი ქვეყნების უმეტეს ნაწილში, იარსებებდა. ამ წარუმატებლობამ კეინზიანელებსა და მონეტარისტებს შორის დებატები გამოიწვია. კეინზიანელების აზრით, შემოსავლების განაწილებას მიზანმიმართული პოლიტიკა სჭირდებოდა, ხოლო მონეტარისტები ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფოს არაეფექტური ჩარევა სწრაფ ეკონომიკურ ზრდას დააბრკოლებდა.

1970-1980 წლებში მონეტარიზმის და ახალი კლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმოშობამ განვითარების და სიღარიბის შესუსტების მოლოდინი, დივიდენდების გაზრდით ჩაანაცვლა, რაც ვაშინგტონის კონსენსუსის ეკონომიკური პოლიტიკების გამოყენებით წარმოიშვა. 1990-იან წლებში აღნიშნული სტრატეგიის წარუმატებლობამ, ახალი ინსტიტუციური ეკონომიკის წარმოშობამ და მსოფლიო ბანკზე, სსფ-ზე განვითარებადი ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთვრობო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (IFI) ზეწოლის შედეგად, წინ წამოიწია უთანასწორობის და სიღარიბის შემცირების აუცილებლობის საკითხი. 1990-იანი და 2000-იანი წლების დასაწყისში ვაშინგტონის კონსენსუსის ლოგიკამ დომინანტის ფუნქცია დაკარგა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკას გამოეთიშა. დღეს უკვე დომინირებს ე.წ. „ინკლუზიური ზრდის პარადიგმა“ [8].

ინკლუზიური ზრდის არსი

ინკლუზიური ზრდის ერთიანი განმარტება არ არსებობს, თუმცა მიზნები ყველგან საერთოა. საწყის ეტაპზე ინკლუზიური ზრდის არსის გაგება მნიშვნელოვანია, ვინაიდან უფრო ადვილია მიზნების დასახვა და მათი შემდგომი განხორციელება. ინკლუზიურ ზრდას ორგანიზაციები, საერთაშორისო ინსტიტუ-

ტები და დონორები სხვადასხვანაირად განმარტავენ. არსებობს მრავალი ხედვა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ინკლუზიური ზრდა პრაქტიკაში, მაშინ როდესაც მიდგომის გზები სხვადასხვაა. ზოგადი მიდგომა ასეთია: ინკლუზიურმა ზრდამ უნდა შეამციროს სიღარიბე და უთანასწორობა, უზრუნველყოს მოსახლეობის კეთილდღეობა და მაქსიმალური ჩართულობა. თუმცა, რიგი საერთაშორისო ორგანიზაცია ინკლუზიურ ზრდას განსხვავებულად განიხილავს. მსოფლიო ბანკის შეფასებით, ზრდა ინკლუზიურია, თუ ის უზრუნველყოფს ღარიბთა პირობების გაუმჯობესებას და მათ აქტიურ ჩართულობას ეკონომიკურ აქტივობაში. იმისათვის, რომ ზრდა იყოს ინკლუზიური, უნდა გაიზარდოს წარმოება და შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები. აზიის განვითარების ბანკის განმარტებით, ეკონომიკური ზრდა ინკლუზიურია, თუ იქმნება შესაძლებლობები და იზრდება საზოგადოების ჩართულობა ეკონომიკურ აქტივობაში [9]. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) განმარტავს, რომ ინკლუზიურ ზრდას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც საზოგადოების კეთილდღეობის მაჩვენებელი, გარდა შემოსავლისა, გაუმჯობესდა [10]. ასევე, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ინკლუზიურ ზრდას თანასწორობასთან ერთად განიხილავს [9]. ევროპის კომისიის განმარტებით, ინკლუზიური ზრდა ნიშნავს უფრო მეტ დასაქმებას, განსაკუთრებით ქალებისთვის, ახალგაზრდებისა და ასაკოვანი ადამიანებისთვის, შრომის ბაზრის მოდერნიზებას, ინვესტიციებს ადამიან-კაპიტალში და ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული სარგებლის ხელმისაწვდომობას (Europe Comission). ინკლუზიური ზრდის პოლიტიკის საერთაშორისო ცენტრი მიიჩნევს, რომ ინკლუზიური ზრდა არის, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, სიღარიბის დონის და უთანასწორობის შემცირება, მოსახლეობის აქტიური ჩართულობა ეკონომიკურ პროცესებში და შესაძლებლობების გაფართოება [11].

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მთავარმა ეკონომისტმა ინკლუზიური ზრდის საერთო მახასიათებლები დაასახელა. კერძოდ, ინკლუზიური ზრდაა, თუ ის ხდება იმ სექტორში, სადაც ჩართულნი არიან ყველაზე ღარიბები (მაგ. სოფლის მეურნეობა), ხდება იქ, სადაც ცხოვრობენ ღარიბები (მაგ. შედარებით ნაკლებად განვითარებული ტერიტორიები), ხდება თუ დაფუძნებულია იმ ფაქტორების გამოყენებაზე, რომელსაც ღარიბები ფლობენ (მაგ. არაკვალიფიციური მუშახელი) და ამცირებს იმ სამომხმარებლო ფასებს, რასაც მეტწილად ღარიბები მოიხმარენ [12].

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) ის სამი პრობლემა დაასახელა, რასაც რეკორდულად მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპიც კი ვერ დაძლევს. ეს პრობლემებია: სიღარიბე, უმუშევრობა, უთანასწორობა.

2015 წლის მსოფლიო სიღარიბის უახლესი მონაცემების მიხედვით, საერთაშორისო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ 706 მლნ ადამიანი ცხოვრობს (დღეში 1.90 აშშ დოლარი შემოსავლით). ამ მონაცემებით, მსოფლიო მოსახლეობის

9.6% ღარიბია [13].უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი და ღარიბთა რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით, 1990 წლიდან მოყოლებული, სტაბილურად მცირდებოდა (გრაფიკი 1). მსოფლიო ბანკის ერთ-ერთ მთავარი მიზანი უკიდურესი სიღარიბის დაძლევაა. კერძოდ, მსოფლიო ბანკი 2030 წლისთვის სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრების ადამიანების (დღიური 1.25 დოლარი) 3%-ით შემცირებას ისახავს მიზნად (WB Group, 2013). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მიზნის მიღწევა არსებული ეკონომიკური ზრდის ტემპის პირობებში რთული იქნება.

გრაფიკი 1. სიღარიბის დონე მსოფლიოში [14]



ეკონომიკური ზრდა სიღარიბეს სამუშაო ადგილების ზრდით ამცირებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ეკონომიკურმა ზრდამ სამუშაო ადგილების შესაბამისი ზრდა არ გამოიწვია. მაგალითად, 1980-იან წლებში მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) 3%-იანმა ზრდამ სამუშაო ადგილები მხოლოდ 1%-ით გაზარდა. 1990-იან წლებში კი იგივე მაჩვენებლის მისაღებად მშპ-ის 8%-ით გაზრდა გახდა საჭირო. 2015 წელს მსოფლიო ეკონომიკა 3.1%-ით გაიზარდა, ხოლო სსფ-ის (IMF)2016-2017 წლის პროგნოზით შესაბამისად 3.4 და 3.6%-იანი ზრდა არის ნავარაუდები [15]. მსოფლიო ეკონომიკური ზრდის შენელება ძირითადად განვითარებად ქვეყნებში შექმნილი სიტუაციით არის გამოწვეული. შესუსტებულმა მსოფლიო ეკონომიკამ გლობალური უმუშევრობისზრდა გამოიწვია. 2015 წელს უმუშევართა რიცხვმა 197.1 მლნ ადამიანს მიაღწია და ამით წინა წლის მონაცემებს 1 მლნ-ით, ხოლო კრიზისამდე პერიოდს,27 მლნ-ით გადააჭარბა (გრაფიკი 2). შესუსტებულმა მსოფლიო ეკონომიკამ შრომის ბაზარზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია. უახლესი პროგნოზების მიხედვით, მსოფლიოში უმუშევართა რიცხვი 2016 წელს 2.3 მლნ ადამიანით, ხოლო 2017 წელს, 1.1 მლნ ადამიანით გაიზრდება. განვითარებადი ბაზრის მქონე ქვეყნებში კი უმუშევართა რაოდენობა კი 2.4 მლნ-ით გაიზრდება. განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნული ციფრი ოდნავ შემცირდება (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია) [16].

გრაფიკი 2. უმუშევრობა მსოფლიოში [14]



შემოსავლების უთანასწორობა, არსებითად, ინდივიდუალური ეკონომიკური საქმიანობის ბუნებრივი შედეგია. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების უმეტესობისთვის, უთანასწორობა გავლენას ახდენს მოსახლეობის სოციალურ სტატუსზე, მოხმარების სტრუქტურასა და ჯანმრთელობაზე. თანამედროვე ეკონომიკური თეორიები ეკონომიკური განვითარებისთვის უთანასწორობის გარკვეულ დონის აუცილებლობის საკითხს იზიარებს, თუმცა, ამისათვის მოსახლეობის შემოსავლებიც უნდა იზრდებოდეს. ბევრ ქვეყანაში, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, მოსახლეობის შემოსავლები არ გაზრდილა, ხოლო ზღვარი მდიდრებსა და ღარიბებს შორის, უფრო გაფართოვდა. გაზრდილი შემოსავლები და უთანასწორობა სიმდიდრეში პოლიტიკის გამტარებლებისათვის მნიშვნელოვანი საკითხია. თითქმის ყველა სფეროში, იქნება ეს განათლების დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობა თუდასაქმებისპერსპექტივები, წარმატება არაპროპორციულად არის განაწილებული სოციო-ეკონომიკური სტატუსის, სიმდიდრის, სქესის, ასაკის და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. უთანასწორობის გაფართოება ეკონომიკის პრინციპებს, ეკონომიკურ ზრდას და საზოგადოების ნდობას გარკვეულ რისკებს უქმნის. უფრო მეტიც, ამან შესაძლოა დემოკრატიულ პროცესსაც გარკვეული პრობლემები შეუქმნას, ვინაიდან ხალხი შესაძლოა გამოეთიშოს ყველაფერს, თუ იგრძნობენ რომ მთავრობები არ მუშაობენ და არ ზრუნავენ მათზე. უთანასწორობის ზრდა გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ზრდა საზოგადოების კეთილდღეობასა და სიღარიბეზე. თანასწორობას სიღარიბის შემცირებას უწყობს ხელს. მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, თანასწორობის შემთხვევაში შემოსავლების 1%-ით გაზრდა სიღარიბის მაჩვენებელს 4.3%-ით შეამცირებს, მაშინ როდესაც უთანასწორობის შემთხვევაში 0.6%-ით შემცირდება [17 გვ.14]. გარდა ამისა, უთანასწორობამ შესაძლოა ფინანსური კრიზისის პოტენციალი გააძლიეროს, გამოიწვიოს პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, რაც თავისთავად საინვესტიციო გარემოზე უარყოფითად აისახება. უთანასწორობის პირობებში მთავრობას გაუჭირდება რთული, მაგრამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება გარკვე-

ული შოკების დროს. უთანასწორობამ შესაძლოა გამოიწვიოს ღარიბი ფენების ფინანსებთან ხელმიუწვდომლობადა შესაბამისად, განათლებასა და სამეწარმეო საქმიანობაში ინვესტიციების შესაძლებლობების შემცირება [18]. უთანასწორობის ზრდის, ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის, უმუშევრობის მაღალი დონის და არსებული ეკონომიკური ზრდის ტენდენციის, საზოგადოების კეთილდღეობის და მდგრადი განვითარების წარუმატებელი გამოცდილების ფონზე, დებატები ინკლუზიური ზრდის შესახებ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იქცევს. მაგალითად, აზიაშისწრაფ ეკონომიკურ ზრდას სიღარიბის მნიშვნელოვანი შემცირება ახლდა, თუმცა, ამავე დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოსავლების უთანასწორობა. შესაბამისად, აზიის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მდიდრები უფრო სწრაფად მდიდრდებიან, ვიდრე ღარიბები. ამ გადმოსახედიდან, ეკონომიკური ზრდა აზიაში, არ იყო საკმარისად ინკლუზიური [12]. სხვა რეგიონებთან შედარებით, აზიის ეკონომიკასწრაფად იზრდებოდა. სწრაფი ტემპით გაიზარდა მშპმოსახლეობის ერთ სულზე (1970-იან წლებში - 0.6%, 1980-იან წლებში - 3.2%, 1990-იან წლებში - 3.3%, 2000-იან წლებში - 5%). ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში კი უთანასწორობა აზიის 14 ქვეყნიდან 11 ქვეყანაში გაიზარდა. მიუხედავად მოსახლეობის მუდმივი ზრდისა, ბოლო 25 წლის განმავლობაში, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში დაახლოებით 712 მლნ ადამიანმა გადალახა სიღარიბის ზღვარი, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა. 1980-იან წლების დასაწყისში, აღნიშნული რეგიონი მსოფლიოს ღარიბთა 87%-ს იტევდა, დღეს კი ეს ციფრი 67%-მდე შემცირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ აზია კვლავ მსოფლიოს ღარიბთა 2/3-ის ადგილსამყოფელად რჩება. მიუხედავად დაჩქარებული ეკონომიკური ზრდისა, სამხრეთ აზიაში შემცირებულია სიღარიბის დონის კლების ტემპი [12]. ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 1820 წლიდან 1990 წლამდე მსოფლიოში უთანასწორობა სტაბილურად იზრდებოდა, ხოლო 1990 წლიდან, უთანასწორობა შემოსავალსა და მოხმარებაში მნიშვნელოვნად მცირდება. ასეთი შემცირება,ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ, პირველად მოხდა,რაც განპირობებული იყო მრავალრიცხოვან ქვეყანაში (განსაკუთრებით ჩინეთსა და ინდოეთში) შემოსავლების გაზრდით. 1988-1998 წლებში ჯინის ინდექსი 34-დან 40-მდე გაიზარდა. მას შემდეგ, უთანასწორობა ზომიერად მცირდებოდა და 2013 წელს 62.5 ნიშნულამდე შემცირდა, როდესაც 2008 წელს 66.8 იყო [19]. უთანასწორობის ზრდა, ეკონომიკურ ზრდაზე, სიღარიბის შემცირების გავლენას ასუსტებს და არის მოსაზრება, რომ მაღალი დონის უთანასწორობა უარყოფითად აისახება ეკონომიკურ ზრდასა და სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე. პოლიტიკის გამტარებლები და მეცნიერები უთანასწორობის ევოლუციის საკითხს დიდ ყურადღებას უთმობენ. უფრო მეტიც, უთანასწორობას დიდი რეცესიის (2007) ერთ-ერთ მიზეზად და შედეგადაც მოიხსენიებენ [20]. ფინანსურ კრიზისს ევროპაში ეკონომიკის სტაგნაცია მოჰყვა, შედეგად გაიზარდა უთანასწორობა. მკაფიო გახდა თუ რამდენად არის

დამოკიდებული საზოგადოება უმუშევრობასა და დასაქმების შესაძლებლობებზე [20]. უთანასწორობა ევროპაში 1996-2000 წლებში 15 ქვეყნიდან 9 ქვეყანაში, 2000-2007 წლებში - 10 ქვეყანაში და 2007-2011 წლებში - 8 ქვეყანაში შემცირდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კლების ტემპი შენელებულია [20]. უთანასწორობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ინდექსი - ჯინის კოეფიციენტი 2007-2011 წლებში ევროპაში 1%-ით გაიზარდა (30 ქვეყანა). ყველაზე მკვეთრად ჯინის ინდექსი დაეცა ისლანდიაში, რუმინეთში,ჩეხეთსა და ბულგარეთში (Wennberg,Ehrling, 2014). ევროპის კომისიამ ის მიზეზები დაასახელა, თუ რატომ არის ინკლუზიური ზრდა ევროპისთვის მნიშვნელოვანი და საჭირო. ეს მიზეზებია: სამუშაო ძალის რაოდენობის შემცირება, დასაქმების დაბალი მაჩვენებელი (63% - ქალები, 76% - მამაკაცები), ასაკოვან ადამიანებში (46% - ევროპაში, აშშ-სა და იაპონიაში - 62%), ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალი დონე (21%-ზე მეტი) და განათლების დონე (80 მლნ-ზე მეტ ადამიანს არ აქვს უმაღლესი განათლება, მაშინ როდესაც 2020 წლისთვის 16 მლნ-ზე მეტი სამუშაო ადგილი მოითხოვს განათლების უმაღლეს დონეს და მაღალ კვალიფიკაციას) (Europe Comission).

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას ფართო საზოგადოებისთვის მოაქვს სარგებელი, მას თან ახლავს სიღარიბის და უთანასწორობის შემცირება, ხელმისაწვდომობა და შესაძლებლობების ზრდა. ინკლუზიური ზრდის შედეგად ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს სარგებელი ეკონომიკური ზრდისგან. გარდა ამისა, ინკლუზიური ზრდა უნდა უზრუნველყოფდეს მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას ეკონომიკურ პროცესებში. ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებისთვის ინკლუზიურობა აუცილებელი პირობაა. ინკლუზიური ზრდის იდეა, რომ ყველა მოქალაქეს უნდა გააჩნდეს ღირებული ცხოვრების პირობები, ცხადია. თუმცა, ბევრი შეიძლება იკამათო იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელი ამ იდეის პრაქტიკაში სწორად განხორციელება.

ინკლუზიური ზრდის მიღწევის გზები

ინკლუზიური ზრდის მიღწევის გზა სხვადასხვაა და თითოეული ქვეყანა დამოუკიდებლად ადგენს პრიორიტეტებს, თუმცა, აზიის განვითარების ბანკიიმ სამ ძირითად კომპონენტს გამოყოფს, რომელიც ინკლუზიური ზრდის სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია [21]:

- მაღალი, ეფექტიანი და მდგრადი ეკონომიკური ზრდა, რამაც უნდა უზრუნველყოს პროდუქტიული სამუშაო ადგილები და ეკონომიკური შესაძლებლობები;
- სოციალური ჩართულობა, რამაც უნდა უზრუნველყოს თანაბარი ხელმისაწვდომობა ეკონომიკურ შესაძლებლობებთან (ხელმისაწვდომი განათლება, ჯანდაცვა და ინფრასტრუქტურა);

- სოციალური დაცვა, რაც მნიშვნელოვანია ღარიბი მოსახლეობის დასაცავად.

სსფ-ის ერთ-ერთი კვლევით დადგინდა, რომ ფისკალური ხარჯები ჯანდაცვაში, განათლებასა და სოციალურ დაცვაში ეკონომიკურ ზრდას უფრო ინკლუზიურს ხდის [22] .

გარდა ზემოხსენებულისა, არსებობს სხვა კომპონენტებიც, რამაც შესაძლოა უზრუნველყოს ეკონომიკის ინკლუზიური ზრდა. ეს კომპონენტები შესაძლებელია იყოს: პროდუქტიული დასაქმება და სამუშაო ადგილები, ეკონომიკური ტრანსფორმაცია, ინვესტიციები ადამიან-კაპიტალში, პროგრესული ფისკალური პოლიტიკა, სოციალური დაცვა, არადისკრიმინაციული მიდგომა (სოციალური ჩართულობა და მონაწილეობა), ძლიერი ინსტიტუტები და სხვა.

დასაქმება და ახალი სამუშაო ადგილები სიღარიბიდან გამოსვლის და ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობის მთავარი საშუალებაა. მსოფლიო ბანკის 2013 წლის მსოფლიო განვითარების ანგარიშის მიხედვით, ზოგიერთი ქვეყნისთვის,ეკონომიკურზრდასთან დაკავშირებული პოლიტიკური დოკუმენტების გარდა, მნიშვნელოვანია ჰქონდეს დასაქმების სტრატეგია.აღნიშნული იქედან გამომდინარეობს, რომ ეკონომიკური ზრდის სტრატეგიამ შესაძლოა ყურადღების მიღმა დატოვოს ისეთი კონკრეტული საკითხები, როგორიცაა: ქალთა და ასაკოვან ადამიანთა დასაქმება, დასაქმება პატარა ქალაქებში, სოფლებში და ა.შ. დასაქმება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების და ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი მთავარი გზაა. სამუშაო ადგილების ნაკლებობა ამცირებს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების შესაძლებლობას. მთავრობამ ეკონომიკური ზრდას ისეთ სექტორებში უნდა შეუწყოს ხელი, სადაც დასაქმების შესაძლებლობები გაჩნდება. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) მთავრობებს მოუწოდებს მხარი დაუჭირონ როგორც მცირე და საშუალო ბიზნესს, ასევემსხვილ კომპანიებს იმისათვის, რომ შექმნან დასაქმების შესაძლებლობები [23].

ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნისათვის, ინკლუზიური ზრდის მისაღწევად პროდუქტიულიეკონომიკური აქტივობის (სტრუქტურული ტრანსფორმაცია) განხორციელებაა საჭირო. **ეკონომიკური ტრანსფორმაცია** ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი საფუძველია, რომლის დროსაც ახალი მაღალპროდუქტიული დარგების შექმნა და სამუშაო ძალის დაბალპროდუქტიულიდამაღალპროდუქტიულ აქტივობაში გადაყვანა ხდება. ეკონომიკური ტრანსფორმაცია ამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას რომელიმე კონკრეტული სექტორის მიმართ და შესაბამისად ზრდის სტაბილურობას. ინკლუზიური ზრდის მისაღებად მნიშვნელოვანია ეკონომიკის ყველა სექტორის გააქტიურება, რაც თავისთავად უზრუნველყოფს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ეკონომიკური ტრანსფორმაციის გარეშე, ღარიბი მოსახლეობა დარჩება ღარიბად და ნებისმიერი პროგრესი იქნე-

ბა არასტაბილური. სტრუქტურული ტრანსფორმაცია აუცილებელია, ვინაიდან იგი ეკონომიკური ზრდის ფუნდამენტური ფაქტორების სისუსტის კომპენსაციას ახდენს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ აღნიშნული როგორ უნდა განხორციელდეს და როგორ მოუტანოს მაქსიმალური სარგებელი ღარიბ მოსახლეობას.

ინვესტიციები ადამიან-კაპიტალში აღიარებულია ინკლუზიური ზრდის ფუნდამენტურ საკითხად. კერძოდ, ინვესტირება ჯანდაცვასა და განათლებაში დაკავშირებულია უკეთეს ეკონომიკურ განვითარებასთან [24]. იქედან გამომდინარე, რომ დასაქმება ადამიანების ძირითადი აქტივია, კარგი განათლებით და გამართული ჯანდაცვის სისტემით მოსახლეობის ღარიბი ნაწილი ეკონომიკური ზრდიდან მეტ სარგებელს მიიღებს. კვლევებმა აჩვენა, რომ ქვეყნებმა, რომლებმაც განახორციელეს ინვესტიციები ადამიანების გონივრული უნარის განვითარებაში, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს. სწორედ ასეთი სახის ინვესტიციები იცავს ქვეყნებს ეკონომიკური კრიზისის გავლენისგან და ადამიანები გამოჰყავს სიღარიბის ზღვარიდან [25]. თუმცა, თუ ქვეყანას სჭირდება კვალიფიციური მუშახელი, არ ნიშნავს იმას, რომ სამუშაო ადგილები და ეკონომიკური ზრდა ავტომატურად მიიღწევა. უნარების განვითარება ეკონომიკური ზრდის სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. უფრო მეტიც, სასურველი შედეგის მისაღწევად დასაქმების და უნარების განვითარების საკითხები ერთდროულად უნდა განიხილებოდეს [25]. ეკონომეტრიკულიკვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ სოციალური სექტორის მხარდაჭერა მშპ-ის 1%-ით გაწეული დანახარჯებით, უზრუნველყოფს სიღარიბის 0.5%-იან შემცირებას [25, გვ. 205]. უფრო კვალიფიციური სამუშაო ძალა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს, ხოლო გაზრდილი ეკონომიკა თავისთავად უფრო მეტ ინვესტიციებს განახორციელებს ადამიან-კაპიტალის განვითარებაში.

ფისკალური პოლიტიკა მოიცავს როგორც გადასახადებს, ასევე სახელმწიფო დანახარჯებს. ფისკალური პოლიტიკა არის მთავრობის არსებითად ერთადერთი პირდაპირი ინსტრუმენტი, რომელიც შემოსავლების განაწილებაზე ახდენს ზეგავლენას [26]. აზიის განვითარების ბანკმა (ADB), ჩატარებული კვლევის შედეგად დაადგინა, რომ 1970 წლიდან 2009 წლამდე, მიუხედავად პროგრესული საგადასახადო პოლიტიკისა, სახელმწიფო დანახარჯები უფრო ეფექტური აღმოჩნდა. სახელმწიფო დანახარჯებმა ჯანდაცვასა და განათლებაში შეამცირა უთანასწორობა აზიის ქვეყნებში [27].

სოციალურ დაცვას ინკლუზიურ ზრდაში ორი ძირითადი როლის აკისრია. ერთი მხრივ, იგი იცავს ღარიბ მოსახლეობასეკონომიკური შოკებისა და კრიზისებისგან. სოციალური დაცვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი ხელს უშლის უთანასწორობას [28]. მეორე მხრივ, სოციალური დაცვა ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის პროცესს. იგი უზრუნველყოფს რისკების მართვას,

ინვესტიციების ხელშეწყობას და მეწარმეობის განვითარებას [23]. სწორად განხორციელებული სოციალური დაცვა ღარიბი ადამიანების შემოსავლების გაზრდას უზრუნველყოფს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ჩართულობა არ არის გაიგივებული უთანასწორობასთან, სისტემური დისკრიმინაცია გარკვეული ჯგუფების მიმართ მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და შედეგებზე, ასევე სიღარიბის აღმოფხვრასა და საზოგადოების კეთილდღეობაზე. სოციალური ინტეგრაციის გაუთვალისწინებლობა აფერხებს ეკონომიკურ ზრდას და სიღარიბის აღმოფხვრას.

ინკლუზიური ზრდა მოითხოვს **ინკლუზიურ საზოგადოებას, რომელსაც გააჩნია ინსტიტუტები,** სტრუქტურები და შესაბამისი პროცესები, რომელიც მთავრობას საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულს ხდის. თუ ეკონომიკურმა ზრდამ სარგებელი უნდა მოუტანოს ყველას, მაშინ მთავრობამ უნდა უზრუნველყოს თითოეული მოქალაქის უფლებების დაცვა და მათი შესაძლებლობების გაფართოება. ინკლუზიური ზრდა მოითხოვს საზოგადოების ყველა ჯგუფის ჩართულობას ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაში (World Bank, 2013). ემპირიულად ცოტა მტკიცებულება არსებობს იმის თაობაზე, რომ ინკლუზიური ინსტიტუტები ინკლუზიური ზრდის მიღწევის აუცილებელი პირობაა (Pritchett and Werker, 2012). უფრო მნიშვნელოვანია, ის რომ მთავრობამ მიიღოს და გაატაროს ზრდის ხელშემწყობი პოლიტიკა.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ მიაღწიოს ინკლუზიურ ზრდას, უნდა შეიმუშაოს შესაბამისი სტრატეგიები, რომელიც უნდა მოიცავდეს ზემოხსენებულ საკითხებს. მთავრობა უნდა მოქმედებდეს პროაქტიულად და უზრუნველყოს ინკლუზიური ზრდის სტრატეგიის შექმნა, შესრულება და მონიტორინგიგრძელვადიანი პერიოდისთვის.

საქართველო ინკლუზიური ზრდის გზაზე

ინკლუზიური ზრდის თემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიულ დოკუმენტში - „საქართველო 2020“-ში. აღნიშნულ დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ წინა წლებში ეკონომიკის ზრდის შედარებით მაღალ ტემპებს შედეგად არ მოჰყოლია უთანასწორობის შემცირება და მოსახლეობის კეთილდღეობა, განსაკუთრებით, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირების მხრივ.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა სამ ძირითად პრინციპს ემყარება. პირველი პრინციპი სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად, რაც განაპირობებს ქვეყანაში ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და სიღარიბის დაძლევას. მეორე პრინციპი კი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური

პოლიტიკის გატარებას მოიცავს, რაც თავისთავად გულისხმობს მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში და საზოგადოების კეთილდღეობას, სოციალურ თანასწორობასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. მესამე პრინციპი კი, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას გულისხმობს.

ინკლუზიური ზრდის მისაღწევად მთავარი ამოცანაა საქართველოს ეკონომიკის შემაფერხებელი პრობლემების იდენტიფიცირება და შემდგომ მისი აღმოფხვრის გზების მოძიება. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელ პრობლემათა შორის, კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასათანადოდ განვითარებული ადამიან-კაპიტალი და ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა დასახელდა. სწორედ ამ პრობლემების აღმოფხვრას ისახავს მიზნად „საქართველო 2020“, რითაც განსაზღვრულია ის პრიორიტეტები, რომელთა გადაჭრა გრძელვადიანი, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევადაა საჭირო. აღნიშნული სამი ძირითადი პრობლემის დასაძლევად სტრატეგიაში განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა
საინვესტიციო და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება ინოვაცია და ტექნოლოგიები ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა ინფრასტრუქტურის განვითარება
ადამიან-კაპიტალის განვითარება
შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვა
ფინანსებზე ხელმისაწვდომობა
საინვესტიციო რესურსების მობილიზება ფინანსური შუამავლობის განვითარება

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ეკონომიკური რეფორმების ორი ტალღა მოჰყვა. რეფორმები, რამაც ახალი ეკონომიკური სისტემის ინსტიტუციური საფუძველი შექმნა, 90-იანი წლების პირველი ნახევრის კრიზისის შემდეგგანხორციელდა. ამ პოლიტიკამ რეფორმების პირველ ეტაპზე განაპირობა ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, რომელიც 90-იანი წლების ბოლოს შეფერხდა. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, საქართველოში რიგი რეფორ-

მა განხორციელდა, რაც კორუფციის აღმოფხვრას და ბაზრის ლიბერალიზაციას ისახავდა მიზნად. დაწყებული რეფორმების მეორე ტალღა მიმართული იყო ბაზრის ლიბერალიზაციისკენ, რაც, სხვა საკითხებთან ერთად, გადასახადების, ნებართვებისა და ლიცენზიების რაოდენობის შემცირებით გამოიხატა. წინა წლებში ეკონომიკურიზრდის ერთ-ერთმთავარფაქტორსსახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები წარმოადგენდა, რომელთადიდი ნაწილი მიმართული იყო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. 2007 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ (პუი) მშპ-ის 20%-ს მიაღწია, 2006-2014 წლებში კი 9.8 მლრდ დოლარი შეადგინა (გრაფიკი 3). საქართველოს ეკონომიკა,მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდე და რუსეთთან 2008 წელს მომხდარ კონფლიქტამდე,საშუალოდ დაახლოებით 10%-ით იზრდებოდა. 2010-2015 წლების პერიოდში კი ქვეყნის მშპ საშუალოდ 5%-ით იზრდებოდა. ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (12.6%) 2007 წელს დაფიქსირდა. 2008 წელს ორმაგი საგარეო შოკის შემდეგ მშპ-ის ზრდა 2.4% იყო, ხოლო 2009 წელს ქვეყნის ეკონომიკა 3.7%-ით შემცირდა. თუმცა, სიტუაცია სწრაფად გამოსწორდა და 2010 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 6.2% შეადგინა. უმნიშვნელოდ შემცირდა ზრდის ტემპი 2013 წელს, რაც უმეტესად პუი-ების ნაკადების შემცირების ხარჯზე მოხდა. 2014 წელს რეგიონსა და საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებული არახელსაყრელი ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველოს ეკონომიკა 4.6%-ით გაიზარდა(გრაფიკი 4).თუმცა, ასეთმა ეკონომიკურმა ზრდამ და ზრდადი რაოდენობით შემოსულმა პუი-ებმა ვერ უზრუნველყო უთანასწორობის შემცირება და მოსახლეობის კეთილდღეობა,განსაკუთრებით, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირება.

ამასთან, სამუშაო ძალის წილი ეკონომიკის განვითარებაში უარყოფითი იყო და საშუალოდ 1.6%-იანი კლების ტენდენციითხასიათდებოდა. ფაქტორების მთლიანი მწარმოებლურობის (ეკონომიკური ზრდის ნაწილი, რომელიც შრომის ან კაპიტალის ზრდას არ უკავშირდება) საშუალოწლიური ზრდის ტემპი კი 2.8%-ს შეადგენდა. წინა წლებში შემოსული პუი-ებს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის ხელი უნდა შეეწყო, თუმცა, შემოსული ფინანსების დიდი ნაწილი კაპიტალტევად დარგებში იყო მიმართული, სადაც დასაქმების მოცულობა მცირე იყო. ქართველ დამსაქმებელთა გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ კომპანიათა უმეტესობა კვალიფიციური სამუშაო ძალის არასაკმარისობაზე მიანიშნებს. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის“ მიხედვით, არაშესაფერისი კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალა ბიზნესის განვითარების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად სახელდება [29]. დასაქმების სტაგნაცია სამუშაო ადგილების არარსებობის ბრალი არ არის, არამედ პრობლემას არასათანადო სამუშაო ძალის არარსებობა ქმნის. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2009

წელს დაფიქსირდა - 16.9%, თუმცა, მომდევნო წლების განმავლობაში კლების ტენდენციას ჰქონდა ადგილი და 2015 წელს 12% დაფიქსირდა. უმუშევრობის აღნიშნული მაჩვენებელი ევროპის ქვეყნებში არსებულ დონეზე მაღალია. უმუშევრობის დონე განსაკუთრებით მაღალია ქალაქ თბილისში (21.4%), ხოლო ასაკობრივი ჭრილით კი – ახალგაზრდებში (32%).

ეკონომიკური ზრდით მიღებულმა შედეგმა ვერ უზრუნველყო სიღარიბის დონის მნიშვნელოვანი შემცირება ბოლო ათწლეულში სიღარიბის მაჩვენებელი თითქმის არ შეცვლილა. ეკონომიკურმა ზრდამ საქართველოში უკიდურეს სიღარიბეში მცირე ცვლილება გამოიწვია, თუმცა უთანასწორობა არ შემცირებულა. „საქსტატის“ მონაცემებით, ფარდობითი სიღარიბე (მოსახლეობის წილი, რომლის მოხმარება მედიანური მოხმარების 60%-ზე ქვემოთაა) 2004 წელს დაახლოებით 25%-ს შეადგენდა, ხოლო 2014 წელს შემცირდა 21%-მდე, რაც ძირითადად ქალაქში სიღარიბის შემცირებით არის გამოწვეული (გრაფიკი 3). შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდის პირობებშიუთანასწორობაუმნიშვნელოდ შეიცვალა, ჯინის კოეფიციენტი სტაბილურად 0.4 ნიშნულზეა (გრაფიკი 4). ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) 2016 წლის გარდამავალი ქვეყნების ანგარიშის მიხედვით საქართველო ევროპასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის უთანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე უთანასწორო სახელმწიფოა (გრაფიკი 6). EBRD-ის შეფასებთ, საქართველოში არათანაბარი შესაძლებლობები ზღუდავს სოციალურ მობილობას და უცვლელად ტოვებს საზოგადოების დაყოფას. ერთი ნაწილი ჩართულია თანამედროვე ეკონომიკაში, მეორე კი ტრადიციული მეურნეობით, თვითდასაქმებით.

გრაფიკი 3. სიღარიბის მაჩვენებელი და მშპ საქართველოში [30]



გრაფიკი 4. სიღარიბის მაჩვენებელი საქართველოში [30]



კრჱფიკი 5. ჯინის კოჭფიციჭნტი სჱქჱრთვჭლოში [30]



ჯრაფიკი 6. უთანასწოროების კოეფიციენტი



ეკონომიკური ზრდის მაღალს ტემპს, რომლის შედეგები მოსახლეობის ფართო ფენისთვის იქნება ხელმისაწვდომი, არსებითად კონკურენტუნარიანი კერძო სექტორი უზრუნველყოფს. ინკლუზიური ზრდის მისაღწევად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ზომის მეწარმეობის განვითარება. სწორედ ეს უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას და მოსახლეობის დიდი ნაწილის დასაქმებას. ევროკომისიის მიერ მდგრადი განვითარების 2011 წლის პოლიტიკის მიხედვით, ინკლუზიური ზრდის მისაღწევად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაა საჭირო [32]. 2006-2014 წლებში მცირე და საშუალო წარმოების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების წილი საწარმოთა მთლიან დამატებულ ღირებულებაში იცვლებოდა, თუმცა 20%-ს არ აღემატებოდა. 2011 და 2014 წლებში აღნიშნულმა მაჩვენებელმა შესაბამისად 21.8% და 21.1% შეადგინა, საიდანაც დამატებული ღირებულების უდიდესი წილი (71.1%) შექმნილია თბილისში. 2014 წლის მონაცემების მიხედვით, მცირე და საშუალო საწარმოების წილი მშპ-ში 18%-ია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული მეწარმეობა ჯერ კიდევ ვერ ასრულებს მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ეკონომიკაში [33].

„საქართველო 2020“-ის ერთ-ერთი მთავარი ბლოკი სწორედ მეწარმეობის განვითარებას ეთმობა. მწარმოებლურობის ზრდა ნაკლებად შეეხო მრეწველობას, შესაბამისად, უფრო გაიზარდა ეკონომიკის სხვა სექტორები. მრეწველობის განვითარების დონე და მისი საექსპორტო პოტენციალი კვლავ დაბალია. ექსპორტი არადივერსიფიცირებულია, მცირეა მისი დამატებული ღირებულება, სუსტია ახალ ბაზრებზე შეღწევის და დამკვიდრების მაჩვენებლები.ამის შედეგია

დასაქმების ზრდის ძალზე დაბალი ტემპი. ეს ცხადყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკისა და კერძო სექტორის, როგორც მისი ძირითადი მამოძრავებელი კომპონენტის, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა სუსტია. სწორედ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს ევროკავშირის შიგა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. აღნიშნული პროცესი ითვალისწინებს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის რეგულაციებსა და სისტემებთან. ამას შედეგად უნდა მოჰყვეს საქართველოს საქონლისა და მომსახურების ევროკავშირის ბაზარზე გატანა, რაც გაზრდის ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას და ინვესტიციების მოზიდვის ახალ შესაძლებლობებს. სწორედ მიმზიდველი საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს მწარმოებლურობაზე, რამდენადაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. დღევანდელ სამყაროში კი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვაა საჭირო. 2004 წლიდან განხორციელებული რეფორმების შედეგად, საქართველო მოწინავე რეფორმატორ ქვეყნად აღიარეს. მსოფლიო ბანკის ბიზნესწარმოების ანგარიშის მიხედვით (Doing Business 2016) საქართველო ბიზნესის წარმოების სიმარტივის მაჩვენებლით 189 ქვეყანას შორის 24-ე ადგილი უკავია. 2016 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოს რეიტინგი სამ კომპონენტშია გაუმჯობესებული (ელექტროენერგიით მომარაგება, კონტრაქტების აღსრულება, გადახდისუუნარობის საქმის წარმოება). მთლიანობაში კი საქართველოს პოზიცია 24 ადგილამდე ჩამოვიდა, რაც ძირითადად გამოწვეულია მსოფლიო ბანკის მიერ მეთოდოლოგიის ცვლილებით.

ხელმისაწვდომი ჯანდაცვა ინკლუზიური ზრდის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მისი ხარისხის გაუმჯობესება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტია. ჯანდაცვის სექტორში დაფინანსების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, 2013 წლიდან მოქმედებს საყოველთაო პროგრამა (2013 წელს ჯანდაცვის სექტორისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ასიგნებების მოცულობა, 2012 წელთან შედარებით, 365 მლნ ლარიდან 635 მლნ ლარამდეა გაზრდილი), რომლის მიზანია საქართველოს მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და საკუთარი ჯიბიდან გადახდის და დანახარჯების შემცირება. 2010 წლის მონაცემებით, საქართველო ევროპის რეგიონში საკუთარი ჯიბიდან გადახდის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა (70%), ხოლო შინამეურნეობების 9%-ს ჯანდაცვაზე კატასტროფული დანახარჯები ჰქონდა(საქართველო 2020, 2014). სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის სისტემაში გაწეული დანახარჯები ქვეყნის მშპ-ის10%-ს წარმოადგენს, რაც ევროპაში არსებულ საშუალო მაჩვენებელთან (9%) ახლოსაა [34].

ინკლუზიური ზრდა, ცხადია, თავისით არ მიიღწევა. მის მისაღწევად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი პოლიტიკის გატარება. სწორედ ამ პრობლემების აღმოფხვრას ისახავს მიზნად „საქართველო 2020“, რომელშიც განსაზღვრულია ის პრიორიტეტები, რომელთა გადაჭრა გრძელვადიანი, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად არის საჭირო.მნიშვნელოვანია, რომ ინკლუზიური ზრდის პოლიტიკაში დიდი ყურადღება დაეთმოს სოფლებში ისეთი საკითხების მოგვარებას, როგორიცაა სიღარიბე, ჯანდაცვა, განათლება და უთანასწორობა. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი ქალაქში ფიქსირდება, სოფლებში ნახევრად დასაქმებულების სტატისტიკამ შესაძლოა არაზუსტი სურათი მოგვცეს. პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ინკლუზიური ზრდის მიღწევას, ეს ფაქტი უნდა გაითვალისწინოს და სოფლად შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები უნდა გატარდეს. ამისათვის მნიშვნელოვანია დიდი ყურადღება მიენიჭოს დასაქმების სტრატეგიას და განხორციელდეს ინვესტიციები ადამიან-კაპიტალში, რამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინკლუზიური ზრდა წარმოადგენს ისეთ ეკონომიკურ განვითარებას, რომელსაც ფართო საზოგადოებისთვის მოაქვს სარგებელი, ანუ ეკონომიკური ზრდა ინკლუზიურია, როდესაც ეკონომიკურ განვითარებას თან ახლავს სიღარიბის და უთანასწორობის შემცირება. სიღარიბე არამხოლოდ სოციალურად არასასურველი მოვლენაა, არამედ ის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორიცაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიური ზრდა არ ნიშნავს უბრალოდ შემოსავლების გადანაწილებას მდიდრებსა და ღარიბებს შორის. ინკლუზიური ზრდის შედეგად ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს სარგებელი ეკონომიკური ზრდისგან, რაც გულისხმობს მეტ დასაქმებას, მეტ შემოსავლებს და მეტ შესაძლებლობებს. ინკლუზიური ზრდა უნდა უზრუნველყოფდეს მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას ეკონომიკურ პროცესებში. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისგან არამხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი ეფექტიც უნდა მივიღოთ. უფრო მეტიც, ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებისთვის ინკლუზიურობა აუცილებელი პირობაა. ინკლუზიური ზრდის იდეა არის ის, რომ ყველა მოქალაქეს უნდა გააჩნდეს ღირსეული ცხოვრების პირობები.

როგორც საქართველო, ასევე მსოფლიოს მრავალი ქვეყანადგას ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორიცაა სიღარიბის დაძლევა, სამუშაო ადგილების შექმნა, დასაქმება და საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობა ეკონომიკურ აქტივობაში.

არსებული სიტუაციის შესწავლის საფუძველზე, იმისათვის რომ საქართველოს ეკნომიკა უფრო ინკლუზიური და კონკურენტუნარიანი გახდეს,ადამიანები ეკონომიკის თანამედროვე სექტორებში უნდა გადაერთონ. საქართველოსთვის საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მისი უთანასწორობის მაჩვენებლირეგიონში არსე-

ბულ საშუალო მაჩვენებელზე დიდად მაღალია. არათანაბარი შესაძლებლობები ზღუდავს სოციალურ მობილობას და უცვლელად ტოვებს საზოგადოების ხისტ დაყოფას (ნაწილი ჩართულია თანამედროვე ეკონომიკაში, ნაწილი კი თვითდასაქმებით არის დაკავებული). სოციალურ მობილობას არამხოლოდ პროფესიული სწავლება უზრუნველყოფს, არამედ ინვესტიციები ადრეული განათლების სისტემაშიც უნდა ჩაიდოს, რაც სოფლის მოსახლეობისა და ღარიბი სეგმენტისთვის იქნება გამიზნული. შესაბამისად, ჩამოსაყალიბებელია ერთიანი მეთოდოლოგია, რომლის მიხედვიდაცსწორად დადგინდება ღარიბთა სეგმენტი და შემდგომ მოხდება მათვის შესაბამისი განათლების მიწოდება. არსებითად ეს უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას ეკონომიკურ პროცესში. სამუშაო ადგილები, ხშირად, სწორედ სათანადო სამუშაო ძალის არარსებობის გამო ვერ იქმნება. არათანაბარი შესაძლებლობები და ხელმიუწვდომლობა საფრთხეს უქმნის ნებისმიერ ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობას.

ინკლუზიური ზრდის მისაღწევად ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული პროდუქტის წარმოების გადიდება, რისთვისაც აუცილებელია ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2014 წლიდან მოყოლებული საქართველოს ექსპორტის სტრუქტურაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. მაგალითად, ადგილი ჰქონდა პრობლემებს ქვეყნის უმსხვილეს ბაზრებზე და წამყვან საექსპორტო საქონელთან დაკავშირებითაც. კერძოდ, მკვეთრად შემცირდა ავტომობილების რეექსპორტი, ხოლო 2015 წლიდან პრობლემები შეექმნა ისეთ საექსპორტო საქონელს, როგორიცაა ფეროშენადნობი პროდუქტი. აღნიშნული რყევები საქართველოს ექსპორტში მაღალმა კონცენტრაციამ გამოიწვია, ვინაიდან რამდენიმე საქონლის ბაზარზე წარმოქმნილმა პრობლემებმა მთლიან მაჩვენებელზე იქონია ზეგავლენა. უნდა აღინიშნოს რომ 2013 წლიდან მოყოლებული, ექსპორტი უფრო დივერსიფიცირებული გახდა, თუმცა მცირედით. ექსპორტის დივერსიფიცირება ევროკავშირის და სხვა მიმართულების ექსპორტის გააქტიურებითაა გამოწვეული. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ საექსპორტო პროდუქციის გამრავალფეროვნების პროცესი შედარებით სუსტია, საქართველოს ექსპორტი კონცენტრირებულია მცირე ნომენკლატურის საქონელზე. ყოველივე ეს ზრდის ეკონომიკური რყევების რისკებს. შესაბამისად, ქვეყანამ უნდა იზრუნოს საექსპორტო პროდუქციის როგორც გადიდებაზე, ასევე გამრავალფეროვნებაზე.

ლიტერატურა:

1. WB. (2015). *Sustainable Development Goals.* Retrieved from https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/1579SDGs%20Proposal.pdf
2. IMF. (2013). *Statement by the Managing Director on the Work Program of the Executive Board.* Retrieved from https://www.imf.org/external/np/pp/eng/2013/052213.pdf
3. IMF. (2014). *World Economic Outlook.* Retrieved from http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2014/01/pdf/text.pdf

4. Legarde, C. (2016, September). *http://www.bnn.ca/imf-s-lagarde-urges-more-inclusive-approach-to-globalization-1.565977*. Retrieved from http://www.bnn.ca/: http://www.bnn.ca/imf-s-lagarde-urges-more-inclusive-approach-to-globalization-1.565977
5. G20 Leaders' Declaration. (2013). Retrieved from https://www.whitehouse.gov/sites/default/files/image/files/saintpetersburgdeclaration.pdf
6. Kuznets. (1955). *The American Economic Review.*
7. Solow, M. (1956). *A contributiion to the Theory of Economic Growth.*
8. Filho, A. (2010). *From Washington Consensus to Inclusive Growth:The Continuing Relevance of Pro-Poor Policy Alternatives.*Retrieved from http://www.un.org/en/development/desa/policy/wess/wess_bg_papers/bp_wess2010_filho.pdf
9. Klasen, ADB, S. (2010). *Measuring and Monitoring Inclusive Growth: Multiple Definitions, Open Questions and Some Constructive Proposals.* Retrieved from https://www.adb.org/sites/default/files/publication/28492/adb-wp12-measuring-inclusive-growth.pdf
10. Gurría, OECD, A. (2013). Retrieved from www.oecd.org: https://www.oecd.org/forum/people-first-opening-remarks-forum-2013.htm
11. R.Ranieri, R. I.-I. (2013). *After All, What is Inclusive Growth?* Retrieved from http://www.ipc-undp.org/pub/IPCOnePager188.pdf
12. Palavinel, UNDP, T. (2011). *Consultation on Conceptualizating Inclusive Growth.* Retrieved from http://www.undp.org/content/dam/india/docs/consultation_on_conceptualizing_inclusive_growth.pdf
13. WB. (2016). *Global Monitoring Report 2015/2016, Development Goals in an Era of Demographic Change.*
14. www.worldbank.org
15. IMF. (2016). *World Economic Outlook.* Retrieved from https://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2016/update/01/pdf/0116.pdf
16. ILO;. (2016). *World Employment Social Outlook.* Retrieved from http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/dgreports/---dcomm/---publ/documents/publication/wcms_443480.pdf
17. Ravallion, WB. (2013). *How Long will it take to lift one billion people out of poverty?* Retrieved from http://documents.worldbank.org/curated/en/24836-1468025472051/pdf/wps6325.pdf
18. Berg and Ostry, IMF. (2011). *Inequality and Unsustainable Growth: Two sides of the same coin>.* Retrieved from https://www.imf.org/external/pubs/ft/sdn/2011/sdn1108.pdf
19. WB Group. (2016). *Taking on Inequality.* Retrieved from https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/25078/9781464809583.pdf
20. Wennberg,Ehrling. (2014). *Inclusive Growth in Europe.*
21. Zhuang, ADB, J. (2010). *Poverty, Inequality and Inclusive Growth in Asia: Measurement, Policy Issues, and Country Studies.*
22. Balakrishnan, Steinberg, Syed; IMF. (2013). *The Elusive Quest for Inclusive Growth: Growth, Poverty, and Inequality in Asia?*
23. OECD. (2009). *Promoting Pro-Poor Growth: Employement.*
24. Ravallion, 2. (2004). *"pro-poor growth-a-primer, World Bank".*

25. UNESCO. (2012). *Youth and skills: Putting education to work.*
26. IMF. (2014). *Fiscal Policy and Income Inequality.*
27. ADB. (2014). *Fiscal Policy for Inclusive Growth.*
28. Slater, M. a. (2014). *Social Protection and Growth: Research Synthesis.*
29. World Economic Forum, 2016. *The Global Competetiveness Report 2016-2017.*
30. www.geostat.ge
31. www.ebrd.com
32. EU comission. (2011). *Report re the consultation on the EU Green Paper "EU development policy in support of inclusive growth and sustainable development – Increasing the impact of EU development policy".*
33. საქართველოს მთავრობა, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია. (2016).
34. საქართველო 2020. (2014). *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020.*

Inclusiveness: The Most Important Factor in Economic Growth and Development

Eliso Beridze

Doctoral student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Recently in many countries the problem of inclusive growth has become a highly topical issue. The article focuses on the content of inclusive growth, characterization of inclusive growth factors and the role of inclusiveness in economic growth and development. The proper place in the article is given to the specificity of inclusive growth and the importance of the improvement of Georgia's population well-being and the country's socio-economic advancement in general. In connection of each noted problem, the author of the work has formulated her position and set adequate measures.

Keywords: inclusive growth, growth factors, unemployment and employment, disparities in incomes, social equality, inequality coefficient, structural transformation, Georgia – 2020

JEL Codes: O10, O40, O50

ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1, გვ. 82-98
ECONOMICS AND BUSINESS, 2017, 1, pp. 82-98

თბილისის უძრავი ქონების ბაზრის შედარებითი ანალიზი

ალექსანდრე ვასილევი
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა
ინსტიტუტის მაგისტრანტი,
მმართველობის სკოლა, GIPA

სტატია ეხება თბილისში უძრავი ქონების საცხოვრებელი ფართების სექტორში 2007-2016 წლებისთვის ფასების დინამიკის განსაზღვრას, ბიზნესციკლების გამოყოფას, 2016 წლის მესამე-მეოთხე კვარტლების ფარგლებში მოკლევადიანი პროგნოზის საშუალებით საინვესტიციო კლიმატის შეფასებას და ფასის ცვლილების მხრივ განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენას.

საკვანძო სიტყვები: *სამშენებლო ბაზარი; უძრავი ქონება; ბიზნესციკლი; დროის მწკრივების ანალიზი; საერთაშორისო (სავალუტო) ფინანსური ბუშტი; მოთხოვნის ელასტიკურობა; ფასების ტრენდი; ფაქტორული ანალიზი; მეორადი და პირველადი უძრავი ქონების ბაზრები.*

საკითხის დასმა და კვლევის (ანალიზის) მიზანი

სამშენებლო ბაზრის გამოცოცხლება სათავეს ჯერ კიდევ 1999 წლიდან იღებს- იმ დროიდან, როცა საზოგადოებაში გაჩნდა იმის საკმარისი ფინანსური საშუალებები, რომ საშუალო ფენის წარმომადგენელთა გარკვეულ ნაწილს საკუთარი უძრავი ქონების უზრუნველყოფა შესძლებოდათ. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე საცხოვრებელი ფართის ოდენობა ევროპის საშუალო სტატისტიკურ მაჩვენებელთან შედარებით(25კვ.მ) ოდნავ მცირეა (1 კვ.მ-ით ნაკლებია) [6]. საცხოვრებელი ფართის პრობლემა საზოგადოებაში სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს და მისი მნიშვნელობა მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებით არ შემოიფარგლება. გარდა რეალური, მყარი კაპიტალდაბანდებისა, საკმარისი საცხოვრებელი ფართის ხელმისაწვდომობა საზოგადოების რეფორმირებას უწყობს ხელს. სხვადასხვა გამოკითხვით სულ უფრო ცხადი ხდება, რომ დღესდღეობით ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა საკუთარი ფართის შეძენისკენ მიილტვის ან სასურველად მიიჩნევს; გაფართოვებული ოჯახების საერთო ოდენობა კი მცირე, თუმცა მდგრად კლებას ინარჩუნებს.

მეორე, მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი, უშუალოდ ეკონომიკური ხასიათისაა. დღესდღეობით, უძრავი ქონება კაპიტალდაბანდების ერთ-ერთი ყველაზე მყარი და საიმედო მიმართულებაა. „უძრავი ქონება კვლავაც ერთ-ერთი ყველაზე სარფიანი საინვესტიციო ინსტრუმენტია“ [28]. ამავე წყაროს მიხედვით, 2015 წელს რიგი პრობლემის მიუხედავად (ლარის გაუფასურება, სავიზო ბარიერები, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება და სხვა), უძრავი ქონების ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე „მარტივი და ურისკო ინსტრუმენტია ინვესტორებისთვის“. ეს ფაქტი რიგი მიზეზით აიხსნება: ფინანსების მოზიდვის შედარებით მარტივი გზა, მყარი, გარანტირებული გრძელვადიანი ინვესტიცია, სტაბილური შემოსავალი, ადვილად მართვადი აქტივი, შედარებით მაღალი ლიკვიდურობა და სხვა. მაგრამ ყველაზე მთავარი აქ არის ის, რომ ბაზარი მზარდი მოთხოვნით განიცდის და რიგი უარყოფითი ფაქტორების მიუხედავად, უშუალოდ საცხოვრებელი ფართების მაგალითზე არამცთუ იკლებს, არამედ მდგრად ზრდადობას ინარჩუნებს.

ამასთან, ადგილობრივ ბიზნესს, მათ შორის უცხოელ ივესტორებს ქართული უძრავი ქონების ბაზრის რეალური სურათი სჭირდებათ, რათა ბიზნესგადაწყვეტილებები საიმედო ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიღონ. თუ ეს ინფორმაცია (მათ შორის მყარი სტატისტიკური მონაცემების სახით) არ მოიპოვება ან ის არასისტემურია, ინვესტორებისთვის კაპიტალდაბანდება გარკვეულ რისკებთან იქნება დაკავშირებული და შესაძლოა ამ მხრივ შეფერხდეს კიდეც. აქვე უნდა ითქვას, რომ დღემდის ჩატარებული კვლევების სიმწირის გამო, რთულია სექტორში ვრცელი სურათის დანახვა. აქამდე მხოლოდ რამდენიმე კვლევა ჩატარდა, რომელთა შორის ყველაზე ნიშანდობლივია კვლევა, რომელიც Colliers Georgia-მ განახორციელა (დასრულდა 2014 წლის მიწურულს), მათ შორისაა ISET კვლევითი ინსტიტუტის პროექტი („თიბისი“ ბანკთან შეთანხმებით) ე.წ. უძრავი ქონების ლაბორატორიის ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც უძრავი ქონების ბაზრის ინდექსის შემუშავებაზე მუშაობს.

დღესდღეობით, სამშენებლო ბაზარს მშპ-ს 3% უკავია. ეს მხოლოდ საცხოვრებელი ფართის მშენებლობა-რეალიზაციას არ გულისხმობს. აქ შეგვიძლია როგორც კომერციული ფართები, სარეკრეაციო-ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, სასტუმროებისა და სავაჭრო ცენტრების მშენებლობა და სხვა ქვესექტორებიც ვიგულისხმოთ. „საქსტატის“ ცნობით, დარგში დასაქმებულთა რაოდენობა 2015 წლის მდგომარეობით 59856.5 ადამიანია, რაც 2014 წელთან შედარებით ნაკლებია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ გასული წლების განმავლობაში სამშენებლო ბაზარი საქართველოში განუხრელად მზარდ ტენდენციას ინარჩუნებდა. დღესდღეობით სექტორი ინვესტიციების მოზიდვის მხრივაც მნიშვნელოვანია და როგორც ადგილობრივი კომერციული ბანკები, ასევე უცხოური ორგანიზაციები სექტორში კაპიტალის აქტიურ დაბანდებას განაგრძობენ (საქსტატის ცნობით, 2015 წლის მონაცემებით - 9.55%). 2003-

2008 წლების პერიოდში, იმავე წყაროს მიხედვით, სექტორში წარმოებული პროდუქციის ჯამური ოდენობა 5-ჯერ გაიზარდა, და 2014 წლის შუალედური მოხმარების მხრივ 4.1 მლრდ ლარი შეადგინა [1].

2003 წელთან შედარებით, 2015 წლის მდგომარეობით საქართველოში საცხოვრებელ ფართებზე ფასი დაახლოებით ოთხჯერ გაიზარდა, თუმცა, ამ ცვლილების მიუხედავად საცხოვრებელ ფართებზე მოთხოვნამ არ იკლო (აღსანიშნავია ისიც, რომ 2008-2009 წლებში მოთხოვნის კლება მეტად მცირეა), მეტიც, მოთხოვნა კვლავაც იზრდება. ამასთან, მშენებარე ბინების ფასი წლიდან წლამდე დაახლოებით 3.5%-ით იზრდება (საშუალოდ), ხოლო მეორად ბინებზე მეტად მცირე კლებით ან სტაბილური ხასიათით გამოიჩევა [1].

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ანალიზის მიზანია არსებული სტატისტიკური მონაცემებისსაფუძველზე,რომლებიცთბილისისუძრავიქონებისბაზარზეფასთა ცვლილებას წარმოაჩენს და გაყიდვების საერთო ოდენობას ითვალისწინებს, 2007-2016 პერიოდისთვის ფასების ცვლილების მაგალითზე ბიზნესციკლების განსაზღვრა დროის მოცემულ მწკრივებზე [30] უზრუნველვყოთ და წინამდებარე კვლევების გათვალისწინებით ბიზნესციკლების საერთო სიხშირე გამოვკვეთოთ; ასევე ტრენდის ექსტრაპოლირებით ფასების სავარაუდო ცვლა და უახლესი ციკლის სამომავლო ტრენდი განვსაზღვროთ (2016 წლის მეორე და მესამე კვარტალი). წარმოდგენილი ანალიზი თბილისის არეალს მოიცავს, რაც შეეხება მონაცემებს, ის წინამდებარე კვლევების შედეგებსა და „საქსტატის“ ოფიციალურ ცნობებს ეფუძნება. მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისას ცდომილების ზღვარი 0.05-ით შემოიფარგლება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მოცემული ანალიზი როგორც ბიზნესის, ასევე საჯარო სექტორის წარმომადგენლებს (ისევე როგორც მკვლევარებს) საშუალებას მისცემს უფრო დაზუსტებული ინფორმაციით იხელმძღვანელონ და იგი თავიანთი მიზნებისთვის გამოიყენონ (ან მასზე დაყრდნობით დამატებითი კვლევები აწარმოონ). აღნიშნული ინფორმაცია სასარგებლოა რიგითი მომხმარებლისთვისაც, რომელიც ბაზარზე შემოსვლის, საცხოვრებელი ფართების შეძენის ან მათი რეალიზაციის დროს სანდო ინფორმაციით იხელმძღვანელებს. კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინვესტორებისთვის, რომლებმაც ბაზარზე მიმდინარე ტენდენციები უნდა ამოიკითხონ და კაპიტალდაბანდების მიზნით საერთო სურათს საფუძვლიანად გაეცნონ.

უძრავი ქონების ბაზრის ზოგადი სპეციფიკაცია

უძრავი ქონების ბაზარი ფართო აქტივობითა და რიგი სპეკულაციური მიმართულებით გამოირჩევა. თუკი საკუთრებაში უძრავი ქონება გაგაჩნიათ, ქირაობთ, გირაობთ, ყიდით ან ყიდულობთ მას, ამ ბაზარზე აქტიურ ან პო-

ტენციურ მონაწილეს წარმოადგენთ. უძრავი ქონების ბაზარზე ოპერაციები საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს, როგორც კომპლექსურ მათემატიკურ გათვლებს, ასევე მარტივ სასაქონლო ოპერაციებს.

დღესდღეობით, როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში უძრავ ქონებაზე მოთხოვნა სტაბილურად მზარდია, თუმცა, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, ფასის ცვლილება განსხვავებული რყევადობით გამოირჩევა. იგივე ფინანსების ჰეჯირებისა და დივერსიფიკაციის მხრივ, ის საიმედო კაპიტალდაბანდების სფეროს წარმოადგენს; გარდა ამისა, თუ გავითავალისწინებთ (საცხოვრებელ ფართებზე) ფასების სტაბილური (თუმცა მცირე) ზრდის ტენდენციას, დავინახავთ, რომ რთული პროცენტის ფორმულით გრძელვადიან პერსპექტივაში აღნიშნული საქმიანობა საკმაოდ მნიშვნელოვანი შემოსავალის მომტანია. აღნიშნული ბაზარი (განსაკუთრებით საცხოვრებელი ფართები) დასაწყისისთვის დიდ კაპიტალდაბანდებას და მრავალწლიან გამოცდილებას არ მოითხოვს (რაც შესაძლოა საქართველოში ამ ბაზრის გააქტიურებისთვის ერთ-ერთ ფაქტორად მივიჩნიოთ). იმდენად, რამდენადაც დამატებული ღირებულება საკმაოდ მაღალია, მზარდი მოთხოვნის პირობებში, იგი ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ნიშას წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია გამოვყოთ და სათითაოთ გავაანალიზოთ ის ფაქტორები, რომლებიც უძრავი ქონების ბაზრის ჩამოყალიბებასა და მის ცვლილებას უწყობს ხელს: (ქვეყანაში შექმნილი საერთო ეკონომიკური მდგომარეობა (მოკლევადიანი რყევები), ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე, საპროცენტო განაკვეთები (როგორც საერთო, ასევე იპოთეკური), კრედიტის ხელმისაწვდომობა და სხვა. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ფაქტორების თანხვედრა უძრავი ქონების ბაზრის დინამიკას და მიმართულებას განსაზღვრავს. მაგალითად, თუ რომელიმე ქვეყანაში (ერთ სულზე საცხოვრებელი ფართის საშუალო ოდენობა 50 კვ.მ. შეადგენს ან მეტია), პოპულაციის ზრდა ნეგატიური ან ნულის ტოლია, სამშენებლო ბაზრის დინამიკა საცხოვრებელ ფართზე ნაკლებად ორიენტირებულია და სხვა მიმართულებით იშლება. საქართველოში, სადაც მოთხოვნა წლიდან წლამდე მზარდია (საერთო ფართის ნაკლებობის ხარჯზე, მიუხედავად ემიგრაციის მაღალი დონის და მოსახლეობის ზრდის დაბალი ტენდენციისა), უძრავი ქონების ბაზრის გაფართოვება ძირითადად ეკონომიკურ ფაქტორებს, კერძოდ, საკრედიტო პოლიტიკას და მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის ზრდას უკავშირდება.

ერთობლიობაში, უძრავი ქონების ბაზარი, იმისდა მიუხედავად, რომ რიგი სპეციფიკაცით ხასიათდება, ძირითად ეკონომიკურ პრინციპებს ექვემდებარება და მოთხოვნა-მიწოდების ზოგადი კანონებით მოქმედებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მოთხოვნის ძირითადი პრინციპის საპირისპიროდ, ზოგჯერ უძრავი ქონების

ბაზარზე მოთხოვნის ზრდა ფასის დადებითი ცვლილების შემთხვევაშიც გამოვლინდება. თუმცა, აღნიშნული ტენდენცია, ზოგ შემთხვევაში, არა იმდენად ფასების მატებით, არამედ მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში არსებული „მოლოდინებით“ უნდა აიხსნას (იმ პირობით, თუ ფასების ზრდის გამომწვევი სხვა ფაქტორები არ მოქმედებს). შესაბამისად, ეს ტენდენცია, რომელიც საერთო ეკონომიკური პრინციპის გამონაკლისს წარმოადგენს, ადამიანების პირადი შეხედულებებისა და მომავალში სავარაუდო დაშვების პირდაპირი შედეგია [17]. თუმცა, აქაც ორგვაროვანი შეხედულება არსებობს: მაშინ როცა გარკვეული ფენისთვის ფასების ზრდა მოთხოვნის ნაკლებობას მოასწავებს (რადგან მათთვის ფართების შეძენა ან ქირა უკვე ნაკლებად ხელმისაწვდომია), ბაზრის გარკვეულ სეგმენტში ეს ტრენდი ფასების სამომავლო ზრდის ინდიკატორია და ამრიგად უძრავი ქონების შეძენა მომგებიან კაპიტალდაბანდებად ჩანს (სწორედ ეს იყო 2007 წელს ფინანსური ბუშტის წარმომქნელი მოტივი, როცა ყველას სჯეროდა, რომ ფასების ზრდის პროცესი მომავალშიც გაგრძელდებოდა.

როგორც საცხოვრებელ, ისევე კომერციულ ფართებზე, როგორც უშუალოდ ფასები ისევე ქირის განაკვეთი მოთხოვნის ენდოგენური ფაქტორებია. ბუნებრივია, მათი გავლენა (სხვა ძირითად ფაქტორებთან ერთად) უმნიშვნელოვანესია მოთხოვნის შემდგომი განსაზღვრისათვის, თუმცა ეგზოგენურ (გარე) ფაქტორებსაც, ხშირ შემთხვევაში, არანაკლებ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ესენია: უშუალოდ ბაზრის სიდიდე (მოსახლეობის საერთო როდენობა და დასაქმებულთა შემოსავალი ერთ სულზე), წარმოების დონე, ფასები/ჩამნაცვლებლები და, როგორც უკვე ვახსენეთ, მოლოდინები. ამათგან ბაზრის სიდიდე მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ის როგორც მოსახლეობას, ასევე დასაქმებულ ძალას მოიცავს (რომელიც ქვეყანაში მატერიალურ დოვლათს ქმნის, მათ შორის უძრავი პროდუქტის სახით). მატერიალური დოვლათი კი უძრავ ქონებაზე მოთხოვნას პირდაპირი წესით განსაზღვრავს - მაგალითად, თუ უძრავ ქონებაზე ფასების ზრდა საზოგადოებაში დასაქმებულთა ანაზღაურების ზრდის თანმხვედრია, მოთხოვნა ან მზარდ ან მეტწილად სტაბილურ ტენდენციას ინარჩუნებს, ხოლო თუ შემოსავლის ზრდა უძრავ ქონებაზე ფასების ზრდის ტენდენციას აჭარბებს, მოთხოვნა (სხვა თანაბარ პირობებში) მკვეთრად მატულობს; თუ ეს სხვაობა არსებითია, ბაზარზე საშუალო პერსპექტივისას ფასები მკვეთრ მატებას იწყებs და ფინანსური ბუშტის საშიშროება იქმნება. ასევე მნიშვნელოვანია ჩამნაცვლებლებზე ფასების ცვლილება. მაგალითად, თუ ალტერნატიულ ჩამნაცვლებლებზე ფასები იკლებს, ინვესტორების მხრიდან ალტერნატიული გზების მოძიების სტიმულები მატულობს და პირიქით. და ბოლოს, როგორც ვახსენეთ, მოლოდინის ფაქტორი მოთხოვნის ზრდის (ან კლების) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რადგან იგი როგორც მომხმარებელზე, ასევე პოტენციურ ინვესტორებზეც ზემოქმედებს.

აღსანიშნავია მეორე საბაზრო ძალის უძრავი ქონების ბაზარზე მიწოდების განსაზღვრა. მიწოდების შემთხვევაში როგორც მოკლე, ესევე გრძელვადიანი ტენდენცია იკვეთება და მშენებლობის შემთხვევაში გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება. მაშინ როცა გრძელვადიან პერსპექტივაში ბაზრები მეტ-ნაკლებად სწორდება, მოკლევადიან პროცესში მიწოდება ელასტიურობით (და მათ შორის სეზონურობის მკვეთრი მაჩვენებლით) არ გამოირჩევა. რადგან მშენებლობის დასრულება დროში გაწელილი პროცესია, მოკლევადიან პერსპექტივაში იგი ფიქსირებულია (საშუალოდ 1-2 წლის პერიოდში). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნის კანონები საერთო ეკონომიკურ პრინციპს ექვემდებარება, კერძოდ, რაც უფრო მაღალია უძრავი ქონების ფასი (კვ. მეტრზე) და ფასის დადებითი ცვლილებისკენ მოლოდინი, მით მეტია ბაზარზე ამ პროდუქციის მიწოდება (საშუალო და გრძელვადიან პირობებში). ისევე როგორც მოთხოვნა, მიწოდებაც როგორც შიგა, ასევე გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული და საგარეო-საბაზრო რყევებზე მეტად საგრძნობლად რეაგირებს. მაგალითად, იგივე აშშ უძრავი ქონების ბაზარი ამ ტენდენციას თვალნათლივ წარმოაჩენს (მაგალითად XX ს.70-იანი წლების კრიზისის დროს მშენებლობა საგრძნობლად შეჩერდა, 90-იანების დასაწყისში თითქმის შეწყდა, ხოლო 2000-იანების შუა პერიოდიდან სამშნებლო კოლაპსის წინ (2007 წლის 1 კვარტალი) განუხრელად სწრაფი ტემპებით იზრდება) [22].

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აღნიშნულ დარგში მიწოდების ზრდის საერთო საფუძველი მოგება გახლავთ. სწორედ მოგების მიზნით მიწოდება რამდენიმე ფაქტორით ხასიათდება. ესენია საწარმოო ძალებისადმი ხელ-მისაწვდომობა, მომავალში ფასების ცვლილების მოლოდინი და საბაზრო რის-კი (მაქსიმალურსა და მინიმალურ მოგებას შორის საშუალო სტატისტიკური გადახრა) [24; 25] .

წარმოების ფაქტორებში ტრადიციულად კაპიტალი, მუშახელი და მიწა მოიაზრება, მათ შორის სამშენებლო მასალები. რაც შეეხება მოლოდინს, აქ შეიძლება ითქვას, რომ ესა თუ ის ინვესტიცია (უძრავი ქონების ნებისმიერ სექტორში) მხოლოდ იმ შემთხვევაში ხორციელება, თუ უკუგების მოლოდინი გაწეულ ხარჯებს დადებითი მარჟით სცილდება. შესაბამისად, ინვესტიციის ჩადებას აზრი მხოლოდ მაშინ აქვს, როცა აქტივის ფასი დეველოპერული პროექტის დანახარჯების ფასის ზღვრულ ტოლობას ან მეტობას აჩვენებს [18]. რაც შეეხება რისკებს, არსებული აქტივების პირობებში (მაგალითად მიწა), დეველოპერული პროექტების რაოდენობა იკლებს ან ფერხდება. სწორედ აქედან გამომდინარე, იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური არამდგრადობა და ფასთა შედარებით დიდი მერყევადობა შეიმჩნევა, მშენებლობა შედარებით ნელი ტემპებით ვითარდება [17].

საქართველოში უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა

საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის ჩამოყალიბება-განვითარება საერთო, აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი დსთ-ის ბაზრების მსგავს სპეციფიკაციას ატარებდა [5, გვ.19]. სამწუხაროდ, აღნიშნულ სფეროში აქამდე მხოლოდ რამდენიმე კვლევა ჩატარდა და საქსტატშიც მასთან დაკავშირებული მონაცემები მწირია. ამის მიუხედავად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბაზრის ჩასახვა -განვითარება ცნობილი ისტორიული ფონის მოცემულობით იგივე ფაქტორების ზემოქმედებას განიცდიდა, რასაც ყოფილი საბჭოეთის რიგი ქვეყნები, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპის საბჭოთა ბლოკის რიგი ქვეყნა განიცდიდა.

საქართველოში, ისევე როგორც დსთ-ის სხვა რიგ ქვეყანაში, 1999-2004 წლამდე მშენებლობის დარგში მკაფიო ცვლილება არ დაფიქსირებულა [1]. ისევე როგორც დსთ-ის დანარჩენ ქვეყნებში, XX ს. 90-იანი წლების დასაწყისში, სამშენებლო სამუშაოები მთლიანად შეჩერდა, ხოლო ბაზარზე გამოცოცხლებამ მხოლოდ 90-იანი წლების ბოლოსკენ იჩინა თავი [7]. თუმცა აქაც, ფინანსური ინსტიტუტების არ არსებობის, ზოგადად რთული ეკონომიკური ვითარებისა და დაბალი შემოსავლების (მათ შორის უმუშევრობის მაღალი დონის) გათვალისწინებით, გაყიდვების ტემპი მოთხოვნის მაღალი დონის მიუხედავად, მეტად მდორედ მიმდინარეობდა და ძირითადად მეორადი ბაზრით შემოიფარგლებოდა. მშენებლობა მთლიანად ინვესტორების მიერ დაზოგილი სახსრებით წარმოებდა, ისევე როგორც საერთო ტრანსაქციების უდიდესი ნაწილი მთლიანად საკუთარი სახსრებით იფარებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ დაზოგილი თანხების საკმარისი რაოდენობა მხოლოდ მოსახლეობის ვიწრო წრესთვის იყო ხელმისაწვდომი (მათ შორის აღსანიშნავია ისიც, რომ იმ პერიოდისთვის საქართველოში საშუალო ფენა მეტად მწირ შესაძლებლობებს განკარგავდა), უძრავი ქონების საერთო რეალიზაციის მაჩვენებელი მეტად დაბალი იყო.

საქართველოში უძრავი ქონების ბაზრის გამოცოცხლება და მნიშვნელოვანი აღმავლობა, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში (აშშ, ევროპის ქვეყნების უმეტესობა და სხვა), 2004 წლიდან იწყება და დროის მოკლე პერიოდში მნიშვნელოვან ზრდას განიცდის. აღნიშნული ზრდა რიგი ფაქტორით იყო გამოწვეული. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა ამ პერიოდისთვის ინფლაციის დაბალი დონე, სტაბილური საბანკო პოლიტიკა, ქვეყანაში ჩატარებული ინსტიტუციური რეფორმები, კრედიტის ხელმისაწვდომობა, შედარებით ხელმისაწვდომი საპროცენტო განაკვეთები და, რაც მთავარია, იაფი სამშენებლო მასალა. გარდა ამისა, მსოფლიოში დამკვიდრებული ტრენდი უძრავ ქონებაზე ფასების განუხრელად ზრდის შესახებ საქართველოში იგივე ქონების ფასებზე იდენტურად აისახებოდა. 2008 წლისთვის ფასები განუხრელად იზრდებოდა და რეალურ ღირებულებას მნიშვნელოვანწილად ასცდა [23].

სამშნებლო პროდუქციის გამოშვების შენელება-კლება 2006 წლის ბოლო კვარტალში დაფიქსირდა და 2007-2008 წლის პერიოდისთვის გაგრძელდა. საკვირველია, მაგრამ საქართველოს ეკონომიკისთვის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში, რომელიც 2009 წელზე მოვიდა, სამშენებლო ბაზარი მცირე, მაგრამ მაინც პოზიტიურ ტენდენციას აჩვენებს. 2010 წელს ის ოდნავ შენელდა, ხოლო იმავე წლის მესამე კვარტლიდან, 2012 წლის ჩათვლით, უპრეცედენტო ზრდა აჩვენა (გამოშვების საერთო მოცულობამ ნომინალური ღირებულებით 4.6 მლრდ ლარი შეადგინა). აღნიშნული ტრენდი 2013 წლისთვის შეიცვალა (ამ პერიოდში საქართველოს მშპ ბოლო ათწლეულისთვის ყველაზე დაბალი ზრდით ხასიათდება - 2.5%) და წინა წელთან შედარებით დაახლოებით 22%-ით შემცირდა. თუმცა ეს კლება ხანმოკლე აღმოჩნდა, და უკვე 2014 წლიდან დღემდე ბაზარზე ზრდის ტენდენცია ფიქსირდებოდა. მაგალითად, 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს პროდუქციის გამოშვებამ 4.9%-ით იმატა და 4.3 მლრდ. ლარი შეადგინა [1].

ნინო ბერაიასა და მარინე ნაცვლაძის კვლევის თანახმად [8], საქართველოს უძრავი ქონების ბაზარი აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის უძრავი ქონების ბაზრებთან მნიშვნელოვან მსგავსებებს ატარებს, თუმცა, რიგი მიმართულებით, არსებითად განსხვავდება კიდეც. საქართველოში, 2003 წლიდან განხორციელებული რეფორმების შედეგად, რაც მიზნად ისახავდა დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და ბიუროკრატიული აპარატის გამარტივებას, უძრავი ქონების ბაზარზე ტრანსაქციების დრო და პროცედურა მნიშვნელოვნად დაჩქარდა.

კვლევამ აჩვენა, რომ უძრავ ქონებაზე ფასების ცვლილებასა და საბანკო რეფინანსირების, სამომხმარებლო ფასების ინდექსის, საინვესტიციო დანახარჯებსა და საცალო გაყიდვებს შორის სუსტი კორელაცია არსებობს. თუმცა კორელაციის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია ისეთი მაკროეკონომიკური ინდიკატორების ჩართვით, ,როგორიცაა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების საერთო მოცულობა, იპოთეკური სესხების ოდენობა, აშშ დოლარის კურსი და მოსახლეობის ნომინალური შემოსავალი [8]

ღირსშესანიშნავია ISET-ის კვლევით ისტიტუტის მიერ მომზადებული რელიზები თბილისის უძრავი ქონების შესახებ [13]. ფასების საერთო (ყოველწლიური) ზრდის მიუხედავად, ამ პერიოდისთვის ის გრძელვადიან ტრენდს ჩამორჩება [13] და ამ წლის მდგომარეობით ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა. ეს ფაქტი ჩვენს იმ დასკვნას ამტკიცებს, რომ უძრავი ქონების მზარდი მიწოდების შედეგად, ფასების ინდექსი კლებად ტენდენციას აჩვენებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საპროცენტო განაკვეთების კლებადი ტენდენცია, რომელმაც 2014 წლის აგვისტოში ისტორიულ მინიმუმს მიაღწია (5.8%) [13]. ამ პირობებში უძრავი ქონება კაპიტალდაბანდების ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი

საშუალება გახდა, რამაც ამ პერიოდისთვს მოთხოვნის ტემპი გაზარდა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების თანახმად, იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები (უცხოურ ვალუტაში) სექტემბრისთვის ახალ მინიმუმს - 11%-ს შეადგენდა, რამაც ტრანსაქციების სიხშირის ზრდას შეუწყო ხელი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმავე წყაროს თანახმად, იპოთეკური სესხების დაახლოებით 70% აშშ დოლარშია წარმოდგენილი (აქედან, ბაზრის დოლარიზაციის საკმაოდ მაღალი დონე).

2015 წლის თებერვლისთვის ფასები კლების ტენდენციას ინარჩუნებს, რაც მეტ წილად ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგიცაა. როგორც უკვე ავღნიშნეთ [13], საქართველოში უძრავი ქონების ბაზარზე დოლარიზაციის მაღალი დონეა, იპოთეკური სესხებიც (შესაბამისად) ძირითადად აშშ ვალუტით წარმოებს, მაშინ როცა ძირითადი მოსახლეობის შემოსავალი ეროვნულ ვალუტაშია (ლარი). ბაზარზე მიწოდების კლება (რასაც განცხადებების კლებით ვზომავთ) მოცემულ ჰიპოთეზას ამყარებს: ლარის გაუფასურებას ბაზარზე სამშენებლო პროდუქტის რეალიზაციის კლება და ფასების შერბილება მოჰყვა (ეს ტრენდი როგორც არსებული მონაცემების, ასევე ადგილობრივ კომპანიებთან გასაუბრების შედეგად მივიღეთ).

ფასების დინამიკა თბილისის უბნების დონეზე იგივე ნარჩუნდება - ძველი უბნები ყველაზე მაღალი ფასებით გამოირჩევა, ხოლო ისანი-სამგორი ყველაზე დაბალ მაჩვენებელზე რჩება ($628 კვ.მ-ზე). მოგების კოეფიციენტი საპროცენტო განაკვეთებზე მაღალია, რაც უძრავი ქონების ბაზარს ჯერ კიდევ მომგებიანს ხდის, რადგან გაყიდვებისგან მიღებული მოგება როგორც დანახარჯების, ასევე საპროცენტო ხარჯების გადაფარვას და მოგების მარჟას უზრუნველყოფს.

Colliers Georgia-ს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად [6], საქართველოს საშუალო კომლის სიდიდე ჯერ კიდევ საკმაოდ მრავალრიცხოვანია და ბოლო რამდენიმე წლის მონაცემით 3.6-ს შეადგენს. ევროკავშირში ეს მაჩვენებელი 2.4-ია. დროთა განმავლობაში ეს ციფრი დაიწევს და საშუალო ევროპულ მაჩვენებელს გაუტოლდება, რაც ნიშნავს იმას, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნა მზარდი ტრენდით შენარჩუნდება. რაც შეეხება უძრავი ქონების მესაკუთრეთა რიცხვს, საქართველოში ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (რუმინეთის შემდეგ მეორე) და 93%-ს შეადგენს [6].

დღესდღეობით, საქართველოში იპოთეკური სესხის საპროცენტო განაკვეთი 10%-ია, რაც, საერთაშორისო დონეზე საკმაოდ მაღალია. თუმცა, ამის მიუხედავად, იპოთეკური სესხების საერთო ოდენობა იზრდება, რაც საბანკო სფეროში არსებული კონკურენციის და ზოგადად საპროცენტო განაკვეთებზე კლებადი ტრენდის დამსახურებაა (2014 წელს, სესხები , წინა წელთან შედარებით 30%-ით გაიზარდა და $541 მლნ-ს მიაღწია).

„საქსტატის“ მონაცემებით, 2003-2013 წლებში 10000-ზე მეტი ნებართვა მოლოდ თბილისში გაიცა, რაც ჯამურად 12 მლნკვ.მ-ს გაუტოლდა. ამათგან,

დასრულებული ნაგებობაა, მხოლოდ 2.3 მლნ კვ. მეტრია, რაც საკმაოდ ნეგატიური ინდიკატორია, თუმცა, დასრულებული მშენებლობების ტრენდი სულ უფრო მზარდია. რაც შეეხება ტრანზაქციების ყოველწლიურ ოდენობას, ეს მაჩვენებელი მზარდია და საშულოდ 5%-ს შეადგენს (2009-2014 პერიოდისთვის, ერთადერთი გამონაკლისს 2011 წელია, როცა ეს მაჩვენებელი 2%-ს შეადგენდა) [6]. ტრანზაქციების მოცულობა საცხოვრებელ ფართებზე მზარდ ტენდენციას ინარჩუნებს და 2012-2014 წლებში $774, $829, $882 მლნ ლარი შეადგინა. კონიუქტურის მხრივ საბურთალო ლიდერობს (20%), მას მოყვება სამგორი, გლდანი-ნაძალადევი (მიუხედავად იმისა, რომ არაპრესტიჟული უბნებია, დაბალი ფასის გამო, ამ უბნებზე მოთხოვნა მაღალი რჩება), ბოლოს კი ვაკე და მთაწმინდის რაიონია (10%, სადაც ფასები, მართალია, უმნიშვნელოდ იცვლება, თუმცა ყველაზე მაღალი რჩება). ცენტრალურ უბნებში (განსაკუთრებით ვაკე - მთაწმინდა, საბურთალოს ნაწილი) შედარებით მაღალი ფართის ბინები იყიდება, მაშინ როცა პერიფერიულ უბნებში ყველაზე მოთხოვნადი დაახლოებით 50 კვ. მ ფართის ბინები რჩება. დიდი ფართობის მქონე ბინების ტრანსაქციების მაჩვენებელი გარე უბნებში საკმაოდ დაბალია.

რაც შეეხება ფასებს, ის სამ კატეგორიად იყოფა: პრემიუმი, საშუალო და დაბალი. როგორც წესი, საცხოვრებელ ფართებზე ფასი $630-$1680 შუალედში მერყეობს (კვ. მეტრზე) - ადგილმდებარეობისა და გასაყიდი ობიექტის საერთო მდგომარეობის შესაბამისად. პრემიუმ ფასი $1200-დან იწყება, საშუალო - $800 დან [1].

აღსანიშნავია ნინო ბერაიას 2015 წლის კვლევა [8], რომლის მიხედვით უძრავი ქონების ბაზარი ჯერ კიდევ (2015 წლის პერიოდისთვის) ჩამოყალიბების ფაზაში იყო და ნაკლებადაა შესწავლილი: მიუხედავად ცალკეული სპორადული, უფრო აღწერილობითი ხასიათის კვლევებისა, უძრავი ქონების ციკლების განმსაზღვრელი კვლევა ჯერ არ ჩატარებულა. მისი განმარტებით, „დიდი ქა-ლაქების ეკონომიკური ზრდა მოკლევადიან პერიოდში მთლიანი ეკონომიკის ზრდითაა განპირობებული. გრძელვადიან პერიოდში კი დემოგრაფიული ცვლილებები და ცხოვრების სტილი ასევე დიდ როლს თამაშობს. კვლევის შედეგების მიხედვით, ავტორი ასკვნის, რომ ამ პერიოდისთვის უძრავ ქონებაში ინვესტირება არსებით უკუგებას არ იძლეოდა და შესაბამისად „ფულადი სახსრების დაბანდება უძრავ ქონებაში მიმდინარე სიტუაციის გათვალისწინებით ეკონომიკურად გაუმართლებელია. უფრო მეტიც, არსებული პროგნოზირებადი ფინანსურ-ეკონომიკური პირობები ბაზრის მონაწილეებს დიდი ოპტიმიზმის საფუძველს არ აძლევს. ბაზარზე მოკლევადიან პერიოდში ფასების ზრდა არ არის მოსალოდნელი. ეს კი ნიშნავს, რომ საცხოვრებელ და სავაჭრო სეგმენტში გაყივების აქტივობა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა“ [8, გვ. 184].

საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი

კორელაციის კოეფიციენტების დასადგენად, პირველყოვლისა, აუცილებელი გახდა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორების გამოვლენა (თუმცა საბოლოოდ რთულია განვსაზღვროთ, რომელია უფრო მნიშვნელოვანი ცვლადი, რადგან ანალიზის გარეშე სხვადასხვა მაკროეკონომიკურ სივრცეში ეს მაჩვენებლები განსხვავებულია და საერთო სპეციფიკაციას ქმნის). ჩვენს შემთხვევაში, ჯამურად 12 ინდიკატორი გამოვკვეთეთ: საგარეო ვაჭრობის სალდო, ოჯახის საშუალო წლიურიშემოსავალი, დასაქმებულთა საერთოწლიური დონე, ეროვნული ვალუტის საშუალოწლიური მაჩვენებელი, მშპ-ის წლიური ზრდის მაჩვენებელი, სამშენებლო სფეროში ბრუნვის საერთო მაჩვენებელი, სახელმწიფო ვალი, საპროცენტო (გრძელვადიანი) განაკვეთები, მოსახლეობის დინამიკის მაჩვენებელი (წლების მიხედვით), ინფლაციის დონე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილები (2007-2015 პერიოდისთვის)[1, 2, 9, 16].

გაგლუვებული შედეგების მიხედვით (მონაცემების დეტრენდირება ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრით განხორციელდა) ფაქტორული კორელაციის სურათი შემდეგნაირად გამოიყურება:



როგორც მოცემული გრაფიკიდან ჩანს, ბრუნვის კორელაციის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია, თუმცა, ეს არსებული კანონზომიერების მაჩვენებელია. ბრუნვის შემდეგ, ყველაზე მაღალი ფაქტორული ზემოქმედება დასაქმების დონეზე მოდის, რომელსაც ოჯახის საშუალო შემოსავალი და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დონე მოსდევს. რამდენადაც საკვირველი არ უნდა ჩანდეს, მოსახლეობის ინდიკატორის ცვლილება ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, რომელსაც საპროცენტო განაკვეთები, ფულადი გზავნილები და პირდაპირი

უცხოური ინვესტიციები მოსდევს. უცნაურია, მაგრამ სხვა კვლევებისგან განსხვავებით, სავალუტო რყევების ინდექსი (საშუალოწლიური მონაცემით) პროდუქციის გამოშვების საერთო წლიურ მაჩვენებელზე საგრძნობ, თუმცა სუსტ გავლენას ახდენს. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სავალუტო რყევების გავლენა უფრო ხანმოკლე პერიოდებზე იგრძნობა, ხოლო რადგან სამშენებლო სფეროში სეზონური ცვლილება თითქმის უმნიშვნელოა [25, 27], ბაზარი გრძელვადიან პერიოდში სავალუტო ცვლილებასთან კორექტირებას შედარებით მარტივად ახერხებს. რაც შეეხება სახელმწიფო დავალიანებას, მისი გავლენა მინიმალურია, რაც შესაძლებელია იმას ადასტურებდეს, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვალის დიდი ნაწილი საერთაშრისო სავალუტო ბაზრებიდანაა მოზიდული და, შესაბამისად, ადგილობრივ სავალუტო ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთებზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია (ე.წ. Crowding out- პრინციპით).

ფაქტორული ანალიზის თვალსაზრისით, საინტერესოა ს. დრობიშევსკის კვლევებიც. მაგალითად, ერთ-ერთი კვლევის თანახმად (ს.დრობიშევსკი, ე. პიკულინა.) [20, 21], უძრავ ქონებაზე ფასების მოკლე პერიოდში აჩქარებული მატების ტენდენცია არის ფუქნქცია, რომელიც მეტწილად მოსახლეობის მხრიდან მაღალი მოთხოვნით აიხსნება, რაც თავის მხრივ (დამოუკიდებელი ცვლადების სახით) მოსახლეობაში შემოსავლების მატებითა და სტაბილური ეკონომიკური განვითარებით აიხსნება (მაგალითად, რუსეთში, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, მშპ-ის ზრდა უფრო წიაღისეული რესურსების რეალიზაციით იყო განპირობებული და ამ მხრივ გაცილებით უფრო რყევად ხასიათს ატარებდა (საერთო ტრენდის გაგრძელება, რომელმაც მსოფლიოში იაფი კრედიტის წყალობით, ნავთობრესურსებზეც მოთხოვნა გაიზარდა, შექმნა სიმდიდრის ეფექტი, რაც ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროს - განსაკუთრებით კი, მშენებლობას შეეხო). დრობიშევსკის მიხედვით, ე.წ. ფინანსური „ბუშტის“ წარმოქმნის ალბათობა იმ ბაზრებზე არსებობს, სადაც ფასების ზრდა მოსალოდნელ ტრენდს აჭარბებს და სამშენებლო საცხოვრებელ ფართებზე სპეკულაციური მოთხოვნით აიხსნება.

საქმე ისაა, რომ ამ ბაზარზე მიწოდება მოკლევადიან პერიოდშია ფიქსირებული, ამიტომაც ფასებიც ძირითადად მოთხოვნის დინამიკით განისაზღვრება [20, 21] არსებობს დაშვება, რომ რადგან უძრავ ქონებაზე ფასები უფრო არაელასტიკურია მოკლევადიან პერიოდში, ამიტომაც უძრავ ქონებაზე ფასების ცვლა სხვა საქონელზე (მომსახურებაზე) ფასების ცვლაზე არ აისახება, ისევე როგორც სხვა ტიპის აგენტებზე. ამ მხრივ მნშვნელოვანია შვაბის [26, 27] მიერ ჩატარებული ანალიზი, რომელიც უძრავი ქონების მოთხოვნაზე მოსალოდნელი ინფლაციის ფაქტორებსა და იპოთეკური დაკრედიტების განსხვავებული სისტემით გამოწვეული სხვადასხვა დისპროპორციულ ტიპს ითვალისწინებს. მისი გაანგარიშებით, „სრულყოფილად წონასწორული საკ-

რედიტო სისტემების“ პირობებში, მომხმარებლები იგივე სტანდარტული იპოთეკური სისტემის პირობებთან შედარებით მეტი ფართობის შეძენისკენ (მაქსიმალურისკენ) მიისწრაფვიან. სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის ქვეშ მან ბაზრის ელასტიკურობის შემდეგი მაჩვენებლები გამოიყვანა: უძრავი ქონების ბაზრის ელასტიკურობა მოსალოდნელი ინფლაციის პირობებში -0.21-ია, ხოლო რეალური (სტანდარტული) საპროცენტო განაკვეთების პირობებში -56-ის ტოლია.

ამ მონაცემებიდან გამომდინარე, მოთხოვნის ელასტიკურობა მოსალოდნელი ინფლაციის პირობებში ნეგატიურია, თუმცა, ამისდა მიუხედავად, უფრო დაბალია (აბსოლუტური მნიშვნელობით), ვიდრე ელასტიკურობის მაჩვენებელი სტანდარტული საპროცენტო განაკვეთების პირობებში. ამდენად, შვაბი შემდეგ დასკვნას ასეთებს. პირველი: მოთხოვნა უძრავ ქონებაზე მხოლოდ რეალური ცვლადრების ფუქციას არ წარმოადგენს, არამედ შესაძლებელია (ყველაფერთან ერთად) მოსალოდნელი ინფლაციის გავლენით დამახინჯდეს. მეორე, არსებული მოდელის დაშვების პირობებში, მოთხოვნა უძრავ ქონებაზე მოსალოდნელი ინფლაციისა და რეალური საპროცენტო განაკვეთების პირობებში ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. რეალური საპროცენტო განაკვეთების ზრდის საპასუხოდ, მომხმარებელი საცხოვრებელ ფართებზე მოთხოვნას უფრო შეასუსტებს, ვიდრე მოსალოდნელი ინფლაციის დროს.

დასასრულ, კვლავ საქართველოში უძრავი ქონების ბაზარზე შექმნილ სინამდვილეს დავუბრუნდებით ე.წ. ფინანსური ბუშტის შექმნის სავარაუდო შესაძლებლობაზე გავამახვილებთ ყურადღებას. მაგალითად, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მონაცემების [13] მიხედვით (წყარო: ISET კვლევითი ინსტიტუტი, ფლორიან ბიერმანი და საბა დევდარიანი) დღესდღეობით ფინანსური ბუშტები ყველაზე მეტად უძრავი ქონების ბაზრებზეა გავრცელებული. როგორც წესი, ფინანსური ბუშტის წარმოქმნას რიგი ფაქტორი განაპირობებს, ხოლო მისი რეალური მასშტაბი რეალური აქტივებისგან აცდენით მიიღება - მოკლევადიან პერსპექტივაში უძრავი ქონების ფასები რეალურ მაჩვენებლებს ძლეირ სცილდება და პროცესი იქამდე მიდის, სანამ დროის რომელიმე მონაკვეთში ფასების მასობრივი ჩამოშლა დაიწყება. ISET-ის მიერ შემუშავებული უძრავი ქონების ფასების ინდექსის თანახმად, თბილისის უძრავი ქონების ბაზარზე „სპეკულაციური საპნის ბუშტი ჯერ-ჯერობით არ არსებობს“, მიუხედავად იმისა, რომ საშუალო გასაყიდი ფასი იმავე კვლევითი ცენტრის გათვლებით 11%-ით გაიზარდა (2013 წლის თებერვლიდან 2014 წლის დეკემბრამდე) [13]. ავტორების აზრით, „როდესაც ფასები თვიდან თვემდე იზრდება, უძრავ ქონებას იძენენ არა იმისთვის, რომ შემოსავალი გაქირავებით მიიღონ, არამედ იმისთვის, რომ აქტივის გაზრდილი საბაზრო ღრებულებით ისარგებლონ და შემდგომში უფრო მაღალ ფასად გაყიდონ. ერთ მომენტში, გაბერილ გასაყიდ ფასებთან შედარებით ქირიდან მიღეული შემოსავალი სრულიად უმიშვნელო

ხდება. პარადოქსია, მაგრამ საპნის ბუშტის არსებობისას, ბინის მფლობელები თავიანთი ძვირადღირებული უძრავი ქონების გაქირავებისგან თავს იკავებენ და ამით მის ლიკვიდურობას ამცირებენ. შესაბამისად, ასეთ სიტუაციაში უძრავი ქონების ბაზარზე, როგორც წესი, არის დიდი რაოდენობით ფართი, რომელიც არც საცხოვრებლად და არც რაიმე სხვა მიზნით გამოიყენება. ასეთი სიტუაცია კი თბილისის ბაზარზე (ჯერჯერობით მაინც) ნამდვილად არ შეინიშნება“ [13].

ანალიზის შედეგები

რადგან თბილისის მასშტაბით „საქსტატის“ მიერ წარმოდგენილი საცხოვრებელ ფართებზე ფასების ცვლილების დინამიკა მხოლოდ 2011 წელს მოითვლის, აუცილებელი გახდა ამ სტატისტიკის სხვა მონაცემებით შეფასება. ამ მიზნით გამოვიყენეთ Colliers Georgia-ს მიერ ჩატარებული კვლევა (ერთ-ერთი პირველი საქართველოში), რომელიც თბილისის მასშტაბით უძრავი ქონების ფასების დინამიკას მხოლოდ 2014 წლის მეოთხე კვარტლის ჩათვლით აჩვენებს. რაც შეეხება 2015-2016 წლების (პირველი ორი კვარტლის) პერიოდს, იგი ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი ციფრების საფუძველზე მომზადდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ 2011 წლიდან 2012 წლის პერიოდზე, როცა საქსტატის მონაცემებიდან Colliers Georgia-ს მონაცემებზე გადავდივართ, ფასების მკვეთრი ვარდნის ტენდენცია შეინიშნება, რაც ან განსხვავებული სტატისტიკური გაანგარიშების (გათვალისწინებულია ე.წ. პრემიუმ+ საცხოვრებელი ფართები, რომელთა ფასი 1 კვ.მ-ზე 1500 აშშ დოლარს აჭარბებს), ან ბაზარზე გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგია (კონკურენცია, სამშენებელო მასალების გაიფება და სხვა). აანგარიშებებიდან ირკვევა, რომ ერთი ათწლეულის განმავლობაში თბილისის უძრავი ქონების ბაზარზე ფასის ცვლილება 17 - ჯერ დაფიქსირდა. რაც შეეხება ბიზნესციკლების დინამიკას, ყველაზე უკეთ ეს სურათი თბილისის უძრავი ქონების ბაზარზე ჩატარებული ტრანზაქციების მაგალითზე ჩანს, რაც მოცემულ ანალიზში ასევე ჰოდრიკ-პრესკოტისა და მაჩვენებლიანი გაგლუვების მიხედვით გამოვთვალეთ. მოცემულ შემთხვევაში მაჩვენებლიანი გაგლუვების შედეგად 20 ბიზნესციკლი გამოვლინდა, ხოლო ჰოდრიკ პრესკოტის ფილტრმა 19 ბიზნესციკლი გამოავლინა. მიღებული შედეგების თანახმად, მაჩვენებლიანი გაგლუვებით, თბილისის უძრავი ქონების ბაზრის ერთი ბიზნესციკლის საშუალო ხანგრძლივობა 6 თვეა, ხოლო ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრის შედეგად ეს პერიოდი 6.3 თვე, ანუ თითქმის იმავე დროის ინტერვალში თავსდება.

როგორც აღვნიშნეთ, ფაქტორების სიუხვე და ვარიაციულობა, საბოლოოდ, მოდელის სიზუსტეს ამცირებს, ამიტომ საჭირო გახდა ყველაზე ოპტიმალური მონაცემების შერჩევა და მოდელში მკაფიოდ გამოვლენილი ფაქტორების

ჩასმა. ფაქტორების შერჩევა სწორედ ამ პრინციპით განვახორციელეთ, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ცვლადის კვარტალური ჩაშლა ვერ მოხერხდა (ინფორმაციის არქონის გამო), ასე რომ ამ ცვლადების სხვა, მომიჯნავე ცვლადებად ჩანაცვლება მოგვიხდა. შესაბამისად, თბილისში უძრავი ქონების ფასზე ზემოქმედების მიზნით, შვიდი ფაქტორი შეირჩა: ტრანზაქციების ოდენობა, მიწოდება, საპროცენტო განაკვეთები, მშპ-ის ცვლილება, ანაზღაურება, დასაქმება და ინფლაციის დონე. მოცემული ანალიზის ფარგლებში t-ორმხრივი ტესტის ზღვრული მაჩვენებლის განსაზღვრით (α=0.05) შემდეგი ჰიპოთეზა გამოიკვეთა: არსებული ფაქტორების ზემოქმედებით საქართველოში უძრავი ქონების ფასის განმსაზღვრელ ფაქტორებს ანაზღაურების ზრდა და დასაქმების დონე წარმოადგენს. დანარჩენმა ფაქტორებმა ამოსავალი ჰიპოტეზა დაადასტურა, კერძოდ, ფასის ცვლილებაზე ამ ფაქტორებს უმნიშვნელო გავლენა აქვთ, რაც შეეხება 2016 წლის 3-4 კვარტლებზე ფასის ტრენდის გამოვლენას, იგი ძირითადად ვარაუდს ემყარება, რომლისთვისაც 2016 წლის მეორე კვარტლის მონაცემების ექსტრაპოლირების აუცილებლობას ვაწყდებით. ამ მიზნით განტოლების თითოეულ მხარეს მონაცემების წრფივი ტრენდირების მეთოდს მივმართავთ და მიღებულ შედეგს მულტიფუნცქციურ ავტორეგრესულ მოდელში ვრთავთ. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში კვარტლურ დონეზე ფასების ცვლილება ნაკლებ სეზონურობას განიცდის, პროგნოზი ჩვეული გაწრფივების (ტრენდირების) მაგალითზე წარმოვადგინეთ (იმავე მეთოდს მოდელში ჩართული ყველა ცვლადი დავუქვემდებარეთ) და ამ მხრივ შემდეგი ტრენდი გამოვკვეთეთ: მიღებული შედეგების თანახმად, თბილისის უძრავი ქონების ბაზრის მაგალითზე, საცხოვრებელი ფართების საშუალო ფასი (საშუალოდ ერთ კვ. მ) კლების ტენდენციას შეინარჩუნებს და მეოთხე კვარტლის ბოლოს, მეორე კვარტლის ოფიციალურ მაჩვენებელთან შედარებით, ჩვენი გათვლების თანახმად -0.55% -ით შეიცვლება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (უძრავი ქონების სტატისტიკური გამოკვლევა, თბილისის საცხოვრებელი ფართების საშუალო ფასის ცვლილება 2007-2016), თბ. 2016 წ.
2. საქართველოს ეროვნული რეესტრის ბიურო, ტრანზაქციების ცვლილება (2007-2016),
3. ჯონ შარმანი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა: უძრავი ქონების ბაზრების განვითარება გარდამავალ პერიოდში), თბ. 2016 წ.
4. Joshua Gallin, Federal Reserve Fund, April 2003, “Long term impact of prices and income”; April 2003.

5. Stephen Malpezzi, University of Wisconsin, "Economic Analysis of Real Estate Markets in Developed Countries and Countries of Transient Economies", 2007.
6. ქოლიერს ჯორჯია, თბილისის საცხოვრებელი ფართების ბაზრის ანალიზი (2014).
7. ნინო ლომიძე, ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი, „სამშენებლო ბიზნესის განვითარების ტენდენციები პოსტ-კრიზისულ საქართველოში" (18/01/2013).
8. ნინო ბერაია, მარიჯე ნაცვლიშვილი (ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი), თბილისის უძრავიქონების (საცხოვრებელი ფართების) საშუალო ფასების საშუალოვადიანი პროგნოზი; 12 მაისი, 2015წ.
9. არჩილ იმნაიშვილი, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის პოტენციური დონის შეფასება, თბ. 2010წ.
10. საქართველოს ეროვნული რეესტრის პრესრელიზი - საქართველოს უძრავი ქონების ბაზარი. თბ, 2016წ.
11. Vladimir Klyuev, USD housing market price change dynamics, IMF, July, 2008.
12. Jeff Holt, Reasons for Housing Bubble and – Financial Crises as a result; The Journal of Business Enquiry, 2009.
13. ISET კვლევითი ინსტიტუტი, უძრავი ქონების ფასების ინდექსი, 2015 -2016 მეორე კვარტლის მონაცემები; თბ, 2016წ.
14. Dwight Jeff and Olga Kaganova, Real Estate Markets 2001.
15. ნინო ბერაია, უძრავი ქონების ბაზრის მიკროეკონომიკური ანალიზი და პროგ-ნოზირება (თბილისის მაგალითზე), დისერტაცია, ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი. თბ., 2015.
16. საქართველოს ეროვნული ბანკი; საპროცენტო განაკვეთების ისტორია (2007-2016), თბ, 2016წ.
17. Sivitanidou and Vitanidis, 1999, 2000.
18. Dixit and Pindyuck, 1994.
19. Jose Palatine and Robert Shelburne, Private Housing Market in Eastern Europe and CIS countries, Geneva, 2005.
20. Sergei Drobishevski and Elena Pikulina, Reasons of possible emergence of financial bubble on Russian housing market, 2007.
21. Thomas Confrey and Carl Wieland, US housing market supply, demand and prices, 2012.
22. ვასილ რუხაძე, თბილისის უძრავი ქონების ბაზრის სწრაფი განვითარების შესახებ, კოლუმბიის უნივერსიტეტი, 2007.
23. Jonas Berglund, Forecast and Determinants of Housing Market, Uppsala University, 2007.
24. Gennady Sternik, Housing Market Evaluation through discrete special-parametric modelling, 2007.
25. Schwab, 1982.
26. Gennady Sternik, certain regularities based on relative change caused by demand and price increase, regarding ongoing supply of the market, Russian Economic Academy by Giorgi Plekhanov, Moscow, 2008.
27. მარიამ კვანტალიანი, უძრავი ქონების ანალიზი თბილისის მაგალითზე (კვლევა) 26 მარტი, 2015.

28. Francis Diebold, Times Series Analysis, University of Pennsylvania, 2006.
29. Arthur Beyonce, Nature and Causes of Business Cycles, National Bureau of Economic Researches, USA, 1969.

Comparative Analysis of the Real Estate Market in Tbilisi

Alexander Vasilyev

Master Program Student
The Georgian Institute of Public Affairs (GIPA),
School of Government

The study deals with the determination of the dynamics of prices in the sector of residential spaces of the real estate in 2007-2016 in Tbilisi, separation of business cycles, evaluation of the investment climate through short-term forecast within the third and fourth quarters of 2016 and identification of determining factors in respect of price changes.

Keywords: Real estate; business cycles; factor analysis; the primary and secondary real estate markets.

JEL Codes: E31, E32, R31

ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1, გვ. 99-106
ECONOMICS AND BUSINESS, 2017, 1, pp. 99-106

მარკეტინგი ✧ მენეჯმენტი ✧ ტურიზმი
MARCETING ✧ MENEGMENT ✧ TOURISM

სავაჭრო ურთიერთობები საქართველოსა და აშშ-ს შორის: დინამიკა და პერსპექტივები

გიორგი ღაღანიძე
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

სტატიაში განხილულია საექსპორტო პოტენციალის უკეთ რეალიზაციის საკითხები, კონკრეტულ სავაჭრო პარტნიორთან მიმართებით. გაანალიზებულია საქართველო-აშშ სავაჭრო ურთიერთობები და მათი შემდგომი ინტენსიფიკაციის შესაძლებლობები. შეფასებულია საქართველოს აშშ ბაზარზე საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა.

საკვანძო სიტყვები: *სავაჭრო რეჟიმი; თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება; სავაჭრო ურთიერთობების ინტენსიფიკაცია.*

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსის (იგულისხმება პროდუქციით და არა მომსახურებით ვაჭრობა) ქრონიკული დეფიციტი ყოველთვის განიხილებოდა, როგორც ერთ-ერთი დიდად მტკივნეული პრობლემა. საქართველოს ყველა ხელისუფლება მსჯელობდა საგარეო ვაჭრობის ინტენსიფიკაციაზე, ექსპორტის ხელშეწყობაზე, თუმცა, რეალური შედეგები, გარდა მცირე წარმატებებისა (ძირითადად რეექსპორტის ხარჯზე), ვერ მივიღეთ. პრობლემის არსში წვდომისას აუცილებლად მივდივართ კონკურენტუნარიანობის საკითხთან და კერძოდ გვიხდება იმ მარტივი ჭეშმარიტების დადასტურება, რომ საქართველოს საექსპორტო პროდუქცია დაბალ კონკურენტუნარიანია. ამ ფაქტის გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლებებმა სხვადასხვა დროს დასახეს ყველა მნიშვნელოვანი საგარეო ბაზრის მაქსიმალურად გახსნის ამოცანა. შემდეგი რაციონალური მოსაზრებით: თანამედროვე გლობალური კონკურენციის პირობებში სავაჭრო რეჟიმით მიღწეული უპირატესობა გარდაიქმნება რეალურ ექსპორტად, ვინაიდან მოიძებნება დაინტერესებული ინვესტორები, რომლებიც შეეცდებიან გამოიყენონ ეს უპირატესობა. ცხადია, როდესაც ასეთ საექსპორტო

ბაზრებზე ვმსჯელობთ, პირველ რიგში უნდა შევეხოთ ევროკავშირსა და აშშ-ს. ევროკავშირთან საქართველომ დაასრულა თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის შესახებ მოლაპარაკებები და მიაღწია შესაბამის შეთანხმებას. ამდენად, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ აშშ-ის როლი საქართველოს ექსპორტში, გავიაზროთ ტენდენციები და დინამიკა, შევაფასოთ მიღწეული შედეგები.

საქართველო-აშშ-ის საგარეო ვაჭრობის დინამიკა

საქართველოსა და აშშ-ს შორის საგარეო-სავაჭრო ურთიერთობები ეფუძნება 2001 წლიდან აშშ-ის მიერ საქართველოსათვის მინიჭებულ პრეფერენციათა გენერალიზებულ სისტემას (პგს). აღნიშნული სქემით სარგებლობს დაახლოებით 30 სახელმწიფო, პგს განვითარებად ქვეყნებს აძლევს შესაძლებლობას აშშ-ში შეიტანონ პროდუქცია საბაჟო გადასახადის გარეშე. ასეთი პროდუქციის ჩამონათვალი საქართველოსათვის არის დაახლოებით 3,500. ასეთ პროდუქციას მიეკუთვნება: სამრეწველო პროდუქცია; საიუველირო ნაწარმი; იატაკის სხვადასხვა საფარი; სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის ზოგიერთი პროდუქცია; დიდი რაოდენობით ქიმიური პროდუქცია და მინერალები. პგს-ის სქემით ვერ შეიტანთ აშშ-ში ტექსტილს, ტყავის ნაწარმს, ტანსაცმელს. დეტალური ინფორმაცია შეიძლება ინახოს შესაბამის ვებგვერდზე [1]. პგს-ის სქემა საშუალებას აძლევს ექსპორტიორს საქართველოდან ჰქონდეს დაახლოებით 18%-იანი უპირატესობა დანახარჯებში სხვა ექსპორტიორებთან შედარებით, რომლებსაც არა აქვთ პგს-ის უპირატესობა. სამომავლოდ, პგს სქემის უფრო ფართოდ გამოყენებისათვის მნიშვნელოვანი იქნება ხელით დამზადებული ნაკეთობების (სუვენირებისა და მსგავსი ნაწარმის) უფრო ფართოდ ექსპორტირება.

საქართველოდან პგს-ს სქემით ხდება ფეროსილიკომანგანუმის, მინერალური წყლების, ხილის წვენების, გარკვეული ლითონის პროდუქციის ექსპორტირება. განვიხილოთ საქართველოდან აშშ-ში ექსპორტის დინამიკა. (იხ. ცხრილი 1).

ცხრილიდან, ცხადია, რომ საქართველოდან აშშ-ში ექსპორტი მკვეთრად იზრდება 2006 წლიდან. მაქსიმალური მნიშვნელობები კი მიღწეული იქნა 2012 და 2014 წელს. ცხადია, ასეთი ზრდა განპირობებული იყო ჯერ ერთი იმით, რომ ქართველი ექსპორტიორები უკეთ იყენებდნენ პგს-ის სქემას, ხოლო მეორე, ქვეყნებს შორის ახლო პოლიტიკური ურთიერთობებით. განვიხილოთ საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის სასაქონლო ჭრილი 2015 წლის მაგალითზე. 2015 წლის განმავლობაში საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებული პროდუქციის ჩამონათვალი ასე გამოიყურება: სასაქონლო ჯგუფი 7202 - ფეროშენადნობები 86.340. - ათასი აშშ დოლარი; სასაქონლო ჯგუფი - 3102

საქართველოს ექსპორტი აშშ-ში (ათასი აშშ დოლარი) [2]

ცხრილი *1.*

წელი	ექსპორტი სულ	ექსპორტი აშშ-ში	%-ული წილი
1995	155,199.3	0,628.3	0,4
1996	203,022.3	1,347.1	0,7
1997	244,227.4	4,247.0	1,7
1998	191,317.5	10,978.3	5,7
1999	238,005.6	10,148.2	4,3
2000	323,938.3	7,138.3	2,2
2001	317,150.9	8,752.5	2,8
2002	345,736.1	13,453.4	3,9
2003	461,310.0	15,357.8	3,3
2004	646,903.0	21,230.0	3,3
2005	865,455.6	26,748.1	3,1
2006	936,374.6	58,509.9	6,2
2007	1,232,110.5	149,036.0	12,1
2008	1,495,345.2	102,197.6	6,8
2009	1,133,630.2	36,933.9	3,3
2010	1,677,306.9	187,225.9	11,2
2011	2,186,421.2	143,466.2	6,6
2012	2,376,635.4	226,194.8	9,5
2013	2,910,637.2	137,551.8	4,7
2014	2,861,045.2	207,365.8	7,2
2015	2,204,684.2	104,190.8	4,7
2016 იანვარი-ივლისი	1,121,812.2	50,614.3	4,5

აზოტოვანი სასუქები - 7.730 ათასი აშშ დოლარი; სასაქონლო ჯგუფი 2201 - მინერალური წყლები - 1.339 ათასი აშშ დოლარი; სასაქონლო ჯგუფი 2204 - ყურძნის ნატურალური ღვინოები - 1.041 ათასი აშშ დოლარი; სასაქონლო ჯგუფი 2009 - ხილის წვენები - 2.096 ათასი აშშ დოლარი. თვალში საცემია, როგორც ძალიან ვიწრო სასაქონლო ასორტიმენტი, ასევე პროდუქციის შეზღუდული ნომენკლატურა. განვიხილოთ ამ სასაქონლო ჯგუფების იმპორტის მაჩვენებლები აშშ-ში. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ რამდენადმე მნიშვნელოვანი პოზიცია საქართველოს აქვს ფეროშენადნობების ექსპორტში, სადაც აშშ-ის იმპორტი შეადგენს 2,273,727. ათას აშშ დოლარს, და სადაც საქართველო მე-9 პოზიციაზეა, ხოლო ლიდერობს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. (იხ. ცხრილი 2).

აშშ-ში ფეროშენადნობების უმსხვილესი ექსპორტიორები
2015* წელს ათას აშშ დოლარში *[3]

ცხრილი 2.

ქვეყანა	იმპორტი აშშ-ში
სამხრეთი აფრიკა	437,613
ბრაზილია	278,783
რუსეთის ფედერაცია	240,872
კანადა	155,907
ჩინეთი	145,409
კორეის რესპუბლიკა	104,619
ნორვეგია	93,743
ავსტრალია	92,551

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ექსპორტიორებიდან საქართველოზე უკეთესი სავაჭრო რეჟიმი, ვიდრე პგს-ის სქემა, ანუ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, აშშ-სთან აქვთ კანადას, კორეას და ავსტრალიას. სხვა ექსპორტიორებთან შედარებით კი საქართველოს აქვს აშკარა უპირატესობები სავაჭრო რეჟიმის თვალსაზრისით.

სხვა სასაქონლო ჯგუფებთან მიმართებით კი საქართველოს პოზიციები ძალიან უმნიშვნელოა, თუ გავითვალისწინებთ ამ პროდუქციის იმპორტის მოცულობას აშშ-ში, 2015 წელს შეადგინა (მონაცემები მოტანილია ათას აშშ დოლარებში): სასაქონლო ჯგუფის – 2204-ის 5,621,541; სასაქონლო ჯგუფის – 2201-ის 552,038; სასაქონლო ჯგუფის – 3102-ის 3,871,455.

რამდენად იყენებს საქართველო იმ საექსპორტო პოტენციალს, რომელიც მას აქვს აშშ-ში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გავაანალიზოთ ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი. ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი გარკვეულწილად იძლევა შესაძლებლობას შევაფასოთ საექსპორტო პოტენციალი კონკრეტული ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის მიმართ: Xij- I ქვეყნის ექსპორტი J ქვეყანაში; Xi I ქვეყნის მთლიანი ექსპორტი; Mj Mj ქვეყნის მთლიანი იმპორტი; MM მსოფლიო იმპორტი. Iij=(Xij/Xi)/(Mj/M) მიღებული მაჩვენებელი Iij თუ მეტია 1-ზე, მაშინ თქვენი სავაჭრო პარტნიორი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია თქვენთვის, ვიდრე თქვენ მისთვის. თუ მიღებული მაჩვენებელი ერთის ტოლია, თქვენი საექსპორტო პოტენციალი ადეკვატურია თქვენი შესაძლებლობებისა და იმპორტიორი ქვეყნის შესაძლებლობებისა, ხოლო თუ ის 1-ზე ნაკლებია, მაშინ თქვენს ექსპორტს აქვს გამოუყენებელი პოტენციალი. ამ შემთხვევაში გამოუყენებელი საექსპორტო პოტენციალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა - რა იქნებოდა თქვენი ექსპორტის მაჩვენებელი, რომ ყოფილიყო ინდექსი 1-ის ტოლი და რა არის რეალურად. ამ გათვლების ჩასატარებლად ვიღებთ საერთა-

შორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემებს 2015 წლისათვის. ამ მონაცემების მიხედვით საქართველოს მთლიანი ექსპორტი შეადგენს 2,203,644 ათას აშშ დოლარს, აქედან ექსპორტი აშშ-ში შეადგენს 104,181 ათას აშშ დოლარს. მსოფლიო იმპორტი შეადგენს 16,548 ტრილიონ აშშ დოლარს, ხოლო აშშ იმპორტი 2,306 ტრილიონ აშშ დოლარს. ამ მონაცემების საფუძველზე ჩატარებული გათვლების შედეგად, საქართველო-აშშ-ის ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი შეადგენს 0,36-ს. რაც ნიშნავს, რომ საქართველოს აქვს გამოუყენებელი საექსპორტო პოტენციალი აშშ-ში. ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსის 1-თან ტოლობის შემთხვევაში საქართველოს აშშ-ში ექსპორტი უნდა ყოფილიყო 286.6 მლნ აშშ დოლარი, ანუ აუთვისებელი ექსპორტი შეადგენს 180 მლნ აშშ დოლარს. ალბათ, ცხადია, რომ მხოლოდ ეს აუთვისებელი პოტენციალი ძალიან მაღალია და მისი რეალიზაცია წარმოადგენს საქართველოს ექსპორტის ზრდის მნიშვნელოვან რეზერვს. განვიხილოთ საქართველოდან აშშ-ში ექსპორტის ზრდის ყველაზე რეალისტური გზები.

საქართველო-აშშ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესაძლო ეკონომიკური ეფექტი

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ხელს უწყობს ვაჭრობის სწრაფ ინტენსიფიკაციას. საქართველოსთან მიმართებით არსებობს აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა, რასაც ითვალისწინებს აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება. ამ მიმართულებით, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს აქტიურობა, ასევე აშშ-ის კეთილი ნება, ვინაიდან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას აშშ ყოველთვის განიხილავს პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით. ამჟამად აშშ-ს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები აქვს ავსტრალიასთან, ბაჰრეინთან, კანადასთან, ჩილესთან, კოლუმბიასთან, კოსტა-რიკასთან, დომინიკანის რესპ., ელ სალვადორთან, გვატემელასთან, ჰონდურასთან, ისრაელთან, იორდანიასთან, კორეასთან, მექსიკასთან, მაროკოსთან, ნიკარაგუასთან, ომანთან, პანამასთან, პერუსთან და სინგაპურთან. გარდა ამისა, აშშ-მა დაასრულა მოლაპარაკებები რეგიონულ ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის შეთანხმებაზე და აწარმოებს მოლაპარაკებას ტრანსატლანტიკური სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორობაზე ევროკავშირთან. ცხადია, რომ საქართველოს ცალსახა მისწრაფება ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში, ხელს უწყობს საქართველოს მიერ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევას აშშ-სთან.

აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით, პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ექსპორტის სწრაფი ზრდა თავი-

სუფალი ვაჭრობის პირობებში მოხდება, მაშინ როდესაც ორ ქვეყანას შორის ექსპორტის ერთგვაროვნება მაღალია. ასევე, ექსპორტის ზრდას ხელს უწყობს შიგადარგობრივი კოოპერაციის მაღალი დონე. ეს დაშვებები ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ მაღალი ერთგვაროვნების შემთხვევაში მოხდება ექსპორტის სპეციალიზაცია, ერთი ქვეყნიდან მოხდება უფრო დაბალი ფასის მქონე პროდუქციის ექსპორტი, ხოლო მეორედან იმავე, მაგრამ უფრო მაღალი ფასის მქონე პროდუქციის ექსპორტი. შიგადარგობრივი ვაჭრობის ინტენსიფიკაციის შემთხვევაში კი განიხილება ფასეულობათა ჯაჭვის აგება, როდესაც, საქართველოს ექნება უპირატესობა სხვა ექსპორტიორებთან შედარებით. ამ საკითხების განსაზღვრისათვის განვიხილოთ ექსპორტის ერთგვაროვნებისა (კინკერ-ფრეინინის ინდექსი) და შიგადარგობრივი ვაჭრობის (გრუბელ-ლოიდის ინდექსი) (იხ. ცხრილი 3, 4).

ექსპორტის ერთგვაროვნება კინკერ-ფრეინინის ინდექსის მიხედვით *(2010-2015* წწ.*)*

ცხრილი 3.

	2010წ.	2011წ.	2012წ.	2013წ.	2014წ.	2015წ.
საქართველო-აშშ	5,6	5,7	6,03	6,04	6,3	2,75
საქართველო-ჩინეთი	0,57	0,67	0,7	0,6	0,64	0,65
საქართველო-თურქეთი	9.63	9.33	7.77	8.45	8.64	3,3
საქართველო-დსთ	2,5	2,65	2,86	2,54	2,66	-
საქართველო-ევროკავშირი	8.77	9.02	9.22	8.80	10.63	5,26

მარტივი ანალიზი ცხადყოფს, რომ ექსპორტის დაბალი ერთგვაროვნება და შიგადარგობრივი ვაჭრობის დაბალი მოცულობა არ გამოიწვევს საქართველოდან ექსპორტის მკვეთრ ზრდას, დროის მოკლე პერიოდში. თუმცა, აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და შესაბამისად აშშ-ის ბაზარზე პროდუქციის დაშვება თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით ძალიან საინტერესო იქნება, პირველ რიგში, აზიელი ინვესტორებისათვის. ასევე, ძალიან საინტერესო იქნება თურქეთისათვის, რადგანაც შესაძლებელი იქნება საქართველოში სამრეწველო პროდუქციის ერთობლივი წარმოება და შემდგომ მისი ექსპორტირება აშშ-ში სავაჭრო დამღით დამზადებულია საქართველოში. ევროკავშირის წევრი

გრუბელ-ლოიდის ინდექსის მიხედვით საქართველოს შიგადარგობრივი ვაჭრობა აშშ-სთან, ჩინეთთან, თურქეთთან, ევროკავშირსა და დსთ-სთან *(2015*წ.*)*

ცხრილი 4.

	აშშ	ჩინეთი	თურქეთი	დსთ	ევროკავშირი
0802	0,9	0,0	0,03	0,2	0,01
2201	0,0	0,0	0,3	0,001	0,01
2204	0,0	0,001	0,0	0,01	0,1
2208	0,1	0,1	0,0	0,4	0,7
2603	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3004	0,05	0,0	0,08	0,3	0,01
3102	0,0	0,0	0,6	0,6	0,02
7202	0,0	0,0	0,07	0,0	0,0
7214	0,0	0,0	1,0	0,4	0,0
8703	0,7	0,0	0,0	0,7	0,8

ექსპორტის ერთგვაროვნებისა და გრუბელ-ლოიდის ინდექსები გაანგარიშებულია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო კვლევის ფარგლებში: "საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები".

სახელმწიფოებისათვის ნაკლებად საინტერესო იქნება საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აშშ-სთან ორი მოსაზრების გამო: პირველი, ტვირთის მოძრაობა დასავლეთი-აღმოსავლეთი-დასავლეთი, რაც ზრდის სატრანსპორტო ხარჯებს; მეორე მალე თვითონ ექნებათ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება. ამდენად მიზანშეწონილი იქნება ყველა პოტენციურად დაინტერესებული ინვესტორის იდენტიფიკაცია როგორც სახელმწიფოების, ასევე დარგობრივი ნიშნით და მათთვის სპეციალური ინვესტიციების დაცვის მექანიზმების შეთავაზება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტვირთების მოძრაობას – „აღმოსავლეთ-დასავლეთ" მიმართულებით, რაც წარმოადგენს ბუნებრივ სატრანსპორტო გზას.

აშშ-ში განვითარებული უახლესი მოვლენები და აშშ ახალი ადმინისტრაციის განცხადებები, ასევე ძალიან საინტერესოა და გარკვეულად შესაძლებელია შეცვალოს სავაჭრო ურთიერთობების განვითარების არსებული დინამიკა.

ლიტერატურა:

1. https://ustr.gov/issue-areas/trade-development/preference-programs/generalized-system-preferences-gsp/gsp-use-%E2%80%93-coun
2. „საქსტატი“
3. www.itracen.org

Trade Relations Between Georgia and the USA: Dynamics and Prospects

Giorgi Gaganidze
Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
E-mail:giorgi.gaganidze@tsu.ge

In the article the author reviews the existing trade relations between Georgia and the USA, special attention is paid to the structure of the trade and future trends. There are analyzed the possible effects of the free trade agreement between the USA and Georgia.

Keywords: Trade regimes, free trade agreement, trade intensification
JEL Codes: F10, F13, F14

ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1, გვ. 107-124
ECONOMICS AND BUSINESS, 2017, 1, pp. 107-124

საქართველოს ბაზარზე გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ მომხმარებელთა აღქმის კვლევა

ნუგზარ თოდუა
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის პროფესორი, მარკეტინგის კათედრის ხელმძღვანელი
nugzar.todua@tsu.ge

თეონა გოგიტიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის დოქტორანტი
teona.gogitidze@gmail.com

ნაშრომში გაანალიზებულია გენმოდიფიცირებული პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები, აგრეთვე მათი რეგულირების ძირითადი ასპექტები. ნაჩვენებია, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქციის ბაზრის განვითარებაში უდიდესი როლი ენიჭება მარკეტინგულ კვლევებს, რომლებიც მომხმარებელთა აღქმის შესწავლის საფუძველია. ჩატარებული მარკეტინგული კვლევის საფუძველზე სტატიაში მოცემულია ქართველი მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქციის აღქმის სპეციფიკა, გამოვლენილია გენმოდიფიცრებული პროდუქციის შესახებ მომხმარებლების ცნობიერების დონე და შეხედულებები, დადგენილია მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცრებული პროდუქტების შეძენის ძირითადი ტენდენციები და მახასიათებლები. ნაშრომში განსაზღვრულია აგრეთვე ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქტის შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

საკვანძო სიტყვები: *გენმოდიფიცირებული პროდუქცია, მომხმარებელთა აღქმა, მარკეტინგული კვლევა, საქართველოს ბაზარი.*

პრობლემის აქტუალურობა და შესწავლის დონე

ცივილიზაციის სწრაფი ტემპებით განვითარება ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს კაცობრიობას. ჩვენს პლანეტაზე ყოველწლიურად მატულობს მოსახლეობის რაოდენობა, რაც კვების პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდას განაპირობებს.

დედამიწის მოსახლეობის ზრდის არაპროგნოზირებადმა მონაცემებმა, საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნა-მიწოდების მუდმივმა დისბალანსმა მეცნიერები აიძულა, არატრადიციული ტექნოლოგიური საშუალებები გამოენახათ, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა (გმო) და მათგან მიღებული პროდუქციის წარმოება [1]. გენმოდიფიცირებული პროდუქტების გამოყენებას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, რომელთა შესახებაც ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები არსებობს. მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც გენმოდიფიცირებული პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების მომხრეა, დადებით ასპექტად ასახელებს სოფლის მეურნეობაში გაზრდილ პროდუქტიულობას. მათი მთავარი არგუმენტი ისაა, რომ გენური ინჟინერიის მეთოდების გამოყენება მრავალ სასარგებელო თვისებებს სძენს სასოფლოჴსამეურნეო კულტურებს. კერძოდ, ეს კულტურები უფრო მდგრადია დაავადებებისა და მავნე მწერების მიმართ. გენეტიკური მოდიფიკაციის დროს მცენარე იძენს ისეთ თვისებებს, რაც ამარტივებს აგროტექნოლოგიას და, შესაბამისად, პროდუქციის წარმოების დანახარჯები მცირდება. ასეთ პროდუქტს გააჩნია მომგებიანი სასაქონლო სახე და საკვებ ღირებულებას უფრო დიდხანს ინარჩუნებს, რაც, საბოლოო ანგარიშით, შემოსავლების საგრძნობლად ზრდას იწვევს [2]. გენმოდიფიცირებული პროდუქციის ერთ-ერთ უპირატესობად სახელდება ისიც, რომ ამ გზით შესაძლებელია სასურსათო კრიზისის დაძლევა [3]. ყველა ამ დადებითი არგუმენტის მიუხედავად, ახალ ტექნოლოგიას უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს. საქმე ისაა, რომ ტრანსგენური მცენარე წარმოადგენს ახალ ორგანიზმს ახალი თვისებებით, რაც შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს როგორც ადამიანისათვის, ასევე ეკოსისტემისათვის. დასაშვებია ადამიანისათვის საშიში ნივთიერებების სინთეზირებაც, რაც შეცვლის როგორც თვით სასოფლო-სამეურნეო კულტურების თვისებებს, აგრეთვე მათგან მიიღებული კვების პროდუქტების ხარისხს [4].

ყოველივე ეს გენმოდიფიცირებული პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის შესახებ რეგულირების აუცილებლობას იწვევს.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გენმოდიფიცირებული პროდუქციის მარეგულირებელი კანონმდებლობა სათავეს იღებს ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან. ამ დროიდან ევროპაში საგრძნობლად გაიზარდა გარემოსდაცვითი ორგანიზაციების, ფერმერებისა და მოსახლეობის დიდი ნაწილის წინააღმდეგობა გენური ინჟინერიის გამოყენებით მიღებული პროდუქტების მიმართ. ევროპის ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის, ავსტრიამ, ლუქსემბურგმა, საფრანგეთმა, საბერძნეთმა და დიდმა ბრიტანეთმა გენმოდიფიცირებულ მცენარეებზე გარკვეული აკრძალვები დააწესა. აღსანიშნავია, რომ გენმოდიფიცირებული ორგანიზმებიდან თავისუფალი ზონების შექმნას ითვალისწინებს ევროკავშირის მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობები [5]. საერთაშორისო დონეზე შემუშავდა გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სამართლებრივი

რეგულირების მექანიზმები, რაც, ძირითადად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებულ «ბიომრავალფეროვნების შესახებ» კონვენციას ეფუძნება. ამ კონვენციით აღიარებულია, რომ გმო-ები ახალ საფრთხეს უქმნის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ამიტომ მათ გამოყენებასთან დაკავშირებული რისკის მინიმუმამდე შესამცირებლად აუცილებელია სათანადო მარეგულირებელი სისტემების შექმნა [6]. აღნიშნული კონვენციის საფუძველზე, 2000 წელს ქალაქ მონრეალში, შემუშავდა ბიოუსაფრთხოების ,,კარტახენის ოქმი, რომელიც ძალაში შევიდა 2003 წელს. ამჟამად «კარტახენის ოქმის» მონაწილეა 80-ზე მეტი ქვეყანა. ,,კარტახენის ოქმისნ მიზანია უსაფრთხოების სათანადო დონის დაცვა ისეთი გმო-ების გამოყენებისას, რასაც შეუძლია უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე [7].

გმო-ებთან დაკავშირებით ყველაზე სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა ევროკავშირის ქვეყნებს და, ზოგადად, ევროკავშირს გააჩნია. აქ გმო-ების შესახებ საკანონმდებლო რეგულაციები 1990 წლიდან არსებობს. აღნიშნული კანონმდებლობის საფუძველზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს დაეკისრა ვალდებულება, მიეღოთ ყველა შესაძლო ზომა გმო-ს წარმოებისა და მარკეტინგის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რაიმე სახის ზიანის თავიდან ასაცილებლად.

ევროკავშირის კანონმდებლობამ 1997 წლიდან დააწესა მარკირების ვალდებულება იმ საკვები პროდუქტებისთვის, რომელთა შემადგენლობის მინიმუმ 1% გენმოდიფიცირებულია. შესაბამისად, ასეთი პროდუქტის ეტიკეტი შეიცავს მინიშნებას, რომ იგი შედგება გმო-ებისაგან. აღნიშნული კანონმდებლობა ავალდებულებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, მარკირების პირობები გააკონტროლონ და დარღვევების შემთხვევაში ჯარიმები დააწესონ [5].

მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება გმო-ების წარმოება და, შესაბამისად, საერთაშორისო ბაზარზე მატულობს გენმოდიფიცირებული კვების პროდუქტების რაოდენობა, რომელთა შორისაა მოსახლეობის კვებაში ფართოდ მოხმარებული პროდუქტები.

მსხვილი კომპანიების მიერ წარმოებულ პროდუქტებში, რომლებიც, ძირითადად, განვითარებად ქვეყნებში ექსპორტირდება, უმეტესობაში (დაახლოებით 80%-ში), გამოყენებულია გმო-ები. საქართველოც ამ კატეგორიის ქვეყანას განეკუთვნება და ჩვენში, უმეტესად, სწორედ, ასეთი პროდუქტები შემოდის [8]. ამიტომ, გენმოდიფიცირებული ორგანიზმებთან დაკავშირებული რეგულაციების უზრუნველყოფა ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია.

1994 წელს საქართველომ ხელი მოაწერა «ბიომრავალფეროვნების შესახებ» კონვენციას, ხოლო 2005 წელს შემუშავდა ,,ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმან. ამ გეგმის მიხედვით 2005 წელს უნდა განხორ-

ციელებულიყო ბიოუსაფრთხოების «კარტახენის ოქმის» რატიფიკაციისათვის მომზადება, რასაც უნდა მოჰყოლოდა სხვა საკანონმდებლო ინიციატივები. 2008 წელს საქართველოს პარლამენტმა «კარტახენის ოქმის» რატიფიცირება განიხილა, თუმცა, საკვების მარკირებასთან დაკავშირებული საკითხები იმ დროისთვის 2013 წლამდე გადაიდო. მოგვიანებით, მოვლენები დაჩქარდა და 2010 წელს საქართველომ «კარტახენის ოქმის» რატიფიცირება მოახდინა [9].

2014 წელს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი ,,ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ, რომლის მიზანია გმო-ების გამოყენების სფეროში რიო-დე-ჟანეიროს 1992 წლის კონვენციით და „კარტახენის ოქმით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, აგრეთვე, მოსახლეობის ინფორმირება არსებული ტექნოლოგიის შესახებ [10]. რაც შეეხება გენმოდიფიცირებული პროდუქციის ეტიკეტირებასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონს ,,სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ, ძალაში შევიდა 2015 წლის 1 ივლისიდან. ეს კანონი აწესრიგებს სურსათად ან ცხოველის საკვებად განკუთვნილი გმო-ებისა და მისგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქციის ბაზარზე განთავსებისას და იმპორტისას მის ეტიკეტირებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კანონის ძირითადი მიზანია მომხმარებელთა ინფორმირება გმო-ებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის შესახებ, ასევე მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, რათა მათ ჰქონდეთ თავისუფალი არჩევანის საშუალება [11]. აღნიშნული კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ 2015 წლის 7 ივლისს მიიღო ,,სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების წესინ, რომელიც განსაზღვრავს სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გმო-ებისა და მისგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირებისათვის რეგულირების ერთიან პრინციპებს, აგრეთვე უზრუნველყოფს მომხმარებელთა უფლებების დაცვას და შიგა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას [12].

გენმოდიფიცირებული პროდუქციის ბაზრის განვითარებაში უდიდესი როლი ენიჭება მარკეტინგს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მწარმოებელებს და მომხმარებლებს [13]. აგროსასურსათო მარკეტინგი მოიცავს ყველა იმ საქმიანობას, რომელსაც ადგილი აქვს კვების პროდუქტების შემუშავებიდან მომხმარებლის მიერ მათ შეძენამდე [14]. სასურსათო მარკეტინგული სისტემები განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც განპირობებულია მოცემული ქვეყნის ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების დონით [15]. კონკრეტულ ქვეყანაში სასურსათო მარკეტინგული ღონისძიებების ანალიზი და შესაბამისი ინტერპრეტაცია მოითხოვს ამ ქვეყნის მომხმარებელთა თავისებურებების გათვალისწინებას, რომელიც მარკეტინგულ კვლევებს ეყრდნობა.

დღეისათვის აგროსასურსათო სფეროში ყველაზე აქტუალური მარკეტინგული კვლევები ტარდება გენმოდიფიცრებული პროდუქტებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების მიმართულებით. ამ საკითხს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წამყვანმა მეცნიერებმა არაერთი კვლევᲩ მიუძღვნეს. ერთ-ერთი პირველები, რომლებმაც ასეთი კვლევა ჩაატარეს, იყვნენ ბრაზილიელი მეცნიერები: გონსალესი, ჯონსონი და ქაიმი [16]. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა გენმოდიფიცირებული პროდუქციის მიმართ ბრაზილიის ჩრდილოეთ ქალაქებში მცხოვრებ მომხმარებელთა ცოდნისა და დამოკიდებულების გამოვლენა. საინტერესო კვლევა ჩაატარეს აგრეთვე პოლინოსმა და ფაზიომ, რომლებმაც გამოკითხეს არგენტინელი მომხმარებლები. მათ გამოავლინეს მომხმარებლების დიდი ნაწილი, რომელთაც გენური ინჟინერიის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდათ [17]. მუჩისა და ჰოუგის მიერ ჩატარებულმა მარკეტინგულმა კვლევამ კი აჩვენა, რომ არგენტინელი მომხმარებლების აზრით, გენმოდიფიცირებული პროდუქციის წარმოების ტექნოლოგია ბოლომდე არ არის შესწავლილი და რისკის მატარებელია როგორც ადამიანებისათვის, ასევე გარემოსათვის [18]. ბოკალეტმა და მორომ დაადგინეს გენური ინჟინერიის შესახებ იტალიელი მომხმარებლების ინფორმირებულობის დონე. აღნიშნული კვლევის თანახმად, გენმოდიფიცირებული პროდუქციის მიმართ მომხმარებლთა მოთხოვნაზე გავლენას ახდენს მათი შემოსვლების დონე და გენური ინჟინერიის შესახებ არსებული ინფორმაცია. კვლევის თანახმად, მომხმარებელისათვის გენმოდიფიცირებული პროდუქცია უფრო მიმზიდველი და სასურველი რომ იყოს, აუცილებელია, ისინი შესაბამის ინფორმაციას ამომწურავად ფლობდნენ [19]. მაკკლუსკის, გრიმსრუდის, ოუჩისა და ვალჰის მიერ ჩატარებული კვლვის შედეგად გამოვლინდა იაპონელი მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება გენმოდიფიცირებული პროდუქციის მიმართ. მკვლევარების აზრით, იაპონელ მომხმარებლებს ესაჭიროებათ იმის გარანტია, რომ პროდუქტი ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელია [20]. ევროპისა და იაპონიისაგან განსხვავებით, ჩინეთი გენმოდიფიცირებული პროდუქციის უზარმაზარი ბაზარია. ხიაინგის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა ჩინელი მომხმარებლების მზადყოფნა გენმოდიფიცრებული პროდუქციის შეძენასთან დაკავშირებით. კვლევამ ცხადყო ისიც, რომ ჩინეთში მომხმარებლები უფრო მეტად არიან დადებითად განწყობილნი გენური ინჟინერიის მიმართ, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში [21]. 2010 წელს თურქეთში ჩატარებულმა მარკეტინგულმა კვლევამ გამოავლინა გენმოდიფიცირებული პროდუქციისადმი სტუდენტთა დამოკიდებულება და გენური ინჟინერიის შესახებ მათი ცოდნის დაბალი დონე [22].

ზემოაღნიშნულ შრომებს საერთო აქვთ ის, რომ მათ უმეტესობაში გამოვლენილია მოსახლეობის ცოდნის დაბალი დონე და უარყოფითი დამოკიდებულება გენმოდიფიცირებული პროდუქციის მიმართ. ამასთან, ნებისმიერი მკვლევარი ეთანხმება იმ აზრს, რომ სახელმწიფო უნდა ჩაერიოს გენური ინჟინერიის

განვითარებაში და გააკონტროლოს გენმოდიფიცირებული პროდუქციის წარმოება-მოხმარება. ამისათვის მან მომხმრებლებს უნდა მიაწოდოს უტყუარი და ამომწურავი ინფორმაცია, რათა მათ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების საშუალება ჰქონდეთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გენმოდიფიცირებული პროდუქციისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების შესწავლა თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა.

ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ მომხმარებელთა ქცევისა და აგროსასურსათო პროდუქტებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, გარკვეული კვლევები ტარდება საქართველოში [23-28], მაგრამ დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი გენმოდიფიცირებული პროდუქციის მიმართ ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულების საკითხები, რაც სათანადო მეცნიერულ დამუშავებას საჭიროებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ბაზარზე გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ მომხმარებელთა აღქმის შესწავლა. კვლევის მიზნის მისაღწევად დასმულია შემდეგი ამოცანები: გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ მომხმარებელთა ცნობიერების დონის განსაზღვრა და შეხედულების გამოვლენა, გენმოდიფიცირებული პროდუქტის შეძენის ძირითადი ტენდენციებისა და მახასიათებლების განსაზღვრა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ჰიპოთეზა:

H1a: ასაკი და განათლება შესამჩნევ როლს თამაშობს მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ ინფორმაციის ფლობაზე;

H1b: შემოსავლები ზემოქმედებას ახდენს მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქციის შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე;

H1c: მომხმარებელთა სოციალური კატეგორია განსაზღვრავს მათ ინტერესს გენმოდიფიცირებული პროდუქციის მიმართ.

კვლევის მეთოდოლოგია

მარკეტინგული კვლევა დავყავით ორ ეტაპად. პირველი ეტაპის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა შემდგომი გაღრმავებული შესწავლისათვის კვლევის ჯგუფის განსაზღვრა. ასეთი მიდგომის მიზანშეწონილობა აიხსნება კვლევის თავისებურებით, კერძოდ, საერთო სტრატიფიცირებული შერჩევიდან აუცილებელია იმ ფენების გამოყოფა, რომლებიც უშუალოდ ყიდულობენ გენმოდიფიცირებულ პროდუქციას. ამისათვის კი საჭიროა ამ ფენებს შორის პროცენტული და რაოდენობრივი თანაფარდობის დადგენა. აქედან გამომდინარე, წარმოიშვა რეპრეზენტაციულობის მეთოდის გამოყენების აუცილებლობა. ამისათვის ვი-

სარგებლეთ სტრატიფიცირებული შერჩევით, რაც წარმოადგენს გენერალური მთლიანობის ელემენტების გარდაქმნას სხვადასხვა სახის ერთგვაროვან ფენებად [29]. ჩვენს შემთხვევაში ესაა საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის გამოყოფა, რომლის მიზანია შერჩევის რეპრეზენტაციულობის დაცვა. ამ მახასიათებლის მიხედვით ჩატარდა მოსახლეობის დაჯგუფება. შემდგომ, თითოეული ჯგუფის მოცულობის პროპორციულად, მოვახდინეთ შერჩევის ფორმირება ისეთნაირად, რომ იგი რეპრეზენტაციული ყოფილიყო. წინაალმდეგ შემთხვევაში, მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფის მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქციისადმი მათი დამოკიდებულება არ იქნებოდა სარწმუნო.

პირველადი მონაცემების შესაგროვებლად კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ ანკეტა, რომელიც რამდენიმე სტრუქტურირებული კითხვისგან შედგებოდა. ვინაიდან კვლევა არ ითვალისწინებდა რომელიმე კონკრეტული პროდუქტის ან კომპანიის შესწავლას, ანკეტა ზოგადი ხასიათის კითხვებით დაკომპლექტდა, რაც არსებული საერთო სიტუაციის აღწერის საშუალებას იძლეოდა. კვლევა ეფუძნება გამოკითხვის მეთოდს [30], რომელიც ჩატარდა როგორც პირდაპირი ინტერვიუს, ასევე ინტერნეტის მეშვეობით. გამოკითხვის არეს წარმოადგენდა აჭარის რეგიონი, სადაც რესპონდენტები საალბათო პრინციპით შეირჩა.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქციის ძირითადი მომხმარებლები საქართველოში 20-დან 65 წლამდე ასაკის მოსახლეობაა, რომელთა რაოდენობა აჭარაში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, არის 209 808 ადამიანი [31], 95%-იანი სანდო ალბათობისა და 4%-იანი ცდომილების გათვალისწინებით, შერჩევის მოცულობამ ჩვენ მიერ ჩატარებულ მარკეტინგულ კვლევაში შეადგინა 600 რესპონდენტი (მათ შორის მამაკაცი იყო 316, ხოლო ქალი – 287). მიღებული მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამით.

კვლევის შედეგები

ჩვენ მიერ ჩატარებულმა მარკეტინგულმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობას (72%-ს) გაუგია, რა არის გენმოდიფიცირებული პროდუქცია, თუმცა, აღნიშნულ საკითხზე რესპონდენტთა ცოდნის დონე ასაკის ზრდასთან ერთად იკლებს. რესპონდენტების 28%-ს გმო-ს შესახებ საერთოდ წარმოდგენა არა აქვს. ამასთან, გამოკითხული რესპონდენტების 14% ფიქრობს, რომ გმო შეიქმნა მეცნიერების განვითარებისათვის, 24% გმო-ს გამოგონებას ახალი პროდუქციის შექმნას მიაკუთვნებს, 24%-ის აზრით, გმო მსოფლიოში უმწვავესი პრობლემის ‰ საკვები პროდუქტების დეფიციტის დაძლევის მიზნით გამოიგონეს, ხოლო აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა გამოკითხულთა უდიდეს ნაწილს (38%-ს).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გენმოდიფიცირებული პროდუქციის მოხმარებას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. სამწუხაროდ, ჩვენ მიერ გამოკითხული მომხმარებლების უმეტესობას (53%-ს) უჭირს გენმოდიფიცირებული პროდუქციის დადებითი თვისებების განსაზღვრა. 28%-ის აზრით, გმო-ს დადებით მხარეთ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ამ პროდუქციას გააჩნია შენახვის ხანგრძლივი პერიოდი. რესპონდენტების 12%-ს მიაჩნია, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქცია გამოირჩევა გაუმჯობესებული ხარისხით. გამოკითხულთა 3% თვლის, რომ გმო სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის, ხოლო 4%-ის აზრით, გმო ტექნოლოგია ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნებას.

გამოკითხული რესპონდენტების 13%-ს მიაჩნია, რომ საქართველოს ბაზარზე საერთოდ არ არის და არც არასოდეს ყოფილა გენმოდიფიცირებული პროდუქცია. 31% ფიქრობს, რომ ქართული ბაზარი გაჯერებულია გენმოდიფიცირებული პროდუქციით. უდიდეს ნაწილს (56%-ს) წარმოდგენაც არა აქვს, თუ რა ხდება დღევანდელ ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე. მარკეტინგულმა კვლევამ ცხადყო, რომ მომხმარებლების უმეტესი ნაწილი დაინტერესებულია და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გმო-ების შესახებ ინფორმაციას. კერძოდ, გამოკითხული რესპონდენტების 54%-მა აღნიშნა, რომ ყურადღებას აქცევს გმო-ს შესახებ ინფორმაციას, 20% ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. 26%-მა საერთოდ არ იცის, რა არის გენმოდიფიცირებული პროდუქცია და ამ გამოგონების შესახებ რაიმე ინფორმაცია არასოდეს სმენია.

გამოკითხული რესპონდენტების 56% ფიქრობს, რომ საქართველოს არ ესაჭიროება გენმოდიფიცირებული პროდუქციის წარმოება, რადგანაც ჩვენ საკმარისი საკუთარი რესურსი გაგვაჩნია. სამწუხაროდ, რესპონდენტთა 15% ფიქრობს, რომ საქართველომ, სხვა მრავალი ქვეყნის მსგავსად, უარი არ უნდა განაცხადოს გმო-ს წარმოებაზე (აქვე ისიც უნდა დავამატოთ, რომ აღნიშნული რესპონდენტების 15%-დან, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს გმო-ს წარმოებაზე, 65%-მა იცის, თუ რა არის გმო, მაგრამ მაინც უნდა, რომ იწარმოოს, ხოლო დანარჩენმა 35%-მა, რომელიც დადებითადაა განწყობილი გმო-ს წარმოების მიმართ, არ იცის, რა არის გმო და არც ისიც, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია მას გარემოსათვის). გამოკითხული რესპონდენტების 29% მიიჩნევს, რომ ისედაც უხარისხო პროდუქციის იმპორტირება ხდება საქართველოში და ჩვენს ქვეყანას არ სჭირდება გმო-ს იმპორტი, ჩვენ საკმარისი რესურსი გვაქვს და თავისუფლად შეგვიძლია საკუთარი მოსახლეობის გამოკვება საკუთარი ნატურალური პროდუქციით. აღსანიშნავია, რომ ეს ადამიანები არ შეიძენენ გმო-ების შემცველ საკვებს იმ შემთხვევაშიც, თუ ის გაცილებით იაფი იქნება, ვიდრე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი.

რესპონდენტების 36%-ის აზრით, საქართველოში გენმოდიფიცირებული პროდუქციის იმპორტის საჭიროება არ არსებობს, ხოლო 13% კი მიიჩნევს, რომ საქართველოში გმო-ს იმპორტი აუცილებელია (აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ

აღნიშნული 13%-დან 85% არ ფლობს ინფორმაციას გმო-ს შესახებ და ამიტომაც თავისუფლად აფიქსირებს გმო-ს იმპორტის საჭიროებას). სამწუხაროდ, რესპონდენტების 51%-ს ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია, გვესაჭიროება თუ არა გმო-ს იმპორტი.

გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობის (78%-ის) აზრით, შესაფუთ მასალაზე უნდა იყოს მითითებული, რომ პროდუქტი შეიცავს გენმოდიფიცირებულ ინგრედიენტებს. გამოკითხულთა 10% მიიჩნევს, რომ არ არის მნიშვნელოვანი გენმოდიფიცირებული პროდუქციის მარკირება, ხოლო 12% ფიქრობს, რომ საერთოდ არ არის აუცილებელი მარკირება.

გამოკითხული რესპონდენტების 50% ეთანხმება იმ აზრს, რომ გმო-ს მოხმარებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადამიანის ჯანმრთელობაზე. საპირისპიროდ ფიქრობს გამოკითხული მომხმარებლების 5%, რომელიც გმო-ს მიიჩნევს ადამიანისათვის უსაფრთხო ტექნოლოგიად. გამოკითხულთა 11%-ის აზრით, გმო ნაკლებად საფრთხის შემცველია, 34% კი არ ფლობს ინფორმაციას, თუ რა საფრთხეს შეიძლება წარმოადგენდეს გმო ადამიანისათვის.

გამოკითხულ რეპონდენტთა 33% თვლის, რომ მოსახლეობა მეტ ინფორმაციას უნდა ფლობდეს გმო-ს შესახებ, რათა გაუადვილდეს პრობლემის მოგვარება. 13% თვლის, რომ უნდა მიაქციოს მეტი ყურადღება იმას, თუ რა ინფორმაციაა დატანილი ეტიკეტზე. რესპონდენტთა 5%-ის აზრით, მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ ვიზუალურად გამოცნობა, თუ რომელი პროდუქტია გენმოდიფიცირებული, ხოლო დანარჩენი რესპონდენტების (49%-ის) აზრით, გენური ინჟინერიისგან თავის დასაცავად ყველა ზემოთქმულის გათვალისწინება აუცილებელია.

რესპონდენტთა უმრავლესობა (81%) თვლის, რომ სახელმწიფომ საკანონმდებლო დონეზე უნდა დაარეგულიროს გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტების შემოტანა და წარმოება. მომხმარებლებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფომ უნდა დაიცვას მათი ინტერესები და ჩაატაროს გასაყიდად გამოტანილი პროდუქტების ექსპერტიზა. ამასთან, შესაფუთ მასალაზე უნდა გაკეთდეს სათანადო აღნიშვნები და მითითებები.

საკმაოდ მნიშვნელოვანია მომხმარებლების მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდება გენმოდიფიცირებული პროდუქციის მარკირების, შეზღუდვის ან სულაც აკრძალვის შემთხვევაში. რესპონდენტთა 33% მიიჩნევს, რომ თუ მოხდება გმო-ს მარკირება, ეს გამოიწვევს საკვებ პროდუქტებზე ფასების ცვლილებას. მოსახლეობის 5% ფიქრობს, რომ ამით არაფერი შეიცვლება. გამოკითხულთა 24% ვარაუდობს, რომ ამან ნაწილობრივ შეიძლება გავლენა მოახდინოს, ხოლო დანარჩენს (38%-ს) პასუხის გაცემა უჭირს.

საინტერესოა გავარკვიოთ, რესპონდენტთა აზრით, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო დააწესებს შეზღუდვებს ან საერთოდ აკრძალავს გენმოდიფიცირებული პროდუქტების წარმოებას, იმპორტს და, ზოგადად, ქვე-

ყანას გენური ინჟინერიისგან თავისუფალ ზონად გამოაცხადებს. ჩვენ მიერ ჩატარებული მარკეტინგული კვლევაში გამოკითხულ რესპონდენტთა 36% ფიქრობს, რომ ეს გავლენას მოახდენს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე და გამოიწვევს მასზე ფასების მნიშვნელოვან ზრდას. გამოკითხულთა 12% ვარაუდობს, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტების აკრძალვის შედეგად ფასები უმნიშვნელოდ მოიმატებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე. რესპონდენტთა 6%-ს კი მიაჩნია, რომ ამით არაფერი შეიცვლება. რაც შეეხება რესპონდენტთა 46%-ს, აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პროდუქციის შერჩევისას აჭარაში მცხოვრები მომხმარებლებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია პროდუქციის ხარისხი. ამ აზრს ეთანხმება გამოკითხულთა 84%. მოსახლეობის 5% მხოლოდ პროდუქციის ვიზუალურ მხარეს აქცევს ყურადღებას. გამოკითხულთა 11% -სთვის პროდუქციის შერჩევის დროს გადამწყვეტია პროდუქციის ფასი.

მარკეტინგულმა კვლევამ ცხადყო, რომ რესპონდენტების უმრავლესობა (60%) პროდუქციის ყიდვის დროს კითხულობს ეტიკეტზე მინიშნებულ ინფორმაციას. რესპონდენტების 21% არ არის დაინტერესებული, თუ რას შეიცავს აღნიშნული პროდუქცია ან რომელი ქვეყნის მიერ არის ნაწარმოები, ამიტომ არ კითხულობს ეტიკეტს. რაც შეეხება გამოკითხული მოსახლეობის 19%-ს, ის, უბრალოდ, არ ენდობა პროდუქციის ეტიკეტზე მითითებულ ინფორმაციას, ამიტომაც არ კითხულობს მას.

ასევე საინტერესოა დავადგინოთ, თუ რამდენად შეუძლიათ ჩვენ მიერ გამოკითხულ რესპონდენტებს გენმოდიფიცირებული პროდუქციის ვიზუალურად გამოცნობა. გამოკითხული მომხმარებლების 27%-მა გვიპასუხა, რომ შეუძლია გამოიცნოს, ვიზუალურად რომელი პროდუქტია გენმოდიფიცირებული. 30%-ს ხშირ შემთხვევაში შეუძლია ამის განსაზღვრა, ხოლო 43%-მა, ინფორმაციის არარსებობის გამო, საერთოდ არ იცის, როგორ გამოიყურება გენმოდიფიცირებული პროდუქცია.

მარკეტინგული კვლევის დროს შევეცადეთ გაგვერკვია, გამოკითხული რესპონდენტები რამდენად ხშირად მოიხმარდნენ გენმოდიფიცირებული პროდუქციას. გამოკითხული მომხმარებლებიდან 10%-მა აღნიშნა, რომ თვეში ერთხელ ან 2-ჯერ მოიხმარენ გენმოდიფიცირებულ პროდუქტს, 9% - ყოველდღიურად მოიხმარს, 12% - საერთოდ არ მოიხმარს, 69%-მა არ იცის, რას მოიხმარს, რადგანაც არ არის მითითებული ეტიკეტზე.

გამოკითხული რესპონდენტების 67%-ზე მეტი არ შეიძენს გმო-ების შემცველ პროდუქტს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის გაცილებით იაფი იქნება, ვიდრე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. რესპონდენტთა 6% შეიძენს გენმოდიფიცირებულ პროდუქციას იმ შემთხვევაში, თუ მისი შესასყიდი ფასი საგრძნობლად დაბალი იქნება, ხოლო რესპონდენტების 27%, ეკონომიკური ფაქტორიდან გა-

მომდინარე, მიიღებს გადაწყვეტილებას, შეიძინოს თუ არა იაფი გენმოდიფიცირებული პროდუქცია.

ზემოთ ჩამოყალიბებული H1a ჰიპოთეზის დასამტკიცებლად გამოვიყენეთ One Way ANOVA F-Test. პირველ რიგში დავადგინეთ, მოქმედებს თუ არა განათლების დონე მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ ინფორმირებულობაზე. აღმოჩნდა, რომ ასეთი გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია (f=4.478, P>0.004, სადაც P=0.05) (იხ. ცხრილი 1).

მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ ინფორმირებულობაზე განათლების გავლენის დისპერსიული ანალიზი

ცხრილი *1*

დამოკიდებული ცვლადი: *ინფორმირებულობა*					
	კვადრატების ჯამი	df	საშუალო კვადრატი	F	P
განათლება	10.491	3	3.497	4.478	004.
ცდომილება	458.453	587	781.		

შემდეგომ ეტაპზე გამოვიკვლიეთ, თუ რა გავლენას ახდენს მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ ინფორმირებულობაზე ასაკის სხვაობა. აღმოჩნდა, რომ ასაკი არ ახდენს გავლენას გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ ინფორმირებულობაზე (f=1.850, P<0.137, სადაც P=0.05) (იხ. ცხრილი 2).

მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ ინფორმირებულობაზე ასაკის გავლენის დისპერსიული ანალიზი

ცხრილი *2*

დამოკიდებული ცვლადი: *ინფორმირებულობა*					
	კვადრატების ჯამი	df	საშუალო კვადრატი	F	P
ასაკი	4.334	3	1.445	1.850	.137
ცდომილება	458.453	587	.781		

ყოველივე ამის შემდეგ კი უკვე საბოლოოდ გამოვთვალეთ ურთიერთდამოკიდებულება ინფორმირებულობას, ასაკსა და განათლებას შორის. გამოვიყენეთ იგივე Two Way ANOVA F-Test და დავადგინეთ, რომ განათლება და ასაკი მომხმარებელთა ინფორმირებულობაზე გავლენას არ ახდენს (f=0.790, P<0.626, სადაც P=0.05) (იხ. ცხრილი 3).

განათლებისა და ასაკის გავლენის დისპერსიული ანალიზი

ცხრილი *3*

დამოკიდებული ცვლადი: *ინფორმირებულობა*					
	კვადრატების ჯამი	df	საშუალო კვადრატი	F	P
განათლება და ასაკი	5.552	9	0.617	0.790	.626
ცდომილება	458.453	587	.781		

იგივე ჰიპოთეზის კორელაციური ანალიზისათვის გამოვიყენეთ პირსონის კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს ორ ცვლადს შორის დამოკიდებულებას. ცნობილია, რომ თუ p=1, მაშინ კორელაცია დადებითია, თუ p=0, მაშინ კორელაცია საერთოდ არ არსებობს, თუ p= –1 კორელაცია უარყოფითია [29].

ჩვენ მიერ ჩატარებულმა დისპერსიულმა ანალიზმა გვიჩვენა მნიშვნელოვანი დამოკიდებულება ინფორმირებულობასა და განათლებას შორის. აქედან გამომდინარე, კორელაციური ანალიზისთვისაც ეს ცვლადები გამოვიყენეთ. პირსონის კორელაციური ანალიზის მიხედვით, 99%-ით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ ინფორმირებულობაზე განათლება ახდენს მნიშვნელოვან გავლენას (P>.000). რაც შეეხება პირსონის კოეფიციენტს, საქმე გვაქვს ნეგატიურ კორელაციასთან, ვინაიდან p = -0.184 (P>.000, სადაც P=0.01) (იხ. ცხრილი 4).

იმისათვის, რომ გაგვეგო, რა გავლენას ახდენს რესპონდენტის ასაკი გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ ინფორმაციის ფლობაზე, გამოვიყენეთ პირსონის კორელაციური ანალიზი. როგორც დისპერსიულმა, ასევე კორელაციულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ რესპონდენტის ასაკი არ ახდენს გავლენას მის მიერ გმო-ს შესახებ ინფორმირებულობაზე, რადგანაც P<0.0315, სადაც P=0.01. ამასთან, p=0.0876 (იხ. ცხრილი 5).

მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ ინფორმირებულობაზე განათლების გავლენის კორელაციური ანალიზი

ცხრილი *4*

პირსონის კორელაციისკოეფიციენტი			
		ინფორმირებულობა	განათლება
ინფორმირებულობა	პირსონის კორელაცია	1	*184.-
	(Sig. (2-tailed		000.
	N	603	603
განათლება	პირსონის კორელაცია	*184.-	1
	(Sig. (2-tailed	.000	
	N	603	603

მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ ინფორმირებულობაზე ასაკის გავლენის კორელაციური ანალიზი

ცხრილი *5*

პირსონის კორელაციისკოეფიციენტი			
		ინფორმირებულობა	ასაკი
ინფორმი-რებულობა	პირსონის კორელაცია	1.000	0.0876
	(Sig. (2-tailed		0.0315
	N	603	603
asaki	პირსონის კორელაცია	0.0876	1.000
	(Sig. (2-tailed	0.0315	
	N	603	603

ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული H1b ჰიპოთეზის დასამტკიცებლად გამოვიყენეთ Two Way ANOVA F-Test. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული ჰიპოთეზის ანალიზის დროს გამოვიყენეთ გამოკითხული 603 რესპონდენტიდან მხოლოდ 454-ის მონაცემები, ვინაიდან დანარჩენებმა შემოსავლების დაფიქსირებაზე უარი განაცხადეს. ამიტომ ისინი ამოვიღეთ H1b ჰიპოთეზის ანალიზის დროს. დისპერსიულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ შემოსავლები დიდ გავლენას ახდენს მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქციის შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე (იხ. ცხრილი 6).

მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქციის შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე შემოსავლების გავლენის დისპერსიული ანალიზი

ცხრილი *6*

დამოკიდებული ცვლადი: *გენმოდიფიცირებული პროდუქციის შეძენის შესახებ გადაწყვეტილება*					
	კვადრატების ჯამი	df	საშუალო კვადრატი	F	P
შემოსავლები	4.508	4	1.127	3.227	0.013
ცდომილება	156.804	449	0.349		

იგივე ჰიპოთეზის კორელაციური ანალიზისათვის გამოვიყენეთ პირსონის კოეფიციენტი, რომელმაც გვიჩვენა, რომ შემოსავლები გავლენას ახდენს მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქციის შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე (P>0.008, სადაც P=0.01) (იხ. ცხრილი 7).

H1c ჰიპოთეზის ანლიზისათვის გამოვიყენეთ დისპერსიული ანალიზი One Way ANOVA f-Test. სტატისტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მომხმარებელთა სოციალური კატეგორია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ მათ დაინტერესებაზე (f=5,003, P>0.000, სადაც P=0.05) (იხ. ცხრილი 8).

მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქციის შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე შემოსავლების გავლენის კორელაციური ანალიზი

ცხრილი *7*

პირსონის კორელაციისკოეფიციენტი			
		შემოსავლები	შეძენა
შემოსავლები	პირსონის კორელაცია	1	030.-
	Sig. (2-tailed)		008.
	N	454	454
შეძენა	პირსონის კორელაცია	-.030	1
	Sig. (2-tailed)	.008	
	N	454	454

გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ მომხმარებელთა დაინტერესებაზე მათი სოციალურ კატეგორიებში მიკუთვნების გავლენის დისპერსიული ანალიზი

ცხრილი *8*

დამოკიდებული ცვლადი: დაინტერესება					
	კვადრატების ჯამი	df	საშუალო კვადრატი	F	P
ჯგუფებს შორის	27.160	8	3.395	5.003	000.
ჯგუფის ფარგლებში	403.052	594	679.		
ჯამი	430.212	602			

გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ მომხმარებელთა დაინტერესებაზე მათი სოციალურ კატეგორიებში მიკუთვნების გავლენის კორელაციური ანალიზი

ცხრილი *9*

პირსონის კორელაციისკოეფიციენტი			
		გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ დაინტერესება	სოციალური კატეგორია
გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ დაინტერესება	პირსონის კორელაცია	1.000	0.0129
	(Sig. (2-tailed		0.0023
	N	603	603
სოციალური კატეგორია	პირსონის კორელაცია	0.0129	1.000
	(Sig. (2-tailed	0.0023	
	N	603	603

იგივე ჰიპოთეზის დასამტკიცებლად ჩავატარეთ კორელაციური ანალიზიც, რათა გაგვეგო, ახდენდა თუ არა სოციალური მდგომარეობა გავლენას მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქციით დაინტერესებაზე. აღმოჩნდა, რომ სოციალური მდგომარეობა ახდენს გავლენას მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქციით დაინტერესებაზე (P>0.0023, სადაც P=0.01, p=0.0129) (იხ. ცხრილი 9).

დასკვნები

ჩვენ მიერ ჩატარებული მარკეტინგული კვლევიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. ქართველი მომხმარებლების უმეტესობა არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას გენმოდიფიცირებული პროდუქტების შესახებ. მათ წარმოდგენა არ აქვთ, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გენმოდიფიცირებული საკვების მიღებამ ადამიანის ჯანმრთელობას.

2. ქართველმა მომხმარებლების უმრავლესობას უჭირს პასუხის გაცემა კითხვებზე, თუ როდის შემოვიდა პირველად საქრთველოში გენმოდიფიცირებული პროდუქტები და დღესდღეობით არის თუ არა ისინი საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე.

3. ვინაიდან ქართველ მომხმარებლებს თავად არ შეუძლიათ გამოიცნონ გენმოდიფიცირებული პროდუქტები, ისინი გამოთქვამენ სურვილს, სახელმწიფომ მკაცრად გააკონტროლოს პროდუქციის მარკირება. გამოკითხული მომხმარებლების უმეტესობა მოითხოვს, რომ პროდუქტი, რომელიც შეიცავს გენმოდიფიცირებულ დანამატებს, ეტიკეტზე აუცილებლად იყოს მითითებული, რათა მომხმარებელმა შეძლოს არჩევანის გაკეთება და იცოდეს, რას შეიძენს.

4. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მომხმარებლები ზოგად და მწირ ინფორმაციას ფლობენ გენური ინჟინერიის შესახებ, მარკეტინგული კვლევის დროს გამოიკვეთა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება, შიში და სიფრთხილე გმო-ებისაგან მიღებული პროდუქციის მიმართ. ისინი ფიქრობენ, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტების გამოყენებისათვის უფრო მეტი გამოცდილებაა საჭირო.

ამრიგად, ჩატარებულმა მარკეტინგულმა კვლევამ აჩვენა გენმოდიფიცირებული პროდუქტების შესახებ ქართველი მომხმარებლების ინფორმირებულობის დაბალი დონე. ამიტომ აუცილებელია საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ასეთი პროდუქციის მარკირების მკაცრად რეგულირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამთავრობო ორგანოებმა მკაცრად უნდა გააკონტროლონ გენმოდიფიცირებული დანამატების შემცველი პროდუქციის საქართველოს ბაზარში შემოტანა და სავაჭრო ქსელში გავრცელება შესაბამისი ეტიკეტირების პირობების გათვალისწინებით. ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სხვადასხვა

მარკეტინგული ღონისძიების საშუალებით ქართველ მომხმარებლებს ჩამოუყალიბდეს ეტიკეტის კითხვის კულტურა. ამისათვის მასმედიის მეშვეობით ფართოდ უნდა გავრცელდეს სოციალური რეკლამები, რაც მოუწოდებს ადამიანებს, პროდუქციის შეძენამდე ყურადღება მიაქციონ ეტიკეტზე დატანებულ ინფორმაციას. ყოველივე ეს დაიცავს ქართველ მომხმარებლებს, აიცილონ უხარისხო და ზოგჯერ სიცოცხლისათვის საშიში კვების პროდუქტების მოხმარება, ხოლო ადგილობრივ ბაზარს უსაფრთხო და მდგრადი განვითარების შესაძლებლობას მისცემს.

ლიტერატურა:

1. Hansen M. The GMO Tipping Point. Natural Foods Merchandiser. 2015. pp. 14-15.
2. Novak P.K. GMO Track: Generator of Cost-Effective GMO Testing Strategies. Journal of AOAC International. 2009. Vol. 92. No. 6. pp.1739-1746.
3. Noorazlin R., Kamaruzaman J., Fatimah A., Samsudin, A., Hamid M., Norzaidah N., Norazlina R. The Need of Genetically Modified (GM) Foods for Malaysia Food Security. World Applied Sciences Journal (Special Issue On Service Sector Transforms the Economy). 2011. pp.39-46.
4. Cline H. GMO Alfalfa's Advantages far Outweigh Disadvanges. Western Farm Press. 2011. pp. 5-6.
5. Skogstad G. Contested Accountability Claims and GMO Regulation in the European Union. Journal of Common Market Studies. 2011. pp.895-897.
6. Sindico F. The GMO Dispute before the WTO: Legal Implications for the Trade and Environment Debate. 2005.
7. Guillaume P., Rosegrant G. Assessing the Implementation Effects of the Biosafety Protocol's Proposed Stringent Information Requirements for Genetically Modified Commodities in Countries of the Asia Pacific Economic Cooperation. Review of agriculture economics. 2008. pp.214-217.
8. კორახაშვილი ა. გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები: მითები და რეალობა. აგროინფორმი. თბილისი, 2007.
9. http://www.greens.ge/doc/gmo_in_georgia_ka_v2008.pd
10. საქართველოს კანონი „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ". თბილისი, 2014.
11. საქართველოს კანონი „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ". თბილისი, 2014.
12. საქართველოს მთავრობის დადგენილება №320. „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების წესი". თბილისი, 2015.
13. Jennifer L., Adler P., Adler S. Defining Commercial speech in the context offood marketing. The journal of Law Medicine & ethics. 2005. pp 40-42.
14. Schaffner D., Schroder W. Food Marketing Management: An International Perspective. 1997

15. Kaynak E. Cross-national and Cross-cultural Issues in Food Marketing. Journal of international food and Agribusiness marketing. 1999. Vol.10. No.4.pp.1-11.
16. Gonzalez C., Johnson N., Qaim M. Consumer Acceptance of Second Generation GM Foods: The Case of Biofortified Cassava in the Northeast of Brazil. JAE – Journal of Agricultural Economics. 2009. pp 1-38.
17. Massarani M., Polino C., Cortassa C., Fazio M., Vara A. What Do Small Farmers in Argentina Think About Genetically Modified Crops? Ambiente & Sociedade. 2013. Vol. 16. No.3.
18. Mucci A. Hough G. Perceptions of genetically modified foods by consumers in Argentina. Food Quality and Preference, 2004. Vol.15. No.1. pp.43–51.
19. Boccaletti S., Moro D. Consumer Willingness to Pay For GM Food Productions in Italy. AgBioForum – The Journal of Agro Biotechnology Management & Economics. 2000. Vol.3. No.4. pp. 259-267.
20. McCluskey J.. Kristine M., Ouchi H., Wahl. T. Consumer Response to Genetically Modified Food Products in Japan. Agricultural and Resource Economics Review. 2003. Vol.32. No. 2. pp. 222-231.
21. Xiaoyong Z., Jikun H., Huanguang Q., Zhurong H. A consumer Segmentation Study With Regards to Genetically Modified Food in Urban China. Elsevier. Food Policy. 2010. No. 35. pp.1-7.
22. Turker T., Kocak N., Aydin I., Istanbulluoglu H., Yildiran N., Turk Y, Kilic S. Determination of Knowledge, Attitude, Behavior about Genetically Modified Organisms in Nursing School Students. Original Article. 2013. pp.297-303.
23. Apil A., Kaynak E., Todua N. Georgian Consumers' Evaluation of Products Sourced from Geographically Close Proximity Country. Journal of Euromarketing, 2008, vol.17, Issue No.3/4, pp.199-218.
24. Todua N., Gogitidze T., Phutkaradze J**.** Georgian consumer attitudes towards genetically modified products. International Journal of Management and Economics, 2015, vol. 46, Issue No.1, pp.120–133
25. Todua N., Dotchviri T. On the Marketing Research of consumer prices and inflation process. British Journal of Marketing Studies. Vol.3, No.2/2015. pp. 48-57.
26. Todua N., Dotchviri T. Anova in Marketing Research of Consumer Behavior of Different Categories in Georgian Market. Annals of the „Constantin Brâncusi" University of Târgu Jiu, Economy Series, Vol. I/2015, Issue 1, pp. 183-190.
27. Todua N., Babilua P., Dochviri T. On the Multiple Linear Regression in Marketing Research. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences. Vol. 7/2013, No: 3, pp. 135-139.
28. Mghebrishvili B., Urotadze E. Characteristics of Food Products Labeling in Georgia. Proceedings of International Scientific Symposium „Economics, Business & Finance". Jurmala, Latvia, 2016, pp. 135-138.
29. Малхотра Нэреш К. Маркетинговые Исследования. Практическое Руководство. Пер. с англ. Издательский дом ,,Вильямс", М. 2003.
30. Черчилль Г. А., Браун Т. Маркетинговые исследования. Пер. с англ. _ СПб.: Издательство ²Питер², 2007.
31. http://www.geostat.ge/

The Study of Consumers Perception of Genetically Modified Products on the Georgian Market

Nugzar Todua
Professor, Doctor of Economics Science
Ivane Javakhishvili Tbilisi State Univrersity
nugzar.todua@tsu.ge

Teona Gogitidze
Doctoral Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State Univrersity
teona.gogitidze@gmail.com

The research examines advantages and disadvantages of production and sale of genetically modified products, as well as, main aspects of their regulations. It is confirmed that the marketing research plays a significant role in the development of GMO market. The marketing research is considered to be a cornerstone in investigation of consumers' perception towards the GMOs. The study reveals main specifications of perception, knowledge and awareness, and main attitudes and tendencies of Georgian buyers of genetically modified goods. It also defines main factors that impact the decision making process of Georgians during the acquisition of genetically modified products.

Keywords: Genetically modified products, consumers perception, marketing study, Georgian market

JEL Codes: D11, D12, Q18

ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1, გვ. 125-136
ECONOMICS AND BUSINESS, 2017, 1, pp. 125-136

თბილისში უკანონო გარე ვაჭრობის რეგულირებისათვის

მირონ ტუღუში
ივ. ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების საწყისი ეტაპიდანვე ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში მიმდინარე ნეგატიური პროცესებით განპირობებულმა უმუშევრობის სწრაფი ტემპებით ზრდამ და, შესაბამისად, შემოსავლების მკვეთრად შემცირებამ, მოსახლეობის დიდი ნაწილი აიძულა გამოეძებნა დასაქმების ალტერნატიული გზები. იმის გამო, რომ სხვა გამოსავალი ვერაფერი იპოვა, მოსახლეობის ერთმა ნაწილმა შიმშილით სიკვდილისაგან თავის დაღწევის მიზნით, თვითნებურად, ქუჩაში ვაჭრობა დაიწყო, რაც, მცირე შემოსავლების მიღების წყარო გახდა.

თავიდან გარე მოვაჭრეებმა ყოფილი საკოლმეურნეო ბაზრების მიმდებარე ტერიტორიები დაიკავეს, შემდეგ კი ქალაქის ქუჩებშიც გამოჩნდნენ. ამჟამად, მიუხედავად აკრძალვისა, უკანონო (სტიქიური, თვითნებური) გარე ვაჭრობა თბილისისათვის (ასევე ქვეყნის სხვა ქალაქებისა თუ რაიონული ცენტრებისათვის) სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც დროულად უნდა გადაიჭრას. ამისათვის აუცილებელია მისი სისტემური შესწავლა და კომპლექსური ღონისძიებების გატარება. ამ მხრივ საინტერესოა ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება, რომელიც კანონიერი გარე ვაჭრობის ორგანიზების საინტერესო ფორმებს გვთავაზობს. ქალაქ თბილისის ხელისუფლებამ (მერიამ, საკრებულომ) უნდა სრულყოს შესაბამისი კანონმდებლობა, უკანონო გარე მოვაჭრეთა დასაბუთებული მოსაზრებების გათვალისწინებით გამონახოს მათი ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობები, გზები და საშუალებები.

საკვანძო სიტყვები: *დასაქმება; თვითდასაქმება; უმუშევრობა; კანონიერი გარე ვაჭრობა; უკანონო გარე ვაჭრობა; გარე ვაჭრობის რეგულირების წესი.*

მოკლედ კანონიერი და უკანონო გარე ვაჭრობის შესახებ. მთელ ცივილიზებულ სამყაროში გარე ვაჭრობა არათუ დაშვებულია, არამედ წახალისებულიცაა. სპეციალურად დამზადებულ ჯიხურებში (რიგ შემთხვევაში, დღესას-

წაულებზე, ბაზრობებზე და ა.შ. ღია ცის ქვეშაც), სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების, ამ სახეობის ვაჭრობის ნორმებისა და წესების დაცვის შემთხვევაში, ადგილობრივ თვითმმართველობებთან შეთანხმებულ ადგილებში, როგორც სასურსათო, ასევე არასასურსათო საქონლით გარე ვაჭრობა მოსახლეობის მოწონებას იმსახურებს და მათი მხარდაჭერით სარგებლობს. საქართველოში კანონით განსაზღვრულია გარე ვაჭრობის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი.[1] საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით [1], **„გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირებისო** უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა მუნიციპალიტეტებზეა დელეგირებული [1, მუხლი 16, პ. „მ"]. ამიტომ, საქართველოს მუნიციპალიტეტების საკრებულოების მიერ მიღებულია შესაბამისი დადგენილებები (მაგალითად, იხილეთ ქ. ქუთაისისა და ქ. ბათუმის საკრებულოების დადგენილებები) [4,5]. ასეა ქ.თბილისშიც. ქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-89 დადგენილებაში ჩამოყალიბებულია ჩვენს დედაქალაქში გარე ვაჭრობის (მათ შორის სადღესასწაულო დღეებშიც) სწორად ორგანიზებისათვის აუცილებელი ღონისძიებები [3]. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ თბილისის საკრებულოს ზემოაღნიშნული დადგენილება დიდ ნაწილში არ სრულდება. კერძოდ, ქალაქის ქუჩებში და ტროტუარებზე უკანონო გარე ვაჭრობამ ისეთი მასშტაბი შეიძინა, რომ არსებული ფორმით მისი შენარჩუნება წარმოუდგენელია. ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა თბილისის ქუჩებსა და ტროტუარებზე, განსაკუთრებით კი ბაზრების, მათ შორის ნავთლუღის ბაზრის (რომელიც ჩვენი ათწლიანი დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს) მიმდებარე ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის გამო შექმნილი მდგომარეობა.

უკანონო გარე ვაჭრობის, როგორც უმწვავესი პრობლემის ზოგადი შეფასება

აღნიშნული პრობლემის სიმწვავე განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით. Рროგორც აღვნიშნეთ, გარე მოვაჭრეების აბსოლუტური უმრავლესობა ქუჩაში სავაჭროდ გასულია მასობრივი უმუშევრობის პირობებში, საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების ფიზიკური არსებობის შენარჩუნების მიზნით. ისინი, ქარში, ავდარში, ყინვასა თუ აუტანელ სიცხეში, ადრე დილიდან გვიან ღამემდე ჯოჯოხეთურ სამუშაოებს ასრულებენ იმისათვის, რომ დაიკმაყოფილონ ელემენტარული საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებები.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ უკანონო გარე მოვაჭრეები, ყოველგვარი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევით, ღია ცის ქვეშ ვაჭრობენ კვების ისეთი პროდუქტებით, როგორიცაა: პირუტყვისა და ფრინველის

1 დასაბუთებული პრეტენზიები ქ. თბილისში კანონით დაშვებული გარე ვაჭრობის მიმართაც არსებობს, მაგრამ მას სხვა დროს შევეხებით.

ხორცი, თევზი, ყველი, არაჟანი და ა.შ., რაც ადამიანის ჯანმრთელობისათვის მეტად საშიშია.

უკანონო გარე ვაჭრობის გამო, ქალაქის ქუჩებსა და ტროტუარებზე ვერ ხერხდება სისუფთავის შენარჩუნება, გაჩნდა ანტისანიტარიის კერები, რაც ადგილობრივ მოსახლეობას, არამხოლოდ დისკომფორტს უქმნის, არამედ მეტად საშიშია მათი ჯანმრთელობისათვის. აღარაფერს ვამბობთ იმ უარყოფით ემოციებსა და შთაბეჭდილებებზე, რომელიც უცხოელ ტურისტებს თუ ქალაქის სტუმრებს ყოველდღიურად ექმნებათ.

ქუჩებსა და ტროტუარებზე არაორგანიზებული გარე ვაჭრობა აუტანელს ხდის მიმდებარე შენობებში მცხოვრები მოსახლეობის ყოფაცხოვრებას. მათ უჭირთ გადაადგილება, სადარბაზოებში შესვლა და გამოსვლა, აღიზიანებთ მოვაჭრეების ხმაური, ანტისანიტარია და ა.შ.

უკანონო გარე ვაჭრობის გამო, აგრარულ ბაზრებში კანონიერად მოვაჭრეთა საქმიანობის ეფექტიანობა მკვეთრად შემცირებულია, ზოგიერთ შემთხვევაში კი ყოველგვარ აზრს მოკლებულიც, რადგან მომხმარებელი მისთვის სასურველ პროდუქტს ქუჩაში ყიდულობს და ბაზარში აღარ შედის. ამიტომ, აგრარულ ბაზრებში მოვაჭრეები ამ მხრივ შექმნილ მდგომარეობას ხშირად აპროტესტებენ (არცთუ იშვიათია გზების გადაკეტვის შემთხვევები და ა.შ.). თუმცა, ჯერჯერობით მათი პროტესტი უშედეგოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ უკანონო გარე ვაჭრობა სერიოზული პრობლემაა და გონივრულ რეგულირებას საჭიროებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ პრობლემის სიმწვავე, ძირითადად, მაღალი უმუშევრობით არის განპირობებული. ამიტომ, მისი მხოლოდ იძულებითი მეთოდების გამოყენებით გადაჭრა, ანუ უკანონო გარე მოვაჭრეებისათვის დასაქმების ალტერნატიული ვარიანტების შეუთავაზებლად, კანონიერების აღდგენა, გამართლებული ვერ იქნება.

უკანონონო (სტიქიური, თვითნებური) გარე ვაჭრობის განმაპირობებელი მიზეზები

როგორც აღვნიშნეთ, უკანონო გარე ვაჭრობის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი მიზეზი მაღალი უმუშევრობაა. „საქსტატის“ მონაცემებით, 2016 წლის დასაწყისისათვის, საქართველოში, უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელმა 12% შეადგინა[1], რაც მაღალი მაჩვენებელია, თუმცა, ამ მხრივ, საქართველოში, მთელ რიგ ქვეყნებთან შედარებით, უკეთესი მდგომარეობაა. მაგალითად,

1 ჩვენ ვიზიარებთ იმ მკვლევართა მოსაზრებებს, რომლებიც თვლიან, რომ საქართველოში უმუშევრობის ფაქტობრივი დონე ზემოაღნიშნულ მაჩვენებელზე რამდენჯერმე მაღალია (ჩვენი გათვლებით 2,5 ჯერ მაინც), თუმცა, ეს, დიდი პრობლემაა, რომელიც სცილდება სტატიის თემას, ამიტომ, მას, სხვა დროს განვიხილავთ.

იმავე პერიოდში ამ მაჩვენებელმა მაკედონიაში 25,3% შეადგინა, საბერძნეთში – 24,9, ესპანეთში – 23,0, სომხეთში – 18, ხორვატიაში 17% და ა.შ.). ,,საქსტატისო მონაცემებით, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება თბილისში – 21,4%. Fფაქტია, რომ ამჟამად, საქართველოს დედაქალაქში დასაქმების მწირი შესაძლებლობები არსებობს (რამდენიმე ათეული წლის წინ პირიქით იყო), რამაც უკანონო გარე ვაჭრობას ერთგვარი ბიძგი მისცა.

საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში უკანონო გარე ვაჭრობის არეალის გაფართოება ძირითადად XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება, რაც წლების განმავლობაში ქალაქის ხელმძღვანელობის არათანმიმდევრული პოლიტიკის (ვერანაირად ვერ მოხერხდა უკანონო გარე მოვაჭრეთა ძირითადი ნაწილის აგრარულ ბაზრებში შეყვანა ან მათთვის ალტერნატიული სამუშაოების შეთავაზება. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას არ სურდა უკანონო გარე მოვაჭრეების, როგორც ამომრჩევლების განაწყენება და ა.შ.) შედეგია. მოწოდებებით და არა რეალური საქმით, ეპიზოდურად პოლიციის ჩართულობით (რეიდებით) ხელისუფლება ცდილობდა შეემცირებინა უკანონო გარე ვაჭრობის მასშტაბები, თუმცა, მათი მხრიდან აღნიშნული რთული პროცესის დარეგულირების ყველა მცდელობა ამ სახეობის მოვაჭრეების მკვეთრ რეაქციას იწვევდა (ხშირი იყო გზების გადაკეტვები, ფიზიკური შეხლა-შემოხლაც) და მდგომარეობა თანდათან მძიმდებოდა.

2006 წლის 29 დეკემბერს, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული №4-27 გადაწყვეტილებით, ქალაქის ქუჩებში, ტროტუარებსა და მოედნებზე, ასევე, დასასვენებელ ადგილებში მცირე სტაციონარული და არასტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობა უკანონო გარე ვაჭრობად ჩაითვალა და აიკრძალა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გათვალისწინებულ იქნა საჯარიმო სანქციები[2]. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 1536 მუხლში – „ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვების გარეშე", გათვალისწინებულია:

„1. ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე – გამოიწვევს ფიზიკური ან/და იურიდიული პირის დაჯარიმებას 20 ლარით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

2. იგივე ქმედება, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილი პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასთან, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა განმეორებით – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციითო.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკანონო გარე მოვაჭრეების დაჯარიმების ერთეულ ფაქტებს, შეიძლება ითქვას, რომ კანონის ეს მოთხოვნა ვერ შესრულდა. როგორც აღვნიშნეთ, უკანონო გარე მოვაჭრეების მიერ აქტიური პროტესტის გამოხატვის შემდეგ, ხელისუფლების წარმომადგენლები მათ აღარ უპირისპირდებოდნენ. მართალია, გარე ვაჭრობა უკანონო ქმედებად ითვლებოდა, მაგრამ აღარ ისჯებოდა. 2010 წელს ქალაქის ხელისუფლება ამ მიმართულებით კვლავ შეეცადა გაეაქტიურებინა საქმიანობა, მაგრამ პრობლემის გადაჭრა კვლავაც ვერ მოხერხდა.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ ,,მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილებების“ (მუხლი 16) განსაზღვრის შემდეგ ქალაქ თბილისშიც მიღებულ იქნა შესაბამისი დადგენილება. კერძოდ, გარე ვაჭრობის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-89 დადგენილებაში აღნიშნულია, რომ:

კერძოდ, გარე ვაჭრობის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-89 დადგენილებაში აღნიშნულია, რომ:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობად მიჩნეულ იქნეს ქალაქის ქუჩებზე, მოედნებსა და ტროტუარებზე, ასევე დასასვენებელ ადგილებში მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობა.

2. მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობისათვის დასაშვები საქონლის ნომენკლატურა განისაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით.

3. საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილებში ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილები მოეწყოს ისე, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ ქალაქის იერსახის მოთხოვნებს და არ შეაფერხონ ფეხით მოსიარულეთა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება. ვაჭრობა განხორციელდეს მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების, სხვა ნორმებისა და წესების დაცვით.

4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით რეგულირდება გარე ვაჭრობის კონკრეტული ადგილები, ამ ადგილებით სარგებლობის ფორმები, სადღესასწაულო და წინასადღესასწაულო დღეებში, ასევე სხვა ფართომასშტაბიანი ღონისძიებებისა და აქციების მოწყობისას გარე ვაჭრობა და ამისათვის განსახორციელებელი საჭირო ღონისძიებები.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დადგენილების თითქმის ყველა მუხლი დღემდე შეუსრულებელია. თბილისში ზუსტად არ არის განსაზღ-

ვრული გარე ვაჭრობის წესები, გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილები და ამ ადგილებით სარგებლობის პირობები, სარეალიზაციოდ დაშვებული საქონლის ნომენკლატურა და ა. შ. არ არის გამორიცხული, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულმა, თბილისში, შეიძლება გარკვეულად კიდეც წაახალისა უკანონო გარე ვაჭრობა.Fფაქტია, რომ ქალაქის ხელისუფლების შესაბამისმა სამსახურებმა უკანონო გარე მოვაჭრეებთან დღემდე ვერ დაამყარა ეფექტიანი კომუნიკაცია, მათ უკანონო გარე მოვაჭრეებს ვერ შესთავაზეს დასაქმების ალტერნატიული ვარიანტები, ხელისუფლებამ უკანონო გარე ვაჭრობის აღკვეთის მიზნით ვერ შეიმუშავა და ვერ განახორციელა თანმიმდევრული, პრინციპული პოლიტიკა და შედეგიც სახეზეა – თბილისში უკანონო გარე ვაჭრობის არეალი არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდეც.

ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორია – უკანონო გარე ვაჭრობის უმძიმესი კერა

თბილისში უკანონო გარე ვაჭრობის მრავალი მძიმე კერაა. აგრარული ბაზრებისა თუ ბაზრობების, პარკებისა და სკვერების, მეტროს სადგურების მიმდებარე ტერიტორიები, პერიფერიული ქუჩები და ტროტუარები, მცირე გამონაკლისის გარდა, უკანონო გარე ვაჭრობის ადგილებად გადაიქცა. ამ მხრივ სერიოზულადაა დაზიანებული ე.წ. „დეზერტირების“, ნავთლუღის, გლდანის, ვარკეთილის ბაზრების მიმდებარე და სხვა ტერიტორიები, მაგრამ, ამ მხრივ, ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორია განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაშია.

უკანონო გარე მოვაჭრეთა გავრცელების არეალის მიხედვით, ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიად, პირობითად, შეიძლება ჩაითვალოს მეველეს ქუჩის (რომელზეც ტრადიციული ნავთლუღის აგრარული ბაზარი მდებარეობს) დაახლოებით ნახევარი, ქეთევან წამებულის გამზირის ბოლოს და მოსკოვის გამზირის დასაწყისში, ორივე მხარეს, განთავსებული შენობა-ნაგებობების მიმდებარე ტერიტორია. აღსანიშნავია, რომ საკვლევ პრობლემასთან მიმართებით თბილისის ეს ძველი უბანი ყურადღებას იმსახურებს რამდენიმე ფაქტორის გამო:

პირველი, დაახლოებით ოცდახუთიოდე წლის წინათ, თუ ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი საკოლმეურნეო ბაზარი იყო, დღეს იმავე ტერიტორიაზე 5 ბაზარი (საბითუმო და საცალო) ფუნქციონირებს და დიდი რაოდენობის მოვაჭრესა და მომხმარებელს იზიდავს (თბილისელებთან ერთად მიმდებარე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოვაჭრეებსა და მაცხოვრებლებსაც);

მეორე, ნავთლუღის აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორია მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძს წარმოადგენს, სადაც თავს იყრის სხვადასხვა

ინტესივობისა და მიმართულების სატრანსპორტო ნაკადები, რის გამოც აღნიშნული ბაზრის ტერიტორია, განსაკუთრებით ე.წ. ,,პიკისო საათებში, თითქმის გაუვალი ხდება.

აღსანიშნავია, რომ ნავთლუღის აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი მეველეს ქუჩაზე, რომლის სიგანე 20 მეტრსაც კი აღემატება, მოძრაობა მეტად გართულებულია. მიუხდავად იმისა, რომ ამ ქუჩაზე დაწესებულია ავტომანქანების ცალმხრივი მოძრაობა და საპატრულო სამსახურის გაძლიერებული კონტროლი, უკანონო გარე მოვაჭრეთა ღია დახლებისა და დახლებად გამოყენებული ავტომანქანების გამო, მაინც იქმნება საცობები და არამხოლოდ ავტომანქანით, არამედ ფეხით მოსიარულეებსაც კი არ ეძლევათ თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა. უკანონო გარე მოვაჭრეების მიერ ქუჩის ორივე მხარეს არსებული ტროტუარების დაკავების გამო, მოსახლეობა იძულებულია გადაადგილდეს ქუჩის იმ ნაწილზე, რომელიც განკუთვნილია ავტომანქანების სამოძრაოდ, რაც დისკომფორტთან ერთად, სახიფათოცაა.

ქეთევან წამებულისა და მოსკოვის გამზირის აღნიშნულ მონაკვეთებზე, მეტროს სადგურ „სამგორის" ორივე ამოსასვლელს შორის ტროტუარებზე განლაგებულია ზოგან ფიცრის, ზოგან კი პლასტმასის ყუთებისაგან სახელდახელოდ მოწყობილი უსახური დახლები, რომლებზეც, ღია ცის ქვეშ, ყოველგვარი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და პირობების დაცვის გარეშე, ვაჭრობენ ისეთი პროდუქტებით, როგორიცაა: პირუტყვის, ღორისა და ფრინველის ხორცი, ყველი, არაჟანი, ხაჭო, თევზი და ა.შ. ხილითა და ბოსტნეულით მოვაჭრეთა ე.წ. ,,ბრეზენტისო ქსოვილგადაფარებული კუსტარული დახლების უმრავლესობა ღამითაც კი შენარჩუნებულია. ასეთი ,,მუდმივმოქმედიო დახლების ქვეშ თვეობით გროვდება დიდძალი საყოფაცხოვრებო ნარჩენები (ნაგავი), რომლის გატანა ვერ ხერხდება. ამასთან, მეველეს ქუჩაზე დაყენებულია უკანონო გარე მოვაჭრეების საბურავებდაშვებული (ზოგიერთ შემთხვევაში საბურავებმოხსნილი და ცემენტის ბლოკებზე დაყენებული) მიკრო სატვირთო ავტომანქანები, რომელთა ქვეშ ასევე გროვდება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლის გატანას ქალაქის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები ვერ ახერხებენ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ უკანონო გარე მოვაჭრეების ნაწილი ქუჩებსა და ტროტუარებზე ყრის გაფუჭებული პროდუქტების ნარჩენებს, აგრეთვე, დახეულ ტომრებს, ქაღალდებსა და ცელოფნებს, რომლებიც ქარიან ამინდში მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მცენარეების ტოტებს შორის იბლანდება და თვეობით რჩება, რადგან ხეებიდან მათი სპეციალური ტექნიკის გარეშე მოცილება თითქმის შეუძლებელია.

ნავთლუღის აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონო გარე ვაჭრობით გამოწვეული ხმაურის, ანტისანიტარიის, გადაადგილების შესაძლებლობების მკვეთრად შეზღუდვის გამო, გაუსაძლის მდგომარეობაშია ამავე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, რომელმაც, სხვადასხვა ფორმით, არაერ-

თხელ გამოთქვა მწვავე პროტესტი და დედაქალაქის ხელისუფლებას დახმარება სთხოვა, რამაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით შედეგი ვერ გამოიღო.

აღსანიშნავია, რომ უკანონო გარე ვაჭრობა მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის უშუალოდ ნავთლულის აგრარული ბაზრისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ბაზრებში დასაქმულებს, რომლებიც, ყოველდღიურად, ვაჭრობის საფასურს იხდიან. უკანონო გარე ვაჭრობის გამო მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი სარგებლობს აგრარული ბაზრების მომსახურებით, რის გამოც მკვეთრად შემცირდა როგორც ბაზრების, ასევე იქ დასაქმებულთა შემოსავლები. ამიტომაა, რომ ბაზრებში დასაქმებულები ხშირად აპროტესტებენ ამ მიმართებით ხელისუფლების უმოქმედობას და უკანონო გარე ვაჭრობის რეალურად (და არა სიტყვიერი შეპირებებით) აკრძალვას მოითხოვენ. ბაზრების მოვაჭრეებმა მიმდინარე წლის 23 იანვარს თითქმის 30 წუთით გადაკეტეს ქეთევან წამებულის გამზირი და კიდევ ერთხელ გამოთქვეს პროტესტი შექმნილი მდგომარეობის გამო.

თბილისში ნავთლულის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონო გარე მოვაჭრეების[1] საქმიანობაზე დაკვირვების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ყოველდღიურად ასეთ პირობებში, არანორმირებული დროით და ინტენსივობით საქმიანობა მათ ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს აყენებს. ამას ადასტურებს განსაკუთრებით ზაფხულობით, თითქმის ყოველდღიურად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების მრავალი შემთხვევა. აქ, არცთუ იშვიათად, შეხვდებით არტერიული წნევის აპარატით მოსიარულე ადამიანებს, რომლებიც გარე მოვაჭრეებს ადგილზევე უწევენ სამედიცინო დახმარებას (უზომავენ არტერიული წნევას, ურჩევენ რა სახეობის წამლები მიიღონ და ა.შ.), რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ უკანონო გარე მოვაჭრეთა რთული და მრავალასპექტიანი პრობლემა დროულად უნდა გადაიჭრას.

ყოველივე ზემაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ რამდენიმე დასკვნა:

1. ნავთლულის აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონო გარე ვაჭრობის გამო შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა, მისი მკვეთრად ნეგატიური შედეგები გამონაკლისი არაა და შეიძლება ითქვას, რომ თითქმის იგივე მდგომარეობაა თბილისის სხვა ბაზრებისა თუ ბაზრობების, პერიფერიაში არსებული ქუჩებისა თუ სკვერების მიმდებარე ტერიტორიებზე;

2. მეტად საყურადღებოა თბილისში, მათ შორის ნავთლულის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონო გარე ვაჭრობის ნეგატიურ შედეგები: ა) კვების პროდუქტების – ხორცისა და ხორცის პროდუქტების, რძისა და რძის პროდუქ-

1 ჩვენი დაკვირვებით 2017 წლის იანვარში საშუალოდ, ყოველდღიურად, ნავთლულის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე საქმიანობდა 330 დან 350-მდე უკანონო გარე მოვაჭრე (გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე მათი რიცხვი დაახლოებით 100 კაცით იზრდება), მათგან 65-დან 70%-ამდე ქალია, რომელთა უმრავლესობა 40-დან 60 წლამდე ასაკისაა.

ტების, თევზის, ყველის, არაჟანის და ა.შ. ქუჩაში, ღია ცის ქვეშ, ელემენტარული სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაუცველად გაყიდვა მეტად საშიშია ადამიანების ჯანმრთელობისათვის; ბ) ქალაქში უკანონო გარე ვაჭრობის გამო შესაბამის ტერიტორიებზე იქმნება მეტად მძიმე ანტისანიტარიული მდგომარეობა; გ) ხმაურის, გადაადგილების გართულების და ანტისანიტარიის გამო ამ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ყოფაცხოვრების პირობები მკვეთრად გაუარესდა; დ) მნიშვნელოვნად შემცირდა ბაზრების, ბაზრობების და ასევე, იქ დასაქმებულთა შემოსავლები; ე) უკანონო გარე ვაჭრობის გამო, უკიდურესად დამახინჯდა ქალაქის იერსახე, რაც კატეგორიულად მიუღებელია ისეთი ტურისტული პოტენციალის მქონე ქალაქისათვის, როგორიცაა თბილისი;

3. თბილისში, მათ შორის ნავთლუღის აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონო გარე ვაჭრობა, მისგან გამოწვეული ნეგატიური შედეგების გამო, აუცილებლად უნდა დასრულდეს (ანუ კანონი უნდა აღსრულდეს). მაგრამ, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს უკანონო გარე მოვაჭრეების მოსაზრებების, წინადადებების გაუთვალისწინებლად, მათ მიმართ მხოლოდ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით. ვფიქრობთ, უკანონო გარე მოვაჭრეთა უმრავლესობას კარგად აქვს გაცნობიერებული ის, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და ქალაქის ხელისუფლებისაგან თუ იქნება ისეთი შეთავაზებები, რომლებიც მათ შემოსავლის წყაროს გაუჩენს, ვფიქრობთ, რომ პრობლემა გადაიჭრება;

4. ქალაქის ხელისუფლებამ, შესაბამისმა სამსახურებმა კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ უკანონო გარე მოვაჭრეების უმრავლესობა ქუჩაში მაღალმა უმუშევრობამ, გაუსაძლისმა ყოფითმა პრობლემებმა გაიყვანა. ამიტომ, მათ ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ უკანონო გარე მოვაჭრეები უმუშევრები და სოციალურად დაუცველები გახდნენ. კანონიერი გარე ვაჭრობის შესანიშნავი გამოცდილება აქვთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებს (რომლის შესახებ ინფორმაცია ქართულ პრესაშიც არაერთხელ გამოქვეყნდა), რომელიც აუცილებლად უნდა გავიზიაროთ;

5. იმისათვის, რომ თბილისში, მათ შორის ნავთლუღის აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონო გარე ვაჭრობა აღმოიფხვრას, ჩვენი აზრით, აუცილებელია ქალაქის ხელისუფლების (საკრებულომ, მერიამ, რაიონულმა გამგეობებმა) შესაბამისმა სამსახურებმა შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც სისტემური მიდგომის გამოყენებით შეიმუშავებს თბილისში (მის რაიონებში) უკანონო გარე ვაჭრობის დასრულების კომპლექსურ პროგრამას, რომელშიც, უკანონო გარე მოვაჭრეთა მოსაზრებების გათვალისწინებით, უნდა აისახოს ამ ნეგატიური პროცესისაგან თავის დაღწევის აუცილებელი ღონისძიებები, მათი რეალიზაციის გზები და საშუალებები. აღნიშნულ პროგრამაში ერთმნიშვნელოვნად უნდა გაცხადდეს, რომ მისი ძირითადი მიზანია თბილისში უკანონო გარე ვაჭრობის დასრულება და ამ მხრივ არანაირი კომპრომისი არ იქნება. კომპრომისებზე მსჯელობა, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იქნება უკანონო გარე მოვაჭრეთა და-

საქმების ალტერნატიული გზებისა და საშუალებების ძიების პროცესში, მაგრამ მათ მიერ დაყენებული მოთხოვნები გონივრულ ფარგლებს არ უნდა გასცდეს;

6. უკანონო გარე მოვაჭრეებზე ჩვენი დაკვირვების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლებამ, მათ, პირველ რიგში, აგრარულ ბაზრებში დასაქმება (ამის შესაძლებლობა არის ნავთლუღის აგრარულ ბაზარსა და მიმდებარე ბაზრებში) უნდა შესთავაზოს. ამასთან, იქ არსებულ სიტუაციასთან ადაპტირების მიზნით, კარგი იქნება თუ 4-6 თვის განმავლობაში ისინი განთავისუფლდებიან ყოველგვარი გადასახადისაგან. იმის გათვალისწინებით, რომ უკანონო გარე მოვაჭრეთა გარკვეულ ნაწილს ბაზრებთან კონტაქტი დღემდე შენარჩუნებული აქვთ, ვფიქრობთ, ეს, მათი დასაქმებისათვის საინტერესო წინადადება იქნება;

7. არ არის გამორიცხული, რომ უკანონო გარე მოვაჭრეთა გარკვეულ ნაწილს ქუჩებში სპეციალური დახურული ჯიხურების განთავსების სურვილი გაუჩნდეთ, მათ, რაიონულ გამგეობებთან შეთანხმებით, ამის უფლება უნდა მიეცეთ;

8. იმ უკანონო გარე მოვაჭრეებს, რომელთაც სურთ ახალი და კანონიერი ბიზნესის დაწყება კომერციულ ბანკებთან ან სხვა საფინანსო ორგანიზაციებთან უნდა გაეწიოთ შუამდგომლობა დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი (არანაკლებ 5 წლისა) სესხის მისაღებად;

9. ხელისუფლება ყველა შესაძლო ფორმით (მომზადება-გადამზადების პროცესის დაფინანსება, რეკომენდაცია სამსახურში მოსაწყობად და სხვ.) უნდა დაეხმაროს იმ უკანონო გარე მოვაჭრეებს, რომელთაც გააჩნიათ უმაღლესი ან პროფესიული განათლება და სურთ გადამზადება ან კვალიფიკაციის ამაღლება;

10. ქალაქის ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ წლების განმავლობაში, თბილისში, მათ შორის ნავთლუღის აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონო გარე ვაჭრობის აღკვეთის არაერთი მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა, რადგან ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები სისტემური მიდგომის გარეშე ხორციელდებოდა (წინათ ამ პრობლემის გადაწყვეტის ეფექტიან მიმართულებად, თანაც ეპიზოდურად, მხოლოდ ძალისმიერი მეთოდების გამოყენება მიიჩნეოდა, ამასთან, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება ბოლომდე არ ცდილობდა პრობლემის დაძლევას). ძველი შეცდომები რომ არ განმეორდეს, აუცილებელია, ხელისუფლებამ კარგად გააცნობიეროს სურს თუ არა და მზად არის თუ არა ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადასაწყვეტად. ამის შემდეგ უკანონო გარე მოვაჭრეებთან ზემოაღნიშნული მიმართულებებით ინტენსიური დიალოგის საფუძველზე უნდა გამოიკვეთოს მათი (უკანონო გარე მოვაჭრეთა) ის რაოდენობა, რომელიც თანახმაა ხელისუფლების შეთავაზებაზე კანონიერად დასაქმდეს ბაზარში ან მიიღოს სხვა წინადადება. თუ უკანონო გარე მოვაჭრეთა ნაწილი არ დათანხმდება ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ წინადადებებს, მათ მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იძულების ღონისძიებანი;

11. უკანონო გარე მოვაჭრეთა ბაზრებში ან სხვა ფორმით დასაქმების შემდეგ, კატეგორიულად უნდა გამოირიცხოს უკანონო გარე ვაჭრობის თუნდაც ერთეული შემთხვევების დაშვება, თუ ასე არ მოხდება, მაშინ ყველაფერი თავიდან დასაწყები გახდება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, ქუთაისი, 5 თებერვალი 2014წ., 1958- II-ს.
2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თბილისი, 1984 წლის დეკემბერი (11. 10. 2011 *წ.№* 5097 *ცვლილება*).
3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №20-89, 2014 წლის 30 დეკემბერი.
4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №71, 2015 წლის 30 იანვარი (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის წესისა და გარე ვაჭრობის უფლების საფასურის დადგენის შესახებ. დანართი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის წესის შესახებ).
5. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს დადგენილება №8, 2011 წლის 10 თებერვალი (თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დადგენის შესახებ).

For the Regulation of Illegal Street Trading in Tbilisi

Miron Tugushi

Part Time Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

From the end of the last century in Tbilisi, due to high unemployment, one part of population began illegal street trading; over time its scope gradually expanded and at present it is formed as a serious problem.

Although illicit street trading is some alternative source of income for a small number of population, its negative consequences are significantly serious. These are: Selling of food products - meat, milk, fish, cheese, sour cream, etc. in the street, in the open air, without meeting the basic sanitary and hygienic conditions; dreadful unsanitary conditions in respective territories; sharp worsening of population's living conditions due to the noise, difficulties of people's movement and insanitariness in these territories; street markets and incomes reduction of those employed in them; extreme distortion of the city's appearance, etc.

Illegal street trading in Tbilisi and in the territories adjacent to the Navtlugi Agrarian Market must be ended because of its negative consequences, but without taking into account street vendors considerations and proposals, without violent action against them. At the end of the article there are suggestions and recommendations; after their implementation, according to the author, it will be possible to end the illegal street trading in Tbilisi and restore lawfulness in this sphere.

Key words: employment, self-employment, unemployment, legal street trading, illegal street trading, regulation rule of street trading.

JEL Codes: F10, F14, F19

ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1, გვ. 137-142
ECONOMICS AND BUSINESS, 2017, 1, pp. 137-142

სიახლე საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში: საავადმყოფოების გლობალური ბიუჯეტით დაფინანსება

თენგიზ ვერულავა
მედიცინის აკადემიური დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის
ხარისხის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
Tengiz.verulava@iliauni.edu.ge

რევაზ ჯორბენაძე
მედიცინის აკადემიური დოქტორი,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი,
გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის აღმასრულებელი
დირექტორი
revaz.jorbenadze@ecc.ge

სტატიაში განხილულია, ბიუჯეტურ-მუხლობრივი დაფინანსებისაგან განსხვავებით საავადმყოფოთა გლობალური ბიუჯეტით დაფინანსების უპირატესობა - ნაკლები დაბნახარჯებით პაციენტტა უფრო ხარისხიანი მომსახურების დანერგვის საკითხები.

საკვანძო სიტყვები: *ჯანდაცვის დაფინანსება; გლობალური ბიუჯეტი; დამკვეთი; საყოველთაო მომსახურება.*

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე დიდ პრობლემაა ხარჯების მართვა. 2016 წელს შეინიშნებოდა სახელმწიფოს მიერ პროგრამით დაგეგმილზე მეტი თანხების ხარჯვა. გადახარჯვის უმთავრესი მიზეზია, ექიმების და სამედიცინო დაწესებულებების უარყოფითი მოტივაცია შემოსავლების მაქსიმალურად მიღების მიზნით, გაზარდონ შესრულებული სამუშაოს მოცულობა (მაგ., პაციენტის ჰოსპიტალიზაციის გასამართლებლად დაამძიმონ შემთხვევის სირთულე, საჭიროზე მეტ ხანს დააყოვნონ პაციენტი საავადმყოფოში, დაუნიშნონ ძვირადღირებული დიაგნოსტიკური გამოკვლევები). აღნიშნული ქმნის მომსახურების ჭარბი მოცულობით გაწევის პოტენციურ პირობებს, რაც, თავის მხრივ, ჯანდაცვის ხარჯების ზრდას განაპირობებს [1].

მთავრობის წარმომადგენლების განცხადებით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხარჯების ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება სა-

ავადმყოფოებისთვის დაფინანსების მეთოდოლოგიის შეცვლა, კერძოდ, გლობალური ბიუჯეტით დაფინანსების მეთოდის შემოღება [2]. ამ მხრივ, საინტერესოა, რას გულისხმობს გლობალური ბიუჯეტით დაფინანსების მეთოდი, რა მექანიზმები გააჩნია მას ხარჯების შესაკავებლად, როგორია მსოფლიო გამოცდილება და რამდენად შესაძლებელია მისი დანერგვა საქართველოში.

გლობალური ბიუჯეტით დაფინანსების მეთოდი დამფინანსებლის (სახელმწიფო ან სადაზღვევო კომპანია) მიერ საავადმყოფოს ასანაზღაურებელი ხარჯების საერთო მოცულობის წინასწარ განსაზღვრაა. გლობალური ბიუჯეტის ხსენებისას ზოგიერთ ექსპერტს ასოციაცია უჩნდება საბჭოთა კავშირში არსებული საავადმყოფოების დაფინანსების მეთოდთან. თუმცა, გლობალური ბიუჯეტით დაფინანსების მეთოდი განსხვავდება საბჭოთა კავშირში არსებულ ბიუჯეტურ -მუხლობრივი დაფინანსებისაგან, რითაც ბიუჯეტი ფორმირდებოდა მუხლობრივი ხარჯების მიხედვით და დამოკიდებული იყო საავადმყოფოს სიმძლავრეზე, პერსონალის რაოდენობისა და საწოლთა ფონდზე. დაფინანსების ასეთი მეთოდი განაპირობებდა რესურსების მართვისა და დაგეგმარების მოუქნელობას. დანახარჯის თითოეული მუხლის მკაცრად განსაზღვრის გამო, საავადმყოფოს არ ჰქონდა უფლება ეფექტურობის გაზრდის მიზნით, სამედიცინო მომსახურების სახეებს შორის მოეხდინა რესურსების გადანაწილება. შესაბამისად, შეინიშნებოდა საავადმყოფოს უარყოფითი მოტივაცია, დაფინანსების გაზრდის მიზნით, გაეზარდა პერსონალის და საწოლების რაოდენობა. იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა კავშირში სამედიცინო ორგანიზაციების დაფინანსების საკითხებს ძირითადად საკავშირო ჯანდაცვის სამინისტრო წყვეტდა, მთავარი ექიმები ჩადიოდნენ მოსკოვში, არაფორმალურ ურთიერთობებს ამყარებდნენ შესაბამის პირებთან და არაიშვიათად სათანადო ძღვენის (კონიაკები, ღვინო...) მირთმევის გზით ცდილობდნენ გაეზარდათ საავადმყოფოს სიმძლავრე.

ბიუჯეტურ-მუხლობრივი დაფინანსებისაგან განსხვავებით გლობალური ბიუჯეტი დგინდება ისტორიული მონაცემების მიხედვით, ანუ წინა წლებში სამედიცინო ორგანიზაციის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობის საფუძველზე. ყოველი ფინანსური წლის ბოლოს დამფინანსებელ მხარესა და სამედიცინო ორგანიზაციას შორის ხდება მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ შეთანხმება. ხელშეკრულების დადების შემდეგ დანფინანსებელი მხარე ატარებს საავადმყოფოს მონიტორინგს, აფასებს მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობას [3].

1980-იან წლებამდე, მთელ მსოფლიოში საავადმყოფოები ფინანსდებოდჱ ფაქტოჲრივი, წინასწარ განუსაზღვრელი ხარჯების მიხედვით, ანუ დამფინანსებელი მხარე საავადმყოფოსთან წინდაწინ არ ათანხმებდა ჩასატარებელ სამედიცინო მომსახურების მოცულობას, ფასს. აღნიშნული კატასტროფულად ზრდიდა ჰოსპიტალურ ხარჯებს. ხარჯების შჭმცირჭჲის მიზნით, ევროპის ბევრ ქვეყნჱში, 1980-იანი წლებიდან ფართოდ დაიწყეს გლობალური ბიუჯეტით საავადმყოფოების დაფინანსების მეთოდის შემოღება.

გლობალური ბიუჯეტის დადგენა რამდენიმე ეტაპებისაგან შედგება. სამედიცინო დაწესებულება წლის ბოლოს წარმოადგენს სრულ სტატისტიკურ (საწოლთა რაოდენობა, გატარებულ საწოლ-დღეთა რაოდენობა, ნამკურნალევ ავადმყოფთა რაოდენობა, მკურნალობის ხანგრძლივობა, საწოლთა დატვირთვის მაჩვენებელი) და ფინანსურ (საავადმყოფოს შემოსავალი, გაწეული დანახარჯები, შემოსავლებსა და ფაქტოჲრივ დანახარჯებს შორის სხვაობა) მონაცემებს, მომავალი წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას ძირითადი პუნქტების სახით (ხელფასები, მედიკამენტები, მომსახურება, ავადმყოფის მოვლა, ღამის მორიგეობა, ლაბორატორიული გამოკვლევა და ა. შ.). დამფინანსებელი მხარე ჩანალიზჩს წარმოდგენილ ინფორმაციას. კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შემდეგ გარემოებებს: სიმძიმის მიხედვით დაავადებათა სტრუქტურის, ყველაზე ხშირად გამოყენებული ნოზოლოგიების, დაუსაბუთებელი და განმეორებითი ჰოსპიტალიზაციის, სტაციონარული მკურნალობის გახანგრძლივებული შემთხვევების შესწავლას.

გამოწვლილვით განიხილება ამბულატორიული ექიმის მიერ პაციენტების საავადმყოფოში მიმართვების სიხშირე, რომელშიც ყურადღება ექცევა ისეთი ნოზოლოგიების გამოვლენას, რომელთა მკურნალობა შესაძლებელია ჩატარებულიყო ამბულატორიულ პირობებში. ასევე ხდება სტაციონარში ოჯახის ექიმის უმომართვოდ ან სასწრაფო სამედიცინო დახმარებით მოხვედრილ პაციენტთა შესწავლა. ამ მონაცემებით გამოვლინდება ამბულატორიულ დონეზე არსებული სუსტი მხარეები, ჩნდება დაუსაბუთებელი ჰოსპიტალიზაციის შემცირების შესაძლებლობა, აგრეთვე ისეთი საორგანიზაციო-ეკონომიკური ცვლილებების გატარების საჭიროება, რომელიც სტიმულს მისცემს სტაციონარული მკურნალობის სანაცვლოდ, ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დონეზე გაიზარდოს ექიმთან მიმართვიანობა.

როდესაც დამფინანსებლის მხრიდან არსებობს საავადმყოფოს ეფექტურობის გაზრდის სტიმულირების სურვილი, ჩნდება დღის სტაციონარების და ამბულატორიული განყოფილებების შექმნის მოტივაცია. ასეთი სტიმულის არსებობისას, საავადმყოფო ცდილობს დაავადებათა შედარებით მსუბუქი ფორმების მკურნალობა ამბულატორიულ ან დღის სტაციონარებში ჩააატაროს. დამფინანსებელმა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს საავადმყოფოს მიერ რესურსების ეკონომიურად გამოყენების მოტივაციას. ამ მხრივ, მიზანშეწონილია, მთავარი აქცენტის გაკეთება არა დამფინანსებლის მხრიდან ხარჯების უსაფუძვლო შემცირებაზე, არამედ ეფექტურობის გაზრდაზე. არასწორად დადგენილი, ხელოვნურად შემცირებული ლიმიტირების შემთხვევაში, საავადმყოფოს არ ექნება ბიუჯეტის ეფექტურად გამოყენების ეკონომიკური სტიმული.

ჯანდაცვის სერვისების მოცულობის ზუსტად პროგნოზირება შეუძლებელია. ამიტომ, საავადმყოფოს ფაქტოჲრივიმჩ ხარჯებმა შესაძლოა გადააჭარბოს წინასწარ დადგენილ გლობალურ ბიუჯეტს ან პირიქით, ნაკლები შეადგინოს.

ასეთ შემთხვევებში, ხელშეკრულებაში მკაფიოდ უნდა იქნეს დადგენილი ვინ იღებს პასუხისმგებლობას ბიუჯეტური თანხების გადაჭარბების ან არასრული ხარჯვის შემთხვევაში. ᲩᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ადგენენ ე. წ. "რისკის დერეფანს", ანუ ფაქტოჯრივი მოცულობის გეგმურიდან შესაძლო გადახრას. მაგალითად, როდესაც დაგეგმილია 100 შემთხვევის ანაზღაურება და "რისკის დერეფანი" 5 %-ს შეადგენს, 105 და 95 შემთხვევა დაფინანსდება როგორც 100 შემთხვევა. 106 შემთხვევა ანაზღაურდება შედარებით დაბალი ფასით, ხოლო 94 შემთხვევის დროს საავადმყოფო არ მიიღებს ერთი შემთხვევის დაფინანსებას. ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე დგინდება ბიუჯეტს ზევით დაფინანსების ზღვარი. მაგალითად, გერმანიაში დაგეგმილზე ნაკლებით შესრულების შემთხვევაში საავადმყოფო მაინც ღებულობს დაფინანსებას, მხოლოდ ტარიფის 25 %-ით ნაკლებს. მისი გადაჭარბებისას კი, მისი ღირებულების მხოლოდ 75% ანაზღაურდება.

საავადმყოფოს გლობალური ბიუჯეტის გასათვლელად იყენებენ მსგავსი დიაგნოზების ჯგუფებით დაფინანსების მეთოდს (Diagnosis-Related Groups – DRG). ამ დროს თითოეული დაავადებების (დიაგნოზით მსგავსი) ფაქტოჯრივი ხარჯების საფუძველზე დგინდება თითოეული ნოზოლოგიური ჯგუფის ღირებულება. დაავადებათა ტარიფები შესაძლებელია იყოს ყველა საავადმყოფოსათვის ერთიანი (უნიფიცირებული) ან სხვადასხვა დონის საავადმყოფოებისათვის დადგინდეს სხვადასხვა (ინდივიდუალური) ტარიფები.

ინდივიდუალური ტარიფების შემთხვევაში დამფინანსებელს აქვს სამედიცინო დაწესებულების შერჩევის უფრო მეტი შესაძლებლობა. ცხადია, დამფინანსებელი კონკურსის საფუძველზე ხელშეკრულებას გააფორმებს იმ სამედიცინო დაწესებულებასთან, რომელიც სამედიცინო დახმარების ხარისხის გათვალისწინებით დაბალი ფასებით მეტი მოცულობის სამუშაოს შეასრულებს.

გლობალურ ბიუჯეტს, ხარჯების შეკავების თვალსაზრისით, ბევრი დადებითი მხარე გააჩნია. კერძოდ, რადგან ბიუჯეტი წინასწარ განსაზღვრული და ლიმიტირებულია, ადვილია ხარჯების პროგნოზირებადობა. გარდა ამისა, დამფინანსებელს საავადმყოფოს დანახარჯებზე კონტროლის ძლიერი ბერკეტები გააჩნია. თავის მხრივ, შეზღუდული დაფინანსების გამო, საავადმყოფო ჰოსპიტალიზაციის რაოდენობის გაზრდით არ არის დაინტერესებული. შესაბამისად, მნიშვნელოვნად მცირდება ჯანდაცვის ხარჯები და იზრდება რესურსების დაზოგვის სტიმული.

გლობალური ბიუჯეტი დადებითად მოქმედებს სამედიცინო დაწესებულების ეკონომიკურ აქტიურობაზე. მისი ფორმირების პროცესში ჩართულია სამედიცინო პერსონალი, რომელიც მონაწილეობს დამფინანსებელ მხარესთან სამედიცინო დახმარების მოცულობისა და ტარიფების შეთანხმების პროცესში, მასთან ერთად განიხილავს ჰოსპიტალიზაციის საფუძვლიანობის ანალიზის შედეგებს, გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს სტრუქტურას ისეთი სახით, რომ

უზრუნველყოს ძვრადღირებული რესურსების ეფექტური გამოყენება. პერსონალის ჩართულობა და ეკონომიკური მოტივაცია ზრდის მათ პასუხისმგებლობის დონეს, ხელს უწყობს მკურნალობის დაბალხარჯვიანი მეთოდების დანერგვას.

გლობალური ბიუჯეტის დროს მარტივია საავადმყოფოსთან ანგარიშსწორება, საქმის წარმოება, რაც ამცირებს საავადმყოფოს მიერ წარდგენილ სამუშაოსა და დამფინანსებლის ანაზღაურებას შორის დაყოვნების ხანგრძლივობას.

გლობალური ბიუჯეტით დაფინანსების პირობებში სამედიცინო დაწესებულება ფინანსდება ავანსის სახით (წინასწარ), რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მედიკამენტებით და სხვა აუცილებელი სამედიცინო მოხმარების საგნებით სამედიცინო დაწესებულების დროულ უზრუნველყოფას. აღნიშნული კი დადებითად აისახება პაციენტის კმაყოფილების დონის ამაღლებაზე [4].

შეიძლება ითქვას, რომ საავადმყოფოების გლობალური ბიუჯეტით დაფინანსების მეთოდი ხარჯების შემცირების ერთ-ერთი საუკეთესო მექანიზმია. საქართველოში მისი დასანერგად გათვალისწინებულ უნდა იქნმს მსოფლიოში ამ მხრივ არსებული გამოცდილება და ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის თავისებურებები.

ლიტერატურა:

1. თენგიზ ვერულავა. არის თუ არა სამედიცინო ბაზარი ჩვეულებრივი ბაზარი? პროექტი „სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 – სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). 19.02.2016.
2. ლიკა ზაკაშვილი. რა ცვლილებებია მოსალოდნელი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში - ინტერვიუ აკაკი ზოიძესთან. ლიბერალი. 07.11.2016.
3. თენგიზ ვერულავა. ჯანდაცვის ეკონომიკა. საქართველოს უნივერსიტეტი. თბილისი. 2009 წ.
4. თენგიზ ვერულავა. ჯანდაცვის პოლიტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. 2016 წ.

Hospital Global Budgeting and Health Care Reforms in Georgia

Tengiz Verulava

MD, PhD, Professor at Ilia State University
Chief of the Quality Management Department at
G. Chapidze Emergency Cardiology Center
Tengiz.verulava@iliauni.edu.ge

Revaz Jorbenadze

MD, PhD, Professor at Tbilsi State University
Executive Director of Chapidze Emergency Cardiology Center
revaz.jorbenadze@ecc.ge

One of the biggest problems for universal health care program is the cost management. Many countries with publicly funded systems of healthcare have adopted global budgets as a key funding mechanism. One of the major attractions of the global budget model is that it can combine administrative simplicity with some incentives for performance enhancements. Furthermore, experience has shown that the information needs of this type of payment mechanism are less than more complex payment systems such as diagnostic related groups and itemized payments. According to the Government officials in Georgia, in order to improve universal health care program administration costs, there are planned reforms for hospitals funding methodology, in particular, installation of the hospital global budgeting. The article examines the concept of the global budget financing methodology, the mechanisms of cost containment, the experience of the world and the possibilities of its implementation in Georgia.

Keywords: health care financing, global budgets, contracting, costing hospital services.

JEL Codes: H51, I10, I11, I18

ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1, გვ. 143-151
ECONOMICS AND BUSINESS, 2017, 1, pp. 143-151

საგანმანათლებლო ორგანიზაციების არაკომერციული ფინანსების მართვის ზოგიერთი საკითხი

ვალერი მოსიაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ლია ოტიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

XXI ს-ის საქართველოში განათლების სისტემამ განიცადა არსებითი ცვლილებები, კერძოდ, შეიცვალა ამ სისტემის დაფინასების სტრუქტურა.

2005 წელს საქართველო მიუერთდა ბოლონიის პროცესს, რის შემდგომაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ასევე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, ატარებენ რეფორმებს იმ ძირითადი ამოცანების შესასრულებლად, რასაც ითვალისწინებს ბოლონიის პროცესი.

არასახელმწიფო საგანმანათლებლო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროა, პირველ რიგში, საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემოსულობები, ხოლო აკრედიტებულებისთვის შესაძლებელია დამატებითი წყაროს არსებობა საბიუჯეტო დაფინანსების სახით.

საგანმანათლებლო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას და კონკურენციაში არიან ერთმანეთთან, რისკავენ მოხვდნენ ორ უკიდურეს სიტუაციაში. საგანმანათლებლო მომსახურების ფასის შემცირებამ (მოსწავლელთა შესაძლო დიდი ოდენობით მოზიდვის მიზნით) შეიძლება გამოიწვიოს სწავლების ხარისხის მკვეთრი დაწევა და პირიქით, ფასის გაზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს მოსწავლელთა მკვეთრი გადინება სხვა დაწესებულებებში მათი გადასვლის გამო. როგორც შედეგი – ეს გამოიწვევს ფულადი შემოსულობების შემცირებას და ფინანსური მდგრადობის შესაძლო დაკარგვას.

საკვანძო სიტყვები: ფულადი შემოსულობები; განათლების ფინანსები, არაკომერციული ფინანსები; მიზნობრივი ფონდები; მომსახურების თვითღირებულება; დეკლარირებული მონაცემები.

საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსები

ბოლო პერიოდში არაკომერციული საქმიანობები საკმაოდ მნიშვნელოვანად განვითარდა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. ეს იმათაა განპირობებული, რომ, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, საავადმყოფოების, სასწავლო დაწესებულებების, თეატრების, მრავალფეროვანი საქველმოქმედო ფონდების, პროფესიული გაერთიანებების ორგანიზების არაკომერციული ფორმა კერძო ინიციატივის და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის შეხამების საშუალებას იძლევა. მსგავსი განვითარება აიხსნება არამხოლოდ საგადასახადო შეღავათებით, რომლითაც სარგებლობენ ზემოთჩამოთვლილნი, არამედ იმითაც, რომ სახელმწიფო დამატებით სუბსიდიებს გამოუყოფს განსაზღვრულ არაკომერციულ ორგანიზაციებს.

განათლების ფინანსები, რიგ შემთხვევაში, მიეკუთვნება არაკომერციულ სფეროს. ამასთან, საგანმანათლებლო ორგანიზაციებს შესაძლოა ჰქონდეთ საკუთრების ნებისმიერი ფორმა (სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო) და ნებისმიერი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც გათვალისწინებულია არაკომერციული ორგანიზაციებისთვის.

სახელმწიფო და მუნიციპალური საგანმანათლებლო ორგანიზაციების დაფინანსების ძირითადადი წყაროა საბიუჯეტო სახსრები და კომერციული ჯგუფების სტუდენტების სწავლის გადასახადი. ამის გათვალისწინებით, აღნიშნული ორგანიზაციები ბუღალტრულად აწარმოებენ ორ პარალელურ ბალანსს: საბიუჯეტო აღრიცხვით და ბუღალტრული აღრიცხვის ჩვეულებრივი სქემით, რომელიც მიღებულია მეურნე სუბიექტებისთვის. როგორც წესი, საბიუჯეტო დაფინანსების წილი უფრო დაბალია, ვიდრე კომერციულის. არასახელმწიფო საგანმანათლებლო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებია, პირველ რიგში, საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემოსულობები, ხოლო აკრედიტირებულებისთვის შესაძლებელია დამატებითი წყაროს არსებობა საბიუჯეტო დაფინანსების სახით.

საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსებზე საერთო ფაქტორების (მეურნეობრიობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და დარგობრივი ტექნიკურ-ეკონომიკური თავისებურებები) გარდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს:

1. ობიექტური ხასიათის ფაქტორები. უწინარესად სოციალური ფაქტორები, მოცემული რეგიონის ან ქალაქის დემოგრაფიული პირობები, კლიენტთა (შემსწავლელთა) გადახდისუნარიანობის დონე, მაკროეკონომიკური ფაქტორები;

2. სუბიექტური ხასიათის ფაქტორები, ანუ შესაძლო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები, რომელთა საშუალებით შეიძლება, საბოლოო ანგარიშით, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამა თუ იმ მაჩვენებელზე ზემოქმედება.

მაგალითად, საგანმანათლებლო სფეროში სუბიექტური ფაქტორები შესაძლოა იყოს:

- პროფესიული მომზადების რეალიზებადი პროგრამები და მიმართულებები;
- საგანმანათლებლო პროცესის კომპიუტერიზაციის, ტექნიკური აღჭურვის ღონისძიებები;
- ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები (მაგალითად, ბრძანება სწავლის გადასახადის დადგენის შესახებ, ხელშეკრულებები იურიდიულ პირებთან სტუდენტების მიერ პრაქტიკების გავლის თაობაზე და სხვა);
- სასწავლო პროცესის გრაფიკების და სასწავლო გეგმების ოპტიმიზაცია და ა. შ.

ეს და სხვა ფაქტორები განსაზღვრავს ფინანსების მართვას და ორგანიზაციას პროფესიული საქმიანობის მოცემულ სფეროში. ფინანსური ურთიერთობების ძირითად მონაწილეებს, პირველ რიგში, სტუდენტები, საგანმანათლებლო ორგანიზაციის პერსონალი (მასწავლებლები, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, დამხმარე პერსონალი და სხვა) და საგადასახადო ორგანოები წარმოადგენენ. საგანმანათლებლო საქმიანობის დაფინანსებისთვის სახსრების უკმარისობა საგანმანათლებლო ორგანიზაციებს აიძულებს შევიდნენ ფინანსურ ურთიერთობებში ბაზრის სხვა სუბიექტებთან, კერძოდ, სადაზღვევო კომპანიებთან (საგანმანათლებლო დაზღვევა), ბანკებთან (კრედიტების აღება), ინვესტორებთან (საგანმანათლებლო სერტიფიკატები, თამასუქები, ობლიგაციები), ასევე მოძებნონ დაფინანსების სხვა ლეგალური წყაროები.

საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხარჯები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

- *განათლების დაწესებულების მუშაკთა შრომის ანაზღაურება, მათ შორის:* შტატიანი მასწავლებლების, შემთავსებელ-მასწავლებლების; ადმინისტრაციის მუშაკების; სასწავლო-დამხმარე პერსონალის; დანამატები შრომის ანაზღაურებაზე.

1. *გადასახადები, მოსაკრებლები, გადარიცხვები მიზნობრივ ფონდებში, მათ შორის ბიუჯეტში.*

- *აღჭურვილობის შენახვის* და *გამოყენების ხარჯები:* კომპიუტერული ტექნიკის მომსახურების და მიმდინარე რემონტის, სწავლების ტექნიკური საშუალებების შენახვის ხარჯები; გამამრავლებელი ტექნიკის რემონტის და შენახვის ხარჯები; სასწავლო ავეჯის რემონტის და შენახვის ხარჯები; ელექტროენერგიის გადახდის ხარჯები; სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვა აღჭურვილობის შენახვის ხარჯები; ინტელექტუალური აქტივების ღირებულების ამორტიზაცია.

2. ხარჯები შენობების, სასწავლო და *დამხმარე ფართების შენახვაზე:* ოჯარის გადასახადი; შენობების სასწავლო და დამხმარე ფართების მიმდინარე რემონტის ხარჯები; რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ხარჯები; სასწავლო

და დამხმარე ფართების დალაგების ხარჯები; კომუნალური მომსახურების, განათების ხარჯები;

დაცვის და სახანძრო სიგნალიზაციის ხარჯები.

3. მიზნობრივი ხარჯები: სასწავლო ლიტერატურის შეძენის ხარჯები; დამხმარე მეთოდური მასალების, დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადების და გამოცემის ხარჯები; საკანცელარიო ხარჯები, დოკუმენტების ბლანკების შეძენა; სამივლინებო ხარჯები; ელექტროკავშირის ხარჯები; გარკვეული სახის მეცადინეობების ჩასატარებლად სპეციალური ფართების იჯარის ხარჯები.

4. ერთჯერადი ხარჯები: სასწავლო აღჭურვილობის, მათ შორის სპეციალური ლაბორატორიული აღჭურვილობის, სადემონსტრაციო სტენდების ერთჯერადად შეძენის და განვითარების ხარჯები; სასწავლო ავეჯის ერთჯერადად შეძენის ხარჯები; სასწავლო ფართებისთვის დამხმარე აღჭურვილობების შეძენის ხარჯები; საკუთარი შენობების რემონტისთვის კაპიტალური ხარჯები.

5. დამატებითი ხარჯები: საკუთარი ან იჯარით აღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შენახვის ხარჯები; დამატებითი სამივლინებო ხარჯები (მეცადინეობების სხვა ქალაქში ჩატარებისთვის); კონფერენციების, სამეცნიერო თათბირების ჩატარების ხარჯები; საგანმანათლებლო საქმიანობის ატესტაციის, ლიცენზირების, განათლების სამინისტროს საატესტაციო კომისიის წევრების შრომის ანაზღაურების და მივლინების ხარჯები.

საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსების მართვასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი აქტუალური საკითხია საგანმანათლებლო მომსახურების თვითღირებულების და ფასის, როგორც მთავარი საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების მართვა.

აღნიშნული მაჩვენებლების მართვა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ძირითად სტადიებს (ეტაპებს):

- ფინანსური ანალიზი (განმსაზღვრელი ფაქტორების, თვითღირებულების და ფასის სტრუქტურის, ხარჯების მუხლების ცვლილების დინამიკის და ა. შ. ანალიზი);
- ფინანსური დაგეგმვა (პირველ რიგში შემოსავლების და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის შედგენა, საგანმანათლებლო მომსახურების კალკულაცია, შემოსულობების და გადახდების გრაფიკი და ა. შ.);
- მიღებული ფინანსური გადაწყვეტილებების რეალიზაცია და მისი შედეგების ანალიზი.

თვითღირებულების და ფასის ანალიზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, მათ შორის, ახლადშექმნილებისთვის, რომლებიც სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან განსხვავებით, არ ფინანსდებიან ბიუჯეტიდან. მათთვის აღნიშნული ფინანსური მაჩვენებლები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ძირითადი საშუალება კლიენტისთვის (სწავლის მსურველისთვის) კონკურენტულ ბრძოლაში.

საგანმანათლებლო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას და კონკურენციაში არიან ერთმანეთთან, რისკავენ მოხვდნენ ორ უკიდურეს სიტუაციაში. საგანმანათლებლო მომსახურების ფასის შემცირებამ (მოსწავლეთა შესაძლო ბევრი ოდენობის მოზიდვის მიზნით) შეიძლება გამოიწვიოს სწავლების ხარისხის მკვეთრი დაწევა და პირიქით, ფასის გაზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს შემსწავლელთა მკვეთრი გადინება სხვა დაწესებულებებში მათი გადასვლის გამო. როგორც შედეგი – ეს გამოიწვევს ფულადი შემოსულობების შემცირებას და ფინანსური მდგრადობის შესაძლო დაკარგვას.

ზოგადად, საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსური სტრატეგიის და იმავდროულად საფასო პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც სწავლების ფასის ოპტიმიზაცია ისეთ დონეზე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სწავლების მაღალი ხარისხი მინიმალური დანახარჯებით საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებიდან წმინდა მოგების მიღების გარეშე.

ფასის და თვითღირებულების განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზისას, შეიძლება აღვნიშნოთ მათი დიდი მრავალფეროვნება და დაჯგუფების და კლასიფიკაციის სირთულე, აგრეთვე, რაოდენობრივი კავშირის დადგენის სირთულე საგანმანათლებლო მომსახურების თვითღირებულებაში ხარჯის მუხლსა და ცალკეულ ფაქტორს შორის. როგორც ერთ-ერთი უმთავრესი, შეიძლება მიენიშნოს სპეციალობის ფაქტორი. მაგალითად, საავიაციო-კოსმოსური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალობებისთვის საჭიროა ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება ძვირადღირებულ მაღალი სიზუსტის სასწავლო აღჭურვილობაზე. კომპიუტერული სპეციალობებისთვის საჭიროა პერსონალური კომპიუტერების დიდი ოდენობა, ქსელებში ხანგრძლივი მუშაობა. ზოგ ტექნოლოგიურ სპეციალობაზე საჭიროა სასწავლო-გამოსაცდელი პოლიგონების არსებობა და ა. შ.

ფინანსური დაგეგმვისას დიდი მნიშვნელობა აქვს კალკულირების მეთოდის შერჩევას და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას. ნორმატიული მეთოდის პარალელურად, რომელიც ფართოდ გამოიყენება საბიუჯეტო საგანმანათლებლო ორგანიზაციების პრაქტიკაში, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვებიც, თვითღირებულების მაჩვენებელზე დამოკიდებულებით. მაგალითად, სწავლების თვითღირებულების მაჩვენებლისთვის სპეციალობის მიხედვით მთლიანობაში სწავლების მთელი პერიოდისთვის შესაძლოა ერთდროულად გამოყენებულ იქნეს ნორმატიული და დეტალირების მეთოდები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ეტაპობრივად ატარებს არაკომერციული ორგანიზაციების (ფონდები, კავშირები, პოლიტიკური, რელიგიური, საქველმოქმედო და სხვა მსგავსი ტიპის ორგანიზაციები) წლიურ გამოკვლევას.

როგორც ყველა განვითარებულ ქვეყანაში, უკვე საქართველოშიც არაკომერციული ორგანიზაციები წარმოადგენენ საქონლისა და მომსახურების მწარ-

მოებელ იურიდიულ პირებს ან სოციალურ ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან ორიენტირებული ინსტიტუციური ერთეულებიდან მოგების ან ფინანსური კეთილდღეობის მიღებაზე.

„საქსტატის“ კვლევის შედეგების შეფასება

არაკომერციული ორგანიზაციების პროდუქციის ძირითადი ნაწილი რეალიზდება უფასოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებით. ასეთი არაკომერციული ორგანიზაციები იმყოფებიან თვითდაფინანსებაზე და სახსრებს ძირითადად იღებენ შემოწირულობებისა და საკუთარი წევრების შენატანების სახით. ისინი შემოსავლებს იღებენ აგრეთვე ორგანიზაციის კუთვნილი მატერიალური და ფინანსური აქტივებიდან. არაკომერციულ ორგანიზაციებს აქვთ დამხმარე კომერციული საქმიანობის უფლება.

ამ მიმართულებით ბოლო კვლევა საქართველოში ჩატარდა 2015 წელს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნდა 01.10.2015 წ. იხ. ნახ.1) [4].

აღნიშნული კვლევის სტატისტიკა და შეფასება:

2014 წელს მაჩვენებელთა შემცირება, წინა წელთან შედარებით, ძირითადად გამოწვეულია განათლების დარგში არსებული რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ცვლილებით, რომლის შედეგადაც ისინი არაკომერციული ორგანიზაციების სექტორიდან გადავიდნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირების სექტორში.

გარდა ამისა, მაჩვენებელთა შემცირების ერთ-ერთი მიზეზია ის ფაქტიც, რომ 2014 წლიდან სკოლამდელი დაწესებულებები (ბაგა-ბაღები) აღნიშნულ გამოკვლევაში აღარ მონაწილეობს (უფასო სწავლების გამო მათ 2014 წლიდან აღარ აქვთ შემოსავლები დამხმარე კომერციული საქმიანობიდან და, შესაბამისად, არ წარმოადგენენ კვლევის ობიექტებს).

დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, 2014 წელს არაკომერციული ორგანიზაციების სექტორის ბრუნვის მოცულობამ დამხმარე კომერციული საქმიანობიდან 95,3 მლნ ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 23%-ით ნაკლებია (იხ. ნახ. 1).

ბრუნვის მოცულობაში ყველაზე დიდი წილი მოდის კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის დარგზე (42,2%), აგრეთვე, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დახმარებისა (25,2%) და განათლების (19,8%) დარგის ორგანიზაციებზე.

ბრუნვის მოცულობის ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება განათლების დარგზე მოდის (61,2%-ით). აღნიშნული მაჩვენებლის შემცირება დაფიქსირდა, აგრეთვე, უძრავი ქონებით ოპერაციების, იჯარისა და მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევის (47%) და დამამუშავებელი მრეწველობის დარგში (46,6%).

არაკომერციული ორგანიზაციების ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები (შედარება გაკეთებულია ფაქტობრივი ფასებით) [5]

ნახაზი *1*



ბრუნვის მოცულობა დაახლოებით 3,9-ჯერ არის გაზრდილი საფინანსო საქმიანობის დარგში, 2,6-ჯერ - სოფლის მეურნეობის, ნადირობისა და სატყეო მეურნეობის დარგში, 26,6%-ით ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში, 7,6%-ით - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების დარგში, 6,3%-ით - კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის დარგში.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2014 წელს ბრუნვის მაჩვენებლის საკმაოდ დიდი მნიშვნელობები შეინიშნება ისეთ დარგებში (სასტუმროები და რესტორნები, ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, მშენებლობა, ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება), რომლებშიც 2012-2013 წლებში ბრუნვა საერთოდ არ დაფიქსირებულა.

პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) გამოშვების მოცულობამ არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში 2014 წელს 669,9 მლნ ლარი შეადგინა (აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირებულია 10,3%-ით).

პროდუქციის გამოშვებაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩეოდა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის (50,8%), ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების (28,6%), აგრეთვე განათლების დარგის (12,1%) ორგანიზაციები.

არაკომერციულ ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობამ 2014 წელს 52,3 ათასი შეადგინა, საიდანაც 54,7% ქალია, ხოლო 45,3% - მამაკაცი. აღნიშნული მაჩვენებელი, 2013 წელთან შედარებით, 20,3%-ითაა შემცირებული (იხ. ნახ. 2).

დასაქმებულთა ყველაზე დიდი ნაწილი – 43,3% – კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის დარგის ორგანიზაციებზე მოდის, 29,3% – განათლების დარგის ორგანიზაციებზე, 14,8% – ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების დარგის ორგანიზაციებზე, ხოლო დანარჩენი 12,6%, სხვა დარგებში ნაწილდება. დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლის შემცირება ფიქსირდება ძირითადად განათლების (52,8%-ით) დარგში, რომლის მიზეზებიც უკვე იქნა განხილული.

დასაქმებულთაგან დაქირავებულია 51,5 ათასი ადამიანი (მათ შორის ქალები შეადგენენ 54,9%-ს). 2014 წელს დაქირავებულთა რაოდენობა, 2013 წელთან შედარებით, შემცირებულია დაახლოებით 20,7%-ით.

არაკომერციულ ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობა [6]

ნახაზი *2*



* * *

ამრიგად, საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსების მართვასთან დაკავშირებით, აქტუალური საკითხია თვითღირებულება და, შესაბამისად, ფასის განსაზღვრა. ფინანსური დაგეგმვისას დიდი მნიშვნელობა აქვს კალკულირების მეთოდის შერჩევას და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას.

ლიტერატურა:

1. ცაავა გ, აბრამია თ, ცაავა დ. რისკოლოგია – ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი, სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია", 2007.
2. ღუდუშაური ზ. – ფინანსური მენეჯმენტი: თეორია და პრაქტიკა, თბილისი, გამომცემლობა შპს „მხს", 2007.
3. ბოლონიის დეკლარაცია – უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე თბ., 1999.
4. http://www.geostat.ge/?action=news&lang=geo&npid=921
5. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/business/SMAKO_Press%20Release%202014.pdf
6. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/business/SMAKO_Press%20Release%202014.pdf
7. mes.gov.ge

A Non-Profit Financial Organization

Valeri Mosiashvili

Doctor of Economics

Lia Otiashvili

Doctoral student,
Georgian Technical University

Since 2004 the educational system in Georgia has experienced great changes – the structure of the system, financing and education has changes.

In 2005 Georgia joined the Bologna process after which the Ministry of Education and Science in Georgia as well as higher educational institutions are conducting the reforms for the implementation of those tasks that are specified by the Bologna process. The sources of financing the non-state educational organizations are first of all, those income provided under the contract of educational services. As for the accredited establishments the existence of additional source may be the budget financing.

The educational organizations conducting the paid educational activities and there is a competition between them risking getting into two extreme situations. The reduction of the educational service price (for the reason of attracting a great number of educators) may cause the sharp decrease in teaching quality and vice versa, the increase of the price may result in sharp outflow to other institutions. As a result – it will cause the reduction of money income and the loss of financial stability.

Keywords: Money incomes, education finances, budget accounting, transfers to the targeted funds, cost price of service, calculation of educational services, declared data.

JEL Codes: G20, G30, L31

ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1, გვ. 152-161
ECONOMICS AND BUSINESS, 2017, 1, pp. 152-161

საგადასახადო რეფორმის ესტონური მოდელი და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

მია ბერიძე
ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი
loroseri@gmail.com

სტატიაში გადმოცემულია საქართველოში განხორციელებული ფისკალური რეფორმის, მოგების გადასახადის დაბეგვრის ესტონური მოდელის დამკვიდრების წინაპირობები, დეტალები და თავისებურებები. ესტონური გამოცდილების საფუძველზე ნაჩვენებია მოსალოდნელი ეკონომიკური და ფისკალური შედეგები, მისი განხორციელების დადებითი და უარყოფითი მხარეები. განხილულია ის პრობლემები, რაც გაუთვალისწინებელი დარჩა კანონმდებელს რეფორმის ქართულ ვარიანტზე მუშაობისას. ნაჩვენებია რეფორმის შედეგად საბიუჯეტო დეფიციტის, აქციზის განაკვეთების ზრდითა და ვალების აღებით გამოწვეული მოსალოდნელი ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე.

საკვანძო სიტყვები: *ესტონური საგადასახადო მოდელი; ქართული საგადასახადო სისტემის რეფორმა; ეკონომიკური ზრდა საქართველოში; განაწილებული მოგების გადასახადი.*

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები გაატარა ეკონომიკის ფისკალური სტიმულირების და განვითარების მიმართულებით. 2003 წელს, ხელისუფლების ეკონომიკურმა გუნდმა შეამცირა საგადასახადო ტვირთი და გადასახადების რაოდენობა, 36-დან დარჩა 6. ქვეყანამ, აღნიშნული რეფორმების შედეგად, შეძლო მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის მიღწევა და ლიბერალური საგადასახადო იმიჯი შეიქმნა ინვესტორების თვალში.

მიუხედავად მნიშვნელოვანი რეფორმებისა, საქართველოში საგადასახადო სისტემა, პროკურატურასა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურთან ერთად, კვლავ რჩებოდა პოლიტიკური თუ სხვა სახის ანგარიშსწორების იარაღად.

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, სახელმწიფო ორგანოები აღარ გამოიყენება პოლიტიკური ზეწოლის განსახორციელებლად ან მნიშვნელოვნად შემცირებულია მსგავსი ფაქტები. საგადასახადო ორგანოე-

ბის მიდგომა, ადმინისტრირების სიმკაცრე, ხელისუფლების ნებიდან და ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით, გაუმჯობესდა. მათ შორის, გაიზარდა საგადასახადო დავის ორგანოთა თავისუფლების დონე, ხოლო ევროკავშირი მნიშვნელოვნად დაეხმარა საგადასახადო ორგანოებს, ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციასა და კომპენტენციის გაუმჯობესებაში, სხვადასხვა სასწავლო პროგრამის საშუალებით.

საქართველოში ბიზნესის დაწყება ძალიან მარტივია, რასაც მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსში, საქართველოს მოწინავე პოზიციები მოწმობს ბოლო ათწლეულში, თუმცა, ეკონომიკური ზრდა საქართველოში არც ისეთი სწრაფია, როგორი მარტივიც ბიზნესის დაწყებაა.

საგადასახადო რეფორმის არსი

2015 წელს მთავრობამ დააანონსა მნიშვნელოვანი ცვლილება საგადასახადო კოდექსში, კერძოდ, მოგების გადასახადის დაბეგვრის ესტონური მოდელის შემოღება (შემდგომში - „ესტონური მოდელი“). საგადასახადო კოდექსში 2016 წელს შესული ცვლილებით, 2017 წლის იანვრიდან, ესტონური მოდელი ძალაში შევიდა.

ქვეყანაში ეკონომიკური წინსვლა-განვითარების ყველაზე სანდო და პოპულარულ ინდიკატორად მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპი განიხილება და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებაც, რომ მშპ-ის ზრდის ტემპის დასაჩქარებლად საგადასახადო რეფორმა განეხორციელებინა, უდავოდ დროული იყო.

საკანონმდებლო სიახლის გაცხადებული მიზანია ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ფრანგი ფილოსოფოსის მონტესკიეს აზრით, საზოგადოებაში არაფერი საჭიროებს იმდენ ჭკუა-გონებას, რამდენიც აუცილებელია იმ წილის განსასაზღვრავად, რომელსაც ხელისუფლება ართმევს საზოგადოების წევრებს. საგადასახადო კოდექსში შეტანილ ცვლილებას თან სდევს რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა, მათ შორის, მოახდენს თუ არა ესტონური მოდელი მშპ-ის ზრდის წახალისებას და რა გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს საქართველო 2017 წლიდან.

ამ კითხვებზე საპასუხოდ, პირველ რიგში, საინტერესოა თუ რა შეიცვალა საგადასახადო კოდექსში.

როგორც მონაცემები გვიჩვენებს (იხ. ცხრილი) მოგების გადასახადს სტაბილური წილი ეჭირა ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებში და საშუალოდ 11%-ს შეადგენდა.

მოგების გადასახადი 2002-2015 წწ. და მისი წილი საბიუჯეტო შემოსავლებში

წელი	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
მოგების გადასახადი (მლნ ლარი)	82	101	162	210	341	555	592	518	576	832	851	807	829	1025
წილი საბიუჯეტო შემოსავ-ლებში (%)	8	8	8	9	11	13	12	12	12	14	13	12	11	13

*[*წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*]*

თეორიულად, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ზომავს თუ რამდენად იზრდება მშპ ამა თუ იმ ქვეყანაში, თავის მხრივ, მშპ ყველა იმ საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებაა, რომელიც იწარმოება ქვეყნის შიგნით დროის მოცემულ მონაკვეთში.

მშპ-ში **GDP = C + G + I + NX** გამოიყოფა ოთხი შემადგენელი ნაწილი: 1. მოხმარება (C); 2. ინვესტიციები (I); 3. სახელმწიფო შესყიდვები (G); 4. წმინდა ექსპორტი (NNX).

საგადასახადო რეფორმის არსია ის, რომ მეწარმეებმა არ გადაიხადონ მოგების გადასახადი, თუ კომპანიის შემოსავლების ინვესტირებას მოახდენენ ბიზნესში, არ დახარჯავენ ფულს სამეწარმეო საქმიანობის მიღმა და არ გაწევენ სამეწარმეო საქმიანობისთვის დადგენილ წარმომადგენლობით ე.წ სადღეასასწაულო ხარჯებს ნორმაზე მეტად, არ შეამცირებენ ურთიერთდამოკიდებულ (ნათესავები და სხვა ახლო ურთიერთობის მქონე პირები) და ოფშორულ კომპანიებთან საბაზრო გარიგებებით დადგენილ საბაზრო ფასს, არ შეიძენენ უსაბუთოდ საქონელს ან მომსახურებას, ნაკლები საბაზრო ურთიერთობები ექნებათ ოფშორულ და მოგების გადასახდისგან განთავისუფლებულ პირებთან და სხვ.

რეფორმის შინაარსი გამომდინარეობს ეკონომიკური ზრდის თეორიიდან და იმ კვლევებიდან, რომლებიც ჩატარებულა ეკონომიკურ ზრდასა და მთავრობის ზომას შორის, ცხადია, მთავრობის ზომა, რეფორმის შედეგად მცირდება. სხვა თანაბარ პირობებში სახელმწიფო ზომის შემცირება, მშპ-ში გამოიწვევს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას[1.გვ.44].

„მმართველობა განვითარებისთვის (GG4G)“ კვლევა

ხელისუფლების მიერ დაანონსებული ესტონური მოდელის მოგების გადასახადის რეჟიმის შემოღება შეფასებული იქნა USAID-ის მიერ დაფინასებული პროექტის ფარგლებში - ,,მმართველობა განვითარებისთვის“ (G4). აღნიშნულით, შეფასდა ესტონური მოდელის საგადასახადო რეჟიმის შესაძლო მაკროეკონომიკური შედეგები. ეკონომისტების მიერ შემუშავებულ იქნა ნეოკლასიკური ეკონომიკური ზრდის ზოგადი წონასწორობის მოდელი. აღნიშნული კვლევის მიხედვით, რეფორმას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი, კერძოდ:

- რეფორმას აქვს ინვესტიციების წამახალისებელი ეფექტი. საფონდო კაპიტალი 1,5 წელიწადში 3,23%-ით გაიზრდება. რეფორმა გამოიწვევს წმინდა ინვესტიციების ზრდას. ეკონომიკური აგენტები იმაზე მეტს ჩადებენ საინვესტიციოდ, ვიდრე აქამდე;
- დაახლოებით 1,5 წელიწადში, რეალური მშპ გაიზრდება 1,44%-ით;
- საერთო კერძო მოხმარება გაიზრდება დაახლოებით 0,85%-ით 1,5 წელიწადში;
- რეფორმა გაზრდის სამთავრობო ბიუჯეტის წლიურ დეფიციტს მაქსიმუმ 3%-ით. ამასთან, საშემოსავლო გადასახადის 1 %-ით ზრდა და 1,25%-ით დამატებული ღირებულების გადასახადის გაზრდა აღმოფხვრის აღნიშნულ დეფიციტს. ახალი საბიუჯეტო წონასწორობის მისაღწევად მთავრობამ უნდა იფიქროს ხარჯების არ გაზრდაზე რეფორმიდან 2-3 წლის განმავლობაში;
- მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ცოტათი შემცირდება, კომპანიების მიერ დივიდენდების საქართველოში დატოვებით, გამომდინარე რეფორმის საინვესტიციო ეფექტისა;
- რეფორმის შედეგი დაახლოებით 1,5 წელიწადში გახდება ხელშესახები. [4. გვ. 29].

კვლევის ავტორები ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ დემოკრატიისა და საკუთრების უფლების დაცვის დონეს, რადგან ეს ფაქტორები არსებითია საპროგნოზო რისკების შეფასებისას, თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ესტონეთზე მეტად ელასტიკურია საქართველოს ეკონომიკა ისეთი რეფორმების გატარებაში, როგორიცაა შრომითი უფლებები, მონეტარული თავისუფლება, ბიზნესის კეთების სიადვილე და ა.შ. ესტონეთი აღნიშნული მაჩენებლებით სანამ მოგების გადასახადის რეფორმას გაატარებდა, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საქართველოს დღევანდელ მზაობას რეფორმისადმი.

საკანონმდებლო ცვლილებების დეტალები

რეფორმამდელი მოგების გადასახადი ითვალისწინებდა დაბეგვრის მარტივ მოდელს: შემოსავლებს - ხარჯები = დასაბეგრი მოგება * 15% = გადასახდელ მოგების გადასახადს.

რეფორმა არ ეხება ფიზიკურ პირებს, მათ შორის ინდმეწარმეებს, ორგანიზაციებს (სსიპ, ააიპ) და საფინანსო კომპანიებს ისეთებს, როგორიცაა: კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვეო კომპანიები, ლომბრადები. საფინანსო სექტორი 2020 წლიდან გადავა აღნიშნული დაბეგვრის რეჟიმზე.

ახალ მოდელზე ავტომატურად გადადის ყველა იურიდიული პირი, გარდა საფინანსო ბიზნესისა, მათ შორის არარეზიდენტი კომპანიების მუდმივი დაწესებულებები.

ახალი მოდელის მიხედვით, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილების მიხედვით განაწილებული მოგება იყოფა 4 ნაწილად:

1. განაწილებული მოგება

განაწილებული მოგება თავის მხრივ იყოფა შემდეგ ძირითად ნაწილებად:

ა) დივიდენდის განაწილება ფულადი ან არაფულადი ფორმით;

ბ) ურთიერთდამოკიდებული პირისგან საქონლის ან მომსახურების შეძენა საბაზრო ფასისგან განსხვავებული ფასით;

გ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (ოფშორები) რეგისტრირებული პირთან საქონლის შეძენა ან რეალიზაცია საბაზროსაგან განსხვავებული ფასით;

დ) საწარმოს მიერ საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან.

2. გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის. ეს ხარჯებია:

ა) დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი;

ბ) ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება;

გ) მიკრობიზნესის სტატუსის მქონე კომპანიიდან შეძენილი საქონელი/მომსახურება;

დ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისაგან საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი;

ე) ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის (24%) ფარგლების ზემოთ სესხისათვის გადახდილი პროცენტი;

ვ) სპეციალური სავაჭრო კომპანიისაგან უცხოური საქონლის შესაძენად ამ საქონლის საბაჟო ღირებულებაზე მეტი ოდენობით გაწეული ხარჯი;

ზ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (ოფშორი) რეგისტრირებული პირის, და მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შესაძენად განხორციელებული გადახდა; სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი პირგასამტეხლო ან/და სხვა ჯარიმა, ავანსის გადახდა, სესხის გაცემა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შესაძენად განხორციელებული გადახდა;

თ) გაცემული სესხები ფიზიკურ პირებზე, არარეზიდენტებზე, ოფშორულ არარეზიდენტებსა და მოგების გადასახადისგან განთავისუფლებულ პირებზე;

ი) ზარალი, რომელიც წარმოშობილია შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის მოთხოვნის უფლების გადაცემით ან მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმით;

კ) არარეზიდენტის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა;

ლ) არარეზიდენტის და მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა;

3. უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;

მათ შორის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან/და ძირითადი საშუალების დანაკლისი;

4. საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით დაიბეგრება შემოსავლის 1%-ზე მეტი წარმოადგენლობითი ხარჯი, ან კომპანია თუ ზარალზეა, მაშინ გადასახადის გადამხდელის ხარჯების 1%-ზე მეტად გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი [3. გვ. 20-89].

გარდა, აღნიშნულისა, არის შემთხვევები, რაც გათანაბრებულია დივიდენდის განაწილებასთან. რეფორმის შედეგად არ იცვლება გადასახადის განაკვეთი და კვლავ 15% რჩება.

რეფორმის შედეგად იცვლება დასაბეგრი ოპერაციის საფუძველზე გამოსაანგარიშებელი მოგების გადასახადი შემდეგი წესით:

ცვლილებით განსაზღვრული 4 ტიპის დაბეგვრის ობიექტი, ხოლო თუ განსაზღვრულია დასაბეგრი ობიექტის საბაზრო ფასი, ამ შემთხვევაში საბაზრო

ფასი გაყოფილია 85/-ზე (ე.წ „აგროსვა“) და გამრავლებულია 15% - ზე. მაგალითად, კომპანიას აქვს 100 ლარი გართობის ხარჯი, რომელიც დაკავშირებული არ არის კომპანიის საქმიანობასთან, ამ შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადი შეადგენს 17,64 ლარს ((100/0, 85)*15 %).

რეფორმის სიახლეს წარმოადგენს მოგების გადასახადის ჩათვლის შემოღება ცალკეულ ოპერაციაზე. გამომდინარე იქედან, რომ 2017 წელს კომპანიებს შეიძლება გადაჰყვეთ ბალანსზე გაუცემელი დივიდენდები, კანონმდებელმა გაითვალისწინა აღნიშნული და სპეციალური ფორმულის საფუძველზე შესაძლებელია, 2008 წლიდან 2017 წლამდე მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას, ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხის ჩათვლა.

მსგავსად დამატებული ღირებულების გადასახადის მოდელისა, ცვლილებით, შესაძლებელია ჩათვლის გაკეთება უცხოეთში გადახდილ გადასახადზე და - წყაროსთან დაკავებულ ან გადახდილ გადასახადის თანხის. ასევე შესაძლებელია მოგების გადასახადის თანხის შემცირება ჩათვლის გაკეთება შემდეგ სამ შემთხვევაში:

1. შეძენილი სასესხო ფასიანი ქაღალდის, კაპიტალში მონაწილეობის უფლების (აქციის/წილის) ან მოთხოვნის მიწოდების შედეგად საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებული თანხა (ფაქტობრივად მიღებული თანხა);

2. გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის დაბრუნებული თანხა ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციო თანხა საანგარიშო პერიოდში;

3. სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფის გაუქმებისას, შესაბამის საანგარიშო პერიოდში სესხის ძირითადი თანხა.

აღნიშნული შემცირებების გამოყენება ხდება იგივე მოდელით: შესამცირებელი თანხა/0,85*15 %.

დასკვნა

მოგების გადასახადი რეფორმამდელ პერიოდში წარმოადგენდა ერთ-ერთ რთულ გადასახადს, რომლის ადმინისტრირებისთვისაც შექმნილი იყო სპეციალური სიტუაციური სახელმძღვანელოები (ე.წ მანუალები), რეფორმის ძალაში შესვლასთან ერთად აუცილებელია შესაბამისი ცვლილების შეტანა აღნიშნული მიმართულებით.

ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლებელია რეფორმამ გამოიწვიოს საგადასახადო ტვირთის გაზრდა გადასახადის გადამხდელთა გარკვეული წრისათვის, მაგალითად, ვისაც საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარჩა გამოუყენებელი ზარალი, რაც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციის

94-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც საგადასახადო ცვლილება არ უნდა ზრდიდეს გადამხდელის საგადასახადო ტვირთს. აღნიშნულიდან გამომდინარე იმ გადამხდელებს, რომლებმაც არ აირჩიეს 100%-იანი ძირითადი საშუალებების გამოქვითვის უფლება ან დაჩქარებული ცვეთის მოდელი, ეკარგებათ აკუმულირებული ამორტიზაცია, რომელიც უმცირებდათ მათ გადასახდელ თანხებს, ან საქმიანობა რომელიც ახალი რეჟიმით დაბეგვრადი გახდა ან შეღავათი აღარ ვრცელდება ასეთ ეკონომიკურ საქმიანობაზე [2. გვ. 17-18].

გადასახადის გადამხდელები არ არიან მიჩვეულები მოგების გადასახადის ყოველთვიურ დეკლარირებას, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან ყურადღებას, რომ თავი აარიდონ შეცდომებს, შესაბამისად - საგადასახადო ჯარიმებს. მეორე მხრივ, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საბუთების შეგროვება ბიზენსისთვის სირთულეს წარმოადგენს, იმის გათვალისწინებით, რომ თვის 30 რიცხვში განხორციელებულ ოპერაციაზე შეიძლება ვერ გქონდეს დეკლარირების სავალდებულო პერიოდში, მომავალი თვის 15 რიცხვამდე შესაბამისი საბუთი აღნიშნული არ უნდა განიხილებოდეს დასაბეგრ ოპერაციად, რასაც დეკლარირების ინტენსივობის შეცვლა ხელს შეუწყობს და იმავდროულად დაუზოგავს დროს ფინანსისტებს დეკლარირებისთვის, თავის მხრივ, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსში საქართველო არ დაზარალდება, შესაბამისად კანონმდებლებმა უნდა იფიქრონ მოგების საგადასახადო დეკლარირების თვიურიდან კვარტალურ ან წელიწადში ორჯერ დეკლარირებაზე გადასვლაზე, რაც შეამცირებს და გააადვილებს დეკლარირებას და ადმინისტრირებასაც, ამასთან, ფისკალურად ის შეიძლება ბიუჯეტისთვის უფრო მომგებიანი იყოს, რადგან საგადასახადო დეკლარაციების დაზუსტების შიში გადამხდელებს აქვთ, გამომდინარე საგადასახადო რისკების მატებისა.

რეფორმის შედეგად მიკრობიზნესი, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელები და მთის კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმოები შედარებით მეორეხარისხოვან ბიზნესსუბიექტებად შეიძლება ჩაითვალონ, რადგან, მათთან ბიზნესგარიგებების დროს მოგებით დასაბეგრი ოპერაცია ჩნდება. ამასთან, მცირე ბიზნესის წილი, მთლიან ეკონომიკასა და დასაქმებაში, გვაფიქრებინებს, რომ საგადასახადო შეღავათები მცირე ბიზნესის განვითარებას ყველაზე მეტად ჭირდება, კითხვის ნიშანს აჩენს მთის კანონით განასაზღვრული ბიზნესშეღავათების არსებობა.

შესადგენია მოგებისა და საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლებულ პირთა რეესტრზე ღია წვდომა, რათა ბიზნესისთვის ცნობილი იყოს იმ პირთა სტატუსი, ვისთანაც ბიზნესურთიერთობის შედეგად გაუზრდის საგადასახადო ვალდებულებებს.

რეფორმის შედეგად, ურთერთდამოკიდებულ პირებს შორის გარიგებები და ოფშორებში არსებული გარიგებების საბაზრო ფასით შეფასების აუცილებლობა, აძვირებს გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებების შესრუ-

ლების და საგადასახადო ადმინისტრირების ხარჯებს. ამასთან, სატრანსფერო ფასწარმოქმნების დაკვნების შედგენა, საქართველოში აუდიტორული კომპანიების მიერ ცოდნატევადი, ინოვაციური და ძვირია.

რეფორმის შედეგად გაიზარდა ფინანსურ სტანდარტებზე ცოდნის მოთხოვნა, რაც პრობლემებს შეუქმნის ბიზენსს, ბიზნესგანათლების არსებული დონიდან გამომდინარე.

ფულის დროითი ღირებულებიდან გამომდინარე, ავანსების დღგ-ით დაბეგვრა, რაც ესტონური მოდელის ამოქმედებასთან ერთად შეიცვალა, გადამხდელებს უძვირებს ფულს დროში, მიუხედავად იმისა, რომ ავანსის დადასტურება მომავალში ჩათვლის მიღების უფლებას უტოვებს.

რეფორმა, როგორც აღინიშნა, სხვა თანაბარ პირობებში, გამოიწვევს ეკონომიკურ ზრდას, თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ მთავრობამ გადაწყვიტა საბიუჯეტო დანახარჯები არ შეამციროს და პირიქით, აქციზის გადასახადის ზრდით და ვალის აღებით აპირებს საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვას, სავარაუდოა რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი არ გაიზრდება, გამომდინარე იქედან, რომ მთავრობის ზომა მშპ-სთან მიმართებით, რაც ესტონურ საგადასახადო რეჟიმს უნდა გამოეწვია, არ მცირდება. ამასთან, აქციზის ზრდა მომხარებას (C) ამცირებს, რაც მშპ-ის ზრდის ტემპზე უარყოფითად მოქმედებს.

ამრიგად, მთავრობის მნიშვნელოვან საგადასახადო რეფორმას უნდა მოჰყოლოდა საბიუჯეტო რეფორმა მთავრობის ზომის მშპ-სთან ცვლილების თაობაზე, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, ეკონომიკურ ზრდას დააჩქარებდა, რადგან საგადასახადო და საბიუჯეტო სფერო ერთი მთლიანის, - ფისკალური პოლიტიკის ნაწილებია. თუმცა, რეფორმა საბიუჯეტო მიმართულებით არ განხორციელებულა, რაც ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად აისახება.

ლიტერატურა:

1. ბერიძე გ., მთავრობის ზომის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, ჟურნ. „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, თბილისი, 2016, ტომი 4, 2, გვ. 39-49.
2. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1995.
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი, 2017.
4. Gvenetadze D., Chelidze Z., Chokheli N., Regulatury Impact Assesment on Estonian CIT Model Implimentation in Georgia, Tbilisi, 2016.
5. ესტონეთის საგადასახდო კოდექსი, ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.emta.ee/eng
6. www.mof.ge

Tax Reforms (Estonian Model) Impact on Economic Growth in Georgia

Gia Beridze
Doctoral student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
loroseri@gmail.com

This article analyzes Georgia's fiscal reform - Estonian corporate income tax model. It describes the features of the Estonian model; on the example of Estonian experience, explains expected economic and fiscal consequences of the reform, also, concentrates on the advantages and disadvantages of the model, including possible problematic issues. Finally, it gives the recommendations for further development of tax code of Georgia.

At the end of the analysis the article concludes, that the reform might not have that high impact on the economic growth as the Georgian government expects it to have.

Keywords: Estonian tax model; tax reforms in Georgia; economic growth in Georgia; Estonian corporate income tax model in Georgia

JEL Codes: H20, H24, O40, O41

ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1, გვ. 162-176
ECONOMICS AND BUSINESS, 2017, 1, pp. 162-176

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

The conference – "Challenges of Globalization in Economics and Business," Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business, Tbilisi, 2016, November 11-12

Teimuraz Beridze
Professor, Doctor of Economics
Dean of the Faculty of Economics and Business

More recently the Faculty of Economics and Business, Ivane Javakhishvili Tbilisi State University conducted the International Scientific Conference – "Globalization: Challenges in Economics and Business."

There was quite a wide circle of issues discussed: ranging from theoretical aspects of globalization to the risks associated with it. The circle of the conference participants was quite impressive - Germany, Poland, Russia, the Baltic States, Romania, Ukraine, Georgia.

The term "globalization" is relatively new in scientific literature, however, as a phenomenon, it existed almost all over the period of the XX century. Globalization is characterized by a range of spectra (layers) - Globalization in politics, economy, social sphere and the other, but, globalization in economy and education (development of foreign trade among countries, creation of the World Trade Organization, introduction of new technologies, transition of education to universal standards) has fundamentally changed the face of the world and its dynamics.

The globalization phenomenon has supporters and opponents: proponents believe that this process is objective and inevitable, because nothing can resist the technical progress and economic development, and critics believe that as a result of globalization rich countries become richer, and for developing countries, poverty remains as a acute problem.

The question is: Where is the solution? As always, the truth is in the middle (aurea mediocritas - the golden mean) - The governments of the countries with economies in transition should pursue such policies (economic), which will allow the country (population) to find its place in the rich mosaic of the world economy.

* * *

The International Scientific Conference was attended by up to 130 Georgian and foreign scientists- economists, including representatives of various countries and universities (Germany, Czech Republic, Poland, Latvia, Russia, Ukraine, Romania and other countries). 7 sections worked at the conference:

Section I - Theoretical Economics, Macroeconomics, Econometrics;

Section II - Microeconomics, Regional Economy;

Section III - Economic and Social Statistics;

Section IV - International Economics, Economic History, Economic Policy;

Section V - International Business, Management, Marketing, Economic Informatics;

Section VI - Finance, Banking, Accounting and Auditing;

Section VII - Tourism and non-production sphere.

The conference participants presented the results of scientific research; there was also an intensive exchange of views and experiences of scientists.

The plenary session was opened by the Dean of the Faculty of Business and Economics, Professor Teimuraz Beridze, who noted that "Georgia with its economic potential, territory is a small country, so the policy should be carried out in such a way that will allow Georgia to find its own place in the global economic scales, which is not so simple."

Welcome speeches were made by the mayor of Tbilisi, Professor David Narmania, Academicians Vladimir Papava and Avtandil Silagadze and others.

At the conference plenary session Academician Vladimir Papava presented an interesting report: "Precondition of retro-economics – necro-economic globalization," where the professor acquainted listeners with the new vision about necro-economics. The plenary session was addressed by: the Vice-President of the International Academy of Business and Economics (IABE), Professor Marius Gavriletea (theme: "Aviation risks and terrorism"), Elguja Mekvabishvili, Professor of TSU (theme: "Economic content of modernized authoritarianism: Georgia's experience"), Igor Arefiev, Professor of the Naval Academy of Poland (theme: "Predictions and assessment methods of transport enterprises' financial stability in the conditions of risks"), Nugzar Todua, Professor of TSU (theme: The influence of globalization on the security of Georgia's consumer market") and Matthias Vogt, Professor of Zittau-Görlitz University of Applied Sciences (theme: when did globalization begin?").

The speakers discussed the current economic issues, global economic challenges, including the economic role of Georgia in the world, the main trends of economic development. The conference included virtually all the issues which are important for the economy in the last period.

After the plenary session, conference participants continued their work in sections, where they presented interesting papers.

Section I
Theoretical Economics, Macroeconomics, Econometrics
Section chair: Professor Elguja Mekvabishvili

In the first section the papers were presented from theoretical economics, microeconomics and econometrics.

Academician V. Papava's report was devoted to the extremely interesting and new problem of economic theory – the role of retro-economics in the globalization of necro-economics. The speaker gave a reasoned explanation of what is the reason for using mostly outdated technologies mainly in many poor countries' economies which is why all these countries have retro-economy. The zombification process of economy impedes its technological modernization and the state's role is extremely important in overcoming technological backwardness.

Professor Yuri Ananiashvili discussed the LKS model of macroeconomic equilibrium based on Laffer-Keynesian synthesis, in which the joint demand and supply functions include the price level and the average tax rate explanatory variables. This approach within one general model allows the calculation of two particular LKSP and LKST versions. The presenter described the features of both models and showed that in the conditions of Laffer-Keynesian synthesis there is some correlation between the price level and the tax level.

Elguja Mekvabishvili in his report analyzed the realized and ongoing modernization stages and forms in the world. Special attention was paid to the models of economic modernization, political component of economic modernization, in particular, the phenomenon of authoritarian modernism. In Georgia, on the basis of the analyses of nine-year experience of the government of "Rose Revolution" there was made a conclusion that it was the Georgian version of authoritarian modernism (model). It was shown the contradictory nature of the latter, objective and subjective reasons for its failure.

Professor George Bedianashvili spoke about culture in the context of globalization, as the country's socio-economic development and business factor. The main attention was devoted to the system-conceptual model of culture. Using Hofstede's quantitative characteristics of culture, he showed the ratio of theses indicators for Georgia with the analogous indicators of different countries. The speaker formulated the transformation directions of Georgia's cultural values in the long run.

Professor Revaz Gvelesiani's report was devoted to the important theoretical and methodological problem – the formation of specific framework conditions of economic order which was discussed in terms of the formation of macro-economic conditions of investment - (tax and spending policies, tariff agreement, fixation of salaries and salary structures by partners, monetary policy, interest rates and so on).

Professor T. Verulava considered human health as an important factor for economic growth; he stressed the successes achieved in the last 25 years in Georgia's health care system and also discussed about some of the problems. The speaker considered it expedient to support the development of the primary system, to follow the recommendation of the World Health Organization in reference to the state health care costs.

Doctor Marina Tabatadze's report was devoted to the issues of state political strategy in the conditions of economic instability. He considered the state's economic functions in the period of unstable development, government strategies of crisis prevention, economic mechanisms for functioning of the state management system, the role of society in the process of development and its transformation in the conditions of economic liberalization.

Dzotsenidze, Doctor of Economics, talked about the role of public goods in the collective decision-making process and about various aspects of the state's economic policy in regard to public goods.

Nino Zurashvili, doctoral student of TSU, made presentation about the analysis of real estate in Tbilisi.

The foreign guest professor Lev Jakobson in his report touched on the assessment of experts' role in the Russian Federation in establishing economic policy. The speaker stressed that the technocratic approach to the problem prevails currently, which in his opinion, is inconsistent and irrational decision-making risk. The foreign participant of the conference - Professor Natalia Makasheva discussed the problem existing on the boundaries of philosophical, theoretical economics and economic history – famous Russian economist's, Tugan-Baranovsky's efforts to combine the rational vision and Kantian imperative, through which it sought to create ethical grounds of political economy.

Section II
Microeconomics, Regional Economy
Section Chair: Professor broadcast Kharaishvili

The section included 10 presentations and 13 speakers. The reports referred to several topical issues: 1. competitiveness and competition, the role of clusters

in the increase of competitiveness; 2. Economic and financial challenges of the development of agribusiness in the conditions of globalization; 3. Globalization and regional economic problems.

Participants of the section were mainly from the Faculty of Economics and Business, TSU, professors from the Departments of Microeconomics, Marketing, Management, Economic Policy, Finances and Banking; there were also invited guests from the Aviation Institute of Georgia. The articles presented at the session involved quite diverse issues and problems. The section was represented by the following reports: Intellectual property in Georgia (Damenia N.), Social Entrepreneurship in Georgia: Problems and Prospects (Erkomaishvili G., Paresashvili N.), Family Farm's Contemporary Practice in the EU countries and Its implications for Georgia (Natsvlishvili I.), The Current State of Agro-Food Market in the World and in Georgia (Okruashvili N., Seturi M.), Clusters Role and Importance in the Increase of Company's Competitiveness (Samchkuashvili N.), Concessions in the Transport Sector (Sukhitashvili I., Imedashvili G.), The Main Trends in Agribusiness Operation and the Financial System in Georgia (Lutidze T.), The Potential of Farming Scales Growth in Georgia (Chavleishvili M.), Stimulation Programs for the Export of the Georgia Agriculture Products and their Effectiveness (Kharaishvili E., Saghareishvili N.).

At present, the great importance is attached to the provision of population with adequate quantity and quality of agricultural products. In the conditions of globalization the changes taking place in the world's agricultural market have direct reflection on individual countries, including Georgia's local market situation. has direct consequences for the world agricultural market changes. Globalization is the most important feature, which is directly linked to the planet's survival imperative – the necessity for provision of people with food. The researchers assessed a variety of problems in this regard. Special attention was paid to the role of international trade in developing countries. In this respect, the two alternative strategies were discussed: 1. stimulation of exports; 2. Import replacement. They also evaluated the replacement policy of agricultural products import with the increase of local production and made conclusions about the formation of positive trade balance on the basis of the increase of local production and stimulation of export. Based on local as well as foreign countries experience there were presented interesting visions about optimal scales of farming and advantages of small and large-sized farming.

Scientists shifted their focused to the cluster strategy with respect to the regional development and assessed it as a necessary methodological tool in the regional development planning process. The analysis of the existing situation of social entrepreneurship in Georgia and factors hindering its development represented

the novelty. There was proposed the idea about the creation of social agricultural cooperative.

In the conditions of globalization it became clearly necessary for state objects commercialization to attract investments. For solving the noted problem, in many cases, governments used the concession agreement instead of privatization. The speakers presented the noted topical issue in the example of transport facilities, evaluated the positive and negative sides of the concession in detail.

On the basis of the reports the section formulated two types of recommendations: 1. for governmental bodies and 2. for private sector.

In general, the conference, especially the sections of "microeconomics, regional economy worked fruitfully. In addition to the urgent problems which researchers shared with each other and offered recommendations for their solution, there were interesting meetings with foreign scholars. In particular, I want to mention the meeting with the professors from Brno University, the Czech Republic: Iveta Simerova (Deputy Dean in International Relations), Aliona Kosmanova (Deputy Dean in Scientific Field) and Petr Nemecek; this meeting was held at the Department of Microeconomics. During the business meetings with them both sides noted that it was necessary to find ways for cooperation with universities of Brno and European countries in scientific programs as well as in expansion of students exchange programs with the goal of improving *teaching quality.*

Section III
Economic and Social Statistics
Section Chair: Professor Simon Gelashvili

11 papers were submitted to the section; out of them 7 speakers made their presentations. These are: Globalization from the Statistical Point of View (Mindorashvili M.); The Main Directions for the Perfection of the Criminal Statistics Methodology in Georgia (Abesadze N., Mchedlishvili L.); Japan's Contributions to the Global Environment Statistics (Gelashvili S.); The Russian Market Prospects and Trends for Georgia after the embargo (Marshava K., Dzebisauri L.); Pre-school Education – the Zero Level of the International Standard Classification of Education (Charekishvili L.); Social Media – A Reliable Indicator of Prediction? (Gigineishvili N.); Information Sources of Migration and Migration Indicators (Kinkladze R., Kurashvili G.).

The presentations made at the section aroused a great interest of the conference attendees because each of them included both theoretical and applied innovations. Particularly interest was aroused by the following reports: "**Globalization from the Statistical Point of View,"** which emphasized the positive aspects of globalization

and at the same time the hidden risks, particularly in economy. Because of this, official statistics is forced to revise the existing systems of national accounts, data collection and compilation for measuring domestic economy. Also, interesting was the report "**Japan's Contribution to the Global Statistical Environment,"** in which there was presented the role of the Statistical Institute for Asia and the Pacific - the United Nations only international institution established in Japan, in qualification elevation of statisticians in different countries. The noted institute makes a great contribution to the development of the theory and practice of statistics worldwide. The report: **"Social Media – A Reliable Indicator of Prediction?"** aroused a broad discussion. The speaker stressed the importance of digital media in the modern process of globalization, which has become one of the leaders in the industry. An interesting example was given of the activity of political parties in the virtual space. Also, there was an interesting and broad discussion about the report: **"The Main Directions for the Perfection of the Criminal Statistics Methodology in Georgia."** It discussed the indicators system of the statistics of criminal cases according to the first instance courts and the issues of the perfection of legal statistics considering the recommendation of The European Commission for the Efficiency of Justice (***CEPEJ***).

On the basis of the reports presented at the section there were made theoretical-methodological and specific practical recommendations, which were submitted to the Organizing Committee.

Section IV
International Economics, Economic History, Economic Policy
Section Chair: Academician Avtandil Silagadze

The international scientific conference which was conducted on the initiative of the Faculty of Economics and Business was well organized. The conference was focused on the most relevant problem – strengthening of economic researches in the light of globalization. Interesting research results were presented at the conference by Georgian and foreign scientists, and promising young researchers. Preliminary publication of reports made the conference more attractive.

Section IV included the following reports of the scholars and economists: "Social and Economic Aspects of the Georgia-EU Relations (N. Akhvlediani); Liberalization and Integration of Georgia's Foreign Economic Activities As the Key to the Country's Economic Development" (Kh. Berishvili); "Euro-Atlantic Values" (Sh. Veshapidze, M. Darbaidze, T. Beridze); "Free Industrial Zones in Georgia and International Experience" (G. Menapire); "The Impact of FDI on Economic Growth (Case of Georgia)" (D. Sikharulidze); "Historical Aspects of European Integration" (R. Putkaradze); "The Analysis of Georgia's Foreign Economic Activities in 2015:

Opportunities and Challenges" (G. Gaganidze), "The Problem of Georgia's Export Competitiveness in the Conditions of Globalization" (L. Korganashvili); "Transnational Corporations and Technologies International Transfer" (Sh. Shaburishvili); "Global Competition and Successful Strategy" (E. Julakidze) and others.

According to the views expressed in the reports: in globalized economy, the priority should be given to the liberal approaches, in some cases, it is necessary to use a protection policy; European integration is a priority for Georgia; studies of the Euro-Atlantic values should be deepened; The government needs to encourage the production of export products, as well as the attraction of foreign investment. To this end, to our country it will be useful to put "free economic zones" into operation swiftly; complete analysis of Georgia's foreign economic activities is always valuable, and so forth.

The process of plenary and sectional works showed the Conference productivity. Interesting recommendations were formulated in summarizing the results; specifically, the Georgian government should develop a concrete plan of measures (by years) stating the date and level when Georgia's indicators of economic development approximate to the "average European economic integration indicators," which provides the country's membership in the European Union.

Section V
International Business, Management, Marketing, Economic Informatics
Section Chair: Professor Nugzar Todua

The section included 22 presentations: The Essence of the Project of Economic Production (Lean production) and Its Impact on the Increase of Company Competitiveness (Dudauri T.); National Identity and Country's Branding in the Global System (Tandilashvili A.); The Main Aspects of the Formation of Legal Environment at the Georgian Food Market (Todua N., Mgebrishvili B., Urotadze E.); Virtual/ Cryptographic Currency Bitcoin and Prospects for Its Introduction in Georgia (Kalandadze L.); Anti-crisis PR (Kobalava M.); Importance of Emotional Intelligence in the Achievement of Success (Maisuradze T.); The System of State Support in Small and Medium-sized Businesses (Maisuradze R.,); Optimization and Perfection of Information Streams in Organization in the Case of the "Georgian State Electric System" (Machitidze M., Davitaia Sh.); Stimulation of Constructive Behavior in Conflict Situations (Nikvashvili M.); The Effects of Foreign Direct Investment in the economy of the host country (the case of construction business in the Autonomous Republic of Ajara) ((Zhorzholiani T.); The Global Tendency of Business Virtualization and Related Organizational Problems (Ramishvili B.); Multi-Vector – The Catalyst of Georgia's Economic Growth (Samadashvili U.); Increase of Effectiveness of Customs

Through the Automated System of Risk Management (Seturidze R.); The Essence of Virtualization Technology, Features and Prospects of Use in Georgia (Sichinava D., Gognadze T.); Natural Resources – A Contributing Factor in the Formation of Business Technological Environment (Kadagishvili L); Management Quality and Its Impact on the Public Sector (Keshelashvili G.); Strategy for Georgia's Innovative Development (Kutateladze R., Kutateladze K.); Culture as a "Perception of Knowledge" and Its Impact on International Business (Shengelia T.); From Self-management Theory To Practice: The Principles of Career Planning and Creation (Shikhashvili G.); Social and Ethical Aspects of Marketing (conceptual overview) (Jashi Ch., Jangulashvili T.); Master Students Self-management Peculiarities in Georgia (Kharadze N., Gulua E.); Importance of the Development of Emotional Intelligence in Business (Kharkheli M., Morchiladze G.).

The works discuss the factors influencing the development of business in Georgia in the conditions of globalization; analyze those major trends that are characteristic of Georgian companies involved in the process of internationalization. Based on the generalization of the key findings given in the works it can be formulated the following important conclusions:

There are shown opportunities for introduction of the concept of economic production and undue cost-cutting in the Georgian companies which ensure global competitiveness. Special attention is paid to the formation of the country's image in the global environment, characteristics of the influence of positive image on identification features and competitive advantages. In the context of association with the EU the most important factor is considered the introduction of European standards in the sphere of food market regulation. Therefore, the food business is described in relation to the process of legal acts creation and activation. From this point of view, the emphasis is shifted to the issues of labeling and consumers' provision with information. Noteworthy is the fact that Bitcoin-technologies in Georgia are at an early stage of development. However, the trend of globalization and Internet-sales are expected to bring Bitcoin's rapid spread in Georgia. Accordingly, the use of a Bitcoin business will become increasingly significant.

There are presented the management mechanisms for the formulation of anti-crisis strategy, as well as the main criteria that determine the quality of employees' work, team spirit, flexibility and other qualities with which their employment for the organization will be fruitful. There is assessed the current state of small and medium entrepreneurship as well as the international experience in support of small and medium business and programs and projects implemented in Georgia. There is formulated the communication role in the development of organization, communication flows and proposed the necessary technology for their optimization.

In the context of virtualization there is discussed the role of human factor in organizations. Special emphasis is shifted to those important directions of practical self-management such as the issues of career planning and creation.

The prerequisite for business development in a country is foreign direct investment inflows. With this in mind, there is discussed the impact of foreign direct investment on Georgia's economic growth and the problems relating to foreign direct investment inflow. There is grounded the objective necessity for acceleration of economic growth in order to emerge from poor conditions existing in the Georgian economy. The main direction of Georgia's economic development is considered an effective implementation of the commitments within the agreement with the European Union and activities at the diversified international market. On the basis of the analysis and generalization of existing theoretical approaches about the impact of cultural relations on international business there is given a reasoned argument for the necessity of transition from the static measurement of culture to the dynamic construction - "perception of knowledge" reflecting the reality.

There are formulated the virtualization aspects of software and hardware components of the information systems, their main advantages and disadvantages, there is justified the prospects of the implementation of virtualization in the sphere of Georgia's education. There is shown the role of the automated system of risks management in the perfection of customs management system. Various meetings held between Georgia and the EU member states will help to improve the sharing of experience of foreign countries, which will guarantee the customs management efficiency.

There are analyzed the issues of the system for public sector reformation and effective public management. There is studied the role of Georgia's natural resources in the formation of business technological environment. There is given a conceptual overview of the issues about the social marketing, corporate social marketing and corporate social responsibility and the importance of their practical implementation.

There are established the basic trends and problematic issues which exist with regard to the use of budget. There are studied the main challenges and formulated recommendations in order to get a full-bodied work force for the country. It is also shown the importance of the development of emotional intelligence as managers, as well as their subordinate staff.

Practical implementation of the findings and recommendations will help to increase the competitiveness of local firms and their active involvement in the process of internationalization, which will ensure the success of Georgian business.

Section VI
Finances, Banking, Accounting and Auditing
Section Chair: Associate Professor Mikheil Chikviladze

The section included 25 presentations. Twenty presenters (among them 4 professors, 14 associate professors, 2 doctoral students) participated in the section work (reports, discussions). Regarding the topics presented at the section it should be noted that broad and interesting discussions were held in between reports. In working of the section it became clear that this conference is not only of theoretical nature, but also has considered the ways of solving many pressing practical problems in our country and relevant ministries and agencies should react to them in a timely manner; specifically, Professor Akaki Gabelaia, Doctor of Physical and Mathematical Sciences, presented a very important study at the section. The study refers to the forecasting problem of Georgia's consolidated budget revenue. He carried out the analysis of the dynamics of the own revenue of Georgia's consolidated budget for 2002-2015 years; there are obtained respective base models and through these models there are found the forecast estimation of the main indicators for 2016-2018 years. Based on the study there is assessed the impact of the introduction of the so-called Estonian model on the noted indicators. There are made forecast evaluations of the incomes to be received from the consolidated budget's total (own) revenue and the profit tax; I think that submission of this material in full form to the Ministry of Finance will yield a proper result. The Department of Accounting and Auditing, Faculty of Economics and Business, TSU, actively participated in the section work. The attention was paid to the solution of painful issues (in the presented theme "new model of revenue recognition - the price form 15-proceeds contracts"); namely, Associate Professor Nadezhda Kvatashidze and the senior lecturer of the same department Zeinab Gogrichiani in their report stressed the issue of "the price from 15 proceeds contract," which was jointly developed by the International Financial Reporting Council and the US Financial Accounting Standards Board. The standard will come into force from 2017 and will replace the International Accounting Standards (IAS). The new standard will replace many of the methods and timing of the recognition of many spheres' revenues, particularly in the construction, telecommunications (mobile networks, cable) licensing (media sector, science, franchising), a lot of property, software and so forth. They expressed concern that the standards and the tax code are not in compliance with each other and the main part of entrepreneurs has a complete misunderstanding, since, to date there is not a clear and legal vision of how to direct a report. The section considered that it was expedient to promptly notify the Ministry of Finance about the immediate solution of this problem in order to make an appropriate decision on preventing this

misunderstanding, no later than 2017.

Associate Professor Murad Narsia's report – Auditing, New Challenges in the Field of Public Procurements" aroused a very broad discussion at the section. As the speaker noted, the law adopted by the Georgian government in 2012 on "Accounting and Audit of Financial Statement," has led businessmen and auditors to a dead end with respect to accounting. Therefore, the section concluded that the accounting, reporting audit oversight authority, which was created by the noted law, along with the State Procurement Agency, professional organizations, should take appropriate and decisive measures with the goal that the state procurement organizations as well as auditors will not allow breaches and violation because of imperfect legislative acts. The relevant normative act requires immediate improvement.

Doctoral student of the Department of Banking, the Faculty of Economics and Business, TSU, Levan Kalandadze in his report: "Virtual Cryptographic Currency Bitcoin and Prospects for Its Introduction in Georgia" presented interesting recommendation and suggestions. The appearance of Cryptographic currency Bitcoin and the growth of its popularization set the central banks new objectives. At the section the noted issue became the subject to wide discussion.

At the section a great attention was paid to the report on the topic – "The Study of Competition in the Banking Sector Through the Indirect Method," presented by Lasha Beridze, doctoral student of Shota Rustaveli Batumi State University. The calculations of the shares of the largest commercial banks and scientific conclusions have occupied a significant part in this report. The noted study is so important that it will be of great help to the "Bank Republic," "TBC Bank," "Bank of Georgia," Liberty Bank and other banks' respective services to solve specific problems.

Section VII
Tourism and non-production sphere
Section Chair: Professor Joseph Khelashvili

The section included 22 reports presented by the Georgian, German, Polish and Lithuanian scientists.

Of the presentations special attention was paid to the report on the topic: The Added Value of Exports in Central and Eastern European countries," presented by the Polish scientist Ambroziak Lukasz.

In the conditions of globalization, the geography of international division expands rapidly. As a result, the number of those products and services grows, which are produced in a number of involved countries. Moreover, the same country may take part at the various stages of the process.

In such circumstances, it becomes difficult to determine the export's value-added sources through traditional statistical methods in the countries participating

in the production. The author made the adaptation of the "consumption-production" model to the noted process in order to determine the value-added exports. The method has been tested on the example of Eastern and Central European region.

The study found that as a result of the noted region's integration into the European economy in the of 1995-2011 years, the member country's export revenues increased significantly and this increase was mainly due to the increase in value-added products and services that were imported in the region from other countries.

Georgia, which is on its way to European integration, the study of the noted issue is undoubtedly important. It is particularly important with respect to the tourism industry where the share of this field in the country's total exports exceeds of 36%. Besides, there is not determined the role of foreign companies products and services in the export of tourist services. As the development of tourism is recognized as the country's economic policy priorities, the importance of the noted issue will increase in the future.

Nana Katsitadze's (Associated Professor of the Faculty of Economics and Business) report on the "Prospects for the MICE Tourism Development in Georgia" is also noteworthy. This type of tourism, which includes trips to the business and cultural events with the aim of attending and participating in them, represents a priority for the development of this sector in the face of globalization, and especially considering the processes of Georgia's integration into Europe. The author noted the expected results of the MICE tourism development in Georgia: Intensification of trade and economic relations, distribution of education and professional development, development of high level infrastructure for tourism, balancing of the seasonality problems in the tourism industry, the revenue growth and the sustainable development of tourism, which at the current stage is being introduced as the international standard all over the world. The information collected and analyzed by the author convincingly proves the necessity of development of this industry and creating the preconditions for further research, which can be described as one of the most urgent and important directions for scientific study of the country.

In the work of the tourism section it should also be noted the report Revaz Getsadze, doctoral student of the faculty of Economics and Busines, on the topic of the country's so called sovereign ratings. The growth of tourism industry is essentially related to foreign investment, and the investment cost - to the country's sovereign rating. The speaker considered the world's three leading rating companies methods: (Standard & Poor's, Fitch Ratings and Moody's), with regard to the 10 countries (Austria, Belgium, Finland, France, Greece, Ireland, Italy, the Netherlands, Portugal and Spain), as well as the ratings variability in crisis and post-crisis periods. As a

result of the conducted research, the author expressed his opinion on the genesis of ratings changes and the major factors. Concerning the further growth plans of tourism industry, the study of these aspects with respect to hotel investment is of particular importance.

The section included other interesting and important topics that are related to the improvement of the regulation of tourism, the country's urban and rural regions comprehensive development according to the Latvian model and other issues.

In discussions with foreign guests Professor Joseph Khelashvili reviewed the issue of setting up a real estate investment trust, underlined the specifics of the noted trust and importance of its development in Georgia. In regard to the specification it was said, that this trust is intended for mobilization of small savings existing in the country in the large-scale investment projects of real estate. In Georgia, where more than 95% of the bank deposits are less than 5000 Lari, each of such savings can not be used as a resource for investment. In addition, mobilization of these deposits in the Foundation of tens of millions Lari will enable them to become co-investor of real estate and likely to get more benefits from these funds than taking them from passive deposits. It was noted that a high likelihood of getting benefits is conditioned by the relatively high liquidity of real estate and obligation of the noted status trusts to distribute 90% of profits in the form of dividends. Objects for investment may be hotels, hospitals, warehouses, large shopping centers, residential and office buildings. Moreover, such trusts in the UK should have at least three real estates and the value of each of them should not exceed 40% of the value of the total package. This approach reduces the risk of investments through their diversification.

Three additional circumstances were stressed in respect to the credibility of getting revenues. First, stable functioning of the hotel facilities will be contributed by the boom in the tourism industry in Georgia, with particular attention paid from the government too. Second, considering the broad involvement of people in such funds, employers of office buildings could become state institutions, which will guarantee a stable income. Finally, according to the practice in Western countries, the noted trusts incomes are exempt from profit tax. This increases the amount of the dividends, which is the subject to taxation.

The discussed trust revenues are distributed among multiple shareholders of the foundation. Such distribution is contributed by the practice accorded in Western countries, where the public trust fund prohibits the possession of controlling package by any one entity (shareholder). It was noted the US example, where one shareholder's maximum quota is 15%. Thus, the introduction of the trust will help the country to overcome the acute problem – population's middle-income class expansion.

The guests noted that these trusts are only now beginning to be introduced in central and eastern European countries and Georgia may become a model country in this respect. It was also noted that at the initial stage it may be formed a limited liability company and then it can develop into a joint stock company. It was also said that it was needed to initiate the relevant legislation for such trust.

The participants of the discussions unanimously agreed that the study of these issues and recommendations for the Parliament and the government ought to be carried out at the Faculty of Economics and Business. In evidence of this it was said, that the Faculty contains economics, business and tourism areas, has adequate staff resources in this direction has academic and practical work experience. It meant the articles and monographs published on the noted subject in 2015-2016, the Faculty professors working practical experience in finance, banking, statistics and investment funds, including the Minister of Finance, Privatization Minister, Chairman of the Department of Statistics and the Partnership Fund Executive Director positions.

At the summarizing meeting, which was held at the end of the sessions, all the chairs of the sections highly evaluated the work of the international conference. Each of them expressed the gratitude towards the leadership of Ivane Javakhishvili Tbilisi State University's, Faculty, administration and the organizing committee for conducting the well-planned and organized conference. It was also noted that conduction of such representative forums is of the very great importance to the university, as the main core of economists gathers in the university space, therefore, the university must be the main center for the improvement of the country's current economic situation and for formulating the issues about modern concepts of development. Co-participation of foreign colleagues in the discussion of a number of scientific and educational issues increased the importance of the conference. The Faculty authorities arranged their meetings with various professors of the faculty, where they outlined the joint future events.

On the initiative of the faculty administration and the leadership of the organizing committee of the international conference – "Challenges of Globalization in Economics and Business" there was planned to formulate and publish the main tendencies identified at the conference, problematic issues and recommendations.

Deputy Dean of the Faculty of Economics and Business,
Associate Professor
Nino Paresashvili

ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1, გვ. 177-209
ECONOMICS AND BUSINESS, 2017, 1, pp. 177-209

მიზნობრივი სამეცნიერო გამოკვლევები
TARGETED SCIENTIFIC RESEARCHES

მიზნობრივი სამეცნიერო გამოკვლევები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2016 წელს შესრულებული მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოების შედეგები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მიზნობრივი სამეცნიეროდკვლევითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ბრძანების (N:39/04; 23.12.2015) საფუძველზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2016 წელს განხორციელდა ცხრა მიზნობრივი სამეცნიეროდკვლევითი პროექტი. კვლევის პროცესში, აკადემიურ პერსონალთან ერთად, მონაწილეობდნენ მოწინავე სტუდენტები, რამაც გამოიწვია მათი ინტეგრირება და შესაბამისად, სტუდენტთა კვლევითი უნარ-ჩვევების გაფართოვება, პასუხისმგებლობის გაზრდა და დაინტერესება მეცნიერული კვლევებით. გთავაზობთ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გამარჯვებული თითოეული პროექტის განხორციელების მოკლე მიმოხილვას.

I. ეკონომიკის მიმართულება

<u>პროექტი: „სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში.</u> პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი **პროფესორი რევაზ გველესიანი.** პროექტში ჩართული იყო აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, კერძოდ, ასოცირებული პროფესორები: გულნაზ ერქომაიშვილი (პროექტის კოორდინატორი), ირინა გოგორიშვილი, ეკა ლეკაშვილი, შალვა გოგიაშვილი. ასისტენტ-პროფესორები: ლალი ხურცია და გიორგი გაფრინდაშვილი. დოქტორანტები: სოფიო ჩიტაძე, ნინო სუმბაძე

აქტუალურობა. სოციალური მეწარმეობა, როგორც ახალი დადებითი მოცემულობა, სულ ვითარდება შემოდის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. იგი გვიჩვენებს ადამიანის მორალური მახასიათებლების გაუმჯობესების პოტენციალს. საზოგადოებას სჭირდება სოციალური მეწარმეები, რომლებიც ინოვაციური მიდგომებით და სამეწარმეო სტრატეგიებით აგვარებენ

საზოგადოების წინაშე არსებულ სოციალურ და გარემოსდაცვით გამოწვევებს. სოციალური საწარმოების მოქმედების არეალი მრავალგვარია და მათი სოციალური მისია სხვადასხვა სფეროს მოიცავს, მაგრამ სოციალური მეწარმეობის უმთავრესი მიზანი მაინც შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებისათვის საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დაბრუნებაა.

სოციალურ ღირებულებებთან ჰარმონიაში ყოფნა წარმატების წინაპირობაა. მეწარმეობის იდეა ყოველთვის და განსაკუთრებით დღეს, დაკავშირებული უნდა იყოს სოციალურ ღირებულებებსა და პრობლემებთან, ამასთან, სოციალური პრობლემების მიმართ ინდიფერენტულობა აშინებს ხალხს, საფრთხეს უქმნის მათ ნდობას და თითქმის ყოველთვის უარყოფითი შედეგებით სრულდება, სულ მცირე, გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც. მეწარმეობის კონცეფციის გაფართოებამ სოციალურ არენაზე შესაძლოა გამოიწვიოს ის შედეგი, რომ ბიზნესის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი საზოგადოება გახდეს უფრო ღია მეწარმეობის, როგორც აქტივობის მიმართ. ეს კი, უფრო შემოქმედებითი და კონგენიალურია, ვიდრე მსხვილი, ანონიმური კომპანიების და მულტიმილიონერების ბიზნესი.[1]

დღეს საქართველოში არაა შემუშავებული სოციალური მეწარმეობის განვითარების სტრატეგია, ნაკლებადაა შესწავლილი მისი განვითარების არსებული პოტენციალი და არაა განსაზღვრული შესაძლო პერსპექტივები. იკვეთება სოციალური მეწარმეობის განვითარების სახელმწიფოებრივი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა. ამდენად, წარმოდგენილი სამეცნიერო პროექტი უდავოდ აქტუალურია.

კვლევის მიზანია სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინოვაციების სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება და ინიციატივების ხელშეწყობა, საზოგადოებაში სოციალური მეწარმოების კულტურის დამკვიდრება, როგორც ინსტიტუციური მდგრადობისა და სამიზნე ჯგუფების პრობლემების ინოვაციური გზებით გადაჭრის შესაძლებლობა, ასევე, სოციალური მეწარმეობის განვითარების მსოფლიო ტენდენციების ანალიზი და ინფორმაციის გაცვლა არსებული წარმატებული პრაქტიკის შესახებ.

ამოცანები:

- სოციალური მეწარმეობის იდეებზე დაფუძნებული პროექტების რეალიზაციის პოზიტიური გამოცდილების მქონე უცხოური ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლა;
- საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების გამოცდილების კვლევა;
- სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინოვაციების სფეროში განხორციელებული ღონისძიებების და შედეგების ანალიზი;

1 Guenter Faltin 2008: ,,Kopf Schlaegt Kapital," Muenchen. S.182.

- სოციალური მეწარმეობის განვითარების არსებული რესურსების ანალიზი მისი პერსპექტივის განსაზღვრის მიზნით;
- რეგიონებში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის რეკომენდაციების შემუშავება;
- საკვლევი პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგებისა და დასკვნების საფუძველზე სტატიებისა და მონოგრაფიის გამოქვეყნება.

კვლევის მეთოდები. სამეცნიერო პროექტის კვლევისას გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის, შედარებისა და სტატისტიკური (დაკვირვების, შერჩევითი, დაჯგუფების) მეთოდები, აგრეთვე ექსპერტული შეფასებები. ანალიტიკურ და სტატისტიკურ შეფასებებს შორის კანონზომიერებების დასადგენად გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეცნიერ-ეკონომისტთა თეორიული და გამოყენებითი კვლევები.

შინაარსი. პროექტის მონაწილეების მიერ დეტალურად იქნა გაანალიზებული სოციალური მეწარმეობის განვითარების უახლესი მსოფლიო გამოცდილება; საქართველოს რეგიონებში ვიზიტის საფუძველზე შესწავლილ იქნა არსებული სოციალური საწარმოების რეალური მდგომარეობა, მათი სამეწარმეო გარემო, პრობლემები და არსებული რესურსების ანალიზის საფუძველზე განსაზღვრული იქნა მათი განვითარების პერსპექტივები; კვლევის პროცესში გამოვლინდა სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები და მათი გაანალიზების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები სოციალური მეწარმეობის არეალის გასაფართოებლად;

კვლევის პროცესმა გვიჩვენა, რომ 2016 წლის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია 60 სოციალური საწარმო.

სოციალური საწარმოების რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა 2015-2016 წლებში, კერძოდ, 2015 წელს გაიხსნა 15, ხოლო 2016 წელს -16 სოციალური საწარმო.

სოციალური საწარმოების ნახევარზე მეტი (41) თბილისშია; ქუთაისში -3; გორში, მცხეთაში (წეროვანი), დუშეთში, სიღნაღში -2-2; კასპში, ბორჯომში, ონში, ოზურგეთში, ყაზბეგში, ლაგოდეხში, თელავში, თეთრიწყარშო 1-1.

საქართველოში სოციალურ საწარმოთა 30%-ზე მეტი ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტების წარმოებაზე, კერძოდ - ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოყვანა, სხვადასხვა სახეობის ბიოპროდუქტების წარმოება, სვანური მარილი „ზესხო“, ჩაი სახელწოდებით `სამეფო~, ნატურალური თაფლი, ჩურჩხელები, მურაბები, ვაშლის წვენი, ვაშლის ძმარი, ნამცხვრები, სალათები, ჯანსაღი კვების პროდუქტები (ლანჩ მენიუ, ტკბილეული, სასმელი და ა.შ.) და სხვ.

სოციალურ საწარმოთა 15%-ში მზადდება: უვნებელი, ანტიალერგიული, ეკოლოგიური საღებავებითა და ზეთებით დამუშავებული და შეფერილი ხის

სხვადასხვა ტიპის სათამაშო, ნატურალური ხის პროდუქცია, ხალხური რეწვის ნიმუშები, მინანქრის სამკაულები, სამუზეუმო ექსპონატების მოტივებსა და არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი სამკაულების მოტივებზე შექმნილი აქსესუარები, თექის, ტექსტილის, კერამიკის ნაწარმი.

შედეგები. კვლევის შედეგად გამოვლინდა საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები, კერძოდ:

- უცხოეთსა და საქართველოში არსებული სოციალური საწარმოების მუშაობის, მათი როლისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- სოციალური საწარმოების განვითარების ხელშემწყობი რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის და სამართლებრივი სტატუსის არარსებობა;
- ხშირ შემთხვევაში, დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირების დასაქმებაზე ორიენტირება, რაც კომპანიის პროდუქციის ხარისხზეც აისახება;
- სოციალური საწარმოებისათვის საგადასახადო შეღავათების ნაკლებობა;
- სოციალური საწარმოების ამოქმედებისა და განვითარებისათვის ფინანსური წყაროების ნაკლებობა;
- სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებული სამართლებრივი გარემოებები;
- ეკონომიკური საქმიანობისათვის გრანტების გაცემის დაბეგვრის საკითხი.

რეკომენდაციები:

- პირველ რიგში უნდა მოხდეს სოციალური მეწარმეობის განვითარების მასტიმულირებელი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება;
- აუცილებელია სოციალური საწარმოს სტატუსის გამოკვეთა, მაგალითად, სოციალური კოოპერატივი, სოციალური შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და ა.შ.;
- სოციალური მეწარმეობის წარმატებული უცხოური გამოცდილების ანალიზი და მათი შესწავლის თვალსაზრისით ტრენინგების ჩატარება;
- სოციალური მეწარმეობის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება და მისი განხორციელების ინსტრუმენტარიუმის განსაზღვრა;
- სოციალური მეწარმეობის იდეების განხორციელების მოტივაციის ამაღლება, რაშიც თავისი წვლილი სახელმწიფომ უნდა შეიტანოს საკანონმდებლო ბაზის არსებობით;
- საგადასახადო შეღავათების დაწესება (საგადასახადო განაკვეთის შემცირება და საგადასახადო კრედიტი, ანუ გადასახადის თანხის შემცირება);
- სახელმწიფოს მხრიდან სოციალური ინოვაციების წახალისება;
- წარმატებული სოციალური მეწარმეების დაჯილდოება;

• სოციალური მეწარმეობის ინიციატივებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;

• კარგი იქნება, თუ სახელმწიფო უწყებები და სხვა ორგანიზაციებიც დაინტერესდებიან და სოციალურ საწარმოთა შემკვეთები გახდებიან, საერთაშორისო ორგანიზაციები ამის კარგ მაგალითს იძლევიან.

პროექტის მონაწილეების მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები:

R. Gvelesiani, Strenghtening of the Tendency Towards Social Entrepreneurship as a Demonstration of the Potential for the Improvement of Modern Society's Moral Characteristics, International Journal of Strategic Management (IJSM), IABE, Volume16, Number 2. ISSN: 1555–2411.University of Florence, Italy, 2016, p.17-22.

• რ. გველესიანი, სოციალურ მეწარმეობაზე ორიენტაცია – საზოგადოებრივი უთანასწორობის დაძლევის ახალი მოცემულობა, ჟურნ. ,,ეკონომიკა და ბიზნესი," ტომი IX, # 3, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, გვ.107-116.

• გ. ერქომაიშვილი – საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო გამოწვევების წინაშე. თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 2016.

• გ. ერქომაიშვილი, ნ. ფარესაშვილი – სოციალური მეწარმეობა საქართველოში: პრობლემები, პერსპექტივები. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, თბილისი, 2016.

• ე. ლეკაშვილი - ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ (უნგრეთი, ჩეხეთი, პოლონეთი) ჟურნ. ,,ახალი ეკონომისტინ, #1, #2, #3, 2016.

• ლ. ხურცია – შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები საქართველოში. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, თბილისი, 2016.

• ლ. ხურცია – სოციალური მეწარმეობის მაგალითები და შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის პერსპექტივები საქართველოში. თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 2016.

<u>პროექტი ,,უცხოელ ვიზიტორთა ტურისტული ხარჯების სტატისტიკური კვლევა (საქართველოს მსხვილი აეროპორტების მიხედვით)'' ,</u> პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი **ნინო აბესაძე,** ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა; პროექტში ჩართულნი იყვნენ ასევე ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი მინდორაშვი-

ლი მარინე და მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი; დოქტორანტები: მაისურაძე თეონა, მიქელაძე გიორგი, მაგისტრანტი მიქელაძე გვანცა, ბაკალავრიატის VI სემესტრის სტუდენტი გელაშვილი ნინო.

აქტუალურობა.. თანამედროვე ეტაპზე ფრიად აქტუალურია საქართველოს ტურისტული პოტენციალის რაოდენობრივი შეფასება, ტურისტული ხარჯების კომპლექსური სტატისტიკური შესწავლა, კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიური აპარატის ფორმირება და მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე სათანადო პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება. ამიტომ, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ,,უცხოელ ვიზიტორთა ტურისტული ხარჯების სტატისტიკური კვლევან ძირითად მიზანს წარმოადგენდა უცხოელ ვიზიტორთა ტურისტული ხარჯების კომპლექსური სტატისტიკური ანალიზი კომპიუტერული პროგრამა SPSS-ის გამოყენებით, რის გამოც მას აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა როგორც მიკრო-, ასევე მაკრო დონეზე.

კვლევა ორიენტირებული იყო შემდეგი ამოცანების გადაწყვეტაზე: ტურისტული ხარჯების შესახებ ქართული და უცხოური სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა; კვლევისათვის აუცილებელი გენერალური პოპულაციისა და შერჩევითი პოპულაციის წესების განსაზღვრა; ტურიზმის სფეროში სტატისტიკური დაკვირვების ინსტრუმენტარის მომზადება (დაკვირვების კითხვარის დიზაინი, მისი შევსების ინსტრუქცია, დაკვირვების ჩატარების ადგილი, ვადები, მათი მიღების ფორმები, წესები და ა.შ.); კვლევის მასალის ეტაპობრივი შეტანა კომპიუტერული დამუშავების მიზნით, სორტირება, ფილტრაცია, რეკოდირება, კროსტაბულაცია, ტიპოლოგიური, სტრუქტურული და ანალიზური დაჯგუფება, ჯგუფური და კომბინაციური ცხრილების მომზადება და სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლის გამოთვლა სათანადო ანალიზისათვის; კვლევის მასალის დამუშავება და სტატისტიკური ანალიზი კომპიუტერული პროგრამა SPSS-ის გამოყენებით; რეკომენდაციების შემუშავება ტურისტული ხარჯების სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფის მიზნებით.

კვლევისპროცესშირგამოყენებული მეთოდები. კვლევის ჩასატარებლად დავეყრდენით ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგიურ პრინციპებს. შერჩევის ხერხებიდან გამოვიყენეთ შერეული მეთოდი, რომელიც გულისხმობს საკუთრივ შემთხვევითი და პროპორციული შერჩევის წესებს, რადგან საკუთრივ შემთხვევითი მეთოდი ყველაზე მიუკერძოებელ შედეგებს უზრუნველყოფს, ხოლო პროპორციული მეთოდი ყველაზე მისაწვდომია პროექტის რესურსების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს აეროპორტებიდან საერთაშორისო შემომსვლელი ვიზიტორების მოუწესრიგებელი პოპულაციიდან (შერჩევის ბაზა), სრულიად შემთხვევითი პრინციპით გარკვეული ნაწილის შერჩევას და მის პროპორციულ განაწილებას ჩვენთვის სასურველი ნიშნის (გაწეული ხარჯების) მიხედვით ქალაქებს შორის.

კვლევის პროცესში გამოვლენილი ძირითადი ტენდენციები. ემპირიული მონაცემების დამუშავების პროცესში გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები, რაც ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია:

- სახეზეა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ტურისტული ნაკადების ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს რუსეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და ა.შ.;
- ვიზიტორთა დიდი ნაწილი მოგზაურობს თანმხლებ პირთან ერთად;
- ტურისტებს შორის სჭარბობს ახალგაზრდობა;
- აღსანიშნავია, რომ პირველად ჩამოსული ვიზიტორების საერთო რაოდენობაში ძალიან მაღალია 20-40 წლის ტურისტების წილი (71%);
- უცხოელი ვიზიტორები მიერ საქართველოში გატარებული ღამეების საშუალო რაოდენობა 8,5-ია;
- უმრავლესობამ (59,6%) მიმართა სასტუმროს, როგორც განთავსების ყველაზე პოპულარულ საშუალებას, ვიზიტორთა დიდი ნაწილი (67,8%) საქართველოში ჩამოდის დასვენების მიზნით;
- როგორც სეზონური ფაქტორიდან გამომდინარე მოსალოდნელი იყო, ძირითად მონახულებად ადგილებს მიეკუთვნება თბილისი და ბათუმი;
- რესპონდენტთა 80,2%-ს ტურიტული პაკეტი არ შეუძენია და თვითონ დაგეგმა ტური საქართველოში;
- დამოუკიდებლად დაგეგმილი ტურების შემთხვევაში ვიზიტორთა დიდმა ნაწილმა, (დაახლოებით 67 %), ბინის დაქირავებაზე დახარჯა 700 აშშ დოლარამდე;
- რეკრეაციაზე გაწეულ ხარჯებში საგრძნობლად მაღალია რუსეთის, უკრაინის, ისრაელის და ევროკავშირის ქვეყნების რეზიდენტების წილი; ვიზიტორთა 55%-მა რეკრეაციაზე დახარჯა 100 დოლარამდე;
- სხვადასხვა საქონლის შეძენაზე ყველაზე მეტი ხარჯი გასწიეს რუსეთის, უკრაინის, შუა აზიის მოქალაქეებმა;
- კვებაზე გაწეული ხარჯების მიხედვითაც ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა, რუსეთი, უკრაინა, ევროკავშირი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ცენტრალური აზია;
- კვებაზე ყველაზე მეტს ხარჯავენ ძირითადად დამსვენებლები და საქმიანი ვიზიტით ჩამოსული რესპონდენტები;
- ყველა რესპონდენტმა ისარგებლა ადგილობრივი სატრანსპორტო საშუალებებით, რაზეც მათმა 64,5%-მა დახარჯა 50 დოლარამდე;
- კომერციულ შენაძენებს ძირითადად ახორციელებდნენ რუსეთიდან, უკრაინიდან და ისრაელიდან ჩამოსული ტურისტები. გამოიკვეთა ისრაელიდან ჩამოსული ვიზიტორების დაინტერესება ძვირფასეულობით;
- მართალია, გაიზარდა ტურისტული ინფრასტრუქტურითა და მომსახურების ხარისხით კმაყოფილების დონე, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს

მომსახურების ხარისხისა და ფასების შეუსაბამობის პრობლემა;

- რესპონდენტებმა, რომლებსაც შეძენილი ჰქონდათ ტურისტული პაკეტი (მიუხედავად ტუროპერატორის რეზიდენტობისა), ხარჯებში მიუთითეს მხოლოდ კვებაზე გაწეული ხარჯები (საშუალოდ 189,55 დოლარი);
- განმეორებით ჩამომსვლელთა წილი ვიზიტორების 40%-ს შეადგენდა, ანუ ყოველი მეოთხე, ფაქტობრივად ხელახლა ჩამოდის საქართველოში;
- ქალაქების მონახულების ტრენდი თითქმის ერთნაირია, თუმცა, აღსანიშნავია შუა აზიის ქვეყნებისა და ისრაელის წამომადგენელთა განსაკუთრებული დაინტერესება კურორტ ბორჯომითა და წყალტუბოთი;
- ვიზიტორების განაწილებაზე ქალაქების მიხედვით გავლენას ახდენს არამარტო სოციალურ-კულტურული, არამედ პოლიტიკური ფაქტორებიც. კერძოდ, როგორც აღმოჩნდა, აზერბაიჯანელი ვიზიტორების უმრავლესობის ლოკაცია არის ბათუმი, ხოლო სომხების - ქობულეთი;
- ტრადიციულად, საქართველოში პირველად ჩამოსული ტურისტები უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე განმეორებითი ვიზიტის დროს.
- გრძელვადიანი მოხმარების საგნების შეძენისას რესპონდენტების დიდმა ნაწილმა (54,7%) გასწია 201-500 დოლარამდე ხარჯი;
- ძვირფასეულობა შეიძინა მხოლოდ 17 ადამიანმა, რაც მთელი რესპონდენტების 0,8%-ია და აქ ძირითადად გამოიკვეთა ისრაელიდან ჩამოსული ვიზიტორების დაინტერესება ძვირფასეულობით. უძრავი ქონება კი შეიძინა 1%-მა, ანუ 21 ადამიანმა.

კვლევის შედეგების მიხედვით, საშუალოდ ერთმა ვიზიტორმა დახარჯა:

- რეკრეაციაზე 98.50 დოლარი;
- წვრილ შესყიდვებზე 98.50 დოლარი;
- კომერციულ შესყიდვებზე 521.40 დოლარი;
- ადგილობრივ ტრანსპორტზე 62.13 დოლარი;
- გრძელვადიანი მოხმარების საგნებზე 319.2708 დოლარი;
- ძვირფასეულობის შეძენაზე 250 დოლარი;
- უძრავ ქონებაზე 5000 დოლარი;
- საკვებზე 189.55 დოლარი;
- სხვა ხარჯი (აქ ძირითადად მიუთითეს სამგზავრო ხარჯები) 602.8139 დოლარი.

სულ რესპონდენტთა მიერ გაწეულმა ხარჯმა, სხვა ხარჯების გამოკლებით, შეადგინა 892 575 დოლარი. მათ შორის, ინდივიდუალურად ხარჯი გასწია 1309 ვიზიტორმა, რამაც 535 545 დოლარი შეადგინა.

- საშუალოდ ერთი ვიზიტორის მიერ ინდივიდუალურად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 409.13 დოლარი;

- კოლექტიური ხარჯი (ნათესავებთან/ოჯახის წევრებთან ერთად) გასწია 858 რესპონდენტმა 3281 ადამიანზე და მან შედგინა 357 030 დოლარი.
- ერთ ნათესაურ ჯგუფში საშუალოდ იყო 4 ადამიანი. ჩვენი გაანგარიშებით, ნათესაურ ჯგუფში ერთ ადამიანზე გაწეული ხარჯი 108,81 დოლარს გაუტოლდა. ამიტომ საშუალოდ ერთი ვიზიტორის მიერ ამ შემთხვევაში გაწეულ იქნა 413.5 დოლარის ხარჯი.

ვფიქრობთ, კვლევამ შედეგი გამოიღო და დაგვანახა რეალური სურათი.

საკმაოდ პროდუქტიული კვლევის შედეგები ავსახეთ ჩვენს მიერ მომზადებულ პუბლიკაციებში როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო გამოცემებში. ამის ნათელი დადასტურებაა შემდეგი ჩამონათვალი:

- ნინო აბესაძე, მარინე მინდორაშვილი, ნინო ფარესაშვილი, **,,უცხოელი ვიზიტორების ტურისტული ხარჯების სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები.",** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესინ, #3, ტომი IX, 2016 წ. გვ.144-150.
- ნინო აბესაძე, მარინე მინდორაშვილი, ნინო ფარესაშვილი, ,,**ტურისტული ხარჯების სტატისტიკური ინდიკატორები საქართველოში.ნ** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალური გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", #5, 2016 წ. გვ,26-33.
- Nino Abesadze, Marine Mindorashvili, Nino Paresashvili **,,The Main Trends of Tourist Expenses in Georgia."** ICBEMM 2017 - 19th International Conference on Business, Economics, Marketing and Management . Rome, Italy May, 4-5, 2017.
- Nino Abesadze, Marine Mindorashvili, Nino Paresashvili **..Statistical Data of Differentiation of Tourist Expenses"** Kharkiv Institute of the University of banking. Journal ,,Financial and credit activity: problems of theory and practice.", No 2, 2016 .
- Nino Paresashvili, Teona Maisuradze, **,,Destination management role in developing tourism in Georgia", International Scientifis and Practical Conference ""WORID SCIENCE'',** No 2, April 2016, pg.46-50.
- ***შედეგები.*** კვლევის შედეგები სიახლეს წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის პრაქტიკაში და გააჩნია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა.
- პროექტის რეალიზების შედეგად გაუმჯობესდა ტურიზმის ინფორმაციული უზრუნველყოფა;

- დაინერგა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტურიზმის სტატისტიკის მეთოდოლოგია;
- შესწავლილ იქნა ტურისტული ხარჯების სტრუქტურა ტერიტორიული, გენდერული, ასაკობრივი, პროფესიული, განათლების, ეკონომიკური აქტივობის და სხვა ნიშნის გათვალისწინებით;
- შემუშავდა რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფის საკითხებზე, რაც წარედგინება „საქსტატსკკ, საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროექტის შედეგები დიდ დახმარებას გაუწევს ტურიზმის სფეროში დასაქმებულ ბიზნესმენებს, ეკონომისტებსა და მენეჯერებს მათ წინაშე დასმული რთული ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაჭრასა და მოლოდინების განსაზღვრაში.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის პროცესში რესპონდენტები ინტერვიუს დროს ხშირად მიუთითებდნენ იმ ხარვეზებზე, რომლებიც მათ მოგზაურობის დროს გარკვეულ დისკომფორტს უქნიდა. ჩვენ შევეცადეთ მოგვეხდინა მათი სისტემატიზაცია და მოვახდინეთ მათი კლასიფიკაცია შემდეგი ფორმით:

- ტურისტული ინფრასტრუქტურა;
- მომსახურების ხარისხი;
- ტურისტულ პროდუქტთან დაკავშირებული პრობლემები;
- საკრუიზო მიმოსვლის არასათანადო მასშტაბი და სხვა.

<u>პროექტი: „ევროკავშირის არასატარიფო ბარიერების გავლენა საქართველოს ექსპორტზე“,</u> პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი **ნინო პაპაჩაშვილი.** კვლევით პროექტში ასევე ჩართულნი იყვნენ ასისტენტ-პროფესორი ლელა ჯამაგიძე, დოქტორანტები: მარი თავართქილაძე, თამთა მიქაბერიძე, ირაკლი დანელია.

აქტუალურობა: არასტარიფო ბარიერები და მისი მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში;

არასატარიფო ბარიერების გავლენა საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობაზე.

კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდები: სამაგიდე კვლევა: არასატარიფო ბარიერების შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციების და კვლევითი ინსტიტუტების სტატისტიკური ბაზების, შესაბამისი თემატიკის სამეცნიერო ნაშრომების, საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობის ინსტიტუციური მოწესრიგების მიმართულებით გამოქვეყნებული ანგარიშების ანალიზი და სინთეზი.

საველე კვლევა: ევროკავშირში ექპორტიორი ქართული ფირმების გამოკითხვა კითხვარის საფუძველზე, რომელიც მკვლევარებმა შეიმუშავეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის

(UNCTAD) მიერ კლასიფიცირებული არასატარიფო ბარიერების მიხედვით. გამოიკითხა 131 ექსპორტიორი; ჩატარდა 1 ფოკუს-ჯგუფი ექსპორტიორების და მკვლევარების მონაწილეობით; განხორციელდა ჩაღრმავებული ინტერვიუ 15 ექსპორტიორთან.

შედეგები:

- არასატარიფო ზომები/ბარიერები თავისი ფართო სპექტრით (სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სტანდარტები, ტექნიკური რეგლამენტაციები, საბაჟო ფორმალობები, ანტიდემპინგური ღონისძიებები, საკომპენსაციო ბაჟები, კვოტები, ლიცენზიები და ა.შ.); განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა საერთაშორისო ვაჭრობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, 2008 წლის გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში. საერთაშორისო სტატისტიკური წყაროები განსხვავებულ ინფორმაციას გვთავაზობს, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით 70-80% საგარეო ვაჭრობაში დაცვის მიზნით გამოიყენება. მათგან თითქმის ნახევარი კომერციული ინტერესებისათვის საზიანოა. ეს შემაშფოთებელი გარემოებაა არამარტო საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული ორგანიზაციებისათვის, არამედ ზოგადად საგარეო სავაჭრო პოლიტიკაში ლიბერტარიანული მიდგომებისთვის. მიუხედავად ამისა, არის დადებითი მხარეებიც, რომელიც სტანდარტიზაციის და ჰარმონიზაციის დონის ამაღლებას უკავშირდება. არასატარიფო ზომები, ზოგიერთ შემთხვავაში, ვაჭრობას ზღუდავს, მაგრამ მათი გავლენა დამოკიდებულია ინსტიტუციური განვითარების დონეზე; საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ღონისძიებები იწვევს ჰარმონიზაციის დონის ამაღლებას და ხელს უწყობს ვაჭრობის განვითარებას;
- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ვაჭრობის ხელშეწყობის დამატებითი ინსტრუმენტია;
- სრულფასოვანი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე არასატარიფო რეგულირების ინსტრუმენტების ჰარმონიზაციითაა შესაძლებელი, მაგრამ ტარიფებთან შედარებით, მათი ცვლილება ნაბიჯ-ნაბიჯ მიმდინარეობს, რაც მიგვანიშნებს, რომ სავაჭრო პოლიტიკის რეფორმა ჯერ დაუსრულებელი პროცესია;
- ერთი მხრივ, მცირდება საქმიანი გარემოს ინსტიტუციური განსხვავებები, რამაც ეკონომიკური აგენტებისთვის ინფორმაციული ასიმეტრიები და ტრანზაქციური ხარჯები უნდა შეამციროს, ხოლო მეორე მხრივ, საექსპორტო საქონლის ხარისხსა და ცნობადობაზე მოახდინოს დადებითი გავლენა;
- ევროკავშირთან ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობის მქონე კომპანიები ნაკლებლად დამაბრკოლებლად მიიჩნევენ ევროკავშირის არასატარიფო ზომებს;

- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ხელს უწყობს ქართული ექსპორტის ზრდას ევროკავშირში ინსტიტუციური ჰარმონიზაციის გზით;
- ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობიდან მეტი სარგებლის მისაღებად საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის აქცენტები გადატანილი უნდა იყოს „გარე საზღვრებიდა“ ხარისხის საშინაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, რაც ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან ჰარმონიზაციას დააჩქარებს;
- ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის ზრდისთვის საჭიროა სამთავრობო, საგანმანათლებლო, საფინანსო, სამეწარმეო სტრუქტურების ერთობლივი ქმედება.

პუბლიკაციები, რომელიც გამოქვეყნდა ამ პროექტის ფარგლებში:

მკვლევარებმა კვლევის (პირველადი, ნაწილობრივი) შედეგები წარადგენეს საერთაშორისო კონფერენციებზე; გამოიცემა საერთაშორისო პუბლიკაცია სტატიის სახით და მონოგრაფია თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ.

II. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება

<u>პროექტი: სასურსათო პროდუქტების მარკირების გავლენა მომხმარებელთა ქცევის ცვლილებაზე (საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტით),</u> პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი მარკეტინგის კათედრის გამგე, **პროფესორი ნუგზარ თოდუა.** პროექტში ჩართული იყო აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, კერძოდ, ასოცირებული პროფესორები: ჩარიტა ჯაში, ბაბულია მღებრიშვილი, მარინე კობალავა, ნანა ოქრუაშვილი; ასისტენტ-პროფესორები: ეკატერინე ურუტაძე, ეთერ სარჯველაძე, მაია ვეშაგური, მაია სეთური, მზია ტიკიშვილი. სტუდენტები: დოქტორანტი თათია ბრეგვაძე, ბაკალავრი რამინ კოჩალიძე.

პროექტის ძირითადი სფერო - მომხმარებელთა ქცევაზე პროდუქციის მარკირების გავლენა.

აქტუალურობა უკანასკნელ ხანებში საქართველოში განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა, სამართლებრივი ბაზის სრულყოფამ, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერამ არსებითი გავლენა მოახდინა სურსათის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესებზე. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ბაზარი გაჯერებულია სიცოცხლისათვის საშიში კვების პროდუქტებით. ეს, ძირითადად, გამოწვეულია იმით, რომ არ ხორციელდება მწარმოებელ-იმპორტიორების მონიტორინგი, რაც ხელს უწყობს ბაზარზე დაბალხარისხიანი, ფალსიფიცირებული პროდუქტების გამოტანას. მართალია, საქართველოში მიღებული სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ კანონი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და ევროკავშირის ყველა კრიტერიუმს და სტანდარტს აკმაყო-

ფილებს, მაგრამ ის უმოქმედო აღმოჩნდა. უხარისხო კვების პროდუქტების გაყიდვით უხეშად ირღვევა მომხმარებლების უფლებები, რაც ასევე საქართველოს სასურსათო ბაზრის მდგრად განვითარებას აფერხებს.

მომხმარებელთა ინტერესების დაცვა უშუალო კავშირშია ქვეყანაში ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკასთან. ვაჭრობის ლიბერალიზაცია არ გულისხმობს იმას, რომ ადამიანი თავს საფრთხეში იგდებდეს მავნე პროდუქტების მოხმარებით. უხარისხო, ჯანმრთელობისათვის და ხშირად სიცოცხლისათვის საშიში პროდუქციისგან მომხმარებლების დაცვა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სამწუხაროდ, აქტუალურობის მიუხედავად, იგი დღემდე მეორეხარისხოვან პრობლემად მიიჩნევა. ამას ემატება ისიც, რომ ადგილობრივი ბაზარი ჯერ კიდევ დაუცველია არასაიმედო პროდუქციისაგან, ხოლო შემოთავაზებული პროდუქციის შესახებ მომხმარებელთა გაცნობიერების დონე დაბალია. ევროკავშირის ქვეყნებში მომხმარებელთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვას შესაბამისი კანონმდებლობა უზრუნველყოფს, ჩვენთან კი სამომხმარებლო სფერო სათანდო რეგულირების გარეშეა დარჩენილი. **ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)** ითვალისწინებს ქართველი მომხმარებლებისათვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტების მიწოდებას. ეკოლოგიურად სუფთა, ჯანმრთელი პროდუქტის წარმოება და ბაზრისთვის შეთავაზება მომხმარებელთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც გულისხმობს შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწას და ევროკავშირთან მისადაგი სტანდარტების დანერგვას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროექტებია განხორციელებული, როგორც სახელმწიფოს, ასევე სამოქალაქო სექტორის მხრიდან. საქართველოში სურსათის პრობლემების მნიშვნელობაზე მიუთითებს TACIS-ის, USAID-ის, FAO-ს, მსოფლიო ბანკის, ევრაზიის ფონდის, ევროკავშირის და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ტექნიკური დახმარების პროექტები. აღსანიშნავია, რომ NATO-ს რეკომენდაციებით, სურსათის უვნებლობის საკითხები ჩართულია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმაში, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისათვის. ევროკავშირის პროექტების ხელშეწყობით ჩვენს ქვეყანაში გარკვეული წინსვლაა მწარმოებლების მიერ ჯანმრთელი და უვნებელი პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებით, აგრეთვე მომხმარელთა ცნობიერების ზრდისა და მათი უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ყოველივე ეს საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის ცვლილებას იწვევს. კერძოდ, ქართველი მომხმარებელი სულ უფრო მეტად ეცნობა სასურსათო პროდუქტების შეფუთვაზე არსებულ ინფორმაციას, რაც გავლენას ახდენს მის მიერ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე. პრობლემის აქტუალურობის მიუხედავად, პროდუქციის ეტიკეტისა და მარკირებათან დაკავშირებით ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება

დღემდე შესწავლილი არ არის, რაც, თავის მხრივ, სასურსათო ბაზრის მდგრად განვითარებას და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პრაქტიკულ განხორციელებას აბრკოლებს. ამიტომ, სასურსათო პროდუქციის მარკირებასთან ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულების, შესაბამისად, შეფუთვაზე არსებული ინფორმაციის გავლენით მომხმარებელთა ქცევის ცვლილების შესწავლა უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

პროექტის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების მოთხოვნებიდან გამომდინარე, სასურსათო პროდუქტების შეფუთვაზე არსებული ინფორმაციის გავლენით ქართველი მომხმარებლების ქცევის ცვლილების შესწავლა. აქედან გამომდინარე, კვლევით პროექტში დასმულია შემდეგი ამოცანები:

- საქართველოს სასურსათო ბაზრის გარემოს შესწავლა და მომხმარებელთა ქცევის ცვლილებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების ანალიზი;
- სასურსათო პროდუქტების შეფუთვაზე არსებული ინფორმაციის აღქმის შესწავლა ქართველ მომხმარებლებში;
- სასურსათო პროდუქტებზე არსებული ეტიკეტის მიმართ ქართველი მომხმარებლების გაცნობიერების დონის დადგენა;
- სასურსათო პროდუქტების მარკირების გავლენის დადგენა ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას;
- საქართველოს ბაზარზე სასურსათო პროდუქტების მარკირებასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა განხორციელდა ორ ძირითად ეტაპად, როგორიცაა: საძიებო კვლევა და აღწერითი კვლევა. პირველ ეტაპზე მოხდა ჰიპოთეზების ფორმულირება და შემდგომი კვლევისათვის პრიორიტეტების დადგენა. ამისათვის ვისარგებლეთ ლიტერატურული ძიების, ექსპერტული შეფასებისა და ფოკუს-ჯგუფების მეთოდებით. მეორე ეტაპზე გამოვიყენეთ აღწერითი კვლევის მეთოდი. მომხმარებელთა გამოკითხვისათვის ამონაკრები შევარჩიეთ საალბათო მეთოდით. შერჩევის რეპრეზენტაციულობის დაცვის მიზნით რესპონდენტები დავაჯგუფეთ სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით. კვლევაში გამოვიყენეთ სტრუქტურირებული ანკეტა, რომელიც პერსონალური და ინტერნეტ გამოკითხვის მეთოდებს დაეფუძნა. მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამა SPSS-ით, ხოლო კვლევის შედეგები გაანალიზებულია სტატისტიკური ანალიზის მეთოდებით.

შინაარსი. კვლევის პროცესში გამოვლინდა სასურსათო პროდუქციის მარკირებისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება, აგრეთვე, ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც სასურსათო პროდუქციის შეფუთვაზე უნდა იყოს დატანებული. კვლევამ ცხადყო, რომ, ზოგადად, მარკირებისადმი

ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება პოზიტიურია. მათი უმეტესობა თვლის, რომ მარკირებას აქვს საინფორმაციო დანიშნულება. მომხმარებელთა აზრით, მარკირებისადმი წაყენებულ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს ის, რომ მარკირებაში მოცემული ინფორმაცია უნდა იყოს სანდო და გასაგებად გადმოცემული. მომხმარებლები უმეტეს შემთხვევაში ენდობიან პროდუქციის შეფუთვაზე განთავსებულ ინფორმაციას, განსაკუთრებით, მაშინ, თუ პროდუქტი ან მწარმოებელი ნაცნობია. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პროდუქციის მარკირების შესახებ მომხმარებელთა ინფორმირებულობის დონეზე გავლენას ახდენს ინფორმაციის მიღების წყაროები, მომხმარებელთა ასაკი, განათლება და ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი. ჯგუფთაშორისი ფაქტორების გავლენის კვლევისას კი გამოვლინდა, რომ ინფორმაციის მიღების წყაროები და ოჯახის შემოსავლები უფრო მეტ გავლენას ახდენს ინფორმირების დონეზე, ვიდრე განათლება და ასაკი. თავის მხრივ, ინფორმირებულობის დონე ზემოქმედებს პროდუქციის მარკირების დანიშნულების შესახებ მომხმარებელთა შეხედულებაზე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართველ მომხმარებლებს მარკირება ეხმარება ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. ამიტომაც, ისინი სასურსათო პროდუქტების შესახებ ინფორმაციას, ძირითადად, პროდუქტის შეძენამდე, მაღაზიაში ეცნობიან. როგორც აღმოჩნდა, ქართველი მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ პროდუქტებს, რომლებზეც მითითებულია ნორმატიული დოკუმენტაცია, განსაკუთრებით, საერთაშორისო სტანდარტები. კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებელთა ოჯახური მდგომარეობა და სასურსათო პროდუქტების შეძენაზე გაწეული ყოველთვიური ხარჯები გავლენას ახდენს სასურსათო პროდუქტის მარკირებაში წარმოდგენილი რეკვიზიტების ინფორმაციის შეფასებაზე. ქართველ მომხმარებლებს სასურსათო პროდუქტების შეფუთვაზე არებული ინფორმაციიდან ყველაზე უფრო არ მოსწონთ სარეკლამო სლოგანები და სხვადასხვა ენაზე დუბლირებული მონაცემები. მათი აზრით, საქართველოს ბაზარზე არსებული კვების პროდუქტების მარკირებაში ყველაზე მეტად მწარმოებლისა და დიეტის შესახებ ინფომაციის ნაკლებობა შეიმჩნევა. აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა ორ მესამედს აქვს მკვეთრად გამოხატული პრეტენზიები სასურსათო პროდუქციის მარკირებასთან მიმართებით, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია შეფუთვაზე არსებული მცირე ზომის შრიფტი და პროდუქტის შემადგენლობის არასრული დახასიათება. მთლიანობაში, პროდუქციის მარკირების შესახებ ქართველი მომხმარებელების ინფორმირებულობის დონე დაბალია, თუმცა, მომხმარებელთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შედეგად საქართველოს ბაზარზე პროდუქციის მარკირების მიმართ მოთხოვნები მნიშვნელოვნად გაიზრდება.

კვლევის ძირითადი შედეგები. პროექტი წარმოადგენს საქართველოს ბაზარზე სასურსათო პროდუქტების მარკირების გავლენით მომხმარებელთა ქცე-

ვის შესწავლაში ახალ მარკეტინგულ გამოკვლევას. მსგავსი კვლევა ქართულ სინამდვილეში არ ჩატარებულა. აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი კვლევის პროექტი ქართველი მომხმარებლების ქცევის შესწავლაში ახალია და უნიკალური. ნაშრომის ძირითადი მეცნიერული სიახლეები შემდეგია:

- გამოვლენილია საქართველოს სასურსათო ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის ცვლილებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები;
- დადგენილია სასურსათო პროდუქტების მარკირებისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება;
- განსაზღვრულია სასურსათო პროდუქტების მარკირებაში ქართველი მომხმარებლებისათვის უპირატესი მაჩვენებლები;
- შემუშავებულია სასურსათო პროდუქტების მარკირების მიმართ სხვადასხვა სქესის, სოციალური ფენისა და ასაკობრივი მაჩვენებლების მიხედვით ქართველი მომხმარებლების ქცევის მოდელები;
- სასურსათო პროდუქტების მარკირების სრულყოფის საფუძველზე შემუშავებულია საქართველოს სასურსათო ბაზრის მდგრადი განვითარების მარკეტინგული სტრატეგიები.
- ჩამოყალიბებულია საქართველოს სასურსათო ბაზრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიებები.

პროექტთან დაკავშირებული პუბლიკაციების გამოქვეყნება. პროექტთან დაკავშირებით 2016 წელს გამოქვეყნდა შემდეგი პუბლიკაციები:

- ნ. თოდუა, გლობალიზაციის გავლენა საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის უსაფრთხოებაზე, მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ (თსუ, 2016 წლის 11-12 ნოემბერი);
- ნ. თოდუა, ბ. მღებრიშვილი, ე. უროტაძე, საქართველოს სასურსათო ბაზარზე სამართლებრივი გარემოს ფორმირების ძირითადი ასპექტები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ (თსუ 2016 წლის 11-12 ნოემბერი) სამეცნიერო შრომების კრებული, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2016, გვ. 250-256.
- ნ. ოქრუაშვილი, მ. სეთური, აგროსასურსათო ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა მსოფლიოში და საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ (თსუ 2016 წლის 11-12 ნოემბერი) სამეცნიერო შრომების კრებული, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2016
- B. Mghebrishvili, E. Urotadze. Characteristics of Food Products Labeling in Georgia. Proceedings of International Scientific Symposium “Economics, Business & Finance”. JURMALA, LATVIA, pp. 135-138.

პროექტის ძირითად შედეგებთან დაკავშირებული კოლექტიური მონოგრაფიისა და საზღვარგარეთის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება, პროექტით გათვალისწინებული გეგმის შესაბამისად, გათვალისწინებულია 2017 წელს.

<u>პროექტი: ადამიანური რესურსების მართვის გამოწვევები საქართველოში (საჯარო და კერძო სექტორის შედარებითი ანალიზი),</u> პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ასოცირებული პროფესორი **ნუგზარ პაიჭაძე.** პროექტში ჩართულები იყვნენ ასევე აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, კერძოდ, ასოცირებული პროფესორები: ეკა ჩოხელი, გიული ქეშელაშვილი; ასისტენტ-პროფესორი მანანა ხარხელი. დოქტორანტები: გიორგი ჭურაძე და შორენა ტიელიძე.

აქტუალურობა. ადამიანური რესურსი ორგანიზაციის ყველაზე უნიკალური და ძვირადღირებული კაპიტალია, რომლის ეფექტიანი მართვა ორგანიზაციული მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვა უშუალო კავშირშია ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავებასთან, რომელშიაც იგულისხმება ორგანიზაციების (უწყებების) მიერ არჩეული სტრატეგიის სარეალიზაციოდ, პერსონალზე ზემოქმედების არსებული სისტემის შეფასების, გაანალიზებისა და ახლის შემუშავების უზრუნველმყოფელი მოქმედებების ერთობლიობა და მისაღებ გადაწყვეტილებათა თანმიმდევრობა. იგი მოიცავს იმ მეთოდებისა და მოქმედებების ერთობლიობას, რომლითაც ორგანიზაცია უზრუნველყოფს ეფექტიანი ადამიანური რესურსების მოზიდვას, სწავლებას, განვითარებასა და შენარჩუნებას. ადამიანური რესურსები მართვის სტრატეგია საშუალებას აძლევს ორგანიზაციას წინასწარ განსაზღვროს თუ როგორი კადრებია მისი ორგანიზაციის შესაფერისი და როგორ დასახოს გზები მათი მოზიდვის, შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ცოდნით, გამოცდილებით, ინტელექტუალური შესაძლებლობებით, აზროვნებისა და მოქმედების სტილით. სწორედ ეს განსხვავება განაპირობებს ადამიანური რესურსების მართვის სირთულეს და, ამავე დროს**,** ინტერესის განსაკუთრებულ სფეროს საქართველოს საჯარო და კერძო სექტორში.

საჯარო სექტორის რეფორმირება და ეფექტური საჯარო მმართველობის სისტემის შექმნა საქართველოს მთავრობის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი საკითხია. ამ სფეროში მრავალი რეფორმა განხორციელდა: შიგა ინსტიტუციური ცვლილებები - სამთავრობო აპარატისა და საჯარო სექტორის შემცირება ეფექტიანობისა და მოქნილობის გაზრდის მიზნით, ორგანიზაციული სისტემის ხელახალი ფორმირება და აღმასრულებელი უწყებების რესტრუქტურიზაცია, მოქალაქეთათვის მიწოდებული მომსახურების ხარისხის ამაღლებისათვის საჯარო სექტორის ფუნქციებისა და ინსტიტუციური ახლებური შეაფასება, საჯარო-

კერძო პარტნიორობის პროექტების განხორციელება. დაიწყო კონკურენტული საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობდა საჯარო მოხელეებისთვის საკვალიფიკაციო ტესტირებებს, დაწინაურებისა და მოტივაციის ახალი ორგანიზაციული პოლიტიკის დანერგვას. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რეფორმების მიმართულება გარკვეულწილად შეიცვალა და დღის წესრიგში დადგა საჯარო სამსახურის რეფორმის ახალი კონცეფციის შემუშავების აუცილებლობა, რაშაც მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო სექტორმა, აკადემიურმა წრეებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა. დღეისათვის რეფორმირების პროცესი არ დასრულებულა და საჯარო სექტორში კვლავ მრავალი პრობლემა არსებობს, რომელთა გაანალიზება და გადაჭრა აუცილებელია რეფორმირების პროცესის წარმატებით წარმართვისა და ეფექტური სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისათვის.

მიზანი - ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ფაქტორების გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს საჯარო და კერძო სექტორში დღეისათვის არსებული პრობლემების გაანალიზებას და მისი სრულყოფისათვის სწორი მეცნიერული გადაწყვეტილებების მიღებას. კერძოდ, პროექტი ითვალისწინებდა იმის განსაზღვრას, თუ რა ძირითად პრობლემებს ხედავენ საქართველოს საჯარო და კერძო სექტორში მაღალი, საშუალო და დაბალი რგოლის მენეჯერები. ადამიანური რესურსების მართვის ჩვენ მიერ შეთავაზებული პროგრამა დაეხმარება მათ ადამიანური რესურსების ეფექტიან რეგულირებასა და კოორდინაციაში. პროექტის მიზანია შეიქმნას ნაშრომი, რომელშიც შესწავლილ იქნება ის აუცილებელი ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ფაქტორები, რომლებიც საქართველოს საჯარო და კერძო სექტორში დღეს არსებული პრობლემების გაანალიზებასა და ხარვეზების აღმოფხვრას შეუწყობს ხელს. პერსონალთან მუშაობის სამამულო და უცხოური გამოცდილებიდან გამომდინარე, მორალური, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა და ქართული მენტალიტეტის გათვალისწინებით, შესაძლოა ჩამოყალიბდეს პერსონალის მართვის ისეთი მიდგომები, რაც შესაბამისობაში მოვა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპთან და დაეხმარება მენეჯერებს პერსონალის ეფექტურ მართვაში.

პროექტის ამოცანები:

- ადამიანური რესურსების მართვის უცხოური გამოცდილება და მართვის ზოგადი სტრატეგია საქართველოში;
- პერსონალის განვითარების დაგეგმვა;
- პერსონალის მოზიდვის წესებისა და საშუალებების განსაზღვრა;
- პერსონალის შეფასება, შერჩევა და დასაქმება;
- მომუშავეთა ადაპტაცია, სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება და განვითარება;
- პერსონალის მოტივაცია;
- კომუნიკაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესი;

- ორგანიზაციული სტრატეგია და ორგანიზაციული სტრუქტურა;
- პერსონალის საქმიანობისა და შრომითი პოტენციალის შეფასება;
- პერსონალის კარიერის მართვა;
- ძირითადი დასკვნები.

კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდები. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის, სტატისტიკურ-გაანგარიშებითი, შედარებითი ანალიზის, დაჯგუფებისა და აბსტრაქტული მეთოდი.

კვლევის შედეგები:

- **საქართველოს საჯარო სექტორში** არ არსებობს ადამიანური რესურსების მართვის ზოგადი სტრატეგია; ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია არსებობს მხოლოდ დეპარტამენტის და სამმართველოს დონეზე; არსებული „სტრატეგია" ხისტი და მოუქნელია; მიმდინარე ეტაპზე იგეგმება პერსონალის აღრიცხვის ელექტრონული სისტემის დანერგვა ბიუროკრატიული პროცედურების შემცირების მიზნით; სამუშაოს აღწერილობები არსებობს, თუმცა მოძველებულია და საჭიროებს გადახედვას; დასაქმებულთა ინფორმირებულობის დონე დაბალია; პერსონალის მოზიდვის წესებისა და საშუალებების განსაზღვრა ხდება კონკურსის წესით, სტაჟირებით, წინასწარ შემუშავებული, მკაცრად განსაზღვრული, წესების მიხედვით; მომუშავეთა ადაპტაციის, სწავლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და განვითარებისათვის არ არსებობს ზოგადი ტრენინგებისა და სამუშაო ადგილზე პროფესიული გადამზადების კურსები, თანამშრომლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, გამოიყენება სასწავლო მივლინებები; კომუნიკაციისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების განხორციელებისას ინიციატივების განხორციელება სირთულეებთან არის დაკავშირებული, ხელმძღვანელის მიერ არ ხდება ცალსახა და ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება; პერსონალის მოტივაციისა და კარიერის მართვისთვის გამოიყენება ხელფასის დანამატი, პრემია, ხოლო დაწინაურებისთვის აუცილებელია ვაკანსიის გამოცხადება; პერსონალის საქმიანობისა და შრომითი პოტენციალის შეფასებისთვის გამოიყენება შეფასების შიდა მექანიზმი, რომლის დროსაც ხელმძღვანელის სუბიექტური შეფასების ალბათობა მაღალია.
- **საქართველოს ეკონომიკის კერძო სექტორში** არ არსებობს ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია, არსებობს მხოლოდ მიდგომები, როგორ განვითარდეს საკადრო პოლიტიკა; კადრების აღრიცხვა წარმოებს excel-ის ფაილში; სამუშაოს აღწერილობები არსებობს არა სტრუქტურირებული, არამედ მოვალეობათა და შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალის სახით; დასაქმებულთა ინფორმირებულობის დონე დაბალია; საკადრო პოლიტიკა მოქნილია, პერსონალის მოზიდვის წესებისა და საშუალებების განსაზღვრისას ხდება ვაკანსიის გამოცხადება, ან შიდა წრე-

ში კადრის მოძიება; კომუნიკაციისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების განხორციელებისათვის გამოიყენება შიდა სოციალური ქსელები, პერსონალის ინიციატივიანობა წახალისებულია; პერსონალის მოტივაციისა და კარიერის მართვისთვის გამოიყენება დასაქმებულზე მორგებული სამუშაო გრაფიკი, ,,ყველა მოტივირებულ პერსონალს აქვს დასაქმების შესაძლებლობან, დაწინაურებისთვის მნიშვნელოვანია კრეატიულობა და ლიდერული უნარ-ჩვევები; პერსონალის საქმიანობისა და შრომითი პოტენციალის შეფასებისთვის გამოიყენება მომხმარებლის კმაყოფილების დონე.

- **საქართველოს საჯარო სამსახურებში** საკადრო პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურები ვერ უზრუნველყოფს მოხელეთა სწორ მართვას, საჯარო სექტორში დასაქმებული მოსამსახურეების კვალიფიკაციის საერთო დონე უმეტესად არ აკმაყოფილებს აუცილებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ადამიანური რესურსების მართვის მოუწესიგებელი სისტემა განაპირობებს საჯარო სამსახურების არაეფექტიან ფუნქციონირებას და ხელს უშლის განვითარებას.
- **საქართველოს ეკონომიკის კერძო სექტორში** არასწორად განაწილებული როლები, ძალაუფლება და პასუხისმგებლობები, არასწორად ჩამოყალიბებული მოტივაციის სისტემები, არასწორი მართვა და გაუმართავი მართვის სისტემები განსაზღვრავს პერსონალის შესაძლებლობებისა და უნარების გამოყენების დაბალ ხარისხს. გადაუჭრელი რჩება განვითარების სტრატეგიული ამოცანები.

რეკომენდაციები:

- სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის მზარდი სექტორების განვითარების ხელშეწყობა;
- საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის გაძლიერება;
- შრომის ბაზრის შესახებ საინფორმაციო ბაზის სრულყოფა;
- ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შესაბამისობაში მოყვანა ბიზნესის სტრატეგიასთან;
- ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება კომპანიათა დანიშნულების საფუძვლიანი გააზრებისა და ძირითადი პროცესების სწორად დაგეგმვის საფუძველზე;
- ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უშუალო გავლენას მოახდენს დასაქმებულის ისეთ თვისებებზე, როგორიცაა: მართვის პროცესებში ჩართულობა, ვალდებულების გრძნობა, მოტივაცია და უნარები;
- თითოეულ სტრატეგიულ ამოცანაზე, პირველი პირის პასუხისმგებლობის

ნაცვლად, სხვადასხვა პასუხისმგებელი პირის დანიშვნა, რათა შესაძლებელი გახდეს ორგანიზაციული მიზნების მიღწევა.

პუბლიკაციები, რომლებიც გამოქვეყნდა პროექტის ფარგლებში:

- Paichadze N., Chokheli E., Keshelashvili G., Kharkheli M., Tielidze Sh., Tchuradze G., Issues of Improvement of HR Management in Public Sector of Georgia, p.75-82.
- http://www.iises.net/proceedings/24th-international-academic-conference-barcelona/table-of-content/detail?article=issues-of-improvement-of-hr-management-in-public-sector-of-georgia
- Paichadze N., Chokheli E., Keshelashvili G., Kharkheli M., Tielidze Sh., Tchuradze G., Employment Challenges in Georgia (An Analysis of Public and Private Sector), 45th International Conference, proceeding of ISERD, 17th-18th August, 2016, Warsawa, Poland, p.10-12.
- პაიჭაძე ნ., ჩოხელი ე., ქეშელაშვილი გ., ხარხელი მ., ტიელიძე შ., ჭურაძე გ., ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფის საკითხები საქართველოს ეკონომიკის კერძო სექტორში, ჟურნალი ,,ეკონომისტი“#4, 2016 წ.

<u>პროექტი: „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სრულყოფის გზები მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებში“,</u> პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ასოცირებული პროფესორი **ლევან საბაური.** პროექტში ასევე მონაწილეობდნენ ამავე კათედრის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, კერძოდ, ასოცირებული პროფესორები: ნადეჟდა კვატაშიძე და ნანა სრესელი. დოქტორანტები: რუსუდან სრესელი და ნინო ქადაგიშვილი.

აქტუალურობა. მცირე და საშუალო საწარმოების ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთი ფაქტორი ბიზნეს საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფაა. სწორად აღრიცხვა ქმნის ბიზნესის სტრატეგიულ რესურსს - სააღრიცხვო ინფორმაციის სახით. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს)„მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (შემდგომში მსს) გამოიცა 2009 წელს და მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც უფრო ადრეული, ასევე უფრო გვიანი პერიოდებიდან. მიმდინარე ეტაპზე მრავალი ქვეყანა მიზანშეწონილად მიიჩნევს ფასს -ის გამოყენებას მცირე და საშუალო ბიზნესში, რადგან ითვლება, რომ მცირე ბიზნესი იღებს განვითარების ბიძგს, იზრდება ანგარიშგების გამჭვირვალობა, სანდოობა და შესაბამისობა. ფასს-ის საბჭოსა და iasplus.com ინტერნეტრესურსის მონაცემებით, ფასს-ი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ნებადართულია, მოითხოვება მისი გამოყენება ან გამოყენება სავალდებულო იქნება უახლოესი სამი წლის განმავლობაში მსოფლიოს 70

ქვეყნის კანონმდებლობით. მაგალითად, ფასს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის სავალდებულოა ბრაზილიაში, არგენტინაში, აზერბაიჯანში, ისრაელში. იგეგმება ფასს-ის სავალდებულო გამოყენებაზე გადასვლა დიდ ბრიტანეთში, ლატვიაში, ყაზახეთში. ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო ვარაუდობს, რომ ფასს-ის გამოყენება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელს შეუწყობს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფართოდ გავრცელებას მთელ მსოფლიოში.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ მსოფლიოს საწარმოთა 95-98% მიეკუთვნება მცირე ბიზნესს, რაც მნიშვნელოვანს ხდის ამ საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სანდოობის ამაღლებას, რათა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს მიეწოდოს მაღალხარისხიანი და ტრანსპარანტული ინფორმაცია. ამ მიზნით ფასს-ის საბჭოს მიერ (IASB) 2009 წელს გამოიცა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (შემდგომში მსს ფასს). ამ სტანდარტების გამოყენება უზრუნველყოფს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებისათვის და პირველ რიგში, პოტენციური ინვესტორებისათვის, ბაზრის კაპიტალის მონაწილეთათვის, შესაბამის და სამართლიანი ინფორმაციის წარდგენას, რაც მისცემს მათ სწორი პროგნოზების გაკეთების საშუალებას. ყოველოვე ეს ადასტურებს **კლევის აქტუალურობას.**

მიზანი. ქართულ ენაზე გამოცემული მსს ფასს (2014 წ.) შესწავლა და შესაძლებლობების ფარგლებში მისი იმპლემენტაცია. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დასახულ იქნა შემდეგი ***ამოცანები:*** ყველა ფასს-ის დამუშავება, იმპლემენტაცია სააღრიცხვო პოლიტიკისა და მეთოდოლოგიური გზამკვლევის შემუშავების სახით; კვლევის შედეგების მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე.

კვლევის აქტუალურობა მხარდაჭერილი იყო იმ გარემოებით, რომ საქართველოს მთავრობის მიერ, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერის შედეგად, წარმოიქმნა ვალდებულება ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულებით მოხდეს კანონმდებლობის დახვეწა და მისი ევროსტანდარტებთან მიახლოება. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ფორმდება ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ ქვეყანას შორის და მიზნად ისახავს მხარეთა შორის თანამშრომლობის ჩარჩოს შექმნას. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ სამართლებრივად სავალდებულოა„ ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის,“ დოკუმენტის XXVIII დანართში მოცემულია კონკრეტული მიმართულებები, რაც ეხება კორპორაციულ სამართალს, ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტს, ასევე, კორპორაციულ მმართველობას. საქართველო იღებს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებ-

ლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინ-სტრუმენტებს ზემოაღნიშნულ სფეროებში.

კანონმდებლობის დაახლოებასთან ერთად აუცილებელია იმის განსაზღ-ვრა, თუ რომელი საწარმოები უნდა მივაკუთვნოთ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს. ასოცირების შესახებ ერთიანი და ყოვლისმომცველი ხელშეკრულე-ბის ფარგლებში ასევე მოცემულია მცირე და საშუალო საწარმოების განმარ-ტებები, დადგენილია ის კრიტერიუმები, რომელი ტიპის საწარმო რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს, ხოლო თვით სტანდარტით უკვე განსაზღვრულია, რო-მელი კატეგორიის ორგანიზაციებისთვის არის ამ სტანდარტის გამოყენება სა-ვალდებულო.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ სა-ქართველოს კანონის შესაბამისად განისაზღვრა საწარმოთა კატეგორიები. აღ-ნიშნული ცვლილების შედეგად ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტების 95% აღმოჩნდა მიკრო და მცირე საწარმოების რიცხვში. მიმდინარე ეტაპზე მცირე და საშუალო საწარმოებში ფინანსური ანგარიშგების საერთაშო-რისო სტანდარტის არსებობის შესახებ ინფორმაციას მცირე მეწარმე სუბიექტე-ბი მოკლებულნი არიან, მაგრამ კიდევ უფრო მცირეა ინფორმაცია აღნიშნული სტანდარტით გათვალისწინებული განსხვავებული მიდგომების შესახებ, რაც გათვალისწინებულია ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ან-გარიშგების მომზადების სფეროში.

აღნიშნული საგრანტო პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანი **შედე-გია** მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის დანერგვის მიმართულებით პრაქტიკული და მეთოდური სახის გზამკვლევის შექმნაში, რაც ხელს შეუწყობს სტანდარტის დანერგვის პროცესის სწორად წარ-მართვას.

წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მიზანი იყო მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარ-დგენის სრულყოფის შესახებ მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდა-ციების შემუშავება და მიწოდება როგორც მეწარმე სუბიექტებისათვის, ასევე ამ საკითხით დაინტერესებული სხვა პირებისთვისაც.

უპირველესად, მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-დან ფასს -ის სრულ პაკეტამდე „ერთი ნაბიჯია“: ისინი რიგ საკითხებში ფასს-ი და მსს-ის ფასს-ი მსგავსნი არიან და ფასს-ის სრული პაკეტის შემდგომი ტექნიკური გამოყენე-ბა არ მოითხოვს ზედმეტ ძალისხმევას. გარდა ამისა, ფასს მსს-ისთვის შეიცავს მთელ რიგ გამარტივებას, რაც არა მარტო უნარჩუნებს ინფორმაციას საიმედო-ობას, არამედ უზრუნველყოფს სახსრების დაზოგვას ანგარიშგების მომზადები-სათვის.

შეიძლება გამოიყოს მცირე და საშუალო კომპანიებისთვის სტანდარტის გა-მოყენების შემდეგი უპირატესობები:

<u>დაფინანსების მიღება გამარტივებული წესით.</u> იმ კომპანიებისთვის, რომლებიც იყენებენ სპეციალურ სტანდარტს მსს-ისთვის, შეიძლება გამარტივდეს დაშვება საკრედიტო რესურსებთან.

<u>თანამშრომლების პროფესიული დონის ამაღლება.</u> ფასს-ის საბჭო ვარაუდობს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფასს-ის გამოყენება - ეს არის პირველი ნაბიჯი უფრო გავრცელებული და თანამედროვე სტანდარტების მიმართულებით. მსს-ის ფასს-ის გამოყენება ხელს შეუწყობს თანამშრომლების განათლების დონის ზრდას მცირე კომპანიებში, მათ შორის, აამაღლებს ფინანსური განათლების დონეს.

<u>საერთაშორისო აუდიტის ჩატარება</u> . მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფასს-ის შესაბამისად კომპანია იღებს შესაძლებლობას, ჩაატაროს თავისი ანგარიშგების საერთაშორისო აუდიტი. ეს ზრდის შიდა კონტროლს კომპანიაში, ქმნის ფინანსური ანგარიშგებისა და თვით ფირმის დამატებით ფასეულობას.

<u>ეროვნულ სტანდარტებზე უარის თქმის შესაძლებლობა (საქართველოში ეროვნული სტანდარტი არ არსებობს).</u> ზოგიერთი ქვეყნის კომპანიებმა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფასს-ის შესაბამისად, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის შეიძლება არ გამოიყენონ მოთხოვნები ანგარიშგების მომზადების შესახებ ეროვნული სტანდარტებით. ეს კი იძლევა ბიზნესზე დატვირთვის შემცირების შესაძლებლობას.

<u>ანგარიშგების მომზადების სტაბილური წესები.</u> მსხვილი კორპორაციების მრავალი ბუღალტერი შესჯახებია მუდმივად ცვალებადი ძველი სტანდარტების და ახალი სტანდარტების დაწესების გამოყენების უხერხულობას ფასს-ის სრულ კომპლექტში. მცირე და საშუალო ბიზნესის კომფორტული მუშაობისათვის მსს-ის ფასს არ ექვემდებარება ხშირ ცვლილებებს. პრაქტიკული მაგალითით რომ ვაჩვენოთ, ორი წლის განმავლობაში - მიღების მომენტიდან (2009 წლის ივლისი) მიმდინარე მომენტამდე სტანდარტში ცვლილებები არ შესულა. მეტიც, მოსალოდნელია, რომ სტანდარტების შემქმნელები არ შეიტანენ ცვლილებებს ფასს-ში მცირე და საშუალო ბიზნესისთვის უფრო ხშირად, ვიდრე სამ წელიწადში ერთხელ.

მსს-ის ფასს-ის გამარტივებულ ვერსიას, გარკვეულწილად, არსებითი ნაკლოვანებებიც გააჩნია, კერძოდ:

- ფასს-ის დანერგვის ღირებულება მსს-თვის საკმარისად მაღალია და შეიძლება შევადაროთ სრული ფასს-ის დანერგვის ღირებულებას;
- ნებისმიერი მცირე ფირმის სურვილის შემთხვევაში, რომ გახდეს საჯარო (გამოუშვას მიმოქცევაში აქციები, ობლიგაციები, თამასუქები), კომპანია ვალდებული იქნება, მოამზადოს ანგარიშგება სრული ფასს-ის მიხედვით;
- მოცემულ ეტაპზე არ არის ცხადი, ენდობიან თუ არა პოტენციური ინვესტორები ამგვარ „გამარტივებულ“ ანგარიშგებას, რადგან სწორედ ფინან-

სური ანგარიშგების მონაცემები აძლევს შესაძლებლობას ინვესტორებს მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილებები.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებებისა და უპირატესობის შესახებ კვლევები განხორციელდა სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესრულებისას და რეკომენდაციის სახით მიეწოდება ყველა დაინტერესებულ პირს. პროექტის განხორციელება წარმოადგენს კიდევ ერთ ნაბიჯს სამეცნიერო სექტორის პრაქტიკული მუშაობის შეჯერებისა, ამჯერად კერძო სექტორის მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში.

მცირე და საშუალო ბიზნესმა განვითარების მძლავრი ინსტრუმენტი მიიღო სპეციალური სტანდარტის გამოსვლით მსს-ის ფასს-ის ანგარიშგების სახით. უპირველესად, მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-დან ფასს -ის სრულ პაკეტამდე „ერთი ნაბიჯია“: რიგ საკითხში ფასს-ი და მსს-ის ფასს-ი მსგავსია და ფასს-ის სრული პაკეტის შემდგომი ტექნიკური გამოყენება არ მოითხოვს ზედმეტ ძალისხმევას. გარდა ამისა, ფასს მსს-ისთვის შეიცავს მთელ რიგ გამარტივებას, რაც არა მარტო უნარჩუნებს ინფორმაციას საიმედოობას, არამედ უზრუნველყოფს სახსრების დაზოგვას ანგარიშგების მომზადებისათვის.

<u>კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდები.</u> კვლევის პროცესში ძირითადად გამოყენებული იქნა დაკვირვების, შედარებისა და ანალიზის მეთოდები. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაცნობით მოხდა მსს ფასს-ის ინტერპრეტაცია და პრაქტიკული მაგალითების განხილვა.

<u>კვლევისრპროცესშირგამოვლენილი ტენდენციები.</u> პროექტზე მუშაობის პროცესმა ნათლად წარმოაჩინა, რომ საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების მომზადების არანაირი პრაქტიკული თუ თეორიული სახელმძღვანელო მიმდინარე პერიოდამდე არ არსებობდა. შექმნილი ნაშრომი იქნება პირველი მცდელობა დაეხმაროს მეწარმეებს მათი საწარმოების სწორი სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებასა და ფინანსური მდგომარეობის ფორმირებაში. აღნიშნული სახელმძღვანელო იქნება პასუხი იმ გამოწვევების, რაც 2016 წლის 24 ივნისს მიღებული კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დანართებით არის განსაზღვრული.

<u>სამეცნიერო პროექტის კვლევის შედეგები.</u> პროექტის ფარგლებში მომზადდა დასრულებული სამეცნიერო-პრაქტიკული ნაშრომი, რომელიც შესრულებულია 416 A4 ფორმატის ნაბეჭდ გვერდზე და გადაცემულია გარე რეცენზირებისათვის ორ უმაღლეს სასწავლებელში (საქართველოს უნივერსიტეტი და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი) და ორ აუდიტორულ ფირმაში (შ.პ.ს აუდიტ-ლოჯიქი და შ.პ.ს პრიმა-აუდიტი). აღნიშნული შრომის გამოცემა მონოგრაფიის სახით იგეგმება მიმდინარე წლის პირველ ნახევარში.

პროექტის ფარგლებში მომზადდა ორი სტატია, საიდანაც ერთი გამოქვეყნდა სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ინსტი-

ტუტის მიერ ორგანიზებულ 27-ე აკადემიური კონფერენციის გამოცემათა კრებულში („ფინანსური ანგარიშგების სახეები,მათი წარდგენის საკითხები და შედარებითი ანალიზი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად“„Types of financial statements, questions of their submission and comparative analysis according to the IFRS”), ხოლო მეორე სტატია წარდგენილია გამოსაქვეყნებლად ტლანტიც ცონომიც ჟოურნალ-ში („მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდატების გამოყენების პერსპექტივები საქართველოს მაგალითზე“, „Prospectsof Application of International Standardsin Financial Reportingby Small and Medium-Size Businessesin Georgia“).

<u>პროექტი:</u> **<u>„საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები’’,</u>** პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის პროფესორი **გიორგი ღაღანიძე.** პროექტში ჩართულები იყვნენ ასევე აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, კერძოდ, ასოცირებული პროფესორი ბადრი რამიშვილი, დოქტორანტები: ქეთევან ღამბაშიძე, დავით ქადაგიძე, ლაშა დიდიძე. მაგისტრანტები: გვანცა სისოშვილი, ვასილ პაპიაშვილი. (შენიშვნა - *პროექტის მსვლელობაში ორივე მაგისტრანტი გახდა დოქტორანტი).*

აქტუალურობა. საქართველოს საგარეო ვაჭრობაში (განხილულია საქონლით ვაჭრობა), უკანასკნელ წლებში ქრონიკულად არსებული 5-6 მლრდ დოლარის უარყოფითი სალდო, წარმოადგენს დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის ერთდერთ შემაფერხებელ ფაქტორს. ექსპორტის მოცულობა იმპორტის მხოლოდ მესამედს, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში - ნახევარს შეადგენს. ამ ტენდენციის შენარჩუნება ყოვლად დაუშვებელია. სწორედ ასეთმა დისბალანსმა შეუქმნა საფრთხე ლარის სტაბილურობას. ექსპორტის ზრდა და იმპორტის შემცირება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ამოცანას არამხოლოდ გაცვლითი კურსის სტაბილურობისათვის, არამედ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპორტის ზრდისა და იმპორტჩანაცვლების ღონისძიებები ასტიმულირებს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, ადიდებს ეროვნულ შემოსავალს და წარმოადგენს მდგრადი საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის სტაბილურ ბაზას. უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება საექსპორტო პოტენციალის ზრდისა და იმპორტჩანაცვლების საფუძველზე ასევე წარმოადგენს დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდები. ზუსტმა რაოდენობრივმა შეფასებებმა მოგვცა პრობლემების იდენტიფიცირებისა და სწორი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. ინფორმაციის მოპოვება მოხდა გამოკითხვის, დაკვირ-

ვების, პირველადი და მეორადი საინფორმაციო წყაროების გამოყენების მეშვეობით. განხორციელდა მიღებული ინფორმაციის შეფასება, ანალიზი, შედარება, დაჯგუფება, სისტემატიზება, განზოგადება.

საწყის ეტაპზე შეფასდა **საქართველოს სავაჭრო ბალანსის მდგომარეობა** როგორც მთლიანად, ასევე ძირითადი სავაჭრო პარტნიორების მიხედვით (ევროკავშირი, დსთ, თურქეთი, ჩინეთი, აშშ). განხორციელდა სავაჭრო პარტნიორების რანჟირება **სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსის** მიხედვით, რაც აუცილებელი იყო იმის განსაზღვრისთვის თუ რომელ სავაჭრო პარტნიორებთან უნდა გახდეს ექსპორტის წახალისება პრიორიტეტული და რომლებთან მიმართებით უნდა მიექცეს ყურადღება იმპორტჩანაცვლებას. ამ ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად აუცილებელი იყო თითოეული პარტნიორის მიმართ განსაზღვრულიყო **სავაჭრო ინტენსივობის ინდექსი** და მომხდარიყო სავაჭრო პარტნიორების შედარება საექსპორტო პოტენციალის ათვისების მიხედვით. საექსპორტო პოტენციალის ზრდისთვის, არსებული საექსპორტო პროდუქციის ნომენკლატურაში აუცილებელი იყო განისაზღვრულიყო ყველაზე მაღალი **გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობის** მქონე სასაქონლო ჯგუფები. უნდა აღინიშნოს, რომ მოხდა საკმაოდ ნოვატორული მიდგომის გამოყენება. კერძოდ, ეს მაჩვენებელი გაანგარიშდა როგორც ზოგადად, ასევე, კონკრეტული სავაჭრო პარტნიორების მიმართ. ამის საფუძველზე მოხდა ყველაზე მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე სასაქონლო ნომენკლატურის (საერთაშორისო კლასიფიკაციის 4-ნიშნა დონეზე) დადგენა. კვლევის შემდეგ ეტაპზე მოხდა ცალკეული სავაჭრო პარტნიორების ბაზრებზე ექსპორტირებული პროდუქციის ნომენკლატურის შეფასება **კონცენტრაციის თვალსაზრისით (ჰერფინდალის ინდექსი),** საექსპორტო სასაქონლო ჯგუფების **საექსპორტო ერთგვაროვნების შეფასება (კინკერ-ფრეინინის ინდექსით),** ასევე შეფასდა **შიგადარგობრივი ვაჭრობის მაჩვენებლები (გრუბელ-ლოიდის ინდექსი).** ეს კვლევები აუცილებელია, რათა ერთი მხრივ გამოიკვეთოს უკვე არსებული კონკურენტული უპირატესობის მქონე საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები, განისაზღვროს კონკრეტული ღონისძიებები მათი კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებისათვის. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია სწორად შეფასდეს, თუ რა ეფექტს მოუტანს საქართველოს სხვადასხვა სავაჭრო პარტნიორთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დაბალი საექსპორტო ერთგვაროვნებისა და შიგადარგობრივი ვაჭრობის უკვე დაბალი დონის შემთხვევაში, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება არ იძლევა მოკლევადიან ეფექტს, სამაგიეროდ იძლევა დამატებითი ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი საექსპორტო პროდუქციის შექმნის კარგ შესაძლებლობას. ჩატარებული სამუშაოები იძლეოდა შესაძლებლობას განსაზღვრულიყო სასაქონლო ექსპორტის ზრდის ხელშემწყობი კონკრეტული ღონისძიებები.

ექსპორტის წამახალისებელი ღონისძიებების დადგენის მიზნით შემუშავდა კითხვარი, რომელიც დაურიგდა ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს. კვლე-

ვის ორგანიზაციისა და კითხვარების დარიგებაში აქტიურად იქნა ჩართული საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა. სპეციალურად შერჩეული იქნა ექსპორტიორები, რომლებსაც ჰქონდათ სტაბილური ექსპორტი და ამავდროულად ეს იყო ექსპორტი და არა რეექსპორტი. დაგზავნილ კითხვარზე მიღებული პასუხები გვაძლევს მაღალ სანდოობას და ამდენად მიღებული პასუხები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს კონკრეტული წამახალისებელი ღონისძიებების განსაზღვრისათვის.

კვლევაში განხილული იქნა იმპორტჩანაცვლების ტექნიკური შესაძლებლობები. მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ არ გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოვა საქართველოს მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებთან. აუცილებელია ერთმანეთისაგან მკაფიოდ გაიმიჯნოს სამართლებრივი და ორგანიზაციული სამუშაოები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მსოფლიოში აღიარებული ბრენდების მიერ საქართველოში ინვესტირების შესაძლებლობებს, რაც ერთი მხრივ იმპორტჩანაცვლების, ხოლო, მეორე მხრივ კი, ახალი საექსპორტო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობებს ქმნის. გაანალიზდა იმპორტჩანაცვლების მოკლევადიანი და ხანგრძლივადიანი შედეგები, თეორიულად იქნა შესწავლილი იმპორტჩანაცვლების საფუძველზე საექსპორტო პროდუქციის ზრდის ე.წ. „უპსალას მოდელის“ გამოყენების შესაძლებლობა საქართველოში. სტატისტიკური მასალის უტყუარობისათვის გამოყენებული იქნა, როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ასევე საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის (International Trade Center) სტატისტიკური მასალები.

კვლევამ აჩვენა, რომ საექსპორტო პოტენციალის ზრდიისათვის აუცილებელია სპეციალური სექტორულ-რეგიონული საექსპორტო სტრატეგიების ფორმირება, ახალი საექსპორტო პროდუქციის შექმნა, არსებული საექსპორტო პროდუქციის ბაზაზე უფრო მაღალი დამატებული ღირებულების მქონე საექსპორტო პროდუქციის შექმნა.

იმპორტჩანაცვლებაში გამოიკვეთა კონკრეტული სასაქონლო ჯგუფები და მიმართულებები, რითაც შესაძლებელია ყველაზე მაღალი ეფექტის მიღება. კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა რეკომენდაციები, რაც წარედგინა ფართო საზოგადოებრიობას 7 დეკემბერს გამართულ პრეზენტაციაზე. იგეგმება კვლევის შედეგების გამოცემა და პრეზენტაციაზე გამოთქმული მოსაზრებების თანახმად საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოქვეყნდა:

- ასოცირებული პროფესორის ბადრი რამიშვილის სტატია: იმპორტჩანაცვლება-საქართველოს ეკონომიკის განვითარების უმთავრესი რეზერვი, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ N 3, 2016.
- პროფესორ გიორგი ღაღანიძის სტატია: საექსპორტო სტრატეგიების ფორმირებისა და მათი ეფექტიანობის შეფასების თავისებურებები,

ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ N 4, 2016. სტატია რეკომენდებულია 2017 წელს გასამართ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე მოსასმენად IAC-MEM, ბუდაპეშტი და ISERDI, პარიზი.

ასევე დაგეგმილია სტატიების მომზადება დოქტორანტების მიერ. შესაბამისი დაფინანსების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია კვლევის შემდგომი ეტაპი, კერძოდ შეფასდეს საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შედეგები, ასევე შეაფსდეს საქართველოსა და აშშ-ს შორის შესაძლო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შედეგები. მნიშვნელოვანი იქნება ასევე კვლევის ჩატარება მომსახურების ექსპორტის ზრდის პოტენციალის შეფასებისათვის.

<u>პროექტი - „სტუდენტის (მაგისტრანტის) დროის ბიუჯეტის მართვა - სრულფასოვანი შრომითი რესურსის მიღების საფუძველი“,</u> პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე. პროექტში ასევე ჩართულები იყვნენ აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, კერძოდ, ასისტენტ /პროფესორები ეკატერინე გულუა და მაკა გიორგობიანი; დოქტორანტები: კესი სუმბაძე და კრისტი ოდიშვილი; მაგისტრი მათე სოხაძე.

აქტუალურობა. ადამიანური რესურსების მართვაში სამეცნიერო პრობლემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, სადაც ფუნდამენტალური კვლევების საფუძველზე გამოვლენილია სტუდენტის, როგორც პოტენციური შრომითი რესურსის, განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები. დროის სწორი გამოყენება იმ ფაქტორთა შორის არის, რომელიც არა მხოლოდ დროის დანაკარგით განისაზღვრება, არამედ უამრავ თვალხილულ პრობლემას უქმნის სტუდენტს - პოტენციურ შრომით რესურსს, როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ადამიანი საზოგადოების წევრია, მისი სიცოცხლისუნარიანობისა და სიჯანსაღის განმაპირობებელი. ადამიანი არ არის მხოლოდ ინდივიდი, რომელიც მოქცეულია პირად ჩარჩოებში. ის არსებობს და მოქმედებს დროის პერიოდში და უკავშირდება ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება, პირველ რიგში კი იმ საზოგადოებას, რომლის წევრიცაა.

ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ცოტაა ისეთი რესურსები რომელთან მიმართებითაც ისეთივე თანასწორუფლებიანები ვართ, როგორც დროსთან. ყოველ ჩვენგანს აქვს 24 საათი დღე-ღამეში და მისი სწორი გამოყენება პირდაპირ არის დაკავშირებული ადამიანის შრომის მწარმოებლურობასთან.დროის სწორად განაწილება და მისი რაციონალურად გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის. სტუდენტობის წლები ხომ პროფესიული და ზნეობრივი ჩამოყალიბების, ახლის ძიების და საზოგადოებაში ადგილის მონახვის პერიოდია.

არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა უამრავი სტუდენტი იძულებული გახადა სწავლის პარალელურად დაეწყო მუშაობა, რადგან ეს არის ერთადერთი გზა, რათა დაფაროს სწავლის ხარჯები და თავი ირჩინოს.

კვლევა ჩატარდა საქართველოს შემდეგ ხუთ წამყვან უნივერსიტეტში- ივ. ჯავახიშვიის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერიტეტი, თბილისის ტექნიკური უნივერიტეტი. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი . კვლევა შეეხო მხოლოდ ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების მაგისტრებს. რესპონდენტთა რაოდენობა იყო 523 მაგისტრი.ანკეტა მოიცავდა 37 კითხვას და პასუხის 117 ვარიანტს . მსგავსი მაშტაბის კვლევა აღნიშნულ საკითხზე საქართველოში ჩატარდა პირველად.

კვლევის შედეგებმა მოგვცა შემდეგი სურათი:

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღნიშნულ ფაკულტეტზე ირიცხებოდა 522 მაგისტრი და გამოიკითხა 313;თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში ირიცხებოდა- 402, გამოიკითხა 111;გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირიცხებოდა 40, გამოიკითხა 37(90%)თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირიცხებოდა 31, გამოიკითხა 27, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ირიცხებოდა 99, გამოიკითხა 35. საჭიროა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ უნივერსიტეტებში კონკრეტულ ინფორმაციას არ გავასაჯაროებთ და გადავცემთ შესაბამის უნივერსიტეტებს), შეუძლებელი აღმოჩნდა მაგისტრანტებთან შეხვედრა სასწავლო პროცესის დროს;
- გამოკითხულ რესპონდენტთა უმეტესობა იყო ქალი-341 (რესპონდენტთა 65%) მამრობითი სქესის წარმომადგენელი-182 (35%)
- აღნიშნული თანაფარდობა არ არის გამოწვეული მამაკაცების მხრიდან სწავლის დაბალი ინტერერსით, არამედ დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში სწორედ ამგვარ თანაფარდობას იძლევა , კერძოდ მოსახლეობის დაახლოებით 40% არის მამაკაცი და 60 % ქალი;
- როგორც მოსალოდნელი იყო, დროის უკმარისობა აწუხებს ძალიან ბევრ ადამიანს და შესაბამისად - მაგისტრებსაც. სისტემატური დროითი დეფიციტი საკმაოდ ძლიერი სტრესია, რომელიც მოქმედებს ჯამრთელობაზე: სუსტდება იმუნური სისტემა, მატულობს შაქრიანი დიაბეტის, წყლულის, გულ-სისხლძარღვთა, სიმსივნური და სხვა დაავადებების რისკი.ამიტომაც აუცილებელის ყველას შეეძლოს განსაკუთრებული და ნორმირებული დროითი რესურსის გონივრული მართვა;
- გამოკითხულ რესპონდენტთა შორის 523 მაგისტრიდან მხოლოდ 76 თვლის რომ მათ ხელთ არსებული დროის რესურსი საკმარისია დაგეგმი-

ლი სამუშაოების შესასრულბლად. კვლევიდან ირკვევა, რომ დროის დეფიციტი არ აწუხებს დაახლოებით 14 %-ს . სავარაუდოდ ეს ის მაგისტრებია, რომლებიც დროის ბიუჯეტის დიდ ნაწილს მხოლოდ სწავლას ახმარენ;

- საინტერესოა ის ფაქტიც რომ გამოკითხულ მაგისტრანტთა სრული უმრავლესობა დასაქმებულია სრული განაკვეთით (76%) და შესაბამისად სამუშაო ადგილზე არის დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე;
- რამდენად არის შესაძლებელი სწავლა და მუშაობა ერთდროულად ისე, რომ არ მოხდეს სამსახურისა და სწავლის საქმეების ერთმანეთის ხარჯზე კეთება ? რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი აცხადებს, რომ სამუშაო საათების დროს უწევს ლექცია -სემინარების მომზადება. ამგვარად უნდა ვივარაუდოთ, რომ შესაბამის სამსახურებში, ასეთი მაგისტრები არ არინ სრულად დატვირთულნი, კერძოდ მართის პროცესები შეიცავს ხარვეზებს, არ არის სამუშაოს დეგელიგერის პროცესი ეფექტიანი, არ აქვს ადგილი უფლება-მოვალეობებისა და სამუშაოების სწორ გადანაწილებას. ასევე საყურადღება ის ფაქტიც, რომ მაგისტრანტები უფრო ხშირად სამუშაო საათების ხარჯზე ახდენენ სწასწავლო მასალის მომზადებას და შედარებით ნაკლებია იმ გაგისტრანტთა რაოდენობა, რომლებიც სამუშაო საქმეებს აკეთებენ სახლში ან სასწავლებელში.
- როგორც კვლევიდან, ჩანს ლექცია- სემინარების მომზადებას 1 საათამდე ანდომებს 34%, რაც ბუნებრივია, საკმაოდ უარყოფითი მაჩვენებელია. ბუნებრივია, ერთი საათი არ არის საკმარის დრო იმისათვის რომ მაგისტრმა პროფესორის მიერ მიწოდებული მასალის გარდა მოამზადოს სხვა დამატებითი ლიტერატურაც. შესაბამისად, კვლევამაც ანალოგიური სურათი გვიჩვენა: დამატებითი ლიტერატურით სარგებლობს მხოლოდ 87 რესპონდენტი 17%. სავარაუდოდ, ეს იმ მაგისტრებია, რომლებიც არ არიან დასაქმებულნი;
- რაც შეეხება მაგისტრანტთა ლექცია-სემინარებზე დასწრების სიხშირეს, რესპონდენტთა დაახლოებით 3% საერთოდ ვერ დადის ლექციაზე, მხოლოდ ერთ ლექციას ესწრება 27%, ორ ლექციას 42% ყველა ლექციაზე დასწრებას ახერხებს მხოლოდ 27%;
- თავისუფალი დროის გამოყენება და ცხოვრების ჯანსაღი წესი, ის ფაქტორებია, რომელიც გავლენას ახდენს ჯანსაღი შრომითი რესურსის ჩამოყალიბებაზე. ცხოვრების ჯანსაღი წესი საკუთრივ მოიცავს ქცევის ყველა ელემენტს. რესპონდენტთა დიდ უმრავლესობა 74% დღის მანძილზე დასასვენებლად არ აქვს გამოყოფილი დრო და შაბათ კვირასაც კი, დასვენების უფლებას მხოლოდ მცირე ნაწილი სარგებლობს;
- სპორტული აქტივობით თითქმის არასდროს არ არის დაკავებული რესპონდენტთა 82% თუმცა ყოველდღიური ფიზიკური აქტივობა შედარებით მეტია, საერთოდ არ ვარჯიშობს მხოლოდ 8%;

- გაძლიერებული დატვირთვის ფონზე მნიშვნელოვანია მაგისტრების ძილი. არასაკმარისი ძილი აქვეითებს გამძლეობას სტრესისადმი.ცნობილია, რომ სტრესის 80% იწვესვს გულსისხლძარღვთა, ნერვიული, კუჭნაწლავის სისტემის და სხვა ორგანოთა სისტემების დაავადებას.რგადატვირთული გრაფიკისა და სოციალურ ქსელთან მიჯაჭულობის შედეგად დარღვეულია ახალგაზრდების ძილის რეჟიმიც. კვლევიდან ჩანს, რომ 8-9 საათი სძინავს მხოლოდ 25%-ს, 5-6 საათი კი დაახლოებით 75%-ს. ასევე საგანგაშოა ის ფაქტიც რომ 12 საათამდე დაძინებას მხოლოდ 25% ახერხებს, ეს იმ ფინზე როცა მაგისტრანტთა დიდი ნაწილი მეორე დღეს 9 საათზე უნდა იყოს სამსახურში. ძილისთვის რეკომენდებული, ოპტიმალური დრო ღამის 22-23 საათიდან დილის 6-7 საათამდეა.მონაცემები კიდევ უფრო მძიმდება, რადგან რესპონდენტთა დიდი უმრავლესობის სამუშაო დღე 9-10 საათზე იწყება, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ან დროულად არ ცხადდებიან სამუშაო ადგილებზე, ან გამოუძინებელი და ენერგიაგამოცლილი მიდიან და მათი შრომის მწარმოებლურობა, ცხადია, ასეთ შემთხვევაში იქნება ძალიან დაბალი;
- მონაცემებიდან ირკვევა, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 2,6 % ახერხებს დღეში 4 -ჯერ კებას, რაც ნორმად არის მიღებული და სამწუხარო რეალობაა, რომ მაგისტრანტების 23% მხოლოდ ერთხელ იკვებება. ორჯერ კვებას კი მხოლოდ 48% ახერხებს. ცალკე კვლევის საგანია რამდენად სრულფასოვანია მათ მიერ მიღებული კალორიები;
- მონაცემებიდან ირკვევა, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილი (40%) არ მუშაობს საკუთარი პროფესიით;
- თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მათი ანაზღაურება არის საკმაოდ დაბალი და ნახევარზე მეტს (51%) 500 ლარზე ნაკლები ანაზღაურება აქვს, ამავდროულად არ მუშაობენ საკუთარი პროფესიით, ადვილი დასადგენია, რომ მათი მუშაობის მოტივაცია არის ის, რომ დაფარონ სწავლის საფასური.

მიღებული შედეგები არსებითად სავალალოა, რაც მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიაქციონ შესაბამისმა ორგამოებმა, ,ასევე კვლევის შედეგები სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა, კერძოდ ექიმებმა, ფსიქოლოგებმა, განათლების სფეროს მუშაკებმა უნდა განიხილონ. აღნიშნულ პრობლემებზე თვალის დახუჭვა მრავალ პრობლემას კიდევ უფრო მეტად გააღრმავებს ერთი კი ცხადია , გაჩნდა საფუძვლიანი კითხვა: აქვს თუ არა სამაგისტრო სწავლებას ფორმალური ხახიათი? არიან თუ არა დასაქმებული მაგისტრანტები რეალური საჯარო მოხელეები, რამდენად აქვთ მათ მოტივაცია აიმაღლონ კვალიფიკაცია და ა.შ.

აღნიშნულ საკითხებს მიეძღვნა ნ. ხარაძისა და ე. გულუას „მაგისტრანტთა თვითმენეჯმენტის თავისებურებები საქართველოში“, იხ. საერთაშორისო კონფერენციის ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკსა და ბიზნესში'' გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2016 წ.

დაბოლოს, მიზანშეწონილია ჩატარდეს კვლევის მულტიდისციპლინარული ანალიზი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ექიმები, ფსიქოლოგები და განათლების სფეროს სპეციალისტები, რაც ჩვენს პროექტს უფრო მრავალმხრივს და საინტერესოს გახდის ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ნინო ფარესაშვილი

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დეკანის მოადგილე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1, გვ. 210-212
ECONOMICS AND BUSINESS, 2017, 1, pp. 210-212

ხსოვნა ნათელი
THE BRIGHT MEMORY

ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, ღირსეული პიროვნება
პროფ. გიორგი მშვილდაძე – 90

თვალსაჩინო ქართველ მკვლევარს, ამაგდარ პედაგოგს, მეცნიერების ნიჭიერ ორგანიზატორს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი მშვილდაძეს 90 წელი შეუსრულდებოდა. იგი იმ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნის, რომლებმაც ნათელი კვალი დატოვეს ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისა და მაღალკვალიფიციური ეკონომისტების მომზადების საქმეში.

გიორგი მშვილდაძე დაიბადა 1927 წლის 22 მარტს ბაღდათის რაიონის სოფ. მეორე ობჩაში. 1944 წელს, საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, ასევე პარალელურად სწავლობდა მოსკოვის დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალში. ორივე სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1949 წელს, მთავრობის სპეციალური გადაწყვეტილებით, იგი დაინიშნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის მოადგილედ მთავარ კონტროლიორ-რევიზორად.

გიორგი მშვილდაძის უპირველესი მისწრფება სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა იყო. სწორედ ამ მიზნით იგი ჩაირიცხა 1950 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში, 1954 წელს კი წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად და მალე დოცენტის წოდებაც მიენიჭა.

წლების განმავლობაში ბატონი გიორგი მუშაობდა პარტიულ თანამდებობებზე: საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის ლექტორად, ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, კულტურის და სკოლების განყოფილების ინსტრუქტორად, სექტორის გამგედ. 1961 წლიდან გ. მშვილდაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზეა. 1975 წელს მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად და ერთი წლის შემდეგ მიენიჭა პროფესორის წოდება. პროფ. გ. მშვილდაძე 1978-1985 წლებში ხელმძღვანელობდა თსუ-ის პოლიტიკური

ეკონომიის კათედრას. წლების მანძილზე იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელი ფაკულტეტის დეკანი. უნივერსიტეტში მოღვაწეობასთან ერთად იგი წარმატებით საქმიანობდა სხვადასხვა სახელმწიფო და კომერციულ უმაღლეს სასწავლებლებში კათედრის გამგის, პროფესორ-კონსულტანტის, რექტორის მრჩევლის და სხვ. თანამდებობებზე. 1995-1996 წლებში პროფ. გიორგი მშვილდაძე აირჩიეს ორი დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად - აკადემიკოსად.

თავისი მოღვაწეობის მანძილზე მას გამოქვეყნებული აქვს ასამდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 10-ზე მეტი ცალკე წიგნადაა გამოცემული. პროფ. გ. მშვილდაძის სამეცნიერო კვლევას ძირითადად ორი მიმართულება ჰქონდა: დარგობრივი ეკონომიკის პრობლემების შესწავლა და ეკონომიკური თეორიის საკითხების დამუშავება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერის წვლილი საქართველოს ეროვნული სიმდიდრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტის - ძირითადი ფონდების (კაპიტალის) კვლავწარმოებისა და ეფექტიანი გამოყენების კანონზომიერებათა კომპლექსური შესწავლის საქმეში, რომელსაც მან სადოქტორო დისერტაცია, 5 მონოგრაფია, ათეულობით სამეცნიერო სტატია მიუძღვნა. ეკონომიკური თეორიის სფეროში პროფ. გ. მშვილდაძეს ეკუთვნის წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიკური კანონის შინაარსის ორიგინალური ინტერპრეტაცია და საზოგადოებრივი წარმოების ეფეტიანობის ამაღლების, როგორც ეკონომიკური კანონის საინტერესო დასაბუთება.

აღსანიშნავია ბატონი გიორგის მიერ შემუშავებული პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციები და წინადადებები, რომლებიც შეეხებოდა ქ. ჭიათურის მარგანეცის ნედლეულის სახით გატანის აკრძალვას და ჭიათურის ზონაში ღარიბი ქანების გადასამუშავებელი მეორე ქარხნის აშენების ეკონომიკური ეფექტიანობის დასაბუთებას, საქართველოს ელექტროენერგეტიკის მხოლოდ ჰიდრორესურსების გამოყენებით განვითარების მიზანშეწონილობას და სხვა.

პედაგოგიური მოღვაწეობის თითქმის 50 წლის მანძილზე იგი აქტიურად იყო ჩაბმული ასეულობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცული იქნა 20-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში პროფ. გიორგი მშვილდაძე იყო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სხვადასხვა საბჭოს აქტიური წევრი.

ბატონი გიორგი ყოველთვის გამოირჩეოდა პრინციპულობითა და ობიექტურობით. ვერ ეგუებოდა ადამიანების უპასუხისმგებლობას, სიზარმაცეს, მოუწესრიგებლობას; იყო სიმართლის პირში მთქმელი ადამიანი, რაც მისი შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობდა და არასდროს უღალატია თავისი პრინციპებისთვის.

პროფ. გიორგი მშვილდაძის ნაყოფიერი მოღვაწეობა უნივერსიტეტში არაერთხელ აღნიშნულა ხელმძღვანელობის მიერ: დაჯილდოებული იყო ივ. ჯავახიშვილის ორი მედლით, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მიღებული ჰქონდა ღირსების ორდენი და სხვა.

ჩვენი მასწავლებლის, უფროსი კოლეგის და მეგობრის, თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტის, ნიჭიერი მეცნიერის, ახალგაზრდების აღმზრდელის პროფ. გიორგი მშვილდაძის სახელი დიდხანს დარჩება იმ ადამიანების მეხსიერებაში, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონია.

აკად. ვლადიმერ პაპავა,
აკად. ავთანდილ სილაგაძე,
პროფ. თეიმურაზ ბერიძე,
პროფ. რევაზ გველესიანი,
პროფ. რევაზ გოგოხია,
პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი,
პროფ. ნუგზარ პაიჭაძე,
პროფ. მიხეილ ჯიბუტი

ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1, გვ. 213-215
ECONOMICS AND BUSINESS, 2017, 1, pp. 213-215

სახელოვანი პედაგოგი, მეცნიერი, ნათელი პიროვნება

მზია ქირთბაია

ჩვენს გვერდით არ არის ჭეშმარიტი ოჯახიშვილი და მამულიშვილი, ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი, ღირსეული პიროვნება მზია ქირთბაია. 40 დღის წინ წამიერად დაესვა წერტილი მის ამქვეყნიურ ნათელ ცხოვრებას, დაგვიტოვა ისევ ფიქრები და აზრები განსჯისთვის.

არასოდეს დაღლილა სხვების სამსახურით, ყოველთვის გვერდით ედგა ყველას.

მან იპოვა თავისი სულის შესაბამისი საქმე - პედაგოგობა. საბაზისო განათლებით ფილოლოგი, შემდგომ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გახდა. სწავლის დამთავრებიდან ბოლო დღემდე ივანე ჯავახიშვილის თსუ-ს სამსახურს შეალია თავისი ენერგია, სიყვარული და მთელი თავისი დრო.

50 წელი შეუსრულდებოდა მის მოღვაწეობას უნივერსიტეტში, მათ შორის 40 წელი კი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. თავიდან იყო პოლიტეკონომიის კათედრაზე, შემდგომ ეკონომიკის პრინციპების კათედრაზე, საერთაშორისო ბიზნესის კათედრაზე და ტურიზმის საერთაშორისო სკოლაში. მისი სალექციო კურსები იყო: ბიზნესის საფუძვლები, ეკონომიკის პრინციპები, ეკონომიკურ მოძღრებათა ისტორია. მას დიდი წვლილი მიუძღვის ისეთ სპეცდისციპლინათა დამუშავებაში, როგორიცაა: ადამიანთა ურთიერთობის ხელოვნება, იმიჯოლოგია, საერთაშორისო ბიზნესის ეთიკა, ბიზნესის ეთიკა. ეს უკანასკნელი 1995 წლიდან იკითხება უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე.

ქალბატონი მზია 50-ზე მეტი ნაშრომის ავტორია, ასევე რამდენიმე წიგნის რედაქტორი. 2004 წელს გამოსცა მონოგრაფია - „ბიზნესის ეთიკა“, რომელიც დღეს ძალიან მოთხოვნადია და მრავალგზისაა ტირაჟირებული. მისი ესსეები - „შტრიხები პორტრეტისათვის“, ესაა ადამიანთა სულში ღრმა ჩაწვდომის მხატვრული გადმოცემა, რაც მას საოცრად ხელეწიფებოდა.

მონოგრაფია - „ბიზნესის ეთიკა“ მისი შინაგანი მრწამსის, სულიერების მონოლოგია, საკუთარი ფიქრების თავისებური ბიოგრაფია, ანუ ავტორის სახეა.

იგი წერს: „წიგნს, რომელსაც კითხულობენ, აქვს აწმყო;

წიგნს, რომელსაც რამდენჯერმე წაიკითხავენ, აქვს მომავალი!“ და ა. შ.

„ბიზნესის ეთიკა“ თაობებს გასწვდება ზნეობრივ გაკვეთილად. წიგნის ორიგინალურობაზე აშკარად მიანიშნებს მასში გამოყოფილი თავები:

ზნეობა - ბიზნესის საფუძველი,
ეთიკური ბიზნესი და წარმატება,
ქართული ხასითი და ბიზნესი,
საქმიანი ურთიერთობები და ეთიკა,
ადამიანთა ურთიერთობა - ყველაზე დიდი კაპიტალი და ა.შ.

სახელმძღვანელო გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით და საინტერესოდ შედგენილი ტესტებით. ამაშიც იგრძნობა ავტორის ინდივიდუალური სტილი. აი, თუნდაც ერთი მაგალითი: „კარგი წიგნის წაკითხვის შემდეგ ადამიანი არასოდეს რჩება ისეთი, როგორიც მის წაკითხვამდე იყო. ეს წიგნი მხოლოდ წაკითხვას კი არა, ფიქრს გაიძულებს“.

ქალბატონმა მზიამ იცხოვრა მშვიდად, ლამაზად და გარემოსთან ჰარმონიულად, მუდმივად პოზიტიური ფიქრით. მისგან წამოსული პოზიტიური იმპულსები ირგვლივ სიყვარულსა და სითბოს უშურველად ასხივებდა. ყველასთვის შეეძლო ეწილადებინა სითბო და სიყვარული. ჰქონდა ადამიანთა სულში წვდომის უნარი, თითქოს სხვის ფიქრებს კითხულობდა. თვალში საცემი იყო მის მიმართ პატივისცემაც, ალბათ, იმიტომ განსაკუთრებული სულიერი ფასეულობებით რომ გამოირჩეოდა. პიროვნული და პროფესიული სრულქმნა მხოლოდ ყოველდღიური საქმიანობით მიიღწევა. ადამიანისათვის ყველაზე საიმედო საყრდენი ცოდნაა. მას ჰქონდა მომადლებული ის ნიჭი, რაც გულისხმობს ყველაზე დიდი სულიერების გამოვლენას, ყველაზე საუკეთესოს გაცემას, ლამაზი აზრების კრისტალიზებას.

ქალბატონი მზია თავისი ბუნებით, სულიერი წყობით გამოხატავს ქართულ ხასიათს, ამაღლებულს პირადი ღირსებით, გამორჩეულს შინაგანი სინათლით, ტაქტით, დელიკატურობით, რაფინირებული ესთეტიკური გემოვნებით, მეტყველების ჰარმონიული ფორმით, სიმშვიდითა და კეთილშობილებით. ჭეშმარიტი კეთილშობილება კი სრულიად უმნიშვნელო წვრილმანებისგან შედგება. ჭეშმარიტი ადამინური საყრდენი ქალბატონ მზიას ბიოგრაფიაში უხვადაა. ზნეობრივი კულტურით დაჯილდოებულის შინაგანი იმპულსი იმდენად სიღრმისეულია, რომ მისი გაცნობიერება არცთუ იოლია, რადგან ღირსეულად აზროვნება გონების დახვეწილობაა და ჭეშმარიტად კეთილშობილს არასოდეს არაფრით მოაქვს თავი. გონივრული და ზნეობრივი თითქმის ყოველთვის განუყოფელია ერთმანეთისგან და ადმიანური გზაც მხოლოდ სიკეთისა და სიყვარულის გზაა.

მის ცხოვრებაში დომინირებდა სინათლე და მადლი, ქმნა სიკეთისა, სხვების გულისნადების გაგება, რაც ყველაზე დიდი სულიერებაა!

ღირსეული და წარმატებული ადამიანი სწორედ ასე ცხოვრობს და სხვა ადამიანის ნაკვალევს რაღაცით მაინც ამდიდრებს. წარმატება კი ადამიანს თურმე კეთილს ხდის და ზნეობრივი სრულქმნაც ყოვლის ცოდნას მოაქვს! ამ ზნეობრივი სიწმინდის გარეშე კი არ გექნება საკუთარი ღირსების გრძნობა, საკუთარი

ღირსების გრძნობის გარეშე კი შეუძლებელია ამაღლდე, ადამიანს კი ამაღლებს პატიოსნება, კეთილშობილება, განათლება, ნიჭი, სიყვარული.

თუმცა, ბედის ირონიაა, რომ დიდი სიყვარულის მოტრფიალე, არ გათხოვილა, „უსიყვარულოდ დარჩა“. ამის თაობაზე ის ადეკვატური იუმორით პასუხობდა: ვინც კარგი ბიჭია, ყველა ჩემი ძმაკაცია და აბა, რა ვქნაო“.

დიახ, ქალბატონი მზია ჭარბად ფლობდა გამორჩეულ ადამიანურ ღირსებებს და მიიჩნევდა, რომ ადამიანი ცხოვრებაში ყველაზე მეტად მას უნდა გაუფრთხილდეს. რაც უფრო წიგნიერია ადამიანი, მით უფრო მდიდარია სულიერად, ხოლო სულიერად მდიდარი ადამიანი, გაცილებით იოლად ძლევს პრობლემებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ქალბატონი მზია დაჯილდოვებული იყო განსაკუთრებული გონიერებით, ადამიანების შეცნობისა და მათდამი გულწრფელი თანადგომის უნარით.

სწორედ რომ მისნაირ ადამიანებს მიესადაგება ცნობილი ხატოვანი გამონათქვამი – „მზე რომ უდგას სულში და მზესავით ანათებს შიგნიდან“!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

14.03.2017

ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1, გვ. 216-219
ECONOMICS AND BUSINESS, 2017, 1, pp. 216-219

ახალი სტანდარტები
NEW STANDARDS

ჟურნალში – „ეკონომიკა და ბიზნესი", სამეცნიერო სტატიის წარმოდგენისა და გამოქვეყნების ახალი სტანდარტები

1. ჟურნალში ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე ქვეყნდება სტატიები ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე, ასევე, რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე;

2. სტატია უნდა იყოს აქტუალური, დამოუკიდებლად შესრულებული, ორიგინალური, ადრე გამოუქვეყნებელი და სხვა გამოცემებში არწარდგენილი; სტატიაში სხვისი გამოქვეყნებული ტექსტების მითითების გარეშე გამოყენება (პლაგიატი) დაუშვებელია;

3. ყველა სტატია, ძირითად ტექსტთან ერთად, აუცილებლად უნდა შეიცავდეს შესავალ და დასკვნით ნაწილებს.

შესავალში, მეტ-ნაკლები ზომით, წარმოჩენილი უნდა იყოს: (ა) საკვლევი პრობლემის შესწავლის დონე და აქტუალურობა, (ბ) კვლევის მიზნები და ამოცანები, (გ)კვლევის ორიგინალურობა – ავტორის წვლილი მოცემული პრობლემის კვლევაში, (დ) სტატია უნდა იყოს მეთოდოლოგიურად სწორად აგებული, ანუ უნდა ჩანდეს კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენება. რაც შეეხება ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებას, მასზე მინიშნება მხოლოდ მაშინაა მიზანშეწონილი, თუ სტატია ამ მხრივ რაიმე სიახლეს შეიცავს და წარმოადგენს საინტერესოს მოცემული კვლევის თვალსაზრისით.

ძირითად ტექსტში, განსახილველ საკითხთა შესაბამისად, უნდა გამოიკვეთოს რამდენიმე ქვეთავი.

დასკვნით ნაწილში მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები, ადეკვატური რეკომენდაციები, რაშიც უპირატესობა ეძლევა არსებული დოგმების უარმყოფელ ავტორისეულ მტკიცებულებებს, ან კიდევ – მის სრულყოფა-განვითარებას; ასევე, სასურველია კვლევის შემდგომი შესაძლო გაღრმავების მიმართულებებისა და პერსპექტივების გამოკვეთა;

4. სტატიას თან უნდა ახლდეს სწორად შერჩეული საკვანძო სიტყვები **(Keywords);**

5. ანოტაცია უნდა იყოს ინფორმაციატევადი, სტატიის ძირითადი შინაარსის ამსახველი, აღწერდეს კვლევის მიზანს, აჯამებდეს კვლევის ძირითად შედეგებს და წარმოაჩენდეს მის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას; უნდა იყოს სტრუქტურირებული, ე.ი. მისდევდეს სტატიის აგების ლოგიკას. ანოტაციაში კატეგორიულად უნდა ავიცილოთ თავიდან ზოგადი, არაფრისმთქმელი სიტყვები, რაც მხოლოდ ზრდის ტექსტის მოცულობას, მაგრამ ხელს არ უწყობს სტატიის შინაარსის გახსნას. მოკლედ, ანოტაცია უნდა იყოს არსებითად ორიგინალური;

6. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატით. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეფერატების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს კომპიუტერზე 1,5 ინტერვალით და 12 შრიფტით ნაბეჭდ ერთ საავტორო თაბახს (40 ათასი ნიშანი) ან 20 კომპიუტერულ გვერდს;

7. ქართულ ენაზე დაწერილ სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია (ავტორისეული რეზიუმე) 600 ნიშნამდე ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე სათაური ინგლისურ და რუსულ ენებზე. უცხო ენაზე დაწერილ სტატიას თან უნდა ახლდეს ძირითადი შინაარსი 2 გვერდზე ქართულ ენაზე და ანოტაცია იმავე უცხო ენაზე. სტატია, რომელიც რეცენზენტთა და სარედაქციო კოლეგიის დასკვნით აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, დაიბეჭდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამასთან, სარედაქციო კოლეგიის მიერ ასევე მნიშვნელოვნად მიჩნეულ სტატიას თან უნდა დაერთოს გაშლილი რეზიუმე (2 გვერდზე) ქართულ და ინგლისურ ენებზე. ეს უკანასკნელი დაიბეჭდება სტატიასთან ერთად (ავტორის თანხმობით);

8. რედაქციაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელვერსიასთან ერთად (MS word, ქართული სტატია შრიფტით Sylfaen, ხოლო უცხოურ ენაზე ტექსტი – Times New Roman);

9. სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკად. ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი, ელფოსტა;

10. სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება. ლიტერატურის დასახელება უნდა განთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით (ლიტერატურა:) – ა) წიგნის დასახელება შემდეგი თანმიმდევრობით – ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი, გვერდების რაოდენობა; ბ) საჟურნალო სტატიისათვის – ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ჟურნალის ნომერი(სტატიის გვერდების მითითებით).

ლიტერატურის სია უნდა შედგეს მხოლოდ ტექსტში მითითებული წყაროებისაგან – მათი დასახელების რიგითობის მიხედვით. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომიდან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი გვერდის აღნიშვნით შემდეგი სახით [5.გვ.41], სადაც პირველი ციფრი შეესაბამება ციტირებული წყაროს რიგით ნომერს გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე – იმ გვერდს, საიდანაც მოყვანილია ციტატა. ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის (ჟურნალის) ბიბლიოგრაფიული აღწერა უნდა შეესაბამებოდეს მის სატიტულო ფურცელს. არაინგლისურ ლიტერატურას თან უნდა ახლდეს მისი ზუსტი ინგლისური თარგმანი (კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული);

11. ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქემები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ ადგილი არასაკმარისია, შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრილებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს დასახლება და ნუმერაცია.

12. მაგისტრანტს (მაგისტრს) მოეთხოვება თავისი, დამოუკიდებლად შესრულებული სამეცნიერო სტატია წარმოადგინოს მეცნიერ-ხელმძღვანელის დასკვნისა და შესაბამისი კათედრის რეკომენდაციასთან ერთად – ოქმიდან ამონაწერის სახით;

13. სტატიას, რომელიც არ უპასუხებს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, რედაქცია არ მიიღებს;

14. ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების რეცენზირება, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ანონიმურია. შეფასება ხდება რეიტინგული სისტემით (ტექსტს თან ახლავს). ამასთან, შემოსული სტატიები რედაქციული დამუშავების შემდეგ იგზავნება რეცენზენტებთან. ამ პროცესების გავლის შემდეგ, სტატია გადაეცემა სარედაქციო კოლეგიის წევრს მისი შეფასებისათვის. საბოლოო გადაწყვეტილებას ამა თუ იმ სტატიის ჟურნალში პუბლიკაციის შესახებ ერთობლივად იღებს სარედაქციო კოლეგიის სხდომა;

15. ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტების, მაგისტრანტებისა და ყველა თანამშრომლისათვის, ხოლო სხვა (გარე) ავტორები იხდიან საფასურს – ერთ გვერდზე 5 (ხუთ) ლარს, რაც მათ მიერ ჩაირიცხება თსუ-ის ეკონომიკური შემოსავლების ანგარიშში.

რეცენზენტთა მიერ სამეცნიერო სტატიების შეფასების კრიტერიუმები
(რეცენზირება ანონიმურია)

შეფასება	საუკეთესო (5)	კარგი (4)	დამაკმა--ყოფილე-ბელი (3)	არადამაკ-მაყოფი-ლებელი (2)
პრობლემის შესწავლის დონე და აქტუალურობა				
კვლევის მიზნები და ამოცანები				
კვლევის ორიგინალურობა (ავტორის წვლილი მოცემული პრობლემის კვლევაში)				
მეთოდოლოგიურად სწორად არის თუ არა აგებული სტატია				
კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
კვლევის შემდგომი გაღრმავების შესაძლო მიმართულებები და პერსპექტივები				

რეცენზენტის დასკვნა:

1. სტატია აკმაყოფილებს მოთხოვნებს და შეიძლება დაიბეჭდოს
2. სტატია საჭიროებს გარკვეულ ჩასწორებებს
3. სტატია საჭიროებს ძირეულ გადამუშავებას
4.სხვა სასურველობები

ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ 2016 წლის #1-4-ის შინაარსი

სტატიების ავტორები	რუბრიკების და სტატიების დასახელება	გვ/ #
	ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა	#1
ნუგზარ პაიჭაძე	უმუშევრობის პრობლემა საქართველოში და მისი დაძლევის გზები	9
ბადრი რამიშვილი	დემოგრაფიული ტრენდი - თანამედროვე გლობალური გეოსტრატეგიული ლანდშაფტის უმნიშვნელოვანესი მდგენელი და მისი გავლენა საქართველოზე	28
სულხან ტაბაღუა	მთავრობის მასშტაბების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე	45
	მიკროეკონომიკა. მაკროეკონომიკა. ეკონომეტრიკა	
გიორგი მიქელაძე	საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიების ეკონომეტრიკული ანალიზი (ჩინეთის მაგალითზე)	62
.ზვიად ზედგენიძე	მაკროპრუდენციული პოლიტიკა პოსტკრიზისულ პერიოდში	72
	მარკეტინგი. მენეჯმენტი. ტურიზმი	
ნაირა ღვედაშვილი	შრომითი პროცესების მართვის ძირითადი მიმართულებები	81
ქრისტინე ჯღანჯღავა	ელექტრონულ კომერციაზე ზემოქმედი ფაქტორები	94
	ფინანსური ეკონომიკა	
ლამარა ქოქიაური, ნინო ქოქიაური	ვენჩერული და ბიზნეს-ანგელური ინვესტირება (ბიზნესის დაფინანსების ციკლში(ინგლისურ ენაზე	101
ციური ოქრუაშვილი, ქეთევან ღუდუშაური	კონტროლის მექნიზმი ფინანსების ფუნქციათა სისტემაში და მისი განხორციელების წინაპირობები.	151

	გამოკვლევის შედეგები	
ნინო ფარესაშვილი	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2015 წელს შესრულებული მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოების შესახებ	126
	მეშვიდე ფორმაცია	
	ინტერვიუ პროფესორ გიორგი ცაგოლოვთან	159
	საიუბილეო სხდომა	
რევაზ გოგოხია	თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელ-მწიფო უნივერსიტეტში შედგა პროფესორ ნიკოლოზ იაშვილის დაბადების 115 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა რევაზ გოგოხია. პროფესორ ნიკოლოზ იაშვილის ცხოვრება და შემოქმედება	160
	მოსაზრებები ახალ წიგნებზე	
მზია ქირთბაია	განსაკუთრებული დიალოგი მკითხველთან	170
მერაბ გველესიანი	საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკისა და ეკონომიკური თეორიების განვითარების პრიზმით	173
	ახალი სტანდარტები	
	ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესში“ გამოსაქვეყნებელი სტატიებისადმი წაყენებული მოთხოვნები	189
	ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ 2015 წლის ნომრების (#1-4) შინაარსი	193
		#2
როინ მეტრეველი	ივანე ჯავხიშვილი-140 დიდი მეცნიერი, ღირსეული მამულიშვილი	9
	ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა	
ელგუჯა მექვაბიშვილი	გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური თეორიის „პროგნოსტიკული დისფუნქცია“: მითი თუ რეალობა	14
აკაკი გაბელაია	ლარის გაცვლითი კურსის დინამიკის სირთულის ანალიზი და პროგნოზირების პრაქტიკული გამოცდილება	24
ია ნაცვლიშვილი	ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის ევროპული მოდელები და თანამედროვე გამოწვევები	31
გიორგი ბუნტური	შრომითი მიგრაცია თანამედროვე საქართველოში	51

	მიკროეკონომიკა. მაკროეკონომიკა. ეკონომეტრიკა	
ლეილა ქადაგიშვილი	საქართველოში მეწარმეობის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება	66
პაატა კოლუაშვილი	ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში კორექტივების შეტანის აუცილებელობის შესახებ	82
თამარ ხაბელაშვილი	მცირე ბიზნესის განვითარება – სიღარიბის დაძლევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი	90
	მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი	
გიორგი ღაღანიძე	სტრატეგიულ მენეჯმენტში კონკურენტული უპირატესობის მდგრადი და ცვალებადი ფაქტორების როლის საკითხისათვის	99
მირონ ტულუში, მაია ღვინჯილია	არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში გამოყენების მართვის სრულყოფისათვის	108
ანა წულაია	მარკეტინგული კომუნიკაცია და გლობალიზაცია	123
მანანა ხარხელი, ოთარ კიკვაძე	საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა: მიღწევები და ნაკლოვანებები	132
თორნიკე ხოშტარია	სტრატეგიული მართვის პროცესის კვლევის ძირითადი მიმდინარეობები	145
	ფინანსური ეკონომიკა	
რატი აბულაძე, მაია ვეშაგური	ციფრული ევოლუცია ფინანსურ სექტორში: ფინტექი	161
თენგიზ თაქთაქიშვილი	აგრარული სექტორის სუბსიდირების შესაძლო შედეგები და მეურნეობებისა და ბაზრის საპასუხო ქცევა	168
ნატო კაკაშვილი	გადაზღვევის დივერსიფიკაცია და ფუნქციები	176
	სამეცნიერო გამოკვლევის შედეგები	
ნინო ფარესაშვილი	თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2015 წელს შესრულებული მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგების შესახებ (ინგლისურ ენაზე)	183
	სამეცნიერო კონფერენცია პოლონეთში ივ. ჯავა-ხიშვილის თსუ-ის პროფესორთა მონაწილეობით	202

	ჩვენი იუბილარები	
	ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, თეიმურაზ ბერიძე, იაკობ მესხია, ელგუჯა მექვაბიშვილი, ნუგზარ პაიჭაძე. პროფესორი რეზო გოგოხია – 80	204
		#3
ვასილ ჩანტლაძე	**შოთა რუსთაველი– 850** ეკონომიკურ- პოლიტიკური და კულტურული ვითარება რუსთაველის ეპოქის საქართველოში	9
	ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა	
ვლადიმერ ბასარია	ცოდნა და ეკონომიკა	30
ბადრი რამიშვილი	იმპორტჩანაცვლება - საქართველოს ეკონომიკის განვითარების უმთავრესი რეზერვი	44
გიორგი წულაძე, ვანო შუშტაკაშვილი, ვლადიმერ სულაბერიძე	პროგნოზებში დემოგრაფიულ პროცესთა ფაქტორული დეტერმინაციის გამოყენების მეთოდოლოგიური ასპექტები	71
მარინა ტაბატაძე	მმართველობის დეცენტრალიზაციის მექანიზმი ბიუჯეტთაშორის ურთიერთობათა სისტემაში	88
გიული ქეშელაშვილი	XIX საუკუნის მეორე ნახევრის სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციები და მისი გამოძახილი საქართველოში	99
	მიკროეკონომიკა. მაკროეკონომიკა. ეკონომეტრიკა	
რევაზ გველესიანი.	სოციალურ მეწარმეობაზე ორიენტაცია – საზოგადოებრივი უთანასწორობის დაძლევის ახალი მოცემულობა	107
ინეზა გაგნიძე	სამეწარმეო უნივერსიტეტი – ბიზნესის ინოვა-ციური განვითარების მნიშვნელოვანი რგოლი	117
ლია კვარაცხელია	ერგონომიკული ეკონომიკა – ინოვაციური ეკონომიკის ზედნაშენი	130
	მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი	
გიორგი შუბლაძე	კიდევ ერთხელ მენეჯმენტის არსისა და ფუნქციების შესახებ	138
ნინო აბესაძე, მარინა მინდორაშვილი, ნინო ფარესაშვილი	უცხოელი ვიზიტორების ტურისტული ხარჯების სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები	144

რევაზ ჯორბენაძე, თენგიზ ვერულავა	მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიის განვითარების პრობლემები და პერსპეტივები საქართველოში	150
ნინო ბერაია	საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის პროგნოზირება ნეირონული ქსელების მეშვეობით (თბილისის მაგალითზე).	160
გურამ მეტეხელი, ზურაბ კოლხიდაშვილი	არჩევნების ჩატარება რეიტინგულ-რანჟირებული სისტემით	171
	საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემები	
უშანგი სამადაშვილი	საქართველოს სავაჭრო ბალანსის დეფიციტი და მისი დაძლევის გზები	176
მარინა თავართქილაძე.	პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების გავლენა მსოფლიო ეკონომიკაში მცირე ქვეყნების ინტეგრირების წესრიგზე	196
თამთა მიქაბერიძე	საერთაშორისო ვაჭრობის ტექნოლოგიების მნიშვნელობა მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისათვის	209
	კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	
ელგუჯა მექვაბიშვილი	გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ფუნდამენტური გამოკვლევა	218
	ჩვენი იუბილარები	
გედევან ხელაია	პროფესორი რევაზ კაკულია - 80	223
	იაობ(იაშა) მესხია - ქართული მეცნიერების დიდი დანაკლისი	226
		#4
პაატა გუგუშვილი	შოთა რუსთაველის სოციოლოგიის შესახებ	9
	ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა	
იური ანანიაშვილი	ლაფერ-კეინზიანურ სინთეზზე დაფუძნებული მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელები	30
გიორგი თეთრაული	კონტრციკლური კაპიტალის ბუფერი: გამოწვევები საქართველოსთვის	49
ლაშა ქავთარაძე	ლარი/დოლარი გაცვლითი კურსის პროგნოზები ფაქტორული ბაიეზიანური ვექტორული ავტორეგრესიის (FBVAR) მოდელით	60

გრაჟინა კარმოვსკა, მიროსლავა მარჩინიაკი	ევროკავშირის ქვეყნებში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სტრუქტურული ცვლილებებისა და ფინანსური ხელმისაწვდომობის ანალიზი (ინგლისურ ენაზე)	76
	მიკროეკონომიკა.მაკროეკონომიკა. ეკონომეტრიკა	
ეთერ ხარაიშვილი	მოთხოვნა ქართულ ღვინოზე და მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის კონკურენტული უპირატესობის ფაქტორების შეფასება	92
ნოდარ ცანავა, ჯუსტან ბოკუჩავა	ელექტროენერგიის ტარიფები საქართველოში -რეალობა და პრობლემები	109
აკაკი გაბელაია	საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში მოგების გადასახადიდან მისაღები შემოსავლების პროგნოზირების პრობლემა	120
ნინო ლაზვიაშვილი, ჟანა ბალახაშვილი	მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკები და მისი შემცირების ძირითადი მიმართულებები	126
სოფიკო თაღიაშვილი	საბიუჯეტო სისტემის სამართლებრივი საფუძვლების ტრანსფორმაციის თანამედროვე ტენდენციები	137
	მარკეტინგი. მენეჯმენტი. ტურიზმი	
გიორგი ღაღანიძე	მომსახურების ექსპორტის განვითარების პოტენციალი სქართველოში	143
გიორგი აბუსელიძე, გიორგი ქათამაძე	ფინანსური ინსტიტუტების დაკრედიტების პოლიტიკა და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე	151
დავით ნიჟარაძე	ტექნოლოგიური მენეჯმენტის თავისებურებები გლობალურ გარემოში	162
ეკატერინე ურუტაძე	ბრენდის იმიჯის გავლენა სმარტფონების მომხმარებელთა ქცევაზე	171
ნოდარ დუნდუა	„ტექნოლოგიური ხაფანგი“ და მისი დაძლევის სირთულეები	185
გიორგი ბრეგაძე	ტურიზმის ღონისძიებების პირდაპირი ეკონომიკური სარგებლიანობის გამოთვლის მეთოდოლოგიური საკითხები	197
რუსუდან სეთურიძე	ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი საქართველოს საბაჟო სისტემის მართვაში	208
თამარ ხაბელაშვილი	ევროპის სამეზობლო პოლიტიკა საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარების კონტექსტით	221

ვაჟა შუბითიძე	ოცდაექვსსაუკუნოვანი ფენომენი. ისრაელის გაკვეთილები საქართველოსთვის	231
ნინო ფარესაშვილი	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზბესში“, თბილისი, 11-12 ნოემბერი, 2016.	235
	კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	
გივი ბედიანაშვილი, რეზო გოგოხია	საინტერესო ფუნდამენტური გამოკვლევა გამოყენებითი ასპექტებით (რუსულ ენაზე)	252
ლარისა თაკალანძე, ვასილ კიკუტაძე, ნინო ფარესაშვილი, გურამ (გოჩა) ამყოლაძე, გუგული ყურაშვილი	მრავალმხრივ საყურადღებო სახელმძღვანელო	254

გამოცემაზე მოშაობდნენ:

ნათია დვალი

ნინო ებრალიძე

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue,
Tbilisi 0179 Tel +995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge